პერ ლაგერკვისტი

ქორწილი

თარგმნა
მანანა მიქელაძემ

გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი

ნობელის პრემიის ლაურეატები

საგამომცემლო პროექტის ავტორი

კახმეგ კუდავა

ISSN 1512-4568
ISBN 978-9941-402-04-3

© თარგმანი, მანანა მიქელაძე, 2008
© გამომცემლობა „ინგილორი“, 2008

„მზე ყოველ ადამიანშია“

წიგნის ხელში აღებისთანავე სადღესასწაულო და ბედნიერი სიტყვა ქორწილი შემოგანათებთ — თითქოს შორეთში მიკარგული ღიმილით, გვირგვინით, თაიგულით... იქვე, კუთხეში მიჩუმათებული შემოქმედის ფიქრებში წასული, ნისლდაფენილი სახე... მის უკან კი ჯალათი წითელი მოსასხამით... ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ სიხარული და სევდა, ზეიმი და მოწყენა, სიკეთე და ბოროტება, სიკვდილი და სიცოცხლე განუყოფელი ცნებებია.

და რადგან პერ ლაგერკვისტის თხზულებათა კრებულის, მანანა მიქელაძისეული მშვენიერი თარგმანების, სათაურად მაინც ქორწილი შეირჩა, ჩვენც ამით დავიწყოთ...

„ქორწილი“ — თითქოს ზედმეტად ხმაურიანიც კი მომეჩვენა ეს სათაური ნოველისათვის, რომელშიც საოცარი სიმშვიდე, სიმყუდროვე და კეთილგანწყობა ჭაბუდებულა მთავარი გმირის წყალობით.

აქ თითქოს ორი სამყაროა ერთმანეთთან დაპირისპირებული. ორი ერთმანეთისაგან გაუცხოებული, სრულიად განსხვავებული სამყარო: ამ „გაუგებარი“ ქორწინებით გაოცებული, სახტად დარჩენილი ნათესავები და უკვე ხანდაზმული, უცნაურ მოლოდინად ქცეული წყვილი.

ამ სამყაროთა ზღვარზე ყველაფერი თვალშისაცემად კონტრასტულია: ყავის სმაში გართული სტუმრები და ბუხარს მიყრდნობილი, „კიკოსავით მარტო დარჩენილი სასიძო“; იმავე სტუმრების დამცინავი ქირქილი და იუნასის „გულწრფელი, ნათელი ღიმილი... მრავალთა სამყაროში ყველაფერი ზედმეტად მიწიერი და ყოფითია, ყოველგვარი პოეზიისაგან დაცლილი და უფერული, ორის სამყაროში კი, აქამდე „მარტოობის სიმძიმით დათრგუნული“ ორის სამყაროში — ზეციური, ამაღლებული, ვინ იცის, რამდენჯერ ნაოცნებარი და ნასათუთარი...

ყველაზე მეტი საოცრება კი იქ ხდება, „ზემოთ, სხვენის ოთახში“, სადაც საპატარძლო ირთვება. სადღაც გამქრალა „ბებრუხანა ფრიდა“, სარკიდან სულ სხვა, ბედნიერი, ნეტარების მოლოდინით შეპყრობილი ქალი იმზირება. და მასთან ერთად მკითხველსაც უცნაური განწყობა ეუფლება. მის სულსაც ერთდროულად აფორიაქებს და ამშვიდებს ფრიდას განცდები, წარსულსა და მომავალზე მხოლოდ საკუთარ თავთან განდობილი, სხვათათვის გაუმხელელი ფიქრები: „წარმოგიდგენიათ! ეს დღეც დადგა! დღეს იუნასთან ერთად საკურთხევლის წინ დადგება და შეერთდებიან... მათი სულები სამარადჟამოდ უნდა

შეუღლდნენ. მარტოსულები აღარ იქნებიან, აღარც თავად, აღარც იუნასი. არა, მაინც რა უცნაურია, მარტოსულები აღარ იქნებიან“_

ადამიანის ცხოვრების ყველაზე გამორჩეული დღის ამგვარი განცდა კიდევ უფრო მომხიბვლელს ხდის ფრიდას. იქ მყოფი ყველა ქალბატონის სილამაზეს ჩრდილავს საკუთარი ხელით დამზადებულ, „ნატიფად დაწნულ“ ტვიის გვირგვინსა და ტულის მსუბუქ, ჰაეროვან ფატაში გამოწყობილი საპატარძლო, რადგან იგი „ამ წუთებში ჭეშმარიტად მშვენიერია“. იუნასიც როგორ დაბნია და შეაცბუნა სასურველი არსების ამგვარმა სახეცვლილებამ. კეთილი, მორიდებული, სხვებისგან ვერშემჩნეული, მადლიერებით სავსე იუნასი, ამ დღემ სრულიად სხვა ადამიანად რომ აქცია და ისიც „აფეთქებული მზერით შესცქერის_ თვალისმომჭრელი სითეთრითა და სილამაზით გაბრწყინებულ ხილვას“ — ქალს, სახელად ფრიდას_

ის, რაც ორს სამყაროში ხდება, სტუმრებისთვის „უბრალოდ მხიარული დღესასწაულია, სადაც შეიძლება იცეკვო და იცინო“, იუნასისა და ფრიდასათვის კი ყველაზე „მნიშვნელოვანი და სერიოზული დღე“, როცა „ორი ადამიანი ერთ მთლიანობად უნდა გადაიქცეს“. მათთან ერთად მკითხველიც ხელშესახებად გრძნობს ორი გულის ერთმანეთისკენ სწრაფვას. გრძნობს, თუ როგორ „ელტვის ერთმანეთს ორი მოხეტიალე სული, დარდობს, ეწამება, ფრინველებივით ერთმანეთს იხმობს“ და ემზადება „სიყვარულის ნათელ სავანეში შესასვლელად_“

ისინი დიდხანს, დიდხანს ეძებდნენ ერთმანეთს, ახლა კი უკვე ვერაფერი დააშორებთ_ და ბედნიერი წყვილი „თვალებგაბრწყინებული შეაბიჯებს საქორწინო დარბაზში“. ისინი ვერ ამჩნევენ „თვალებად გადაქცეულ ქალებსა“ და მამაკაცებს, უსერსულობის დასაფარავად რომ ახველებენ. ხედავენ მხოლოდ მოძღვარს და „მის წინაშე სიხარულით აღტაცებულნი დაუშვებიან მუხლებზე“.

ეს გასაოცარი მოკრძალება და თვინიერება ისეთ საყვარელ, „დიდ ბავშვებად“ ხდის მათ_ ისე გაბრწყინებულა მზითა და სისპეტაკით ირგვლივ ყველაფერი_ „ისე ატაცებულან ამ წუთის სიდიადით“_ მაგრამ ეს მხოლოდ ამ ორისათვის_ მხოლოდ ეს ორნი_ „იდუმალ მზერას ერთმანეთისკენ აპარებენ“_

სტუმრები კი_ რა თქმა უნდა, ისინი აღტაცებულნი არ არიან. მილოცვებსაც ფამილარობის ელფერი დაჰკრავს. რა ქნან, წესია ასეთი, თორემ სულაც არ ადარდებთ არც „თეთრ კაბაში გამოპრანჭული სულელი დედაკაცი“ და არც მისი გულის რჩეული. სულ მალე კი ყველა ერთად აყაყანდება. სუფრასთან კიდევ უფრო გახალისდებიან და გამოცოცხლდებიან, „კიდეც ჭამენ და კიდეც დალევენ“. განა სწორედ ამისთვის არ მოვიდნენ აქ? და არა იმისთვის, ტორტის ზედაპირზე „მოგვირისტებული ინიციალები „ი“ და „ფ“ არ გამორჩენოდათ მხედველობიდან.

„სამაგიეროდ, იუნასი და ფრიდა შეამჩნევენ მაშინვე და მაგიდის ქვეშ ხელ-ჩაკიდებულნი, ერთმანეთს ნაზ და ბედნიერ მზერას შეავლებენ“. ისინი თითქოს სულ სხვა სამყაროდან არიან მოსული, თითქოს სრულიად შემთხვევით მოხვდნენ აქ. რამდენადაც ამაღლებული და განწმენდილია მათი განწყობილება, იმდენად უსახური და პროზაულია შორიდან მაცქერალთა განცდები.

არა, აქ უკვე წყვილს ნამდვილად აღარაფერი ესაქმება და ისინიც ტოვებენ მოყაყანე, მოქირქილე სტუმრებს, განერიდებიან მათ, რათა სრულიად სხვა, ჯერ უცნობი და იდუმალი სამყაროს ტყეეობაში მოექცნენ. ისინი ხომ ასე ეს-წრაფოდნენ ამ „დიად და მშვენიერ წამთან მისვლას“. შემოდგომის საღამოც ისე წყნარია– ვარსკვლავთა ციალიც ისე თვალისმომჭრელი– თითქოს ყველაფერი საგანგებოდ მათთვისაა შექმნილი და განკუთვნილი–

და ნეტარებით აღვსილი ორი არსება სიყვარულის ყოვლისმომცველ ზღვაში იძირება სრულქმნილი ბედნიერების აღმოსაჩენად და შესაცნობად– მერე კი, ამ აღმოჩენით „გაოგნებულნი და ცოტა თავზარდაცემულნი– წვანან ლოყე-ბაწითლებულნი, საოცნებლად ტუჩებგამზადებულნი, ერთმანეთს ჩახუტებულნი და როგორც დიადი ქებათა ქება ზეცისა, როგორც წმიდათაწმიდა ოსანა არსთა ერთიანობისა, ისე დაჰყურებთ ვარსკვლავთა ქორო, რომელიც ბინდის ჩამუქე-ბასთან ერთად უფრო და უფრო მრავლდება“.

და მირიად ვარსკვლავთა ჟრიამულში ზარივით ხმიანდება ფსალმუნის სი-ტყვები: „ვითარცა სურინ ირემსა წყაროსა მიმართ წყალთასა, ეგრეთვე სურინ სულსა ჩემსა შენდამი–“

ქორწილი? არა, ეს რაღაც უფრო სხვა იყო– და თუ იკითხავთ: მაინც რა? მე გიპასუხებთ: ერთ არსებად ქცევის საიდუმლო მისტერია.

ეს მშვენიერი ნოველა ლაგერკვისტის მრავალფეროვანი შემოქმედების მცირე ანასხლეტია მხოლოდ.

შვედი პროზაიკოსი, პოეტი და დრამატურგი პერ ფაბიან ლაგერკვისტი 1891 წლის 23 მაისს დაიბადა სამხრეთ შვეციის პატარა ქალაქ ვექსიოში. ის გახლდათ იოპანა და ანდერის იოჰან ლაგერკვისტების შვიდი შვილიდან უმცროსთაგანი. პერი ბავშვობიდანვე ბევრს კითხულობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ, 1910 წლიდან, მომავალი მწერალი ორი წლის მანძილზე უსპალის უნივერსიტეტში ხელოვნებასა და ლიტერატურას ეუფლებოდა.

ლაგერკვისტის ლიტერატურული დებიუტი 1912 წელს შედგა, როცა მან გამოაქვეყნა რამდენიმე ლექსი და მოთხრობა „ადამიანები“. უკვე პირველი მოთხრობის სათაური მიგვანიშნებს, რომ ადამიანი მთელი თავისი არსით, დადებითი და უარყოფითი მხარეებით, მწერლის შემოქმედების მთავარი საყრდენი და ცენტრალური ფიგურაა.

განსაკუთრებული აღიარება ლაგერკვისტს მოუტანა 1916 წელს გამოქვეყნებულმა პოეტურმა კრებულმა „სევდა“, რომელიც შვედური ექსპრესიონიზმის პირველ ნიმუშად ითვლება. შემდგომშიც არაერთი პოეტური კრებული შესთავაზა მკითხველს — „ქაოსი“, „გულის სიმღერები“, „ცეცხლთან“, „პოეზია და ბრძოლა“. ეს უკანასკნელი სახელწოდება სახიერად წარმოგვიდგენს პასუხისმგებლობასა და მოვალეობას იმ შემოქმედისა, რომელსაც პოეზია და, ზოგადად, ლიტერატურა ცხოვრებასთან მუდმივ ჭიდილად, ბრძოლად მიაჩნდა.

ეს ტენდენცია იკვეთება პერ ლაგერკვისტის პიესებშიც — „ბოლო ადამიანი“, „ცათა საიდუმლო“, „მეფე“, „უსულო ადამიანი“ და სხვ., რომლებიც გამოირჩევა საოცარი დამაჯერებლობით, პერსონაჟთა ხასიათების ოსტატური ძერწვით.

„ლიტერატურა ყველაზე დიდი მონაპოვარია, რაც კაცობრიობას საკუთარ რაობაში გასარკვევად შეუქმნია“ — აღნიშნავს ორჰან ფამუქი. ამ სიტყვების ჭეშმარიტებას ადასტურებს პერ ლაგერკვისტის მთელი შემოქმედება, განსაკუთრებით კი — პროზა. 1925 და 1927 წლებში მან დაწერა ორი წიგნი, რომლებიც, კრიტიკოსთა აზრით, მწერლის ყველაზე პიროვნულ ნაწარმოებებადაა მიჩნეული. ესენია — „სინამდვილის სტუმარი“ და „მოპოვებული ცხოვრება“. პირველში მოთხრობილია ავტორის ბავშვობასა და იმაზე, თუ რა ადრეული ასაკიდან სდევდა თან სიკვდილის განცდა; ხოლო მეორე წარმოადგენს ფილოსოფიური ფიქრების კრებულს, შეხედულებებს საკუთარ შემოქმედებასა და სამყაროზე. ამერიკელი კრიტიკოსის, ალრიკ გუსტაფონის აზრით, ეს ნაწარმოებები ამტკიცებს ლაგერკვისტის რწმენას „ადამიანის დაურღვეველ სულსა და ბოროტებაზე კეთილის საბოლოო გამარჯვებაზე“.

სწორედ ადამიანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავისი დაურღვეველი სულით, განცდებით, ტანჯვით, მწუხარებით, ძიებით, ბედნიერების ხანმოკლე გამონათებით წარმოადგენს მწერლის ფიქრისა და განსჯის მთავარ თემას, რადგან „ადამიანივით არც ერთი ცოცხალი არსება არ იტანჯება და ამასთანავე, სწორედ ჩვენ, როგორც არავინ, ისე ვართ სიუხვისა და ბედნიერებისათვის შექმნილები“.

ამის მკაფიო ნიმუშია მოთხრობა „განთავისუფლებული ადამიანი“. ესაა ჩანაწერები ტუსაღისა, რომელიც, სხვების მსგავსად, „ზურგით ცხოვრების სიღატაკესა მიათრევს“, მაგრამ იმ ბევრისგან განსხვავებით ციხის კედლების მიღმა ისეთი მღელვარე ემოციებით ცხოვრობს, გარეთ დარჩენილებს რომ „სიზმრადაც არ მოლანდებიათ“.

ეს ნაწარმოები არის ძიება პირველქმნილი სამყაროსი — „ყოველივე ასე რად გარდაისახა? ისეთად რად არ დარჩა, როგორიც პირველ დღეს იყო?"; დაკარგული სიხარულის, ვიღაცამ თუ რაღაცამ რომ უმოწყალოდ მოსპო; გაუჩინარებული ადამიანის — „ვისკენაც განთიადი მზის პირველ სხივს მიმართავდა, ვინც მინდვრებში იხეტიალებდა და სინათლის უსაყვარლესი ქმნილება გახდებოდა"; ფერთა იდუმალების — „ცისფერს თავისი აზრი აქვს, წითელს — თავისი"...

აქ მთელი სამყარო პატარა, ერთი შეხედვით, უბრალო, მრგვალ კენჭშია მოთავსებული, რომელიც სინამდვილეში „ამოუწურავ მრავალფეროვნებას იტევს": თანავარსკვლავედთა იდუმალებას, ზღვის უსასრულო სტიქიას, ქვიშის შრიალს, საყვარელი ქალის „თმის მზიურ შარავანდედს", აყვავებული ხეების სურნელს, დავიწყებულ ბილიკს, გარეთ დარჩენილ თავისუფლებას...

პატიმრის ჩანაწერები საკუთარ სულში ჩაბრუნებული მზერაა, დაყურსული ფიქრია სინათლის უძველეს სამყაროზე; ადამიანის დანიშნულებაზე — „ზეცაც შენია და მიწაც, მაგრამ ის ტვირთიც შენია, რომელსაც სხვა ვერავინ ასწევს". ესაა ფიქრი იმაზე, რაც კაცობრიობის მარადიული განსჯის საგანს წარმოადგენს — „ბოროტი და კეთილი! ცოდვა და სიკეთე! უფსკრულიდან სინათლისა და სიწმინდის მწვერვალისაკენ აღმასვლა!" წვდომა იმისა, რომ „შობის საათი დიადი სიხარულის საათი იყო" და კიდევ ერთხელ მიგნება იმ ჭეშმარიტებისა, რომ ამქვეყნად „მხოლოდ შექმნის მარადიული, ბრწყინვალე დღის რწმენა და სიხარული არსებობს".

შეუძლებელია აღელვების, ემოციის გარეშე წაიკითხო ერთი კაცის დიდი ცხოვრების პატარა ფრაგმენტები, მკაფიო დადასტურება იმისა, რომ არავითარ ძალადობას არ შეუძლია დთრგუნოს მოაზროვნე არსებაში შეუცნობელი სიმაღლეებისაკენ სწრაფვა და რომ ხშირად მაღალი კედლის იქით მყოფნი აქეთ დარჩენილებზე მეტად თავისუფალნი არიან. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ შეგვახსენებს სოკრატეს ნათქვამის უტყუარობას: „მზე ყოველ ადამიანშია, ოღონდ მიეცით საშუალება, რომ გამოანათოს". ასე ეძებდა პერ ლაგერკვისტი მზის ნამცვრევს ადამის ყოველ შთამომავალში, მათ შორის ბარაბაში...

რომანი „ბარაბა" 1950 წელს გამოქვეყნდა და მაშინვე მიიპყრო კრიტიკოსთა და მწერალთა ყურადღება. ანდრე ჟიდიმ მას „შესანიშნავი წიგნი" უწოდა, ხოლო ჩარლზ როლომ — „ჭეშმარიტი შედევრი". კრიტიკოსთა აზრით, ამ რომანის შექმნამდე სახარებისეული ამბავი არ ყოფილა მოთხრობილი ამგვარი სულიერი ძლევამოსილებითა და სიზუსტით. „ბარაბა" მწერლის ყველაზე პოპულარული წიგნია. 1952 წელს ამ რომანის მიხედვით ფილმიც გადაიღეს.

იქამდე კი უკვე საყოველთაოდ ცნობილი შემოქმედის დამსახურება შესაფერისად აღინიშნა.

1951 წელს პერ ლაგერკვისტს მიენიჭა ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში „მხატვრული ძალისა და მწერლის აბსოლუტურად დამოუკიდებელი მსჯელობებისათვის. ის ცდილობდა, თავის შემოქმედებაში მოეძებნა პასუხი მარადიულ კითხვებზე, კაცობრიობის წინაშე რომ დგას“. შვედეთის აკადემიის წევრმა ანდრეს ულტერლინგმა აღნიშნა, რომ „ლაგერკვისტი განეკუთვნება იმ მწერალთა რიცხვს, რომლებიც თამამად და დაუფარავად ეხებოდნენ კაცობრიობის ყველაზე საჭირბოროტო საკითხებს და ჩვენი არსებობის ძირეულ პრობლემებს“. ასე შეაფასა მოაზროვნე სამყარომ მწერლის მრავალწლიანი, ნაყოფირი გარჯა და რუდუნება.

ლაგერკვისტი საოცრად მორცხვი და გულჩათხრობილი ადამიანი იყო. ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონიალზე მას საპასუხო სიტყვა არ წარმოუთქვამს. ამის ნაცვლად, ჯილდოსთვის სამადლობელი რამდენიმე სიტყვის შემდეგ, წაიკითხა ნაწყვეტი 30 წლის წინ დაწერილი და გამოუქვეყნებელი წიგნიდან „კაცობრიობის მითი“.

ჩვენ კი ისევ მწერლის უპირველეს რომანს მივუბრუნდეთ.

ბარაბა — ეს სახელი თვალწინ გვიხატავს თითქმის 20 საუკუნის წინ მომხდარ ამბავს: „*დღესასწაულზე ჩვეულებად ჰქონდა განმგებელს, ხალხს უთავისუფლებდა ხოლმე პატიმარს, რომელსაც მოისურვებდნენ. ხოლო მაშინ ჰყავდათ ცნობილი პატიმარი, ბარაბად წოდებული. როცა მათ თავი მოიყარეს, უთხრა მათ პილატემ: „ვინ გსურთ, რომ გაგითავისუფლოთ, ბარაბა თუ იესო, ქრისტედ წოდებული?“ ვინაიდან იცოდა, რომ შურით გასცეს იგი. ხოლო მღვდელმთავრებმა და უხუცესებმა დაარწმუნეს, რომ ბარაბა გამოეთხოვათ, ხოლო იესო დაეღუპათ. ასე უპასუხა და უთხრა მათ განმგებელმა: „ამ ორიდან რომელი გსურთ, რომ გაგითავისუფლოთ?“ მათ უთხრეს: „ბარაბა“.*

არავინ იცის, რას ფიქრობდა, რას განიცდიდა იმ წუთებში ბარაბა. ან საერთოდ, როგორ ცხოვრობდა შემდგომ. საოცარია! ხშირად ვიხსენებთ იუდას, ჯვარცმულ ავაზაკებს, მათს სიტყვებს, ქცევას, ბარაბა კი რატომღაც აღარ გვახსოვს. პირველი ასწლეულიდან მოარღვევს სივრცეს ეს უცნაური, ტრაგიკული ხვედრის მქონე ადამიანი და მხოლოდ XX საუკუნეში შეძლო თავისი ფიქრების, განცდების სამზეოზე გამოტანა და_ მოსვენებაც.

„ყველამ იცის, მაშინ ისინი ჯვარზე როგორ ეკიდნენ_“ რომანის პირველივე ფრაზა მკითხველის თვალწინ აცოცხლებს ყველაფერს, რაც მოხდა პრეტორიიდან

გოლგოთამდე და თავად იქ– თითქოს ისპობა ზღვარი დროსა და სივრცეში– სულში შემოდის ტკივილი, ცრემლი–

ბარაბას პორტრეტიც ისე ზუსტადაა მიგნებული, ისე მეტყველად დახატული: „ოცდაათიოდე წლის თუ იქნებოდა. ჩასკვნილი იყო, თუმცა სახე ჩაყვითლებოდა. წითური წვერი და შავი თმა ჰქონდა, წარბებიც – შავი. თვალები კი თითქოს იმისთვის ჩაცვენოდა, რომ გამოხედვა უკეთ დაემალა. ერთი უპედან ღრმა ნაჭრილობევი იწყებოდა, ნიკაპთან ეშვებოდა და წვერში იკარგებოდა". ამის შემდეგ, მართლაც ძნელია, სხვანაირად წარმოიდგინო იგი – უთვისტომო კაცი, რომლის გამოც „ჯვარზე რომ ჩამოეკიდათ, ცრემლი არ დაიღვრებოდა"– ვისაც თავისი ცხოვრების ყველაზე უჩვეულო დღიდან სხვისი წილი თავისუფლებით უნდა ევლო და ეტარებინა მძიმე ჯვარი, მისთვის შეუმჩნეველად რომ დაწვა მხრებზე–"

„– ბარაბა სამარეს მიუახლოვდა და ცოტა ხნით გაჩერდა. თუმცა არ ულოცია. ის ბოროტმოქმედი იყო, ბოროტმოქმედთა ლოცვა კი საერთოდ ზეცას ვერ აღწევს. ესეც არ იყოს, ბარაბას ცოდვები არ ჰქონდა მონანიებული. თანაც, ამ კაცს სულ არ იცნობდა, ისე, სხვათა შორის, გაჩერდა ცოტა ხნით.

შემდეგ იერუსალიმისკენ მიმავალ გზას გაუყვა".

ასე იწყება ამბავი ბარაბასი, მძვინვარე ყაჩაღისა, ვისთვისაც იმ წუთებში ისე შეუცნობელი იყო მაცხოვრის სინათლე და შარავანდედი– და ვისაც ამის შემდეგ მთელი ცხოვრება, თუნდაც მისთვის გაუცნობიერებლად, სწორედ ღმერთის ძიებასა და შეცნობაში უნდა გაეტარებინა, რათა მიმხვდარიყო, რაოდენ უსარგებლო და უცხოა ირგვლივ ყოველივე იმ მთავართან შედარებით– რათა სიცოცხლის ბოლო წუთებში ნეტარებით ეთქვა: „შენ გაბარებ ჩემს სულს".

ამას ამბობს „ბარაბა-შენდობილი" – კაცი, „ვისაც ღმერთი არ ჰყავს", მაგრამ ვისაც „უნდა, რომ სწამდეს". ვინც ისევე მარტო კვდება, როგორც იშვა ამქვეყნად და, თავადაც ჯვარცმული, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არა სიკვდილს, არამედ სწორედ ოდესღაც მის ნაცვლად ჯვარცმულ მაცხოვარს მიმართავს: „შენ გაბარებ ჩემს სულს!"

„ბარაბა" არის წიგნი რწმენაზე, რომელიც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ *„მთელ სამყაროში მართლაც არსებობს ერთადერთი ძლიერი ღმერთი, ზეცისა და მიწის მეუფე, რომელიც თავის კანონს ყველგან– აწესებს".*

რწმენის აუცილებლობაზე, მის ძიებაზეა საუბარი „იუპან-მაცხოვარშიც", რადგან ჭეშმარიტად ბედნიერია მხოლოდ ის, ვის გულშიც ღვთის სიყვარულის მარადიული, გაუქრობელი ცეცხლი ანთია.

რომანი „ჯალათი" ლაგერკვისტმა 1933 წელს დაწერა, ხოლო 1934 წელს იმავე სახელწოდების პიესად გადაამუშავა. მწერალმა მკაცრი სასჯელი გამოუტანა

ტირანიას და კიდევ ერთხელ ყველას გასაგონად თქვა: უარი ძალადობას! მათ, ვინც ცდილობენ ადამიანები შეშის ნაფოტებად აქციონ! დაავიწყონ ფიქრი, ოცნება, სურვილები. ჩაკლან მათში საკუთარი აზრი!

ნაწარმოებში მოქმედება უბრალო სამიკიტნოს ფარგლებს არ სცილდება, მაგრამ მაინც მთელ ქვეყნიერებას მოიცავს. ქვეყნიერებას, რომელიც თითქოს ერთ ვრცელ საქონდაქრედ ქცეულა, ხოლო იქ მყოფთ აერთიანებთ სიტყვა — ჯალათი.

არაფერი შეცვლილა წარსულიდან დღემდე. ისევ მეფობს ბოროტება და სისასტიკე. ადამიანთა გულებიდან ქრება სიყვარული, თანალმობა, სიბრალული. იბადება აზრი ომის აუცილებლობაზე. „კაცობრიობის ცოტაოი კიდევ განწმენდაზე".

ჯალათის მონოლოგი, რომანის ფინალში, ბოროტების მრავალსაუკუნოვანი ისტორიაა პირველი „ძმის დაკვლიდან" და იესოს ჯვარცმიდან მოყოლებული. ის ისევ აქ არის, ჩვენ შორის, რადგან საკმაოდ მყარი ტასტი უდგას დედამიწაზე ისევ და ისევ გულქვა ადამიანთა წყალობით, რომლებმაც დაივიწყეს ნამდვილი უფალი და ბოროტება აქციეს ღმერთად.

და მაინც– რადგან ზოგჯერ ჯალათშიც იღვიძებს მინავლული სიკეთე და სიყვარული; რადგან ზოგჯერ მასაც შეუძლია ხსოვნის წიაღიდან გამოიხმოს მაცხოვრის ბავშვობაში ჩარჩენილი „შროშნებით მოფეწილი ველები", უცქიროს საკუთარი სახლის ფანჯრების მიღმა „საღამოს სიჩუმეში ჩათვლეშილ მინდვრებსა თუ ყვავილებს და ღრმა ღვთაებრივი სიმშვიდით შემოსილ ხეებს", ხოლო საშინელი ღამის შემდეგ გასწიოს „ბურუსიანი განთიადის შესასვედრად", რჩება იმედი, რომ ერთ მშვენიერ დღეს განთიადი ამ ბურუსსაც ჩამოიშორებს და მთელი თავისი ბრწყინვალეებით ამოგიზგიზდება!

ამ რომანით, სხვა ნაწარმოებების მსგავსად, პერ ლაგერკვისტმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ პიროვნული თავისუფლება და ჰუმანიზმი მისთვის მთავარი ღირებულებებია.

ნობელის პრემიის მინიჭების შემდეგ მწერალი განაგრძობდა ნაყოფიერ მუშაობას; დაამთავრა ლექსების კიდევ ერთი კრებული „საღამოს მიწა"; დაწერა ხუთი რომანი: „სიბილა", „აპასფერის სიკვდილი", „მიმლოცველი ზღვაში", „წმინდა მიწა" და „მარიამნა".

პერ ლაგერკვისტი 1974 წლის 11 ივლისს გარდაიცვალა 83 წლის ასაკში.

ორჰან ფამუქი მწერლობას „ნემსით ჭის თხრას" (თურქული ხალხური გამოთქმა) ადარებს, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ მწერლობა შეუძლებელის შეძლება, მიუღწეველის მიღწევაა. პერ ლაგერკვისტმა ეს

მისია წარმატებით შეასრულა. მან თავისი საჩინო შემოქმედებით და უჩინარი არსებობით დაადასტურა, რომ „ადამიანი — მარადიული ნებაა გამარჯვებისა!“

P. S. *„ცისის მიწაზე ალუბლის ხე იზრდებოდა. მოჭრეს და მაინც ყვავის შეშის გროვად გადაქცეულა და მაინც ყვავის. ჩამოჭრილი ტოტები ისევ ცოცხალია, თეთრი ყვავილებით მორთულა.*

სიცოცხლემ ვერ გაიგო, რომ ალუბალი მოჭრეს და, როგორც ყოველთვის, ჩვეულებისამებრ, ყვავილებით მორთო“.

ასე რომ, ცხოვრება, ყველაფრის მიუხედავად, მაინც ზეიმია! ცხოვრება გრძელდება თეთრი ვარდების თაიგულით, სიხარულით, ღიმილით, აყვავებული გაზაფხულით–

ქორწილში გელით!

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება პერ ლაგერკვისტის სამყაროში!

ეთერ გერიაშვილი

ქორწილი

იუნასისა და ფრიდას ჯვრისწერა ოთხი საათისთვისაა დანიშნული. სადგურის დასახლების განაპირას მდგარ პატარა, სადღესასწაულოდ მორთულ სახლში სტუმრები უკვე იკრიბებიან. ხუტორიდან ოთხთვალები მოგრიალდა, ფრიდას იქ ორიოდე ნათესავი შემორჩა, იუნასს კი ნათესავები საერთოდ არა ჰყავს. დასახლებიდანაც ბლომად მოგროვდნენ, სულ თხუთმეტიოდე კაცი იქნება.

მშვენიერი ამინდია და მამაკაცები ეზოში რჩებიან, ბაღში სეირნობენ, ერთმანეთს ესალმებიან, ელაპარაკებიან; შემდეგ სახლს შემოუვლიან და აღმოსავლეთ ფრონტონზე, პატარა კარს ზემოთ მიმაგრებულ გაცვეთილ აბრას „ფრიდა იუჰანსონი, ხელსაქმე“, ისე ათვალიერებენ, თითქოს რაღაცას ამოწმებენ. „ჰოო... ესე იგი ფრიდას ვათხოვებთ, არა?“ — თქმით ამასღა ამბობენ, თუმცა, ალბათ, გულში სხვა რამესაც ფიქრობენ.

მართალი რომ ითქვას, ეს ქორწინება ცოტა გაუგებარიც კია, მაგრამ სუფრას, ალბათ, წესისა და რიგის მიხედვით გაშლიან და რახან დაპატიჟეს, უარს ხომ არ იტყვიან. ჰოდა, სახლში შესვლის დროს ელოდებიან.

სასიძო პარმაღზე დგას. ტანდაბალსა და უსახურს, ჟღალი ულვაშები ჩამოჰკონწიალებია, სახეზე კი ბედნიერი ღიმილი დასთამაშებს, წუთითაც არ სცილდება. ნათელ, სიკეთითა და მადლიერებით აღსავსე თვალებს ისე ხშირად ახამხამებს, თითქოს ვიღაცას ემალება. თავიც გვერდით ისე გადაუხრია, თითქოს ვიღაცას ყურადღებით უსმენს. ჰო, ვერაფერს იტყვი, ერთი შეხედვით, სასიამოვნო კაცია. აქაურები იუნასს შლაგბაუმს ეძახიან, თუმცა სინამდვილეში სამუელსონი ჰქვია. ეს იმ დროიდან შეერქვა, როცა რკინიგზის გადასასვლელთან საათობით იდგა და მგზავრებს ელოდა, რათა ბარგი გადაეზიდა. ეს კი დიდხანს გაგრძელდა, სანამ უფრო სარფიანი საქმე არ იშოვნა. ახლა კარგა ხანია სასტუმროში მუშაობს მზიდავად და შლაგბაუმთან დგომა თანამდებობითაც კი ეკუთვნის. რას იზამ, ასეთი ხელობა აქვს. თუმცა ახლა აგერ ფრიდა მოჰყავს ცოლად და ვინღა იცის როგორი გახდება; დუქანში ჩადგება თუ, საერთოდ,

უსაქმურად გადაიქცევა. ფრიდასას რას გაიგებ, რა გეგმები ან რამდენი ფული აქვს. არც ერთმა სულიერმა არ იცის, იქნებ ბლომადაც მოაქუჩა. დუქანში კი მშვენივრად გამოიყენებს, სწორედ შესაფერისი საქმეა, სიმკვირცხლით დიდად არ გამოირჩევა.

ნათესავებს ფრიდას ასე მოულოდნელი გათხოვება გულზე დიდად არ ეხატებათ. არცაა გასაკვირი. ის კი არ ადარდებთ, აწი როგორ იცხოვრებსო, თავში ქვაც უხლია, იმას ეჭვობენ ამ ასაკში გათხოვება საერთოდ თუ იყო საჭიროო და თუმცა ხმამაღლა არ ამბობენ, სულის სიღრმეში, ნამდვილად არ იყო საჭიროო, ფიქრობენ. ცოტა ფულიც ექნება მოქუჩებული, თუმცა ეს არც არავინ იცის და არც არავის აინტერესებს. რახან ატყდა, სხვას მაინც გაჰყოლოდა, რაღა ეს იუნასი აიჩემა. თუმცა მაინცდამაინც დიდი არც არჩევანი ჰქონია. ასე თუ ისე, ფრიდა მაინც ნათესავია და ვერც ოჯახიშვილობას დაუწუნებ. უცნაური კია, ნეტავ რამ მოაწონა. კი, ბატონო, რა თქმა უნდა, მისი საქმეა. რახან თავად უნდა, ყველაფერი კარგად ყოფილა. ჰო, კეთილი და გულგახსნილი კაცია; თვინიერიცაა, ამას ყველა ხედავს. ჰო, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა...

იუნასი პარმაღზე დგას, სტუმრებს ეგებება, რით მოვემსახუროო, თვალებს აქეთ-იქით აცეცებს. თუ ვინმეს ხელში გზად წამოღებული ქურთუკი ან რაიმე სხვა დაუნახა, სულერთია, რაც უნდა იყოს, მაშინვე გამოართმევს და სახლში შეიტანს. ჰო, მომსახურება კი ეხერხება, ასეთ დღეს კი თავისი ვარგისიანობის გამოჩენა ყველას უნდა. მაგრამ აი, სტუმრები მოიკრიბებიან და საქმე გაუარესდება. მას აღარავინ ელაპარაკება, კიკოსავით მარტო რჩება, თუმცა მაინც იღიმება, სპეციალურად ამ დღისთვის ფრიდას შეკვეთილ შავ კოსტიუმში გამოწყობილი დგას და იღიმება. საქმე აღარაფერი აქვს, გარეგნულად კი, როგორც ყოველთვის, მაინც კმაყოფილი იერი დაჰკრავს. ცოტაც და, საქმე ისევ გაუჩნდება, ყავას შემოიტანენ. და ღიმილით ყველას სკამებს შესთავაზებს, თუმცა თქმით ისევ არაფერს ამბობს, უსარგებლო საუბარს მაინცდამაინც ვერ ეგუება. ერთი პირობა, ნუ მოგერიდებათ, მიირთვითო, დააპირა ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა, ბოლოს და ბოლოს ეს ყველაფერი ხომ ფრიდასია, არ ღირსო, გადანყვიტა. სტუმრები კი ისედაც კარგად მიირთმევენ, მეორე ჭიქა ყავასაც მიაყოლებენ, ახმაურდებიან და გაშინაურდებიან კიდეც. იუნასი ნამდვილად ბედნიერია. ბუხარს მიყრდნობილი, ყავას სხვებთან ერთად წრუპავს და ყველას გულწრფელი კეთილმო-

სურნეობით უსმენს. შემდეგ ახალი ყავადანისათვის სამზარეულოში გაიქცევა, ფანჯარასთან, მაგიდას შემომსხდარ ქალბატონებს შაქარს მიართმევს, ვისაც მისწვდება, ყველას მოემსახურება. რა თქმა უნდა, ნეფე გემსახურებოდეს მაინცდამაინც მიღებული არაა, მაგრამ სასიძომ ეტყობა ამის შესახებ არაფერი იცის. ჰოდა, სტუმრები თავისთვის ქირქილებენ, ნეფე კი გულწრფელი, ნათელი ღიმილით პასუხობს. „სულელია თუ... ისე სულელივით კი იღიმება. არა, არა, გონიერი, ნათელი ღიმილი აქვს, მაგრამ რა არის სულ ღიმილად რომ იღვრება. ალბათ, გახარებულია. ისე გასაღიმებლად კი აქვს საქმე, გაგიხარია!"

ზემოთ, სხვენის ოთახში, საპატარძლო ირთვება. აგნესა კარლსონი, როგორც ამბობენ, უახლოესი მეგობარი, შეთხელებულ თმას მაშებით ისე უხვევს, რომ ეზოც კი დამწვრის სუნით ივსება. ფრიდა თმას ცხოვრებაში პირველად იხვევს, მაგრამ ასეთ დღეს უამისობა როგორ იქნება. კომოდიდან გადმოდგმულ სარკეში გულმოდგინედ იცქირება. ბებრუხანა ფრიდას თითქოს სხვა ვინმე შემოჰყურებს სარკიდან. მაგრამ ასეთ საზეიმო წუთებში, ალბათ, არც შეიძლება ადამიანი საკუთარ თავს ჰგავდეს.

წარმოგიდგენიათ, ეს დღეც დადგა! დღეს იუნასთან ერთად საკურთხევლის წინ დადგება და შეერთდებიან. უფლის წინაშე სამუდამოდ, სამარადისოდ შეუღლდებიან! ნუთუ ეს დღე ნამდვილად დადგა, ეს ხომ ახლავე, სულ ახლავე მოხდება! — ნეტავ, ყვავილები თუ დადგეს სკამებთან, როგორც ვითხოვე, ჰა, აგნესა? როგორ ფიქრობ, დადგამდნენ? — ნუ ღელავ, მოახერხებენ რამეს. — ტორტი? ნეტავ, მორთული ტორტი თუ მოიტანეს? — მოიტანეს, სად წაიღებდნენ. თავად არ ვნახე? კლასმა ისეთი ვეებერთელა კოლოფი მოიტანა, ტორტის გარდა სხვა რისა იქნებოდა. — ჰო, მაგრამ... იქნებ მაინც ჩასულიყავი და გენახა? — რაო? მაგის დრო სადა მაქვს, ჯერ თმა უნდა დაგიხვიო. — ჰო, ჰო, ესეც მნიშვნელოვანია. ასეთ დღეს ყველაფერი მნიშვნელოვანია, ყველაფერს მიხედვა უნდა.

ოჰ, ნეტავ, ყველაფერმა კარგად ჩაიაროს, ისეთი ზეიმი შედგეს, როგორსაც ელოდა, ამდენანს ოცნებობდა. ისეთი ზეიმი, ამ სერიოზულ და მნიშვნელოვან მომენტს რომ შეეფერება.

არის კი ამ ქვეყნად რამე უფრო მნიშვნელოვანი? ორი ადამიანი ერთ მთლიანობად უნდა გადაიქცეს, ღვთის წინაშე ერთმანეთს უნდა შეხვდნენ და უფლის ტახტთან კავშირი შეკრან. ბევრს არც კი

ესმის რა ზეიმია, უბრალოდ მხიარული დღესასწაული ჰგონიათ, სადაც შეიძლება იცეკვო და იცინო. რა თქმა უნდა, ესეც კარგია, თავადაც ხომ სული უცინის. მასზე გახარებულ, ბედნიერ პატარძალს ნამდვილად ვერ ნახავთ.

და მაინც... და მაინც... ამ უსაზღვრო სიხარულის მიუხედავად... რა მნიშვნელოვანი და სერიოზული დღეა! იუნასთან ერთად უმნიშვნელოვანეს ზღურბლს უნდა მიუახლოვდეს. მათი ცხოვრება უნდა შეერთდეს, ერთ მთლიანობად გადაიქცეს. მათი სულები სამარადჟამოდ უნდა შეუღლდნენ. მარტოსულები აღარ იქნებიან, აღარც თავად, აღარც იუნასი. არა, მაინც რა უცნაურია, მარტოსულები აღარ იქნებიან. მარტოობა მასზე უკეთ ვის შეუცვნია. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, მშობლების სიკვდილის შემდეგ მარტო რომ დარჩა. მთელი ცხოვრება მარტოსული იყო. ყოველ ცისმარე დღეს მარტოობის სიმძიმე თრგუნავდა.

მაშ, რაღაა გასაოცარი, რომ ასეთ მშვენიერ დღეს ყოველივე სილამაზითა და ღირსებით გაჯერებული უნდა რომ იხილოს.

— აბა, სარკეში ჩაიხედე, მოგწონს? — ეკითხება აგნესა. ფრიდა წინ გადაიხრება, სარკეში თავის ანარეკლს შეხედავს, ხელს შუბლთან მიიტანს და უჩვეულო კულულებს შეავლებს.

პატარა, თხელი სახე სისხლნაკლულობით გატანჯულ გოგონას ამსგავსებს. თითქოს ნაკვთებიც წაშლია, ლოყებიც ჩასცვენია. წლებმა თავისი დაღი უკვე დაასვა, ნაოჭებიც გაუჩინა, მაგრამ რაღაცნაირად ისეთი წვრილი და ნაზი ნაოჭებია, თითქოს განსაკუთრებული სიფრთხილით გაეხაზოთ. კისრის ნაჭრილობევიც კი ასეთივე წვრილი და ნაზი მოჩანს. მხოლოდ თვალები, დიდი, უსაზღვროდ მოკრძალებული და ნდობით აღვსილი თვალები აქვს უცნაურად ფართოდ გახელილი. პირი ისე ვიწრო უჩანს, თითქოს ძლიერი ხასიათი ჰქონდეს. სინამდვილეში კი ტუჩები აქვს მხოლოდ ისეთივე თხელი და უფერული, როგორც სხვა ყველაფერი. აი, ღიმილი კი ძალიან ცვლის. საკმარისია გაიღიმოს, მთელი სახე უნათდება. მას ხომ იმ მხარეში ყველაზე საუკეთესო ჩასმული კბილები აქვს. ყველა ასე ფიქრობს, თუმცა ამას დიდ მნიშვნელობას არავინ ანიჭებს. არადა, რა ლამაზი კბილებია!

ჰო, მზეთუნახავს ვერ დაარქმევ, არც არასოდეს ყოფილა და ახლა მით უმეტეს, მაგრამ მთელი მისი იერსახე ისე წარმოუდგენ-

ლად სუფთაა, თითქოს თეთრეულის მკერავი ან მეუთოე იყოს. თეთრეულს მართლაც მრავალი წელი კერავდა, სანამ დუქანს გახსნიდა. დუქანშიც ხომ ნატთან და სხვა სუფთა ნივთებთან აქვს საქმე, ხელიც იმიტომ მოჰკიდა. ხელებიც ქათქათა თეთრი აქვს, შავი სამუშაო არასოდეს უკეთებია, თუმცა შრომით ნამდვილად ბევრი იშრომა და ეს ყველამ იცის.

— გვირგვინიც ხომ არ დაგვედგა? — ეკითხება აგნესა. — შევხედოთ ერთი, ვარცხნილობას როგორ მოუხდება, ხომ ამბობდი, დავიდგამო.

— ჰო, აგნესა, ძვირფასო, მოდი მოვსინჯოთ.

და აგნესა კეფაზე სარჭებით უმაგრებს პატარა გვირგვინს, რომელიც ფრიდამ ტვიის ტოტებიდან ასე ნატიფად დაწნა. ეს ტვია მემკვიდრეობით დედისგან მიიღო. თავადაც ასეთი გვირგვინი ეხურა პატარძლობისას. სამჯერ კინაღამ დაიღუპა ტვია, მაგრამ ფრიდამ ნერგები გადაურგა და გადარჩა. გვირგვინის შუაში ქალმა თეთრი ტიულის პატარა ნაჭერი ჩაამაგრა და მშვენიერი ფატა გამოუვიდა. ფრიდა ფეხზე წამოდგება და სარკეში თავს შეათვალიერებს. პერანგი და კაბა ჯერ არ ჩაუცვამს, არ დაიჭმუჭნოსო, მხოლოდ ნატიფი მაქმანით განყობილი ქათქათა თეთრი საცვალი აცვია, ზურგზე კი, კოჭებამდე, მსუბუქი, ჰაეროვანი ფატა ჩამოშვებია. ამ წუთებში ჭეშმარიტად მშვენიერია. ჩაფიქრებული და ბედნიერი, მეოცნებე მზერით შესცქერის თავის ორეულს და საპატარძლოდ მორთულს თავის თავს პირველად ხედავს.

— ოჰ, რა კარგი სანახავი ხარ მაგ საცვლებში! — წამოიძახებს აგნესა და სიცილი წასკდება. ჰო, მართლა! ფრიდაც გამოფხიზლდება და სახეზე მოკრძალებული ღიმილი გადაეფინება. შემდეგ ფატას ხელით გაისწორებს და ფრთხილად დაჯდება.

აგნესა ეჭვობს, გვირგვინი ძალიან ქვემოთ ადგას თავზეო. ჰოო? არ შემიმჩნევია. მართლა ცუდად მადგას? — კიდევ ხომ არ დამეხვია თმა, ცოტა ზემოთ რომ ავწიო? ისე ძნელი კი იქნება. შენი თმისგან მაღალი ვარცხნილობის გაკეთება. — ჰო, ძალიან თხელი თმა მაქვს. — ასეა, რას იზამ, კარგი. მაინც შევეცდები. — და აგნესა, ეს გულკეთილი აგნესა ისევ თავიდან იწყებს, გვერდებიდან თმას ზემოთ ექაჩება, თუმცა ძლივს აწვდენს და შეკვრას ცდილობს. სულერთია სად შეკრავს, ფატა ხომ მაინც დაფარავს. რა კარგი ქალია! რა გულით ცდილობს!

ფრიდა კი ღრმა ფიქრებშია ნასული; ან რა გასაკვირია. იხსენებს ის და იუნასი ერთმანეთს როგორ შეხვდნენ, მათი იღბალი როგორ გადაიჯაჭვა, ერთად როგორ შეუყვნენ გზას, რომელმაც ამ დიად და მშვენიერ წამთან მიიყვანა. ერთმანეთი დიდი ხანია მოსწონდათ. ჰო, დიდი ხანი, ბევრი, ბევრი ნელი მოსწონდათ. ეს იდუმალი სწრაფვა, გულების ეს ჩუმი და გაუცნობიერებელი სწრაფვა, ნამდვილ სიყვარულად მოგვიანებით რომ გადაიქცა, ერთმანეთს მაინც აახლოებდა. ქალი იხსენებს ქალაქიდან მატარებლით დაბრუნებულს ერთხელ ჩანთა როგორ გამოართვა. შემდეგ ქუჩას ერთად გაუყვნენ. — ქალაქში, ალბათ, საყიდლებზე იყავით, არა? — იკითხა კაცმა. — ჰო, ქალაქში ვიყავი, უპასუხა და როგორღაც ისე გამოვიდა, რომ თვალებში ჩახედა. რა ცოცხლად ახსოვს, თითქოს გუშინ მომხდარიყოს, თუმცა უკვე ოთხი ნელი გავიდა. ნამდვილი სიყვარული ხომ სწორედ იქ, იმ წუთებში ჩაისახა.

ოჰ, რა ახირებულია იღბალი! მაინც რა გვამოძრავებს? მაინც რამ მიგვაჯაჭვა მე და იუნასი ამ წმიდათანმიდა გრძნობით ასე ძლიერად, რომ ამიერიდან აღარასოდეს დავშორდებით?

და მაინც, სანამ ეს გრძნობა გამოჟონავდა კიდევ, ბევრმა წყალმა ჩაიარა. რას იზამ! განა ყოველთვის ასე არ ხდება? ოჰ, სიყვარულის ეს ჭირვეულობა, შეყვარებულთა ტკბილი დამალობანა! ორი გული ერთსა და იმავე გრძნობას განუმსჭვალავს და არც ერთს არ სურს პირველი გამოტყდეს. ორი სული ერთმანეთს ელტვის, დარდობს და ეწამება, ფრინველებივით ერთმანეთს იხმობს!

და ყოველივეს თანმდევი მუდმივი, მშფოთვარე ეჭვები! ვუყვარვარ? იქნებ არც ვუყვარვარ? თავად თუ მიყვარს? მთელი არსებით და ღრმად თუ მიყვარს, როგორც ჭეშმარიტად უნდა მიყვარდეს? თავად უფალმა კი დაუნესა ჩვენს მოხეტიალე სულებს შეხვედრა და სიყვარულის ნათელ სავანეში შესვლა? არის კი უფლის წყალობა? ჰო, ჰო, არის, სწამს, რომ არის!

ჰო, სწამს, სწამს და იცის. ქალი ზის, ბედნიერებით თავბრუდახვეული, ჩუმი აღტაცებით აღსავსე ზის და წინ იყურება.

განა შეიძლება ორი ადამიანის შეხვედრა უფრო ლამაზი და ამაღლებული იყოს, ვიდრე მისი და იუნასის შეხვედრა გახდა. ამის გახსენებისას თვალები აუწყლიანდა და მზერაც სადღაც შორეთისაკენ გაექცა.

ხომ არ ცდება? არა, არ ცდება. მათ გრძნობას სწორედ ჭეშმარიტი სიყვარული ჰქვია. ქალმა აირჩია, რადგან მოსწონდა და შეიყვარა, რადგან სიყვარულს ეძებდა. იუნასი? თითქოს დაეთანხმაო, რადგან მის სიბრალულში უკიდეგანო სიკეთე დაინახა. სიყვარულს როგორ გაბედავდა! მაგრამ ნება დართეს თუ არა, თავადაც უსაზღვროდ შეიყვარა, მანამდე ხომ არავინ ჰყვარებია. აბა, თავად ასეთი აზრი თავში როგორ მოუვიდოდა, ან ვინ ეკითხებოდა. მაგრამ ნება დართეს თუ არა — ჰო, ნამდვილად ასეა — ყველაზე აღფრთოვანებული შეყვარებული გახდა. ისე ეთაყვანებოდა, თითქოს უსაზღვრო სიკეთითა და მშვენიერებით აღსავსე უზენაესი არსება ყოფილიყო. ქალი მისთვის თავად განგებად გადაიქცა.

მისი ფული იუნასს არ აინტერესებს, ასეთ რაღაცებში ცუდად ერკვევა და ცოტაც სჭირდება. ჰო, ალბათ კარგია, რახან ყველა ამბობსო. თავადაც მოწიწებით ვექცევი და ამით ყველაფერი უფრო არაჩვეულებრივი ხდებაო. ოღონდ რკინიგზის გადასასვლელთან თუ ვეღარ მივიდა, მაინც მოიწყენს. ძალიან მიეჩვია და ასეთ დროს განშორება ყოველთვის გენანება. მისთვის ხომ ეს თითქმის ხელობა იყო. თუ ჩათვლი, რომ აღარ შემეფერება, დაგემორჩილებიო, არა უშავს, ყველაფერი მოგვარდება. პირდაპირ ხომ არაფერი უკითხავს, ერიდებოდა. თანაც დრო ითმენდა. მთავარია, იუნასს უყვარს, უსაზღვროდ უყვარს და მისთვის ყველაფერს დათმობს. როგორიც არის, ისეთი უყვარს, უსაზღვრო სიკეთისთვის უყვარს და კიდევ იმისთვის, რომ კაცი მან, ერთადერთმა შეამჩნია.

აი, ასეა საქმე. მათი სულები სიყვარულს, მხოლოდ სიყვარულს მოუცავს.

ჰო, იუნასი... ქალი ზის და ნეტავ, როგორი ადამიანიაო, ფიქრობს. შემდეგ იმას იხსენებს ტყეში, შარშან გაზაფხულზე, მკერდში როგორ ჩაიკრა და ამქვეყნად უმშვენიერესი ყვავილი შენა ხარო, უთხრა. ოჰ, რა კარგად უთხრა. სხვა ასეთ სიტყვებს ვერც კი მოიფიქრებს. რა ნათელი გონება აქვს, რა ჭკვიანია. ქალზე უკეთ ეს აბა ვინ იცის.

აგნესამ ვარცხნა დაამთავრა. — მორჩა, ფრიდა, მეტი აღარაფერი ეშველება, — ეუბნება ქალს. — მშვენიერი კი გამოვიდა, ძვირფასო. — დიდი მადლობა! — თმას ყურადღებით შეათვალიერებენ და გადაწყვეტენ, რომ ასე ნამდვილად უკეთესია, ნამდვილად სადღესასწაულოდ გამოიყურება.

— მგონი, აჩქარების დროა, მოდი კაბა ჩავიცვათ. — ჰო, ალბათ, დროა. ოჰ, აგნესა, ვერც კი წარმოიდგენ თავს რა უცნაურად ვგრძნობ. — რა იყო? — აბა, წარმოიდგინე, საპატარძლოდ ვირთვები... თავი სიზმარში მგონია. ვერც კი დამიჯერებია, რომ...

— მე თუ დამიჯერებ, ჯობს, შავი კაბა ჩაიცვა, უფრო გიხდება! — აბა, რას ამბობ, აგნესა, ძვირფასო, როგორ შეიძლება?! — შეიცხადებს უკიდურესად გაოგნებული ფრიდა და ამ დაუფიქრებელი სიტყვების გამო მზად არის განაწყენდეს კიდეც. — პატარძალს თეთრი კაბა უნდა ეცვას, ეს ხომ სიხარულის ზეიმია. — ჰო, ვიცი... მე ასე მგონია და დანარჩენი თავად გადაწყვიტე.

როგორც ფრიდას უნდა, ისე გადაწყვეტენ. სხვაგვარად როგორ იქნება. ამ კაბას რამდენი ღამე კერავდა, დღევანდელი დღისთვის ამზადებდა და თან ოცნებობდა, ოჰ, როგორ ოცნებობდა. აგნესა დაეხმარება, კაბას ჩააცმევს. მშვენიერი, კარგად გაუთოებული კაბაა, ნეტავ, არ დაიჭმუჭნოს, ან მაქმანები არ დაუზიანდეს. ესაა, პერანგი მოუჩანს უკან. რას იზამ, უნდა დაამაგრონ.

აგნესა ყურს მიუგდებს. — მგონი მოძღვარი მოვიდა. — უკვე? შეუძლებელია, — ჩუმად იტყვის ფრიდა და გაფითრდება. — გესმის, როგორ მინყნარდნენ? — მაშინ დავუჩქაროთ, — ძლივს ჩაილაპარაკებს ფრიდა.

ოდნავ შეღებულ კარზე იუნასი ფრთხილად დააკაკუნებს. — მოძღვარი მოვიდა, — აღფრთოვანებით დაიჩურჩულებს. — იუნას, შენა ხარ, ძვირფასო. არა, არა, ჯერ არ შემომხედო, ჯერ არ შეიძლება. აი, ახლავე, ერთ ადგილსაც დავამაგრებთ და მოვრჩებით. მოძღვარი მოვიდაო, ამბობ? ესე იგი ჩვენი დროც მოსულა... რას ჩამოქაჩულა ეს პერანგი, რა უცნაურია. აგნესა, ძვირფასო, ცოტა დაუჩქარე, რა!

— გაჩერდი ერთ ადგილას, ვერ მივუდექი! — ჰო, ჰო, ახლავე... იუნას, მოძღვარმა რაო?

— არც არაფერიო! — თავად თუ მიესალმე? — არა, მაშინვე შენთან გამოვიქეცი.

— გამოიქეცი? — ჰო, თქვენთან მოვედი. — ჰო, ჰო, სათქმელად მოხვედი არა? კარგი გიქნია. აი, გვირგვინიღა დამრჩა და მზად ვიქნები. იუნას, ძვირფასო, ქვემოთ ყველაფერი რიგზეა? — მე მგონი, ფრიდუ, ყველაფერი ძალიან ლამაზია. — ყვავილების ქოთნები დადგეს თავის ადგილას? — მგონი, უნდა იდგეს. — მაქმანიანი ხელსახოცები თუ აწყვია სკამებზე, ჰულდას ხომ არ დავიწყებია? —

არ დავიწყებია, არა, ანყვია. — ტორტი? ტორტი იუნას, ნამდვილად მოიტანეს? — ზუსტად ვერ გეტყვი, ის კი დავინახე კლასმა უშველებელი კოლოფი რომ შემოიტანა, ტორტი იქნებოდა, ალბათ. — ჰო, ტორტი იქნება. ოჰ, ნეტავ ყველაფერმა კარგად ჩაიაროს, ამ უდიდეს და საზეიმო დღეს, ყველაფერმა კარგად ჩაიაროს! ყავა? ყავა თუ დალიეს იუნას? — კი, როგორ არა, დალიეს. — თუ მოიპატიჟე, მირთვით-თქო, თუ უთხარი? — არ დასჭირვებიათ, ფრიდუ.

— მორჩა, ახლა ნამდვილად მზად ხარ! — ეტყვის აგნესა და კრიტიკულ მზერას კიდევ ერთხელ შეავლებს, — ჰო, ნამდვილად მზად ხარ!

— გმადლობთ, აგნესა, ჩემო ძვირფასო, იუნას შემოდი. ჰო, მოდი, მოდი, კარებთან, დგომა აღარ გჭირდება.

იუნასიც შემოვა და გაშეშდება. ეს მშვენიერი ხილვა, შუა ოთახში თვალისმომჭრელი სითეთრითა და სილამაზით გაბრწყინებული ხილვა გააოგნებს. ეს ხომ ფრიდაა, ჩემი საყვარელი ფრიდაო, გაიფიქრებს და ბედნიერებით თავბრუც კი დაეხვევა. აფეთქებული მზერით შესცქერის ქალს, თვალს ვერ აშორებს და თავი სიზმარში ჰგონია.

— აბა, რას მეტყვი? მოგწონვარ, იუნას? — ჰო, — ხრინწიანი ხმით უპასუხებს კაცი, თვალები აუწყლიანდება და ენა წაერთმევა. თითქოს მადლიერებას ვეღარ იტევდეს, ხელზე ხელს მოუჭერს, ისევ და ისევ მოუჭერს. — მაშ, ყველაფერი რიგზე ყოფილა, — ჩუმად, სულ ჩუმად იტყვის ფრიდა და ასლუკუნდება. — წამო, ქვემოთ ჩავიდეთ, — თვალებს შეიმშრალებს და მღელვარება ვერავინ შემატყოსო, ცხვირსახოცსაც აიფარებს.

— თაიგული, საქორწინო თაიგული გრჩება! — შესძახებს აგნესა, ლარნაკიდან თაიგულს ამოიღებს და ძირებს პირსახოცით შეუმშრალებს. ხასხასა, მწვანე ფოთლებიანი ნითელი მიხაკებია.

— ოჰ, გმადლობთ, აგნესა, სულ დამავიწყდა!.. ასეთ დროს ყველაფერი გავიწყდება ხოლმე.

მერე ქვემოთ ჩადიან. ერთმანეთს მჭიდროდ მიკრულები გვერდიგვერდ მიაბიჯებენ. სანამ კიბეს ჩაათავებენ, პატარძლის გვირგვინი ცოტათი გვერდით გადაიხრება, დანარჩენი ყველაფერი რიგზეა. თვალებგაბრწყინებული შეაბიჯებენ საქორწინო დარბაზში, იმ მომცრო ოთახში, სადაც ფარდებიდან მზე იჭვრიტება და სტუმართა რიგს ჩაუვლიან. ქალები თვალებად გადაქცეულან, მამაკაცები უხ-

ერხულად ახველებენ. წყვილი კი მხოლოდ მოძღვარს ხედავს, სიმკაცრითა და ღირსებით აღსავსე მოძღვარს. მის წინაშე ბავშვებივით დანდობილები და თვინიერი მოლოდინით აღსავსენი შეჩერდებიან. მოძღვარი მათ პენსნეს ზემოდან დაჟინებით შეათვალიერებს, შემდეგ წიგნს გადაშლის და კითხვას დაიწყებს.

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა...

წყვილი მის ტუჩებს თვალს არ აცილებს. უფრო ყურადღებიანი მსმენელი ძნელი მოსაძებნია, ისე ატაცებულან ამ წუთის სიდიადით, ისე ეშინიათ სიტყვა არ გამოგვრჩესო. იუნასი იღიმება, თითქოს ჩვეულებრივ, მაგრამ არნახულ ნეტარებას მოუცავს. თავიც გვერდით გადაუხრია, რომ კარგად გაიგონოს, ხელები გულზე დაუკრეფია და გულწრფელი სასოებით ისმენს. ფრიდასაც მაგრად ჩაუბღუჯავს თაიგული და რწმენითა თუ მადლიერებით სავსე თვალებით იყურება.

დადგება დრო და სიხარულით აღტაცებულები დაეშვებიან მუხლებზე. თეთრი კაბითა და თითქოს მზის სხივებით მოქარგული ფატით შემოსილ ფრიდას და ახალთახალ, ჯერ ჩაუცმელ კოსტიუმში გამონყობილ იუნასს მზე ზემოდან დასცქერის. ფანჯრის პირდაპირ მოურთხამთ მუხლი და ამის გამო თვალებიც თითქოს ზებუნებრივად უბრწყინავთ, ირგვლივ კი ყვავილთა ქოთნები შემოხვევია. ჭეშმარიტად სინათლითა და მშვენიერებით აღსავსე წამია.

სტუმრები, რა თქმა უნდა, ასე აღტაცებულნი არ არიან, მათ ხომ საამისო მიზეზი არა აქვთ. მაგრამ მოძღვარი უფლის სიტყვას ქადაგებს და მათაც საზეიმო განწყობა ეუფლებათ. ქალებს თვალები აუცრემლდებათ, როგორც ქორწილშია მიღებული და ახლა ყველა ყურადღებით ისმენს, დადგენილ შეკითხვებს წყვილი ათრთოლებული ხმით როგორ პასუხობს. ჰო, მაინც საინტერესო სანახავია, როცა ორივეს ასე კარგად იცნობ. ასე თუ ისე იუნასსაც ხომ იცნობენ.

მოძღვარი მათ საპატივცემულოდ განსაკუთრებულს არაფერს იტყვის, რა საჭიროა. მამაო ჩვენოს კი წაუკითხავს და ეს ლოცვა, როგორც არასდროს, ისე ლამაზად აჟღერდება. თითქოს ახალი, უჩვეულო, საგანგებოდ მათთვის დაწერილი სიტყვები იყოს. შემდეგ წიგნს დახურავს და ამაღელვებელი რიტუალიც დასრულდება. ფრიდა და იუნასი სამარადჟამოდ შეუღლებულები არიან.

სტუმრებს ღვინოს მიართმევენ, ნეფე-პატარძალი უნდა დალოცონ. ჯერ მოძღვარი უსურვებს ბედნიერებას, შემდეგ უფროსობის,

მდგომარეობისა და ნათესაობის გათვალისწინებით, დანარჩენებიც ახმაურდებიან. ჭიქებში მზე ციალებს, მისი წკრიალი და ბრწყინვალება ოთახს სადღესასწაულო იერით ავსებს. ცენტრში სტუმრებით გარშემორტყმული, ბედნიერებით ათრთოლებული პატარძალი დგას, გვერდს კი უმშვენებს იუნასი, ვისაც კეთილი სახის ყველა ნაოჭი ასევე ბედნიერებით განათებია. ნეფის სადღეგრძელოსაც სვამენ და მასაც ჭიქა თითის წვერებით ისე ფრთხილად უჭირავს, თითქოს იშვიათი ყვავილი იყოს. იმდენი მეგობრული თვალი შესცქერის, სითბოსა და გულითადობის იმხელა ნიაღვარი მოაწყდა, ოცნებითაც რომ ვერ წარმოიდგენდა და ისიც დაუსრულებლად ყველას თავს უკრავს. შემდეგ ნელ-ნელა ყველა ჩაწყნარდება, ზოგი სუფრას, ზოგი დივანს მიაშურებს და იუნასიც მარტო, შუა ოთახში სრულიად მარტო დარჩება.

ფრიდას კი ქალები შემოეხვევიან, ხელზე ხელს მოუთათუნებენ, ჩვეულებრივი მილოცვის გარდა, კიდევ რამდენიმე ალერსიან სიტყვას ეტყვიან. — აჰა, ფრიდუ, ხომ აგისრულდა ოცნება. ბედნიერი ხარ? — ჰო, ფრუ ლუნდგრენ, საზღვარი აღარა აქვს ჩემს ბედნიერებას! — ჰო, რა თქმა უნდა, ფრიდუ, რა თქმა უნდა!

ნათესავებიც მიუახლოვდებიან, მათაც უნდა უთხრან ორიოდ სიტყვა. —აი, შენც გათხოვდი, ფრიდუ. — ჰო, ემა, ძვირფასო, ეტყობა არავის ასცდება. — ჰო, ვინ იფიქრებდა. აბა, წინასწარ ვინ იცის იღბალი რას უმზადებს. — რას ბრძანებთ, — ჩაერევა ფრეკენ სვენსონი, თამბაქოს დუქნის მეპატრონე, — უნდა გათხოვილიყო, აბა, რა! რამდენჯერ მითქვამს, რა უცნაურია, ფრიდა იუჰანსონი რომ არ თხოვდება, მას ხომ ნამდვილად შეუძლია-მეთქი. — აბა, აბა, მეც ამას არ ვამბობდი?! ჩემი ბერიკაცი კი, ნათესავებზე სიტყვა რომ ჩამოვარდებოდა, სულ მიმტკიცებდა ფრიდა აღარ გათხოვდებაო. გულში კი ვფიქრობდი, მოიცა, აქ წინასწარ ვერაფერს გათვლიმეთქი. აბა, მომილოცავს, ფრიდუ, შენი გათხოვება საინტერესოც კია. — გმადლობთ, გმადლობთ, მატილდა, ჩემო ძვირფასო.

ასე საუბრობენ და ფრიდაც იღიმება, რა ბედნიერია იუნასი რომ ჰყავს. თვალებგაბრწყინებულები იდუმალ მზერას ერთმანეთისაკენ აპარებენ ჯერ კიდევ იმ წმიდათაწმიდა სიტყვების გავლენის ქვეშ მოქცეულნი, მათ სულებს რომ ეხმიანება. ახლა ცალ-ცალკე დგანან, მერე რა მოხდა, ასე დიდხანს ხომ არ გაგრძელდება, ყველაფერი ხომ კარგად მიდის — ქალი ხედავს, რომ კაციც ასე ფიქრობს. მაინც რა

კარგები არიან, რამხელა გზა გამოიარეს, რათა ამ ულამაზეს დღეს მათთვის გვერდი დაემშვენებინათ და რა უცნაურია, რომ ამდენმა ხალხმა თავი სწორედ მათ გამო მოიყარა. ყველა ერთად ყაყანებს, აღარაფერი ისმის, აღარც კი იცი ვის მოუსმინო. შემდეგ სათითაოდ მოვიდნენ, სადღეგრძელო შეუსვეს. ღმერთო, ყველაფერი რა საზეიმო იყო.

სამზარეულოდან საჭმლის სუნი იფრქვევა. ქალები მკითხაობენ, ნეტავ, რით გაგვიმასპინძლდებიანო. მწვადებით ალბათ, ასეა მიღებული. ოჰ, ფრიდა ისეთი ქალია, სხვებზე ნაკლებს როგორ იკადრებს, ეტყობა, კარგადაც მოაქუჩა. აბა, გაიგე ამ დუქნიდან რა შემოსავლები აქვს. ჰულდა, ეტყობა, სუფრას მოემსახურება. ოჰო-ჰო, წინსაფარიც კი მაქმანიანი აუკრავს, უყურე შენ!

მოძღვარი წამოდგება და ჩემი წასვლის დროაო, განაცხადებს. ასეთ ქორწილში დიდხანს დარჩენას აბა რა აზრი აქვს. შინ იმდენი საქმე ელოდება, აი, სამსახურებრივ საქმეს რომ ეძახიან. არ იცის მოძღვარმა ფრიდა რა ქალია, მისგან რას უნდა ელოდო, ან კი საიდან ეცოდინება.

ფრიდა კი, დარჩებაო, იმედოვნებდა. აი, ნახეთ, თუ არ დარჩესო, ფიქრობდა. მოძღვარი სუფრას სადღესასწაულო იერს შეჰმატებდა. რას იზამ! რახან ამდენი საქმე აქვს... მას ხომ უმნიშვნელოვანესი მისია, ადამიანთა სულები აბარია. გარედან არ ჩანს, თორემ რამდენი საქმე ექნება. ქალი მაინც მადლობელია. რა საზეიმო დღე იყო, რამდენი მშვენიერი სიტყვა წაუკითხა. იუნასთან ერთად მოძღვარს კარებამდე მიაცილებს. იუნასი პალტოს მოუმარჯვებს, კარს გაუღებს და თავს მანამდე უკრავს, სანამ მოძღვარი ხეებს არ მიეფარება.

ამასობაში სუფრაც გაიშლება და ყველა მაგიდას შემოუსხდება. ნეფე-პატარძალს გრძელი მაგიდის შუაში დასვამენ, დანარჩენები ირგვლივ შემოუსხდებიან და საზეიმო სადილისთვის მოემზადებიან. მამაკაცები საკანალიზაციო მილებზე მსჯელობენ, დასახლებიდან მეტისმეტად ახლოს ჩაედინება ზღვაშიო. რახან წამოიწყეს ეს თემა, უნდა ამოწურონ კიდეც, ხუტორის მოსახლეობა ვერც კი წარმოიდგენს ამ საკითხს რა ხმაურით განიხილავდნენ. მაგრამ საუზმეული და ჭიქები უკვე სუფრაზეა და სადილის დროც დამდგარა. მასპინძლობას ნამდვილად ვერ დაიწუნებენ, მაგიდა ნაირნაირი კერძით გადავსებულა. არაყიც მშვენიერია, ამის გადაყლურწვას აბა რა

სჯობია. ნელ-ნელა ყველა გახალისდება და გამოცოცხლდება. თუ ქორნილია, ქორწილი იყოს. რახან ამ ბებრუხანა ფრიდამ გათხოვება აიხირა, კი, ბატონო, ყოველივეს წესისა და რიგის მიხედვით ჩაატარებენ. კიდეც ჭამენ და კიდეც დალევენ. მადლობა ღმერთს, შესანიშნავი მასპინძლები არიან.

— ეჰეი, იუნას, ცოტა გადახუხე, არ გაწყენს. — რა, არა სვამს? — მთელი ხმით გაჰკივის ფრიდას გარე ბიძაშვილი, ესტრაგორდელი ემილი. — მიდი, მიდი. ცოტა მარიფათს შეგმატებს. ჰა, აუნი კუდი, გადახუხე-მეთქი, იქნებ, ცოტა ენა მაინც გაგიხსნას. — და იუნასიც ღიმილით ემორჩილება, თუმცა სხვა დროს, ალბათ, თავს შეიკავებდა. აბა რას გააწყობ, თუკი მასთან ერთად ჭიქის აწევა უნდათ. — ისე როგორია, ჰა? პირდაპირ ქორწილში ამოყო თავი? — რაღა პირდაპირ, უარესებიც გვინახავს. ხანდახან ისე ჩქარობენ, ვეღარც კი გაიგებ, რა ცეცხლი წაეკიდათ. აქ კი, შეხედე, ყველაფერი რა მშვიდად ხდება! — მართალი ხარ ძმაო, იულიუს, ცეცხლი ნამდვილად არ ნაჰკიდებიათ. შენ გაგიმარჯოს, ძმაო, ხუმრობა კი გიყვარს... — არა, ბატონო, ჯანდაბას მაგათი თავი! ხარები უნდათ გამიცვალონ? კეთილი ინებონ, საუკეთესო საქონელი მორეკონ და ზედაც წაამატონ რამე. ასეც ვუთხარი. ღმერთო ჩემო, რა უბადრუკი ბაზრობა იყო! — ნუთუ არაყიც ვერ დალიეთ? — ვერა-მეთქი, გეუბნები, დაკეტილი იყო. — ჰო, მაშინ ბევრს ვერ ივაჭრებდით, რა თქმა უნდა. — ეჰეი, თქვენ, მაქეთ, ჰო, ემილ, კაცო, ცოტა აქეთაც გამოუშვით, არ მიითვისეს ყველაფერი!

მწვადი შემოიტანეს. ჰო, ამას ერთი ჭიქა ნამდვილად არ აწყენს. იუნასიც ძალაუნებურად ყველას უჭახუნებს და ტუჩებს ისველებს, თუმცა თავის შეკავება ერჩია. — თუ კაცი ხარ, დალევაც უნდა შეგეძლოს! — ყველა სვამს და სხვა რა გზა აქვს. თავშეკავებას კი ცდილობს, მაგრამ უარის თქმა არ გამოსდის. მათ ხომ სიკეთე ამოძრავებთ, მის გახალისებას ცდილობენ. — მიდი, აუნი კუდი, ხომ გითხარი, მარიფათს შეგმატებს-მეთქი. დღეს რომ საქმე გაქვს გასაკეთებელი, ვინ იცის, ჯერ არც კი გაგისინჯავს. თუ გინდა ფრიდა კმაყოფილი დაგრჩეს, კარგად შებუჟბუჟება გჭირდება. — ჰო, იუნას, ძმაო, ახლა კი გეშველა, წელის მოწყვეტა აღარ დაგჭირდება! — სასტუმროს მიატოვებ, არა? აჰ, არ იცი? ჯერ არ უთქვამს? — ამ სიბერეში მაქმანებით ვაჭრობა არ დაგაწყებინოს. მშვენიერი კია, მაგრამ აბა რა კაცის საქმეა. ან არადა, ყვავილებს მოუვლი, რაც

ფრიდამ ყვავილები მოაშენა! — ჰა, რა გადაწყვიტე, დუქანში დასვამ თუ სხვაგან მოაყუჩებ?

ფრიდა ხმას არ იღებს. ყველა ერთად ისე ყაყანებს, არაფერი ისმის. ქალი ჩუმად ზის და თვინიერი თვალებით სივრცეს გაჰყურებს. გვირგვინი ოდნავ გვერდით გადახრილა და მაინც მშვიდი ღირსებითაა სავსე ამ თავისი თეთრი კაბით, რომელიც, კაცმა რომ თქვას, მართლაც უხდება. მაგიდის ქვემოთ იუნასს ჩუმად მოუჭერს ხელზე ხელს და სახეს ბედნიერი ღიმილი გაუნათებს. წამიერად, იდუმალი სიხარულით შეავლებენ თვალს ერთმანეთს და ქალიც ისევ სერიოზულ, ოდნავ სევდიან იერს დაიბრუნებს.

ბინდი ეშვება და ჰულდას ლამპა შემოაქვს. სუფრაზე ტკბილეული გამოჩნდება. მშვენიერი ტკბილეულია, მაგრამ ფრიდას ჭამის თავი სადა აქვს, გემოსღა გაუსინჯავს, ხომ ნამდვილად კარგიაო, დარწმუნდეს. კარგი იქნება, აბა რა, გადაჰყვნენ ამის გამოცხობას. შემდეგ ტორტის ჯერიც დადგება. ნამდვილად შესანიშნავი ტორტია. შუაში ვარდისფერი მურაბით მოგვირისტებული ინიციალები ი და ფ მოჩანს, თუმცა ისე დაღვარჭნილი ასოებია, ვერავინ ამჩნევს. სამაგიეროდ, იუნასი და ფრიდა შეამჩნევენ მაშინვე და მაგიდის ქვეშ ხელჩაკიდებულნი ერთმანეთს ნაზ და ბედნიერ მზერას შეავლებენ. ჰო, მოძღვარი რომ დარჩენილიყო, ახლა, ალბათ, მათ სადღეგრძელოს შესვამდა. აუცილებლად შესვამდა. რა ლამაზი ლაპარაკი იცის. თუმცა ყველაფერი ისედაც კარგადაა და ტორტიც ბოლომდე მიირთვეს.

ქეიფი დასრულდა, ახლა ყავას ჩამოარიგებენ. მამაკაცები სუფრიდან აიშლებიან, ოთახში მიმოიფანტებიან, ყაყანებენ, ხმაურობენ, ცოტას ბორძიკობენ კიდეც. მათ სიგარებს მიართმევენ და ჭიქებში ყავას ჩამოუსხამენ.

— რა, ფრიდა, კონიაკი არა გაქვს? — ეკითხება ემილი. არა, არა აქვს, ეს ვეღარ მოიფიქრა. არ ეგონა, ასეთ დღეს ამდენს თუ დალევდნენ. — შეგირცხვა ცხვირი, ეს რა ზეიმია! — კბილებში გამოცრის ემილი. — ქორწილი უკონიაკოდ, აბა, რა ქორწილია! ოთხთვალაში უნდა მედოს ერთი ბოთლი, ამხანაგობიდან რომ წამოვედი, გზაში დავითრიე. ჯანდაბას, გიფეშქაშებ! — ოთახიდან ხმაურით გადის და მალე კონიაკის ბოთლით ბრუნდება. — ახლა გვიქეიფია!

ისევ სმა გააჩაღეს და თანაც ისე გაჰკივიან, თითქოს თავიანთ მამულებში იდგნენ და ერთმანეთისთვის ხმის მიწვდენას ცდილობდ-

ნენ. თან ილანძღებიან, ერთმანეთს შესაჭმელად უყურებენ. არადა, მხოლოდ მეგობრული გრძნობები ამოძრავებთ და ერთად ქაქანებენ. რაც დრო გადის, სიმთვრალე უფრო და უფრო ეკიდებათ, ერთმანეთს ასკდებიან, სკამებზე ისეთი ძალით ეხეთქებიან, ჭრიალი გაუდის ავეჯს. დასახლების ხალხი უფრო თავშეკავებულად იქცევა, ამ გაგრიებს კი არ ჰგვანან. აი, ხუტორელები კი ყველანაირ ზღვარს გადასცილდნენ. ოთახი ბოლით, სასმლის ოხშივარით იჟღინთება და მას თავისი მხურვალე სურნელით ავსებს.

არც ქალებს მოუწყენიათ, კუთხეში ერთად შეკრებილან და ყბედობენ, აქ არმყოფებს ჭორავენ ან სხვადასხვა ამბავს იხსენებენ. კარგა ხანია ერთად არ შეკრებილან, წლის ამ დროს ხომ სტუმრობა იშვიათია. შემდეგ სიტყვა სიტყვას გადაებმება და სულსაც გახსნიან, თავებს გადააქნევენ, ტუჩებს მოკუმავენ და რას აღარ იტყვიან. ფრიდა ცოტა ხანს ჩამოჯდება, შემდეგ სამზარეულოში შეიხედავს, ყვავილებს თავის ადგილას დააბრუნებს, ლამპას გაასწორებს, ბოლოს კი გულხელდაკრეფილი შუა ოთახში დადგება და მზერაგაყინული საერთო ხმაურს მიაყურადებს.

— ეს სულელი დედაკაცი, თეთრი კაბით რომ გამოპრანჭულა! — შემოესმება უკნიდან. ამის გამგონე ოთახს გადაჭრის, იუნასს მიუჯდება და ცრემლი ნასკდება.

ხმამაღლა კი არ ქვითინებს, ჩუმად, უხმაუროდ ტირის, უბრალოდ ცრემლი ცვივა. იუნასის გარდა, ვერც კი ამჩნევს ვინმე. შეშინებული კაცი ხელს მოუთათუნებს, შემდეგ ნაზად მოუჭერს და რა მოხდა, რა გატირებსო, შეეკითხება. მაშინ ქალიც ამოხედავს და ჩვეულ ღიმილს, თვინიერსა და კეთილ ღიმილს შეაგებებს.

— არაფერია, იუნას, — ეტყვის, — სიხარულის ცრემლია.

და კაციც დამშვიდდება, რადგან ხედავს, რომ მართლაც ასეა.

— იუნას, ძვირფასო, — ამბობს ფრიდა, — დროა ჩვენს ოთახში ავიდეთ.

ასეც მოიქცევიან. მხიარულად, მეგობრულად დაემშვიდობებიან ყველას, როგორც ბედნიერ ნყვილს შეეფერება და თავის ოთახში ადიან.

* * *

რა მშვენივრად მორთული ოთახია! საწოლიც გაუშლიათ; ყოველივე სწორედ ისეა გაწყობილი, როგორც ფრიდას უნდოდა. საწოლს მაქმანიანი ზენარი აფარია, ყველაზე ფართო ზენარი, რაც კი ფრიდას დუქანში მოიძებნა. მაგიდას მოქარგული, თეთრი სუფრა და ცოცხალი ყვავილების თაიგული ამშვენებს; კომოდსაც ასევე. ფანჯარა ფართოდაა ღია და გვიანი, თბილი შემოდგომის წყნარი საღამო ოთახში ვარსკვლავების ციალით იჭრება.

რა სიმშვიდეა! რა მშვიდობას დაუსადგურებია! ნეტარებით აღვსილნი ერთმანეთს გადაეჭდობიან და ასე დიდხანს, დიდხანს დგანან! ბედნიერებას ისე შეუბოჭავს წყვილი, რომ დროის შეგრძნებას კარგავენ. ქვემოთ სტუმრები ისევ ხმაურობენ, მათ კი, რა საოცარია, ერთი სიტყვაც არ ესმით. ჰო, მართლაც საოცარია, რომ შეიძლება არაფერი, სულ არაფერი გესმოდეს.

მერე ტანთ გაიხდიან, დაწვებიან, ერთმანეთს ეალერსებიან და ეჩურჩულებიან. შემდეგ ერთმანეთს დაეუფლებიან და რაღაც ისეთ ღვთაებრივს, არნახულსა და არგანცდილს შეიგრძნობენ, რომლის სადარიც ამქვეყნად არაფერია.

ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ სიყვარული შეიძლება ასე ყოვლისმომცველი ყოფილიყო. რამდენი უფიქრია და მაინც ვერ წარმოიდგენდა. თითქოს მთელი ცხოვრება ამ წამისთვის ემზადებოდა, აი, ამ წამისთვის, რომ ის და იუნასი შეერთდებოდნენ. კაცი მკლავს შემოხვევს, ძლიერ მკლავს — რამდენი სიმძიმე აქვს ნათრევი — ქალიც დანებდება და არნახული ნეტარებით დაიბანგება. ღმერთო, რა ღვთაებრივია! უცებ უკბინა კიდეც თავისი ჩასმული კბილებით და კაცმაც თავი სულ დაკარგა. ქალი ნამიერად შეცბა, მაგრამ რას გააწყობ, ასეთია სიყვარული, თავის ჭკუაზე გატარებს. გონებას არ ემორჩილება, ყოველივეს თვითონ ამშვენიერებს.

შემდეგ მოთენთილები და ბედნიერები ერთმანეთის გვერდით წვანან. ხელი ერთმანეთისთვის ჩაუკიდიათ და უფრო მეტი სინაზით აღვსილან, ვიდრე ხვევნა-ალერსის დროს იყვნენ. ისეთი ყოვლისმომცველი, სრულქმნილი ბედნიერება აღმოაჩინეს, რომ გაოგნებულები და ცოტა თავზარდაცემულებიც არიან.

იუნასი ჩასთვლემს, ხანგრძლივმა დღემ, ეტყობა, გადაღალა.

ქალს გვერდით უნევს ასე მშვენიერი და ახლობელი და ისიც თმაზე მიეფერება, კულულებს გაუსწორებს. თავადაც მოთენთილია, მაგრამ თვალღია ნევს და აყურადებს.

რა სიჩუმეა! რა საოცარი სიჩუმეა! ნეტავ, სტუმრები თუ დაიშალნენ, აღარაფერი ისმის. მხოლოდ უკიდეგანო, შეუცნობელ ღამეს მოუცავს ყველაფერი და კიდევ საყვარელ ადამიანს სძინავს გვერდით, მშვიდად სძინავს.

ქალი ახლოს მიუჩოჩდება, ხელს მაგრამ ჩაჰკიდებს, თავადაც ჩაიძინებს; და აი, ასე წვანან ლოყებაწითლებულნი, საკოცნელად ტუჩებგამზადებულნი, ერთმანეთს ჩახუტებულნი და როგორც დიადი ქებათა ქება ზეცისა, როგორც წმიდათაწმიდა ოსანა არსთა ერთიანობისა, ისე დაჰყურებთ ვარსკვლავთა ქორო, რომელიც ბინდის ჩამუქებასთან ერთად უფრო და უფრო მრავლდება.

იუჰან-მაცხოვარი

იუჰანი მქვია, ყველა კი მაცხოვარს მეძახის, რადგან ადამიანები უნდა ვიხსნა დედამიწაზე. ეს ჩემი მოწოდებაა, ამიტომაც მეძახიან ასე. სხვებს არ ვგავარ და ამ ქალაქში არც მე მგავს ვინმე. უფალმა ჩემ სულში ისეთი ცეცხლი დაანთო, არასდროს რომ არ ჩაქრება. თავადაც ვგრძნობ, როგორ ანთია, დღე და ღამე ანთია. ვიცი, ადამიანები უნდა ვიხსნა, მათ მსხვერპლად უნდა შევეწირო. ჩემი მრწამსი, რწმენა, რომელსაც ვქადაგებ, მათ სულებს დაიხსნის.

ჰო, ვიცი, რა ძლიერად უნდა მწამდეს, მათ ნაცვლადაც უნდა მწამდეს, ვისი ხარბი სურვილები და წყურვილი ვერა და ვერ დამცხრალა, მხოლოდ ტანჯვისა და გაჭირვებისას მომიხმობენ და მეც, თითქოს კეთილმა და ალერსიანმა ხელმა უხილავი ძალა მომცა, რომ ისინი ყველა საზრუნავისა თუ ტკივილისაგან ვიხსნა.

ჰო, მე ვიხსნი ადამიანებს დედამიწაზე. თოთხმეტი წლისა მივხვდი, რომ ეს ჩემი მოწოდება იყო. მას შემდეგ სხვებს აღარ ვგავარ.

ჩაცმულიც კი სხვაგვარადა ვარ. ჩემს ქურთუკზე ვერცხლის ღილები ორ რიგადაა ჩამწკრივებული. სარტყლის ირგვლივ მწვანე, სახელოებზე კი წითელი ლენტები მაკერია. ყელზე თასმით მკიდია სიგარეების კოლოფის სახურავი, რომელზედაც ლამაზი ქალია გამოსახული. თუმცა აღარ მახსოვს, რისთვის დავიკიდე. აი, ასე მაცვია. შუბლზე კი ვარსკვლავი მაქვს მიმაგრებული — თავად გამოვჭერი თუნუქისაგან. ვარსკვლავი მზეზე კიაფობს ხოლმე და ისე ბრწყინავს, ყველას ყურადღებას იქცევს.

ქუჩას რომ მივუყვები, ხალხის მზერა კვალდაკვალ მომყვება. უკვირთ: „შეხედე, მაცხოვარია", — ამბობენ ხოლმე. მცნობენ. იციან, რომ მათი ხსნისათვის მოვედი.

მაგრამ ჩემი არაფერი ესმით. ისე არ სწამთ, როგორც უნდა სწამდეთ. ჩემსავით არ სწამთ. ჩემი ცეცხლი მათში არ ანთია. ამიტომაც უნდა ავუხსნა და რწმენა ვასწავლო, ჯერჯერობით მათ შორის უნდა დავრჩე.

ჩემი აზრით, ეს უცნაურია — მაცხოვარს ხედავდე, მის ხმას ისმენდე, გვერდით იყოს და მაინც არაფერი გესმოდეს. მაგრამ ოდესმე აეხილებათ თვალი და ჭეშმარიტ სახეს დაინახავენ.

ბაზრობის დღე იყო. როგორც ყოველთვის, მოედანზე ვიდექი და ვქადაგებდი. ირგვლივ გლეხები შემოკრებილიყვნენ თავიანთი ფორნებიანად. ჩემს რნმენაზე ველაპარაკებოდი, ღვთის იმ სიტყვებს ვეუბნებოდი, ქვეყნიერებისთვის რომ უნდა მემცნო. თქვენს დასახსნელად მოვედი, სიმშვიდის მოპოვებაში დაგეხმარებით-მეთქი, ვაწყნარებდი. ყურადღებით მისმენდნენ და ჩემმა სიტყვებმა, მგონი, სიმშვიდეც კი მოჰგვარათ. ის კი არ ვიცი, რად იცინოდნენ. მე ხომ არასოდეს ვიცინი. ჩემთვის ხომ ეს ყოველივე ძალზე მნიშვნელოვანია. და როცა შევცქეროდი ამ ხალხს და ვფიქრობდი, ყოველი მათგანის სული დაღუპვას უნდა გადარჩეს-მეთქი, ვგრძნობდი, რა დიადი და მნიშვნელოვანი იყო ჩემი მისია. რა ბედნიერებაა, როცა ლაპარაკობ და ხედავ, რომ გისმენენ. წამით მომეჩვენა ჩემს წინ ზღვა ხალხი დგას-მეთქი, თითქოს ისინიც კი მოსულიყვნენ, უაღრესად მოუცლელებიც (როცა ბაზრობა პატარაა, ხალხიც ხომ ცოტა იკრიბება). მომეჩვენა, რომ მთელ კაცობრიობას ვხედავდი, სიმშვიდეს მოწყურებულ კაცობრიობას და მეც მისთვის ხსნა მომქონდა. ეს ნეტარების წამი იყო და არასოდეს დამავიწყდება.

მგონი, იმ დღეს განსაკუთრებული შთაგონება მეწვია და ხალხმაც გამიგო.

ქადაგება რომ დავასრულე, ერთი კაცი წინ წამოდგა და ყველას სახელით კომბოსტოს თავი მომართვა. მეც წამოვიღე, შინ ძალიან გემრიელი და მაწიერი წვენი მოვხარშე. კარგა ხანია ცხელი საჭმელი არ მიგემია. ღმერთო, დალოცე ის კეთილი კაცი.

* * *

როგორ მეცოდებიან ადამიანები! ყველა უბედურია, ყველა სასოწარკვეთილია და იტანჯება. მეპურე იუპანსონი მას მერე გაუბედურდა, რაც მის გვერდით მეორე საფუნთუშე გაიხსნა და მუშტრები დაკარგა. ახლაც კარგ პურს აცხობს, ნაჭერსაც ხშირად მაძლევს ხოლმე და ვიცი, რომ ყოველთვის კარგი პური აქვს. პოლიციელი ეკსტრემი, ხშირად რომ ველაპარაკები ხოლმე, იმიტომაა უბედური, რომ ცუდი დიასახლისი ცოლი შეხვდა და სულ აღარ უვლის. თვით ქალაქის მოსამართლეც კი უბედურია, რადგან ერთადერთი ვაჟიშვილი დაკარგა.

ბედნიერი მხოლოდ მე ვარ. ჩემში ხომ რწმენის ცეცხლი ანთია და არასოდეს ქრება, სულ ასე იქნება ანთებული, სანამ თავად არ დავიწვები. არც შფოთი მაწუხებს და არც საზრუნავი, სხვა ადამიანებს არ ვგავარ, არც შეიძლება ვგავდე.

განა შეიძლება მე დამთრგუნოს სასოწარკვეთამ? მე ხომ მათ ნაცვლადაც უნდა მწამდეს.

ახლა კმაყოფაზეც ამიყვანეს, რათა თავი მთლიანად ჩემს საქმეს მივუძღვნა და სხვა საზრუნავი არ მქონდეს. აქ თავს კარგად ვგრძნობ. დღეში ორჯერ გვაჭმევენ, მეზობლებიც მშვიდები და სიკეთით სავსენი არიან. ასე კარგად ჩემი, მგონი, ჯერ არავის ესმოდა. მაცხოვარს მეძახიან და პატივსაც მცემენ.

საღამოობით, როცა ვქადაგებ, მონინებით მისმენენ და ყოველი სიტყვა მათ სულში ღრმად იჭრება. როგორ უბრწყინავთ ხოლმე თვალები! მეც და ჩემს სიტყვებსაც უკანასკნელი იმედივით ებღაუჭებიან. ჰო, ნამდვილად ესმით, რომ მათი ხსნისათვის მოვედი.

ვახშმის შემდეგ მათ ირგვლივ შემოვიკრებ ხოლმე და ვესაუბრები იმ რწმენაზე, რომელსაც ყველაფრის გადალახვა შეუძლია, რომელიც ამ ქვეყანას ღვთის ბოძებულ ნეტარების სავანედ გადააქცევს. ზედამხედველი ნებას გვრთავს, ამის უფლება გაქვთო, გვეუბნება. ჩემი საქციელით თავადაც კმაყოფილია. შემდეგ მოსასვენებლად მივდივართ ხოლმე. ოთახში ოთხნი ვცხოვრობთ. ჩემი საწოლის თავზე ვარსკვლავი კიდია, მთელი ღამე ანთია და ძილის დროს სახეს მინათებს. არა, მე სხვებს არ ვგავარ.

* * *

ო, სულო ჩემო, რა საშინელმა სასოწარკვეთილებამ მოგიცვა! ყველანი სასოწარკვეთილებითა და დარდით ავივსეთ! ვარსკვლავი გაქრა, მაცხოვრის ვარსკვლავი, ერთადერთი მანათობელი ჩვენი! დილით გავიღვიძე და ლურსმანი, რომელზედაც ის მქონდა ხოლმე ჩამოკიდებული, ცარიელი აღმოჩნდა. არც არავინ იცის, სად გაქრა. წყვდიადმა მოიცვა ყოველივე! სინათლის სხივს ვეძებ, მაგრამ ვერ მიპოვნია. ყველა განადგურებულია, მთელი ქალაქი სევდით აივსო. ჩვენი სახლის ფანჯრებიდან ვხედავთ, რა ნაცრისფერი და პირქუში გახდა ზეცა, შუქის ნასახიც კი არსად მოჩანს, თითქოს სახლებსა და და ქუჩებს ნაცარი გადაყროდეს. როგორ მოვიქცე? როგორ გამო-

ვიხსნათ თავი ამ უიმედობისგან ასე რომ მოგვიცვა?

ყველა მე შემომცქერის; იმედით შემომცქერიან. მაგრამ მე რაღას წარმოვადგენ, თუკი თავს ვარსკვლავი არ დამკაშკაშებს და გზას ზეციური სხივი არ მინათებს? ახლა მეც აღარაფერი ვარ, სხვებივით ღატაკი გავხდი.

მაშ, ვიღა დაგვიხსნის?

მოულოდნელად ყველაფერი მოგვარდა. ყველაფერი მშვენივრად დამთავრდა. მოხუც ენოქს დაუმალავს, მისი ლეიბის ქვეშ ვიპოვეთ. ახლა ყველა ისევ მშვიდია და ბედნიერი. ჩემი რწმენა კი ამ გამოცდის შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა.

ეს მხოლოდ ხუმრობა იყო. არც ვბრაზობ.

* * *

რა მარტოსული ვარ ხანდახან, რა სიცარიელეა ირგვლივ! მეჩვენება, რომ ადამიანებს ვერა და ვერ გაუგიათ რისთვის მომავლინეს. ვყოყმანობ: მაქვს კი გავლენა მათ სულებზე? შევძლებ კი ვიხსნა ისინი?

რა საამოდ იღიმებიან, როცა ვქადაგებ, დამინახავენ თუ არა, სახე გაუნათდებათ ხოლმე. მაგრამ, ნამდვილად კი სწამთ ჩემი?

რა უცნაურია: თუმცა იციან ვინა ვარ, მაინც ვერ გრძნობენ, ვერც იმ ალს სულში რომ მინთია, ვერც იმ ზეშთაგონებას, სულს რომ მიდაგავს. არადა, თავად რა კარგად ვგრძნობ ამას.

ხანდახან, ქადაგების დროს, უცებ მეჩვენება, რომ სულ მარტო დავრჩი, თუმცა ირგვლივ ხალხი მახვევია, უამრავი ხალხი მახვევია და მისმენს. მე იმ ცეცხლის ალს ვგავარ უფრო და უფრო რომ მაღლდება ზეცისკენ და უფრო და უფრო წმინდა და კაშკაშა ხდება, მაგრამ ვერავის ათბობს.

ო, ეჭვო, როგორ ცდილობ ჩემს გატეხვას! შენი და მხოლოდ შენი ბრალია, რომ ასე უბედურები და დამცირებული ვართ.

* * *

დღეს ჩიტებსა და ყვავილებს ვესტუმრე. როგორ გაუხარდათ ჩემი მისვლა! ტოროლები მღეროდნენ, იები და ბაბუანწვერები ბალ-

ახებიდან იჭყიტებოდნენ. სრულ სიჩუმეში ვქადაგებდი, ყოველივე მისმენდა. ტოროლები ჩემს თავთან შეჯგუფულიყვნენ და ისე მისმენდნენ. ო, რა სულიერი სიმშვიდე იგრძნობდა ბუნების წიაღში! აქ ყველას რა კარგად ესმოდა ჩემი.

ადამიანები რომ ყვავილები და ხეები იყვნენ, ალბათ, ისინიც უკეთ გამიგებდნენ, ალბათ, თავადაც უფრო ბედნიერები იქნებოდნენ!

მაგრამ ისინი მიწას არიან მიჯაჭვულები, თუმცა ამ მიწას არ ეკუთვნიან. ფესვიანად ამოგლეჯილ მცენარეებს ჰგვანან, მზეზე ინვიან, მიწა კი ელოდება, თავად როდის გადაიქცევიან მიწად. ვერარა იხსნის, ვერარა მოუტანს მათ ბედნიერებას, გარდა ღვთის სიტყვისა, რომელსაც მე ვქადაგებ. და მაშინ, სრული ჰარმონია დამყარდება, მიწაც შროშანების სურნელით გაიჟღინთება და ადამიანებიც სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებენ.

საღამოს, შინ რომ ვბრუნდებოდი, ლუდხანასთან ხალხს მოეყარა თავი. მიხმეს და ქადაგება მთხოვეს. მე კი ვუპასუხე, ჩემს ღმერთს ველაპარაკე, ახლა შინ უნდა წავიდე, რათა მის ნათქვამს დავუფიქრდე-მეთქი. იქნებ არც მოვიქეცი სწორად, მაგრამ მათ შორის თავი უცხოდ ვიგრძენი და შინისაკენ დამძიმებული გულით გავეშურე.

* * *

ო, გულო, რა მძიმეა ჩემი ცხოვრება! რა მძიმეა ტვირთი, მე რომ ვეზიდები!

დღეს ღრმად ჩაფიქრებული ქუჩას მივუყვებოდი და უცებ სკოლიდან გამოსულ ბავშვებს შუა მოვექეცი. შემომეხვივნენ. „შეხედეთ, მაცხოვარი მოდისო“, — ყვიროდნენ. იმდენი იყვნენ, ძალაუნებურად გავჩერდი. მაშინ ერთ-ერთმა პატარამ ხელები გაშალა და დაიყვირა: „ჯვარცმული! ჯვარცმული!“ მე მგონი, ვიღაცამ ასწავლა, რადგან დანარჩენებმაც გაშალეს ხელები და ჩემს ირგვლივ ბავშვების ხმები აწკრიალდა: „ჯვარცმული!“ ჯვარცმული!“

თითქოს დანა დაერტყათ ჩემთვის, ვიგრძენი, როგორ გამიჩერდა გული, შუბლი კი ცივი ოფლით დამენამა. როგორც იქნა თავი დავაღწიე მათ ყიჟინასა და ხმაურს. დურგალ ლუნდგრენის ეზოში შევვარდი, ჩამოვჯექი და ავტირდი.

* * *

ბავშვები მიყვარს. ჩემსავით ისინი არავის უყვარს. ქვეყნად მათი სუფთა თვალებივით სხვა ვერაფერი გამახარებს. როგორ მინდა ჩემთან მოდიოდნენ, კალთაში ჩავისვამდი და თავზე ხელს გადავუსვამდი, ისინი კი ლოყით მომეთბილებოდნენ ლოყაზე...

ხშირად მინახავს — მეპურე იუჰანსონის პატარა ბიჭი სწორედ ასე იქცევა, როცა საღამოობით მამასთან ერთად ზღურბლზე ზის ხოლმე. ბიჭუნა მამას სახეზე ხელს უთათუნებს და კისერზე ეხვევა. დიდხანს, დიდხანს სხედან ასე და ამქვეყნად არაფერი აწუხებთ. ო, როგორ მინდა ბავშვის ხელი მეც ასე მეფერებოდეს...

მაგრამ, ვინც დედამიწაზე ადამიანთა ხსნისთვის მოავლინეს, დაეხეტება მარტოსული და უცხო ამ ადამიანთა შორის. არც კერა გააჩნია, არც მიწიერი სიხარული თუ დარდი. მოკვეთილია, რადგან სულში ისეთი ცეცხლი უნთია, მათ განადგურებით რომ ემუქრება. მაშ, ვინ არის ის, სხვებს რომ არა ჰგავს?

ჯვარცმული! ჯვარცმული!

* * *

რწმენა, რწმენაღა შემრჩა! ყველას ნაცვლად მე უნდა ვირწმუნო! ყოველ საღამოს ისე ვარ დაღლილი, თითქოს ათასი სხვისი ცხოვრებით მეცხოვროს. მისავათებული ვიძინებ. თავს მხოლოდ ვარსკვლავი დამნათის, დაღლილობისაგან სიქაგაცლილს დამნათის, რათა გაღვიძებისას უფრო ძლიერად ვირწმუნო!

ეს მოწოდება მაინცდამაინც ჩემი ხვედრი რად გახდა? ხშირად ფანჯარასთან ვზივარ, ქალაქს ზემოდან დავცქერი და მიკვირს, რაღა მე უნდა გადავარჩინო ისინი-მეთქი. მე ხომ ასეთი არარაობა ვარ, ამქვეყნად რამდენსა აქვს ჩემზე მეტი ძალაცა და ძალაუფლებაც. ეს მოწოდება გაუსაძლისი ტვირთია, მე კი მეტისმეტად სუსტი ვარ და მუხლებზე ვეცემი ამ სასოწარმკვეთ წამებში...

მაგრამ, მაგრამ... განა შეიძლება მეუფე წაიქცეს? განა შეიძლება შიშმა დათრგუნოს?

ო, მე ხომ ყველაზე სუსტი ვარ, მათ ნაცვლად რად უნდა მწამდეს?!

დღეს მოედანზე მივაბიჯებდი, მოსამრათლე შემხვდა და თავი დამიქნია.

— გამარჯობა, იუჰან, — მითხრა.

გაჩერდა კიდეც.

მაცხოვარი არ მიწოდა!

მხოლოდ გამარჯობა იუჰანო, მითხრა... მხოლოდ იუჰანო, მეტი არაფერი.

ბავშვობის შემდეგ არავის მოუმართავს ასე. ახლა გამახსენდა, რომ იუჰანს დედა მეძახდა. კალთაში გატრუნულს თავზე ხელს გადამისვამდა ხოლმე... ახლაღა გამახსენდა, ცოტა რომ დავფიქრდი, გამახსენდა...

გამარჯობა, იუჰან...

როგორ გამითბა სული მოსამართლემ ასე რომ მომმართა! გამითბა და გამინათდა კიდეც. თითქოს ყველაფერი ჩაწყნარდა, აღარც განგაში მაწუხებდა, აღარც სევდა.

მხოლოდ იუჰანი, მეტი არაფერი.

ო, ნეტავ, შემეძლოს სხვებს დავემგვანო! ნეტავ, შემეძლოს მონოდების მძიმე ტვირთი მოვიხსნა, რიგითი ადამიანი გავხდე!.. მინიერი საზრუნავი მქონდეს, დღიდან დღემდე სხვებივით უშფოთველად ვიცხოვრო, საღამოობით კი, შინ ყოველდღიური, კარგად გაკეთებული საქმით დაღლილი დავბრუნდე. საქმით ვიყო დაღლილი და არა რწმენით, მხოლოდ და მხოლოდ რწმენით...

ვინ იცის, იქნებ დურგალ ლუნდგრენთან მემუშავა. თუ ეს მძიმე აღმოჩნდებოდა, უბრალოდ — ეზო დამეგავა.

და სხვებს დავემსგავსებოდი. აღარც ცეცხლი დამწვავდა და აღარც სასონარკვეთილება შემიპყრობდა.

მხოლოდ იუჰანი, მეტი არაფერი... ყველას ეცოდინებოდა ვინა ვარ, ყოველდღე საკუთარი საქმით დაკავებულს დამინახავდნენ და იტყოდნენ: ეს იუჰანია, დურგლის ეზოს რომ გვის!

ო, რაღა მე ამირჩიეს მათ დასახსნელად, მე ხომ ყველაზე სუსტი ვარ, მე ხომ მხოლოდ სიჩუმე და სიმშვიდე მსურს და ისეთი მადლიერი ვარ ამქვეყნად ცხოვრების უფლება რომ დამრთეს, ვითარცა შემოსწრებული უცხო, მდიდრული სუფრის წინ ოდნავ ამოწვერილი ყლორტივით მორცხვად რომ ჩაჩოქილა.

ო, უფალო, მამაო ჩემო, თუ შესაძლოა, ამარიდე ეს სასმისი!

* * *

არა. არა. არ შეიძლება ჩემი დაეჭვება, არ შეიძლება მათი მიტოვება!

მაშ, რა მიწეწავს სულს? რა მიბიძგებს მივატოვო, უფსკრულის წყვდიადში გადავუშვა ისინი?

რა საშინელებაა! ნუთუ რწმენა დავკარგე? არა! არა! ისევ მწამს, მწამს! როგორც არასდროს, ისე მწამს! ვიხსნი, ვიხსნი! მე, მხოლოდ მე უნდა ვიხსნა!

წინ მივიწევ, წყვდიადს მივაპობ, შეუჩერებლად მივილტვი. ქუჩებში, გზაზე, შემდეგ შორს ტყეში მივაბიჯებ და უკან ვბრუნდები... ქარი უბერავს, ღრუბლები შეყრილან... სადა ვარ... თავი მიხურს... როგორ დავიღალე...

არა, ისევ მწამს, მწამს! ვიხსნი, ვიხსნი... მათ ნაცვლად მე შემწირავენ მსხვერპლად. მალე... მალე...

ასე რად ვიტანჯები? განა შეიძლება მაცხოვარი ასე ტანჯული და სასონარკვეთილი იყოს?

არა, არა...

მგონი ისევ ტყეში ვარ. ხეების შრიალი მესმის... აქ რას დავეხეტები? იქ რად არა ვარ, იქ, ადამიანებთან, სულ რომ ელიან და ელიან...

მაგრამ, მათ ხომ არაფერი ესმით ჩემი.

ან კი როგორ უნდა ესმოდეთ, მე ხომ მთლად ტანჯვად და სასონარკვეთილებად გადავიქეცი! როგორ ირწმუნონ ჩემი, როცა თავადაც წყვდიადში დავეხეტები, როცა თავადაც სიმშვიდეს ვეძებ?

არა, არ შემიძლია მათი გადარჩენა. არ შემიძლია!

ჰო, მათი მაცხოვარი ტანჯვასა და სასონარკვეთილებას მოუცავს. იმ ფრინველსა ჰგავს მათ ზემოთ, მაღლა, ზეცაში რომ გაჰკივის. ყვირილი ესმით, ოღონდ ვერა და ვერ გაუგიათ რას ყვირის, რადგან ჩიტი მეტისმეტად მაღლაა აჭრილი, და ვერც გაიგებენ, სანამ სისხლისგან დაცლილი მიწას არ დაენარცხება. მხოლოდ ამის შემდეგ შეისმენენ, მხოლოდ ამის შემდეგ ირწმუნებენ.

ჯვარცმული! ჯვარცმული!

ჰო, მსხვერპლად შემწირავენ.

ჩემი სისხლის ხარჯზე, მხოლოდ ჩემი ბედკრული სისხლის ხარჯზე ცხონდებიან!

მალე, მალე მოხდება...

ო, ყვავილებო, ველებო, ხეებო, მთელი ქვეყნიერების ადამიანებო, ღამის სიჩუმეში მშვიდად იძინეთ! ო, დედამინავ, ჩემო თბილო, სიმშვიდით შეიმოსე! მე გიხსნი! მე შენს ზემოთა ვარ და ღამღამობით სულ არ მძინავს. შენი სევდა ჩემი სევდაა. შენ არ ეწამები, არ ეწამები! მე ხომ სიცოცხლეს შენთვის გავწირავ!

რა სიჩუმეა ტყეში... ჩამოცვენილ ფოთლებზე რბილად მივაბიჯებ, ფეხის ხმა არ მესმის. უამრავი ყვავილი და ფოთოლი ლპება შემოდგომისას ხეებქვეშ, ირგვლივ ლპობის სუნი დგას.

ქალაქში ზარები რეკავენ... ერთი... ორი...

როგორ დავიღალე, როგორ დავიღალე... შინ მინდა წასვლა. ნავალ, მივწვები, აღარ შემიძლია. მე ხომ მელოდებიან, აქამდე სად დაიკარგაო, უკვირთ.

აი, მგონი გზაზე გავედი. რა წებოვანი თიხნარია... გუშინ, ეტყობა, წვიმდა. ქარიც რა ძლიერ უბერავს.

არა, ზარები რეკავენ და რეკავენ. ჰაერი ირხევა... რაღაც საშინელება თუ მოხდა... უამრავი ზარი რეკავს. ისე კვნესის, თითქოს განკითხვის დღე დადგა. რა მოხდა? უნდა გავიქცე.

ხანძარია! ხანძარია! ცეცხლის ალს ზეცა სისხლისფრად შეუღებავს. ქალაქი იწვის! ქვეყნიერება იწვის! ყველაფერი იღუპება!

ო, ღმერთო, მე უნდა ვიხსნა, უნდა ვიხსნა! მე მელოდებიან — არ მოდის, რატომ არ მოდისო, ფიქრობენ!

მოვრბივარ! მოვრბივარ! ახლავე გიხსნით. თიხა, ეს წებოვანი თიხა მიშლის, ჰო, მიჭირს, მაგრამ ხომ მაინც ვახერხებ, მაინც მოვრბივარ!

მიწა იწვის, ზეცა იწვის, ყოველივე ცეცხლის ზღვაში გახვეულა! უნდა ვიხსნა, მე უნდა ვიხსნა!

გულო, ასე ნუ ფეთქავ. გულო, ძვირფასო, ასე ნუ ფეთქავ! ასე ხომ სირბილს ვეღარ შევძლებ, მე კი უნდა ვიხსნა! ხომ იცი, რომ უნდა ვიხსნა!

ყოველივე ცეცხლის ზღვას ჩაუნთქავს, გრიგალი გრგვინავს. ალმოდებული ზეცა დედამინას წალეკვით ემუქრება.

ადამიანები მხვდებიან — ყველა იქით გარბის.

— იღუპება ქვეყანა! — ვუყვირი.

— რა ქვეყანა... — მპასუხობენ. — მხოლოდ თავშესაფარია.

ჰო, მხოლოდ თავშესაფარია. ეს უბედურები, ურწმუნობით დაღდასმულნი და დადაღულნი ცეცხლის ალში გახვეულან.

იღუპებიან! მხოლოდ მე ძალმიძს გადავარჩინო.

გულო, ასე ნუ ფეთქავ, მტკივა! მალე მივირბენ, ცოტაღა დამრჩა!

ცეცხლის ენები ხტიან, ქუჩა კვამლს აუვსია, ვარვარებს...

და აი, მიზანს მივუახლოვდი, ზედამხედველიც აქაა, უამრავი ხალხი შეკრებილა.

— მე ვიხსენი! — ვყვირი.

— აღარავინაა დასახსნელი, — მპასუხობენ და ჩემს შეჩერებას ცდილობენ. მათ არაფერი ესმით.

კვამლი მახჩობს, ცეცხლი თვალს მწვავს, მაბრმავებს...

არა, არ წავიქცევი. ვიხსნი... ყველას... ყველას...

სად არიან?

ხელის ცეცებით მივიწევ წინ, თითქოს სიზმარში ვიყო. გაუვალი კვამლია, ცეცხლის ენები ხტიან. ო, რა ძნელია ფეხზე დგომა!

სად არიან?

ბებერი ენუქი ხომ თავად ვეღარ დადის... ანტონი კოჭლია, მოხუც ქრისტინას კი ბავშვივით აღარაფერი ესმის... სამულსონიც... მანფრედიც... ვერსად ვპოულობ — აღარ არიან.

იატაკზე მივხოხავ — ცეცხლი კვალში ჩამიდგა... ირგვლივ ყველაფერი გრიალებს, ბღავის...

სად არიან?

აღარც მაგიდებია, აღარც საწოლები — მხოლოდ სიცარიელეა და სიცივე, თითქოს აქ არავინ ცხოვრობს და არც არასოდეს უცხოვრია. სად არიან? არ ჩანან, აქ მხოლოდ მე ვარ, მხოლოდ მეღა ვარ.

ირგვლივ კი ყოველივე იწვის, იბუგება! უკვე კოჭებიც ჩამოიქცა, ხანძარი გრგვინავს, ცეცხლის ზღვაში აქეთ-იქით ვანყდები. სადა ხართ? სადა ხართ, ო, უბედურო ადამიანებო, ვერ მიპოვნიხართ, აღარა ხართ — მხოლოდ ცეცხლიღაა, ცეცხლის ენები, მხოლოდ მე, მხოლოდ მეღა დავრჩი...

ო, გულო, ნუთუ შენ ინვი? იქნებ მხოლოდ შენ ინვი? ვგრძნობ, როგორ მენვის სხეული, მკერდი, მალე შენ გარდა აღარაფერი დამრჩება!

ო, გულო, შთანთქე ყოველი! გადამაქციე მხოლოდ იმ გულად, ასე რომ ინვის, მხოლოდ იმ ცეცხლად, ასე რომ მდაგავს!

სხვა არაფერი, სხვა არაფერი, შენ და მხოლოდ...

არა, აღარ შემიძლია, მეტი აღარ შემიძლია, ეს დასასრულია — ჰო, ვეცემი, ვეცემი, ეს დასასრულია.

ო, უფალო, მომიტევე — ვერ ვპოვე ადამიანები, რათა დამეხსნა! ვერ ვპოვე... მიუტევე გულს, ასე რომ ინვის... მსხვერპლად შეწირვის სურვილით ანთებული ინვის... სიკვდილის... სიკვდილის სურვილით ანთებული.–

ვიცი, მომიტევებ! მიუტევებ გულს, შენთვის რომ დაიდაგა... შენ რომ შეგენირა. ეს ხომ გიყვარს... ჰო, გიყვარს და ნებასაც დართავ დაინვას... დაინვას... ნებას დართავ მოიპოვოს სიმშვიდე... სიმშ-ვიდე...

ჯვარცმული! ჯვარცმული!

აქ სულ ცოტა ხნით უნდა დავრჩე და სასონარკვეთილება მიპყრობს, რომ ასეთი ანათემური არეულობა მხვდება.

მარადიული წყვდიადიდან მოვდივარ ამ სასტუმროში, გამვლელი ტურისტებისთვის რომ არის განკუთვნილი და ვჩქარობ, ბევრი რამ მინდა მოვასწრო; სიმშვიდე და მყუდროება მჭირდება, რათა ბოლომდე შევიცნო ამ ადგილის მომხიბვლელობა, რათა დავრწმუნდე, რომ მართლაც ისე მშვენიერია, როგორც ხშირად მსმენია. აქ კი ყველაფერი თავდაყირა დაუყენებიათ. ჰოლში ავეჯის ზვინები დგას. მღებავები ჭერსა და კედლებს ღებავენ. დურგლები იატაკს ცვლიან, ახალ პანელებს ამაგრებენ, ხრახნიან, აკაკუნებენ, აბრახუნებენ. პირქუში სუბიექტები ვეებერთელა ვარცლებში ცემენტს ურევენ. შავტუხა და ბნელი პიროვნებები კიბის საფეხურებს ამტვრევენ. უცნაური და საეჭვო ტიპები სახელურებს აპრიალებენ, ჩარჩოებს აშალაშინებენ, განათების არმატურას ადგილს უცვლიან. საღებავს, ბურბუშელას, გაჯს, ლურსმნებსა და ხარაჩოებს იატაკი დაუფარავს. ყოველივე ოლიფის, საგოზავის, ცემენტისა და ახლად დახერხილი ფიცრის სუნითაა გაჟღენთილი. ისეთი ყაყანი და ხმაური დგას, თავი ჯოჯოხეთში გეგონება.

ყველაფერი უნდა დაინგრეს! თავიდან უნდა აშენდეს! უნდა დაინგრეს და აშენდეს, დაინგრეს და აშენდეს, აშენდეს და ისევ დაინგრეს!

ეს უხეში ხალხი დამკივის, მუჯლუგუნებით მიმასპინძლდება, მაგინებს. მე დაბრკოლება გავხდი, როგორც კი სასტუმროს ზღურბლს გადავაბიჯე. ლამის წავიქცე, მათ ჭუჭყიან ნაფურთხებზე ფეხი მისხლტება და თანაც თავზე დაცინვისა და შეურაცხყოფის კორიანტელიც მატყდება.

ბოლოს და ბოლოს მომსახურე პერსონალს ვაწყდები. იგი თავაზიანია. ამ აურზაურმა სტუმრის ნინაშე მოვალეობა ჯერ ვერ დაავიწყა. მზად არის გემსახუროს, მაგრამ არაფერი შეუძლია, სრულიად არაფერი შეუძლია. სტუმრობისთვის ძალიან შეუფერებელი დროა, ყველაფერი თავდაყირა დგას. თავადაც დაბნეული არიან.

ნომერში მიმიყვანეს; შპალერი სანახევროდ ჩამოფხრეწილა, დანგრეული ბუხარი იატაკის თითქმის ნახევარს ფარავს, რკინის

საწოლზე კი ლეიბი არ დევს. მაშინვე გარბიან, უამრავი საქმე აქვთ, რაღაც ხომ მაინც უნდა მოანესრიგონ.

რა საშინელებაა ასე ცოტა დრო რომ დამრჩა. წესრიგს ველარ მოვესწრები, ამ აურზაურში, ამ ახმაურებულ ჯოჯოხეთში უნდა ვიცხოვრო. მე კი ვოცნებობდი, სიჩუმესა და სიმშვიდეში ვიფიქრებ, გონებას მოვიკრებ, გავმთლიანდები, აზრს ჩამოვაყალიბებ და სანამ უკან დავბრუნდები, იქნებ რაღაცისთვის კიდევ ვივარგო-მეთქი. ამ აურზაურში კი რას ვიფიქრებ, ამ საყოველთაო რღვევით რას შევაკონიწებ, ვერც გონებას მოვიკრებ და ვერც გამთლიანებას შევძლებ.

არადა, ძალაუნებურად მეც მითრევს. დილიდან საღამომდე საღებავის ქილებს, ბურბუშელასა და ცემენტს ვაბიჯებ, დახვავებულ, აყირავებულ ავეჯს შორის დავძვრები, ახალი, სურნელოვანი ფიცრების გროვაზე დავბობღავ. ყოველ ცისმარე დღეს ამ უხეშ მუშათა შორის ვატარებ, სულ რომ ახველებენ და ილანძღებიან. ღამღამობით კი სანოლში ვწევარ და რკინის ხარიხები ზურგში ღრმად მესობა. ძილგამფრთხალი, დასნეულებული, ტანჯული და დაბნეული ვწევარ. ჰო, ნლიდან ნლამდე, ნლიდან ნლამდე ვწევარ ასე, რადგან აქ დრო საშინელი სისწრაფით მიქრის! უკან მოხედვას ვერც კი მოასწრებ, თითქმის ნახევარი გაგიქრება.

სასონარკვეთილი ვარ; ნინ და უკან შლეგიანივით დავეხეტები. ამდენი უძილობითა და ტანჯვით, საკუთარ იღბალზე ამდენი უსარგებლო ფიქრით სახეც ფერმკრთალი და უაზრო მაქვს. თავადაც ვგრძნობ, რომ დაბნეულსა და გამოთაყვანებულს ვგავარ; დამავიწყდება თუ არა ეს, ირგვლივ მყოფი მდაბიოები მაშინვე შემახსენებენ. და მაინც, ეს ნაკლებად მაწუხებს; ჩემი სასოწარკვეთილებით, ჩემი მწარე იმედგაცრუებით უფრო ვარ მოცული. აღარაფრის მრცხვენია; ამ უხეშ ადამიანთა შორის შიშითა და ტკივილით გათანგული, ცრემლით თვალავსებული დავეხეტები; ნლიდან ნლამდე, ნლიდან ნლამდე ეს აურზაური, ეს ხმაური, ეს საშინელი არეულობა სულ უფრო და უფრო მძიმედ მთრგუნავს. ფიქრსა და გაურკვევლობაში სულ უფრო და უფრო ღრმად ვეფლობი; მინდა ჩავწვდე, ყოველივე ამაში რა აზრი დევს.

ბოლოს და ბოლოს მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. გაურკვევლობა საშინელი ტკივილით მავსებს. ერთი აზრი შემიჩნდა და მაწამებს, წამითაც აღარ მასვენებს, რადგან ეს ჩემი ერთადერთი

აზრია. უნდა გავერკვე, უნდა ვიკითხო მაინც, იქნებ რამე გავიგო. ეს თუ გავიგე, არსებითად ყველაფერი მშვენივრად მოგვარდება და ალბათ, დავფიქრდები კიდეც ისეთი რა ჩავიდინო, სხვა ადამიანებს რომ დავემსგავსო-მეთქი.

გვერდით ვიღაც მსახური ჩამიქროლებს. ვეხმიანები:

— უკაცრავად... ხომ ვერ მეტყოდით...

— რას? — ყვირის თავაზიანად. უკვე შორიდან ყვირის.

და ვხვდები, რომ უბრალოდ სასაცილო ვარ. ღმერთო ჩემო, ასე რომ კაცი ჩქარობს ეს როგორ უნდა ჰკითხო. ასე ხომ მხოლოდ მეგობარს შეიძლება მიმართო და ისიც მას შემდეგ, რაც არაერთ საათს გაატარებთ ერთად და ამქვეყნად ყველაფერზე ისაუბრებთ. შეჩქვიფებული ვრჩები. შარვლიდან მტვერს ვიფერთხავ და ჩემს ელეგანტურ შიბლეტებს ყურადღებით ვათვალიერებ.

— არა, არაფერი, — ვეუბნები, საათს ვიღებ და ისრები ნახვარი დღით უკან ნერვიულად გადამყავს. მსახური მაშინვე თვალს ეფარება.

ნელინადი ისევ ნელინადს მისდევს. გავჭაღარავდი, საფეთქლებთან თეთრი შემეპარა, გადავიღალე, გადავიღალე. ირგვლივ კი ისევ აკაკუნებენ და გრიალებენ, ანგრევენ და აშენებენ. ისევ ხმაური და ყაყანია; ისევ ფიცრების გროვას, აგურებსა და თიხით მოთხვრილ ხარაჩოებს აწყდები, უხეში ბიჭების გინება გესმის და ნაფურთხებზე ფეხი გისხლტება.

ჯვარს ვეზიდები. ვცდილობ, თავად ავწიო, მაგრამ სულ უფრო და უფრო მეტად მიჭირს, ველარ ვუძლებ. მისმა სიმძიმემ წელში გამწყვიტა, არაქათი გამომაცალა.

ვიღაცას უნდა დავეყრდნო, ვინმეს შველა უნდა ვთხოვო. უნდა ვიკითხო, უნდა გავერკვე, უნდა ვცადო მაინც გავიგო. ეს სრული გაურკვევლობა, ეს უნაყოფო ფიქრები, აზრის, აზრის შეცნობის ეს სრული ამაოება დამღუპავს.

და აი, ერთხელაც, კვლავ მსახურს ვეხმიანები. გამბედაობა უნდა მოვიკრიბო, გაქცევის საშუალება აღარ უნდა მივცე, უნდა გამოვკითხო.

— უკაცრავად... ხომ ვერ...

— რით გემსახუროთ? — ძალიან თავაზიანად მეკითხება.

ისევ შევჩქვიფდი. ამ კორექტულმა სიტყვებმა მამცნო, მეტისმეტად ამაღლებული ტონით აპირებ საუბარს, უხამსობამდე მისუ-

ლი, აღელვებული სულიერი მდგომარეობა დაგეუფლაო. აღტაცებული ვრჩები მისი ბანალური, იოლად და ლაღად ნარმოთქმული სიტყვებით და ვცდილობ, მის ტონს ავყვე, თავადაც გადმოვიღო. თვალთმაქცური არხეინობით ვიქნევ ხელჯოხს და რაც შეიძლება უზრუნველად ვაცხადებ:

— იცით რა, აი, ვიდექი და ვფიქრობდი...

ვთქვი თუ არა, მაშინვე ვიგრძენი, რომ ჩემი შიშები ისევ გამოძვრნენ გარეთ და აღელვებისაგან ხმა ისე ამიკანკალდა, როგორც ადამიანს, დიდი უბედურებისას შველას რომ ითხოვს.

— მითხარით... მითხარით... რისთვის ვარსებობთ?

ის არ დამცინის, ჩემი საქციელი სასაცილოდ სულაც არ ეჩვენება, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად არაფერს იმჩნევს. კარგა ხნით შეჩერდება, სერიოზულად დაფიქრდება და იტყვის:

— თუ შეიძლება დირექციას მიმართეთ. აი, ამ კიბეს აუყევით და მარცხნივ გაუხვიეთ, თუ შეიძლება!

შემდეგ სწრაფად მიიტანს ხელს ქუდთან და გაქრება.

დაობლებული ვრჩები. მარტოსული და დათრგუნული ვარ. რა თქმა უნდა, სწორია! დირექციისთვის უნდა მიმემართა, ეს ხომ დღესავით ნათელია. ამ საცოდავ, რიგით მსახურს ეს როგორ ეცოდინება. რა სიბრიყვეა ამ შეკითხვით იმ ადამიანს მიმართო უნიფორმის ქუდი რომ ახურავს, იმ დათრგუნულ და ქანცმილეულ საცოდაობას, ფიქრის დროც რომ აღარ დარჩენია.

ნეტავ, დირექციაში შესვლა გამაბედინა! ნეტავ, გამაბედინა! მაგრამ, მივუახლოვდები თუ არა, დამფრთხალი შევცქერი მომცრო კარს, სპილენძის ფირფიტა და გაუმჭვირვალე შუშა რომ ამშვენებს და გვერდს ნერვიულად ვუქცევ. მე ხომ ვალი არ გამისტუმრებია. ფულის ჩამოსვლას ველოდები, ის კი არ ჩანს. არავითარი ქონება არ მაბადია, მე კი საიდანღაც სულ ფულს ველოდები, თავადაც არ ვიცი, საიდან. ის კი არა და არ ჩანს და ჩემი ვალიც სულ უფრო და უფრო იზრდება.

შესვლას ვერ ვბედავ. არა, ვერაფრით ვერ გავბედავ შესვლას. ღმერთო ჩემო, მე ხომ აქ ყოფნის უფლებაც არა მაქვს, აქ, ამ ჯოჯოხეთში ყოფნის უფლებაც კი არა მაქვს!

ჩუმად შევიპარები ჩემს ოთახში, ძლივს გადავაბობღდები ბუხრის ნამსხვრევებს და ვეცემი საწოლზე, რომლის ხარიხები ზურგში მე-

სობა. და ვფიქრობ, ისევ ვფიქრობ, სანამ არ ჩამეძინება, სანამ ქანცგაწყვეტილს ძილი არ მომერევა.

და ასე ვნევარ სნეული, მარტოსული. ნლიდან ნლამდე ვნევარ. უკვე ადგომაც აღარ შემიძლია. დრო კი გადარეული სისწრაფით მიქრის! ირგვლივ ისევ ხმაური და ქოთქოთია, ისევ რაღაცას ანგრევენ, რაღაცას აშენებენ. მე კი სულ ვფიქრობ, რისთვის, ნეტავ, რისთვის-მეთქი, ვფიქრობ. მე ხომ აქ მყარი გადაწყვეტილებით მოვედი, მინდოდა გამეგო, რა აზრი დევს ამ ყოველივეში ან თავად რა საჭირო ვარ. ისევ ვფიქრობ და ვფიქრობ. ირგვლივაც ისევ აკაკუნებენ, აბრახუნებენ, ანგრევენ და აშენებენ. მე აზრს ვეძებ! აზრს ვეძებ! ღმერთო ჩემო, ოდესმე თუ გავიგე რა აზრი დევს ამ ყოველივეში ან თავად რა საჭირო ვარ, ალბათ, ძალებსაც მოვიკრებ.

აზრს ვეძებ!

ნლიდან ნლამდე, ნლიდან ნლამდე გრძელდება ასე. ვბერდები! უკვე ბერიკაცს ჭაღარა, აბურძგნული თმა მაქვს, ხელები დამინაოჭდა, ყბაც მიკანკალებს. ირგვლივ კი ისევ აჭედებენ და ამაგრებენ, კივიან და წივიან. დასწყევლოს ღმერთმა! ნუთუ არ ესმით, რომ ადამიანს, ნათლად და ღრმად რომ იაზროვნოს და ნამდვილად მოიფიქროს რამე, ცოტა სიჩუმე და სიმშვიდე სჭირდება. ნუთუ არ ესმით, რომ, თუ გსურს სურათი მთლიანობაში დაინახო, ასეთი ანათემური უწესრიგობა არ უნდა გაამეფო! დალახვროს ეშმაკმა მათი თავი და ტანი!

ვბერდები! ვბერდები! მოვკვდები, გესმით, მე ხომ მოვკვდები!

და უცებ უკიდეგანო და გამძვინვარებული სასოწარკვეთილება მეუფლება, საწოლში ციებცხელებიანივით ვტრიალებ, რკინის ხარიხები სხეულში ღრმად მესობა და სისხლი იატაკს ეწვეთება. ვკვნესი და ვტირი, ტკივილისაგან ხმამაღლა ვქვითინებ.

აზრი! აზრი!

არა, თავად ვერ მოვძებნი! ვერ მოვძებნი-მეთქი.

ხომ არ დავრეკო? ხალხს ხომ არ მოვუხმო? იქნებ რომელიმე მსახურს ვთხოვო კანტორაში ჩადი და იკითხე-მეთქი? ესე იგი, ვთხოვო, წერილობით მაცნობეთ პასუხი-თქო?

არა! არა! ვიცი, ამის ნაცვლად ანგარიშს გამომიგზავნიან. მე კი გადახდა არ შემიძლია. მე წერილს ველოდები, წერილს, რომელშიც ბევრი, ბევრი ფული იდება; წერილს ველოდები, ის კი არა და არ

ჩამოდის. მე კი მაინც ველოდები, განსაზღვრულ ადგილას ველოდები; ვიცი, რომ ჩამოვა, წუთი წუთზე ჩამომისწრებს, ის კი არა და არ ჩანს! არ ჩანს, არა! ამ ცხოვრებაში, ალბათ, ვეღარც მომისწრებს! მე ხომ აქ ყოფნის უფლება არა მაქვს, ამ საწოლში წოლის უფლებაც კი არა მაქვს, ზურგში რომ მესობა.

ყველა შრომობს, დაუღლელად შრომობენ. მე კი... მე წერილს ველოდები. ყველა აკაკუნებს, აჭედებს, აწებებს, ლესავს, აპრიალებს. მე კი... მე ვფიქრობ, აზრს ვეძებ, ყოველივე ამის აზრს ვეძებ.

ხომ არ დავრეკო? იქნებ წერილობით მაცნობონ პასუხი? არა, არა! ასე უცებ შეუძლებელია რაიმე გაიგო! ქაღალდზე აბსოლუტურად არაფრის დაწერა არ შეიძლება.

ღმერთო დიდებულო!

უკვე სიკვდილის მოახლოვებასაც ვგრძნობ! ჰო! ჰო! მალე მოვკვდები!

ო, ღმერთო, ღმერთო!

და უცებ წამოვდგები, ოთახს რეტდასხმულივით გავივლი, ხელს ჩემს ტანსაცმელს დავტაცებ, ამ აშმორებულ ძონძებს, კუთხეში რომ ყრია. სიცივით აკანკალებული ჩავიცვამ, გარეთ გამოვდივარ და კიბეზე ბანცალით ვეშვები.

საყელო არა მაქვს. კისერზე ძალაუნებურად ხელს ვიფარებ. დამცინიან, მასხრად მიგდებენ, ჩემს კვალს აფურთხებენ. მე კი ყოველივეს ძლივსღა აღვიქვამ.

ბოლოს და ბოლოს, დირექციის კარის წინ ვჩერდები. ბუნდოვნად ვხედავ სპილენძის ფირფიტასა და ზედა გაუმჭვირვალე შუშას, რომელშიც დიდი ჩრდილი მოძრაობს. კანკალი ამიტანს.

რამდენჯერმე ღრმად ამოვისუნთქავ. ვცდილობ, ცოტათი მაინც გავმხნევდე. ჩემს ჭუჭყიან სამოსში უფრო მეტად ვიფუთნები; შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, კარს ვაღებ და შევდივარ.

კაკლის ხის გაპრიალებულ დახლს მიღმა ვინმე ბატონი დგას, მშვენივრად შეკერილი სერთუკი და ზოლიანი შარვალი აცვია, საჩვენებელ თითზე ლურჯი ბეჭედი უბრწყინავს, მისი პენსნეს ზედა ხაზი კი ლარივით სწორია. ეს ბატონი, ჭეშმარიტად უზენაეს საატანას რომ წააგავს, თვალს სწრაფად შემავლებს.

ხელი ყელზე მაქვს აფარებული, თითებით აჩეჩილ თმას ვისწორებ, დამშვიდებას ვცდილობ, ძალიან ვცდილობ, ძალიან, ძალიან მშვიდი მინდა ვიყო.

დახლს ვუახლოვდები, ორივე ხელით ვეყრდნობი და ოდნავ წინ ვიხრები.

— უკაცრავად, — ვეუბნები, — უკაცრავად, თუ შეიძლება, ხომ ვერ მეტყოდით... რისთვის ვიცხოვრე?

ენა მებმის, კბილები მიკანკანებს, მთელი სხეული მიცახცახებს.

ის თავადაც დახლს უახლოვდება, ორივე ხელით ეყრდნობა; სწორედ ჩემსავით ეყრდნობა და მაინც მეჩვენება, რომ ამას სხვაგვარად აკეთებს. ჩემკენ იხრება. ლურჯ ჰალსტუხზე ქინძისთავი დაუმაგრებია, პირიდან კი სასიამოვნო სურნელი ამოსდის. კითხვას მიბრუნებს:

— თქვენ, ბატონო ჩემო? პირადად თქვენ?

თავის დაქნევით ვეთანხმები.

მაშინ დიდ წიგნს გადაშლის და შიგ ჩაიხედავს. მიპოვნის! საჩვენებელ თითს ზემოდან ქვემოთ ჩამოუსვამს, ფურცლებს გადაშლის. სუფთა ფურცლებია. მარჯვენა მხარეს მხოლოდ სამი წითელი მწკრივი მოჩანს.

სული მიმძიმდება, თავზარი მეცემა.

შემდეგ მკვეთრად დახურავს წიგნს და გამჭოლი მზერით მიყურებს.

— ეშმაკმა უწყის! მხოლოდ ეშმაკმა უწყის!

მეტს არაფერს ამბობს. არაფერში მადანაშაულებს. უკვე აღარც მიყურებს და თავის საქმესაც მშვიდად უბრუნდება.

ეს შემთხვევა აშკარად აღარ აინტერესებს.

განადგურებული მთლად ვიკუნტები, რაღაცას ვბურტყუნებ, მას კი არც ესმის. თმაზე, ბავშვივით ნამიან თმაზე, ხელს გადავისვამ და კარისკენ ბარბაცით გავწევ.

კიბეზე ვეშვები, უშველებელ ჰოლს გავივლი, ფიცრების გორებს, ხარიხებსა და წვერიან მუშებს შორის მივძვრები, მაგრამ ზურგს უკან აღარც მლანძღავენ, აღარც მაგინებენ, აღარც პანღურს მკრავენ და აღარც მიყვირიან! აღარავის ვაინტერესებ!

გარდავიცვალე!

უშველებელ, ყურთამდე გაღებულ კარს უჩინარივით გავივლი.

და უგზო-უკვლოდ მივემართები იმ უკიდეგანო წყვდიადისაკენ, საიდანაც მოვედი.

ბიჭუნების სამხედრო ლაშქრობა

იმ შორეულ ნარსულში სამხედრო საქმეს ბავშვებიც სწავლობდნენ. ბიჭუნებს ჯარში ინვევდნენ, შემდეგ კი აგზავნიდნენ საგანგებო ნაწილებში, რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე იყო მოფენილი და სადაც, საველე პირობებში, ძალიან სერიოზულ სამხედრო მომზადებას ილებდნენ. ყოველ წელს, სამხედრო მოქმედებათა ზუსტი ასლის შესაქმნელად, მანევრებსაც აწყობდნენ. მოზრდილებს ამ სამხედრო სწავლებასთან პირდაპირი კავშირი არ ჰქონიათ. სამხედრო ხელოვნების საფუძვლებს ბავშვები თავად ეუფლებოდნენ და სამხედრო ნაწილებსაც თავადვე მართავდნენ. უფროსები იმითლა დაეხმარნენ, რომ ბავშვთა არმიის ხელმძღვანელების მოსამზადებლად სპეციალური სკოლები შექმნეს, სადაც საუკეთესო ბიჭუნებს არჩევდნენ, ანუ იმათ, ვინც შემდგომში რიგითი ამხანაგების სამხედრო აღზრდას უხელმძღვანელებდა. ეს სკოლები განსაკუთრებით პოპულარული იყო. მთელ ქვეყანაში ერთ ბიჭუნასაც ვერ იპოვნიდით იქ მოხვედრა ოცნებად არ გადაქცეოდა. მაგრამ მისაღები გამოცდები ძალიან მკაცრი გახლდათ. განსაკუთრებულ ფიზიკურ და გონებრივ მონაცემებსა და ძლიერი ხასიათის ნიშნებს მოითხოვდა. სკოლაში ექვსი-შვიდი წლის ბიჭუნებს ილებდნენ. შემდეგ პატარა კურსანტებს გაწვრთნიდნენ ხოლმე და განა, მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით, არა! მთავარ ყურადღებას მომავალი მეთაურის ხასიათის ჩამოყალიბებასა და სრულქმნას უფრო უთმობდნენ და სწორედ ამის გამო იყო, რომ სკოლის კურსდამთავრებული მთელი ცხოვრება უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა. ამგვარად, ეს სამხედრო სკოლები ბავშვთა არმიას შესანიშნავ საფუძველს უყრიდა და მისი წარმატების საწინდრადაც გვევლინებოდა. ეს იყო და ეს. დანარჩენი ბიჭუნების საქმე გახლდათ. არც ერთ მოზრდილს უფლება აღარ ჰქონდა სარდლობისთვის რაიმე ეკარნახა, საორგანიზაციო წვრილმანებში ჩარეულიყო ან საპასუხისმგებლო პოსტებზე დანიშნულთა კანდიდატურები განეხილა. ბიჭუნები ყველაფერს თავად მართავდნენ. ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვე-

ტილებებსაც კი მხოლოდ ბავშვთა გენერალური შტაბი ამტკიცებდა. არმიაში თოთხმეტ წელს გადაცილებულ არც ერთ მეომარს არ აჩერებდნენ. როგორც კი ამ ასაკს მიაღწევდა იგი, ავტომატურად გადადიოდა ქვეყნის რეგულარულ ჯარში და რადგან ამ დროისათვის გარკვეული სამხედრო გამოცდილება უკვე ჰქონდა, პირველი ვადის სამსახურს შეუდგებოდა. ერი ამაყობდა ვეებერთელა ბავშვთა არმიით და უყვარდა კიდეც. იგი სამ საჯარისო კორპუსს (თითოეულში ოთხი ფეხოსანი დივიზიით), მსუბუქ არტილერიას, სამედიცინო და საინტენდანტო სამსახურებს აერთიანებდა.

ყველა ფიზიკურად ჯანმრთელ ბიჭუნას ბავშვთა არმიაში ინვევდნენ და ბევრი გოგონაც კი, რა თქმა უნდა, ნებაყოფლობით, იქ მედდად მსახურობდა.

და აი, ერთხელ, რომლიღაცა პატარა ქვეყანამ, გაუგებარი კია რატომ, მაგრამ ძლიერი მეზობლის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა. არადა, ერთი გასაცოდავებული ქვეყანა ტლიკინებდა და ყველაზე შეურაცხმყოფელი სწორედ ეს აღმოჩნდა. საყოველთაო აღშფოთებამ და აგრესიამ მოსახლეობაში ისე იმძლავრა, რომ აუცილებელი გახდა ჭირვეული ქვეყანა მოერჯულებინათ და, რა თქმა უნდა, მის ტერიტორიასაც დაუფლებოდნენ. ბავშვთა არმიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ შექმნილი სიტუაცია კარგად გამოიყენა და მაშინვე მოითხოვა, ეს ოპერაცია ჩვენ, ნორჩ ჯარისკაცებს დაგვავალეთ და ნახეთ, მოწინააღმდეგეს ჭკუას როგორ ვასწავლითო. ეს ამბავი მაშინვე მთელ დიად სახელმწიფოს მოეფინა და ისეთი არნახული აღფრთოვანება გამოინვია, რომ უმაღლესმა ფენებმა, მცირე ყოყმანისა და მსჯელობის შემდეგ გადაწყვიტეს, კი, ბატონო, მივანდოთ ბიჭუნებს ეს სამხედრო ოპერაცია, ასეთ დავალებას ხომ ბავშვთა არმიაც იოლად მოერევა, მოსახლეობის აზრს კი ანგარიში ნამდვილად უნდა გავუწიოთო.

ამგვარად, საგარეო საქმეთა სამინისტრომ გათამამებულ ქვეყანას აშკარად მიუღებელი ულტიმატუმი წაუყენა. პარალელურად კი ბავშვთა არმიის მობილიზაცია გამოაცხადა, რაც ოცდაოთხ საათში შესრულდა კიდეც. როგორც მოსალოდნელი იყო, ქვეყანამ ულტიმატუმი უარყო, რასაც მაშინვე ომის გამოცხადება მოჰყვა.

ჯარის ნაწილები ფრონტზე დიდი ზარ-ზეიმით გააცილეს. პატარა, მამაცი მეომრები ყვავილებში ჩაფლეს, მათი შაშხანები კი მწვანე რტოებით მორთეს. სამხედრო მოქმედებები ჩვეულებისამებრ

გაზაფხულზე დაიწყო, მაგრამ ამჯერად საზოგადოებამ ეს ფაქტი რაღაც სიმბოლურად აღიქვა. დედაქალაქში, ბავშვთა არმიის მთავარსარდალმა, მრავალათასიანი ბრბოს თანდასწრებით, მეომრებს მგზნებარე სიტყვებით მიმართა და განაცხადა, ჩვენი მეომრების დიდი სიმამაცისა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის მათი უანგარო თავგანწირვისა მჯერაო. პათოსით აღსავსე ამ სიტყვებს მქუხარე ოვაციებით შეხვდნენ, ხოლო ბიჭუნა, ვინც თორმეტიოდე წლის ასაკში ასეთ ბრწყინვალე კარიერას მიაღწია, ეროვნულ გმირად გამოაცხადეს. ყველგან ჭეშმარიტად უსაზღვრო აღტაცება გამეფდა. გამცილებლებს თვალები ცრემლით აევსოთ, დედებს კი სიამაყითა და ბედნიერებით გაუბრწყინდათ, მათ ცხოვრებაში ხომ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი დღე იყო. საჯარისო ნაწილებმა სააღლუმო მარშით ჩაიარეს და დროშები ააფრიალეს. ყოველ პოლკს წინ მუსიკოსთა კოლონა მიუძღოდა. ოჰ, რა დაუვიწყარი სანახაობა იყო! ბრბოში აქა-იქ მგრძნობიარე სცენებიც კი გათამაშდა, რაც სამშობლოსადმი ნმიდათანმიდა სიყვარულის დასტური გახლდათ:ასე მაგალითად, ერთმა დედამ ოთხი წლის ბიჭუნა ხელში აიტაცა, რათა ყოველივე უკეთ დაენახა. ბიჭუნა აბღავლდა და მეც იქ მინდა, მეც იქ მინდაო, დაიჩემა. დედამ მისი დამშვიდება სცადა და ჯერ პატარა ხარო, დაუყვავა. ბიჭუნამ კი, ახლა ნახე რა პატარაც ვარო, შეიცხადა და დედას სახეში მუშტი ისე გამეტებით ჩასცხო, რომ ცხვირიდან სისხლი ადინა. საღამოს გაზეთები ამგვარი ეპიზოდებით გადაჭრელდა და აშკარად წარმოაჩინა განწყობა საზოგადოებისა, რომელიც გამარჯვების რწმენით ანთებულ მეომრებს მიაცილებდა. არმიის დიდი აღლუმი რადიომ გადასცა, მთავარსარდლის სიტყვა კი ფირზე ჩაწერა და ყოველ საღამოს 19.15 საათზე იმეორებდა.

ამასობაში სამხედრო ოპერაციებიც დაიწყო და ფრონტიდან კარგი ამბები ნიაღვარივით მოაწყდა. ბიჭუნები მაშინვე შეტევაზე გადავიდნენ და ფრონტის ზოგიერთ უბანზე მტერს დიდი ზარალი მიაყენეს. შვიდასი კაცი დახოცეს და დაჭრეს, ათას ორასზე მეტი ტყვედ ჩაიგდეს, მაშინ, როცა მათი პირადი დანაკარგი სულ რამდენიმე ასეულს ითვლიდა. პირველი გამარჯვება დიდი ხმაურით, მგზნებარედ აღინიშნა, ეკლესიებში სამადლობელი ლოცვები აღევლინა, გაზეთები გადაივსო ჯარისკაცთა საგმირო საქმეებით და იმ ნიჭიერ სარდალთა პორტრეტებით, ვინც ბრძოლაში თავი გამოიჩინა და საყოველთაო აღიარება მოიპოვა. სიხარულით გონდაკარგულმა

დედებმა და დეიდებმა ჯარს შოკოლადებისა და სხვა ტკბილეულის ისეთი რაოდენობა გაუგზავნეს, რომ უმაღლეს მთავარსარდლობამ ასეთი ამანათები დროებით, მაგრამ მკაცრად აკრძალა. ბრძანებაში აღინიშნა, ამ ტკბილეულობამ ბრძოლისუნარიანობა მთელ პოლკს ისე დააკარგვინა, შეიძლება თავი მოწინააღმდეგის ალყაში ამოაყოფინოსო.

ამგვარად, ბავშვთა არმიამ ინიციატივა შეინარჩუნა და მოწინააღმდეგე ქვეყნის სიღრმეში გადაინაცვლა. თუმცა ფრონტის ერთ უბანზე მცირედით უკან დახევა დასჭირდა, მაგრამ ასე მხოლოდ ფლანგებთან კავშირის დასამყარებლად, ანუ საკუთარი პოზიციების გასამაგრებლად მოიქცა. ამ ოპერაციის შემდეგ წინსვლა შეჩერდა და ფრონტზე კარგა ხანს აღარაფერი შეცვლილა.

ივლისის დასაწყისში გენერალური შეტევა დაიგეგმა და ბავშვთა არმიის ისეთი ვეებერთელა რეზერვები ამოქმედდა, მოწინააღმდეგეს ერთიათად რომ სჭარბობდა. კამპანია რამდენიმე კვირას გაგრძელდა და მნიშვნელოვანი დანაკარგების მიუხედავად, თითქმის სრული წარმატებით დასრულდა. ფრონტის თითქმის მთელი ხაზი მტრისგან გათავისუფლდა. გამარჯვების გასამყარებლად ახლა მტერს ფეხდაფეხ უნდა მიჰყოლოდნენ და საბოლოოდ გაენადგურებინათ. ეს კი ბავშვთა არმიამ ვერა და ვერ შეძლო, რადგან მოწინააღმდეგეს უფრო გრძელი ფეხები აღმოაჩნდა. მტერმა ეს უპირატესობა მშვენივრად შეაფასა და შესანიშნავად გამოიყენა. მიუხედავად ამისა, ბიჭუნათა ნანილმა მოწინააღმდეგე მგზნებარე მარშით შეავიწროვა და ბოლოს და ბოლოს მთელი მისი მარჯვენა ფლანგი გაანადგურა. დასასრულ, ბავშვთა არმიამ მტრული ქვეყნის თითქმის შუაგულს მიაღწია და დედაქალაქიდან რამდენიმე დღის სავალ მანძილზე შეჩერდა.

გაზეთები ახმაურდნენ, გრანდიოზული ოპერაცია დასრულდაო. რადიო ყოველდღე, დანიშნულ დროს, ეთერში ზარბაზნების ქუხილს და ფრონტის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას გადასცემდა. სამხედრო კორესპონდენტები საბრძოლო ეპიზოდებს აღტაცებული, მაღალფარდოვანი ფრაზებით აღნერდნენ და ბიჭუნათა ლეგენდარულ გმირობას, მათ ქედუხრელ სიმამაცეს თუ თავგანწირვას, მთელი არმიის მაღალ საბრძოლო სულისკვეთებას ხოტბა ასხამდნენ. კორესპონდენტები დიდად არ აზვიადებდნენ, ჭეშმარიტი სიმამაცით აღსავსე ბავშვები მართლაც გმირებივით იქცეოდნენ.

ნეტავ, შეტევის დროს დაგენახათ! რა თავგანწირვით იბრძოდნენ, სიკვდილის სულ არ ეშინოდათ, უფროსებს ნამდვილად არაფრით ჩამოუვარდებოდნენ. ვის დაავიწყდება ეპიზოდი, როცა ბიჭუნები მტერს ტყვიების წვიმის ქვეშ ეკვეთნენ, მათი თანატოლი სანიტრები კი დაჭრილი ჯარისკაცების გასაყვანად ბრძოლის ველს შეესივნენ. ან სხვაგვარი სურათი წარმოიდგინეთ: ფრონტის წინა ხაზზე დაჭრილებისა და დახოცილების გროვაა. ერთს ფეხი მოგლეჯია, მეორეს მუცელი მოჰფატვრია და ნაწლავები გარეთ გადმოსცვენია, მაგრამ ბავშვების ერთი კვნესაც კი არ ისმის. რას იზამ, ხელჩართული ბრძოლა ძალიან სასტიკი აღმოჩნდა, ბევრი ბავშვი დაიღუპა, მაგრამ, როგორც კი სროლა დაიწყო, უპირატესობა მათ მხარეს გადავიდა. საიდუმლო მონაცემების მიხედვით, მტერმა ოთხასი მეომარი დაკარგა, ბავშვებმა კი მხოლოდ შვიდასი და დიდი დანაკარგის მიუხედავად, ბრძოლა სრული გამარჯვებით დაასრულეს.

ამ ბრძოლას განსაკუთრებით დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა, რადგან სხვებზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა ეჭვს აღარ ინვევდა, რომ ბავშვები ტექნიკითაც, დისციპლინითაც და სიმამაცითაც მოწინააღმდეგეს უდავოდ აღემატებოდნენ..

კომპეტენტური ნრეები მაინც აღიარებდნენ: მტერმა უკან სწრაფად და მოხერხებულად დაიხია, თავდაცვაში ძლიერია და მის შესაძლებლობებს ნუ დავაკნინებათო. ყურადღება მიაქციეთ, ბრძოლის საბოლოო ეტაპზე მტრის ჯარმა მოულოდნელი და ძლიერი წინააღმდეგობა გასწია და ბავშვების წინსვლა შეაჩერაო. ეს რეალისტური ხედვა უსაფუძვლო ნამდვილად არ იყო. მოწინააღმდეგეს, არსებითად მეომარ ქვეყნად ვერც კი ჩათვლიდი და აგრესორთან ბრძოლა უდავოდ უჭირდა, მაგრამ ბრძოლის პერიოდში თანდათან გამოინრთო და ბოლოს და ბოლოს ბავშვთა არმიას მნიშვნელოვანი საზრუნავი გაუჩინა. ამას გარდა, სხვა უპირატესობაც ჰქონდა. თუნდაც ის, რომ ტანმორჩილი მოწინააღმდეგეები ჰყავდა. ამის წყალობით, მცირეოდენი ვარჯიშის შემდეგ, რამდენიმე მებრძოლს ხიშტზე ერთად აგებდა ან რომელიმე გულადს ერთი წიხლისკვრით იშორებდა. სამაგიეროდ, ბავშვები ბევრად სჭარბობდნენ, თავს ნივილ-კივილით ესხმოდნენ, ხელიდან მოხერხებულად უსხლტებოდნენ და ასე ებრძოდნენ. ამ გაველურებული მხეცების თავდასხმამ, მართლა ქაჯებივით რომ იბრძოდნენ, საბრძოლო სულისკვეთებას მოკლებული მოწინააღმდეგე ძალიან დააბნია. ქაჯები სწორედ მტერმა

დაარქვა. შემდეგ ეს სახელი სამშობლოშიც აიტაცეს, ოღონდ იქ საპატიო და მოსაფერებელ სახელად აჟღერდა. თავდაპირველად, მონინააღმდეგე თავს ძლივს იცავდა, მოგვიანებით, ბავშვთა შეტევების მოგერიება მაინც შეძლო და დროდადრო კონტრშეტევაზეც კი გადავიდა. ამის შემდეგ სამხედრო მოქმედებები საერთოდ შეჩერდა და ყველამ სული მოითქვა.

ამგვარად, ბიჭუნებმა ქვეყნის დიდი ნაწილის ოკუპირება შეძლეს, თუმცა ძვირად კი დაუჯდათ. ადგილობრივი მოსახლეობა აღტაცებული სულაც არ იყო და არც ბიჭუნების სიყვარულით იწვოდა. ბოროტი ენები იმასაც ამტკიცებდნენ, ბავშვებს სახლებიდან ყრიან და თუ სადმე პატარა ჯგუფებად დაიგულეს, თავსაც ესხმიანო. მონინააღმდეგეთა ველურობაზეც ბევრს საუბრობდნენ, ბავშვებს აწამებენ და თვალებს თხრიანო. ეს ჭორები ხშირად სამართლიანიც იყო. ადგილობრივმა მოსახლეობამ თავშეკავება სულ დაკარგა და აშკარად განრისხებული ჩანდა. სამხედრო თვალსაზრისით ეს უვარგისი ერი, განრისხებას ბუნებრივ გამოსავალს ვერ უძებნიდა და რევანშს საშინელი ბოროტმოქმედებით იღებდა. ამ ბაღლინჯოებივით თუ რწყილებივით შემაწუხებელი, უცხომინელი ბიჭუნების შემოსევამ ხალხს თავგზა აუბნია და მათ ყოველ მოხერხებულ დროს ანადგურებდა. საშინელი აღვირახსნილობის შესაჩერებლად ბავშვები მთელ სოფლებს წვავდნენ და უამრავ ხალხს ხვრეტდნენ, მაგრამ მდგომარეობა არა და არ გაუმჯობესდა. მშიშარა მოსახლეობის საზიზღარი ბოროტმოქმედება ბავშვთა არმიას უშველებელ ზარალს აყენებდა.

ეს ამბავი ბიჭუნათა სამშობლოში, რა თქმა უნდა, საშინელ აღშფოთებას იწვევდა. მათი თანამემამულენი ვერაფრით შეგუებოდნენ აზრს, რომ მონინააღმდეგე პატარა ჯარისკაცებსაც კი არ ინდობდა, აზრს, რომ ასე აღვირახსნილად ის ხალხი იქცეოდა, ვისაც სამხედრო საქმის არაფერი ესმოდა, ის მშვიდობიანი ბარბაროსები, ვისაც ღირსებასა და ომის წარმოების საყოველთაო ნორმებზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. მაგრამ ყველაზე მეტად საზოგადოება იმ მოვლენამ აღაშფოთა, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ზაფხულის ცნობილი ბრძოლიდან ცოტა ხნის შემდეგ მოხდა. ერთი ლეიტენანტი მდინარის პირას დასეირნობდა. ნაპირზე კი ზორბა, ჩასუქებული გლეხის ქალი მუხლებზე ჩაჩოქილიყო და თეთრეულს ჯოხით რეცხავდა. ლეიტენანტი შეეკითხა, უახლოეს სოფელთან

როგორ მივიდეო. ქალს ეს შეკითხვა აშკარად არ მოეწონა და მოკლედ მოუჭრა, სოფელში რა გესაქმება, საკუთარ დედიკოსთან წაბრძანდიო. მაშინ ლეიტენანტმა ხმალი იშიშვლა და შეურაცხმყოფელს შეუტია. ამ უკანასკნელმა კი, მეომარს ნელზე ხელი მოხერხებულად სტაცა, მუხლზე გადაიწვინა და უკანალი ჯოხით აუჭრელა. თანაც ეგზეკუცია იმდენ ხანს გააგრძელა, რომ მოთეთქვილი ლეიტენანტი რამდენიმე დღის მანძილზე ვერც დაჯდა და ვეღარც ფეხზე დადგა.

ლეიტენანტი ისე გაოგნდა, რომ წინააღმდეგობის გაწევა არც კი უცდია, თუმცა კბილებამდე შეიარაღებული იყო. ამ ინციდენტს არავინ შესწრებია, მაგრამ ბრძანება მოითხოვდა, ადგილობრივი მოსახლეობის ყველა ბოროტმოქმედების ამბავი კომენდატურას მოახსენოთო და ლეიტენანტმაც მოახსენა. თქმა არ უნდა, უხალისოდ მოახსენა, მაგრამ ბრძანება ბრძანებაა და სხვა რა გზა ჰქონდა. ამგვარად გახმაურებულმა ლეიტენანტის შემთხვევამ საჯარისო ნაწილებშიც და მათ სამშობლოშიც არნახული ვნებათაღელვა გამოიწვია. ეს სკანდალური შემთხვევა სამშობლოს ისეთი სირცხვილი და შეურაცხყოფა იყო, რომელსაც ვერაფრით ჩამორეცხავდი. თანაც ეს გამიზნულად ჩაიდინა ერმა, რომელსაც სამხედრო საქმეზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. პრესით, მიტინგებით, პირადი საუბრებით, პატარა ჯარისკაცთა აშკარა ზიზღსა და სიძულვილს გამოხატავდნენ. არმიის შემარცხვენელ ლეიტენანტს, როგორც უღირსს, მწკრივის წინ სამხრეები ჩამოჰგლიჯეს, საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მიღება აუკრძალეს და სასწრაფოდ შინ, მშობლებთან გააგზავნეს. მისი ოჯახი, სხვათა შორის, ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე ნარჩინებული ოჯახი იყო, ამ შემთხვევის შემდეგ, კი, იძულებული გახდა, ღრმა პროვინციაში გადასახლებულიყო.

ზორბა გლეხის ქალი თავისი ქვეყნის გმირი და უსამანო აღტაცების საგანი გახდა. მთელი ომის მანძილზე მისი ლეგენდარული ხატი ეროვნული სულის ისეთ სიმბოლოდ გადაიქცა, რომელიც ხალხს დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდებდა. მრავალფეროვან პოეზიაში, განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს რომ შეიქმნა, ამ გმირობას აურაცხელი ლექსი მიეძღვნა, თანაც ფართო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, ხან ხალხის წიაღიდან წარმოშობილ, ძლიერი ხასიათის ქალად წარმოაჩენდნენ, ხანაც ამაღლებული პათეტიკით აღჭურვილ გმირად. ქალის ხატება უფრო და

უფრო ლეგენდარულ შტრიხებს იძენდა, მთელი ამბავი კი ნელ-ნელა ზღაპარს დაემსგავსა. მისი შემდგომი ხვედრის შესახებაც მრავალი ვერსია შეიქმნა. ერთის მიხედვით, გმირი ქალი მტერმა დახვრიტა, მეორეთი კი, თავისი დღეები ხალხის სიყვარულითა და პატივისცემით გარემოცულმა გალია.

ამ მოვლენამ მონინააღმდეგეთა სისასტიკე კიდევ უფრო გააძლიერა. ზაფხულის მინურულს, სწორედ საშემოდგომო წვიმების დაწყების წინ, ინფორმაციის მოპოვება მონინააღმდეგის გეგმების შესახებ ვერც ერთმა მხარემ ვეღარ შეძლო და გადამწყვეტი ბრძოლა ერთდროულად დაინყეს, რაც დამღუპველი შედეგით დაგვირგვინდა. ფრონტის ხაზზე საჯარისო ნაწილები ერთმანეთს ისე დაუნდობლად დაერივნენ, რომ ცოცხალი აღარავინ გადარჩა. კანტიკუნტად შემორჩენილმა მშვიდობიანმა მოსახლეობამ მიწისქვეშა თავშესაფრიდან გამოსვლაც კი გაბედა, რადგან მინა მხოლოდ გვამებით იყო მოფენილი და ომი დასრულებულად ჩათვალა. სულ ტყუილად. ამასობაში დამხმარე ძალებმაც მოაღწიეს და ომიც ახალი ძალით განახლდა. თუმცა დიდი არეულ-დარეულობა გამოიკვეთა. თავდაპირველად, შეტევით გახურებულმა ორივე მხარემ ერთმანეთის პოზიციებს გვერდი აუქცია და ბრძოლის გასაგრძელებლად უკან დაბრუნება დასჭირდათ. შემდეგ ზოგიერთმა ნაწილმა ფრონტის ხაზი გაარღვია, მეტისმეტად წინ გაიჭრა და დანარჩენები უკან ჩამოიტოვა. შედეგად, რამდენიმე ნანილი საკუთარი ჯარის ზურგს უკან მოექცა და მთელი ბრძოლის მანძილზე, ორივე მონინააღმდეგე, პერიოდულად, საკუთარ ჯარებს ზურგიდან ურახუნებდა. ამგვარად, ბრძოლა დუღდა და გადმოდუღდა და ტყვიები ყოველი მხრიდან წვიმასავით მოდიოდა. როცა ბოლოს და ბოლოს ბრძოლა მინელდა, გამარჯვებული არავინ აღმოჩნდა. ორივე მხარეს ერთნაირი დანაკარგი, 12924 დაჭრილი და მოკლული აღმოჩნდა. ხოლო პოზიციები, ამ დაუსრულებელი შეტევა-უკანდახევის შემდეგ, მაინც უცვლელი დარჩა. ის იყო შეთანხმდნენ, გამარჯვებულად ორივე მხარემ თავისი თავი ჩათვალოსო, რომ წვიმებიც დაინყო.

ჯარებმა სანგრები გათხარეს და მავთულხლართები გააბეს. ბიჭუნები სანგარში უფრო ადრე ჩაძვრნენ, მათთვის ხომ ეს ჩვეული საქმე იყო. ისე მყუდროდ მოეწყვნენ, თითქოს საკუთარ სახლში ნებივრობდნენ. ჩაბინძურებულები და ტილიანები ამ ბნელ თავშესაფარში თავს ისე კარგად გრძნობდნენ, თითქოს დაბადებიდან

ასეთ პირობებში ეცხოვრათ. მტერს, პირიქით, მიწისქვეშ ცხოვრება უჭირდა და ნორმალური არსებობა ენატრებოდა. ამ დროს კი, აირწინაღებითა და თიხაში ამოგანგლული მუნდირებით მორთული ბავშვები ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს სპეციალურად ასეთი პირობებისთვის შეექმნათ. ისინი ჭიებივით დაძვრებოდნენ, ხან ზემოთ ამოვიდოდნენ, ხან მიწაში ჩასრიალდებოდნენ და ვიწრო გასასვლელებსა და თავშესაფრებში მოხერხებულად დაცოცავდნენ. შეტევის დროს კი, ბრუსტვერების ზედაპირზე ელვის სისწრაფით ამოხტებოდნენ ხოლმე და თავდასხმებს გახელებით იგერიებდნენ. ყოველი თვე მათ უიმედოდ მტანჯველ ცხოვრებას უფრო და უფრო მეტ განსაცდელს უმზადებდა. მოზრდილი ჯარისკაცები ვერაფრით შეჰგუებოდნენ აშკარად უაზრო დანაკარგებს და ბევრი მათგანი აპათიამ მოიცვა. ბავშვები კი ყველაფერს სხვაგვარად აღიქვამდნენ, ომს უფრო იოლადაც ეგუებოდნენ და უფრო მოსწონდათ კიდეც; მოზრდილებს ხომ ომი მალე სწყინდებათ ხოლმე. ბიჭუნებს კი, როგორც ჩანს, ეს საქმიანობა მეტადაც იტაცებთ და საველე ცხოვრებაც მეტად მოსწონთ. პირველყოფილი პირობებისადმი ინსტინქტური სწრაფვაც ძლიერი აქვთ და კოლექტივიზმისა თუ ამხანაგობის განვითარებული გრძნობაც ეხმარებათ.

რა თქმა უნდა, თავს კარგად არც ბავშვები გრძნობდნენ. განსაკუთრებით ზამთარში გაუჭირდათ, როცა ცივი წვიმა და სველი თოვლი დაუსრულებლად მოდიოდა. ყველაფერი უკანასკნელ ძაფამდე დასველდა, სანგრები წყლით ამოივსო. ასეთი ამინდი გუნებას ვისაც გინდა იმას გაუფუჭებდა, მაგრამ ბავშვებს არც მაშინ დაუწუნუნიათ, უფრო მეტიც, ეს თავში აზრადაც არ მოსვლიათ. ვერანაირი ტანჯვა ვერ აიძულებდათ ეღიარებინათ, მძიმე მდგომარეობაში ჩავცვივდითო. სამშობლო კი თავისი შვილებით ამაყობდა. ყველა კინოთეატრში ატრიალებდნენ ქრონიკას, სადაც აჩვენებდნენ ფრონტისპირა ხაზზე გამართულ სამხედრო პარადებს, პატარა მთავარსარდალსა და მის გენერლებს, ჯარისკაცებს მკერდზე მამაცობისათვის მედლებს რომ ჰკიდებდნენ.

ამ ქაჯებზე სამშობლო ძალიან დარდობდა, ყველას ესმოდა, როგორ უჭირდათ. ყველა ოჯახი მათ შესახებ ლაპარაკობდა, განსაკუთრებით, საშობაო დღესასწაულებისას, როცა პატარა მეომართა თვალები სანგრებში ანთებული ნაძვის ხეების მოციმციმე შუქით გაბრწყინდა. თავად ბიჭუნები კი სახლზე სულაც არ ფიქრობდნენ.

ისინი ნამდვილი ჯარისკაცები იყვნენ — მოვალეობის გრძნობით აღსავსე და ახალი ცხოვრებით გატაცებული ჯარისკაცები. შობა დღის პირველ ნახევარში, ფრონტის რამდენიმე უბანზე, შეტევაც კი განახორციელეს და მტერი დიდად დააზარალეს. ეს შეტევები მაშინლა შეჩერდა, როცა საშობაო ამანათების გახსნის დრო დადგა. დიახ, ბიჭუნები ჭეშმარიტი საბრძოლო სულისკვეთებით გამოირჩეოდნენ, მოზრდილებს ნამდვილად არ აწყენდათ მიებაძათ. სენტიმენტალიზმის სულ მცირედი გამოვლინებაც კი მათთვის უცხო იყო. ისინი ომმა გამოაწრთო და ნამდვილ მამაკაცებად აქცია.

თუმცა ერთხელ ასეთი შემთხვევაც მოხდა: რომელიღაცა საცოდავი ბიჭუნა, ანთებული ნაძვის ხის დანახვისას, ხმამაღლა ატირდა და მაშინვე ამხანაგების დაცინვა დაიმსახურა: „დედიკოსთან ხომ არ მოგინდა, შე მტირალა!“ საბრალოს მთელი საღამო და უფრო მეტიც, მთელი დღესასწაულის მანძილზე დასცინოდნენ. შემდეგ ბიჭუნა საჯარისო ნანილებს ასიოდე მეტრით დაშორდა და რადგან მაშინვე იგუმანეს, ალბათ დეზერტირობას აპირებსო, დაიჭირეს და სამხედრო ტრიბუნალს გადასცეს. საცოდავმა თავისი საქციელი ვერაფრით გაამართლა, ამიტომ ეჭვი ყველას გაუქრა და მაშინვე დახვრიტეს.

თანამემამულეებს რომ სცოდნოდათ ეს ქაჯები რა მაღალი საბრძოლო სულისკვეთებით გამოირჩეოდნენ, ასე არც აღელდებოდნენ. მაგრამ მაინც ყველა ღელავდა, ყველას ერთი და იგივე აზრი აწუხებდა, გაუძლებდნენ კი ბავშვები ამ დამქანცველ ომს, ასე რომ გაიჭიმა. ახლა საზოგადოება ძალიან ნანობდა, ეს ოპერაცია ბიჭუნებს რომ მიანდო. ახალი ნლის შემდეგ რეგულარულმა ჯარმა საიდუმლო დახმარებაც კი შესთავაზა, მაგრამ ბავშვების ამაყი უარი მიიღო.

აი, მონინააღმდეგეთა ჯარი კი ასეთი ქედუდრეკი განწყობით ნამდვილად არ გამოირჩეოდა. თქმა არ უნდა, მტერმა გადანყვიტა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებო, მაგრამ საბოლოო გამარჯვების რწმენა აკლდა. მონინააღმდეგეთა ჯარისკაცები ვერა და ვერ იშორებდნენ ეჭვს, ამ აგრესორს როგორ მოვერევით, ამ სარძევე კბილებამდე შეიარაღებულ ხალხისგან ქვეყანას როგორ გავათავისუფლებთო და ეს ეჭვი მტერს ხშირად სულს უნენავდა.

როგორც კი ბუნებამ გამოიღვიძა და ყოველივე გაზაფხულის წვენით აივსო, ბიჭუნები მტერთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის გასამმაგებული ენერგიით მოემზადნენ. მძიმე არტილერიამ მოხ-

ერხებული პოზიციები დაიკავა, ჯარის ნაწილები დღე და ღამე მოძრაობდნენ, ყველა რეზერვი წინა ხაზზე გადავიდა. ექვსდღიანი, ინტენსიური არტმომზადების შემდეგ, ბავშვებმა ულევი ენერგია და ბრნყინვალე სამხედრო მომზადება გამოავლინეს და გამანადგურებელი შეტევა წამოიწყეს. ბრძოლის ველი ჯერ არნახული გმირობის სურათებით შეივსო. არმია ხომ ერთი წლით გაიზარდა, მათ ასაკში კი ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მოწინააღმდეგემ, თავის მხრივ, ყველა რეზერვი მოიზიდა და მტკიცედ გადაწყვიტა, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებო. წვიმამ გადაიღო. გამოდარებამ ჯარისკაცებს გუნება გამოუკეთა და ახალი იმედებით აავსო. სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა! ფრონტის ხაზიდან ორივე მიმართულებით დაჭრილი ჯარისკაცებით გადატენილი ეშელონები დაიძრა. ტყვიამფრქვევების, ტანკებისა და გაზების გამოყენებას საშინელი შედეგში მოჰყვა. რამდენიმე დღის მანძილზე ვერც ერთმა მხარემ ბრძოლის მიმდინარეობის ნამდვილი სურათი ვერ შეადგინა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ერთმანეთს ორი ერთგვაროვანი ძალის მქონე არმია შეერკინა, რადგან იღბალი ხან ერთის, ხან კი მეორის მხარეს ინაცვლებდა. მაგრამ თანდათანობით სიტუაცია შეიცვალა. მონინააღმდეგემ მთავარი დარტყმის მოლოდინში ცენტრი გაამაგრა, ბავშვთა არმიის განლაგებაში კი ცენტრი ყველაზე სუსტი წერტილი აღმოჩნდა.

მტერმა ეს მდგომარეობა კარგად გამოიყენა, რადგან ყველაზე მნიშვნელოვან ძალებს თავი სწორედ ფრონტის ამ მონაკვეთზე მოუყარა და მალე აგრესორის წინააღმდეგობა გატეხა. ერთიმეორის მიყოლებით განხორციელებულმა შეტევებმა, ბიჭუნებს უკან და უკან დაახევინა. მოწინააღმდეგემ რიცხობრივი უპირატესობის გარდა, საღამოს ქარის სასიკეთო მიმართულებითაც ისარგებლა, გაზი გაუშვა და ათასობით ბავშვი უვნებელყო. წარმატებით აღტაცებულმა მტერმა მოპოვებული შეტევა ენერგიულად გააგრძელა, მაგრამ ბიჭუნების უკან დახევა გენიალურად ჩაფიქრებული და მოხერხებულად გატარებული სამხედრო ეშმაკობა აღმოჩნდა. მტერმა მთელი თავისი ყურადღება ფრონტის უფრო და უფრო დამყოლ ცენტრზე ისე გადაიტანა, ფლანგების დასუსტებით გამონვეული ხიფათი არც კი გახსენებია და ხიფათიც წამოეწია.

ცენტრს დიდი მანძილით დაშორებული ბიჭუნები შეჩერდნენ. ფლანგები სასწრაფოდ გადააადგილეს და მტრის ზურგში შე-

აერთეს. ამის შედეგად მონინააღმდეგის მთელი არმია ალყაში, რკინის წრეში მოქცეული აღმოჩნდა. ახლა ქაჯებს მტრის ფლანგებისთვის უნდა მოეღოთ ბოლო და წრე უფრო მეტად შეევიწროებინათ. ბოლოს და ბოლოს თავგანწირვით მებრძოლმა მტერმა ყოველგვარი წინააღმდეგობა შეწყვიტა და ტყვედ ჩაბარდა, რადგან არსებითად, უკვე დატყვევებული იყო. მთელი ისტორიის მანძილზე ეს ყველაზე ტოტალური დამარცხება გახლდათ და მტერი მისგან მხოლოდ სიკვდილს შეეძლო გადაერჩინა. ომის მატიანეს ბიჭუნების გამარჯვების მსგავსი არაფერი ახსოვდა. გენიალურად შესრულებული ალყის მანევრი ამის შემდეგ ყველა სამხედრო სკოლაში ისწავლებოდა. სამოცდაათი წლის შემდეგ კი დიდმა მთავარსარდალმა სლიუდელსონპმა ამ ბრძოლის ტაქტიკა მთლიანად ისესხა და 2048 წელს სლივოკვარკერები დაამარცხა.

ამგვარად, მონინააღმდეგე ძირს განერთხა და ომის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. ბავშვთა არმია ტყვეებთან ერთად მტრის დედაქალაქისკენ გაემართა, რათა იქ ზავის პირობები ეკარნახა. უძველესი სასახლის სარკეებიან დარბაზში პატარა მხედართმთავარმა ისტორიული აქტი, ზავის პირობების გადაცემის აქტი ჩაატარა. ეს სცენა, შემდგომ, უამრავ მხატვრულ ტილოზე აისახა, იმ დღეებში კი ყველა ილუსტრირებულ ჟურნალსა და გაზეთში გამოჩნდა. კინოკამერები ბზუოდნენ, რადიო კი ამ დიად ახალ ამბავს მთელ ქვეყანას ამცნობდა. მხედართმთავარს მკაცრი და გაუტეხავი მზერა ჰქონდა. ერთი ფეხი წინ წაედგა და გაშვერილ მარჯვენა ხელში ისტორიული დოკუმენტი ეჭირა. დოკუმენტის პირველი და ყველაზე მთავარი პუნქტის მოთხოვნით მონინააღმდეგეს თავის ქვეყანაზე ხელი უსიტყვოდ უნდა აეღო და მისი დაპყრობისთვის გაწეული ხარჯები აენაზღაურებინა; თანაც ორივე მხრის ხარჯების უკანასკნელი პუნქტი იმ საფუძველზე შემუშავდა, რომ, მართალია, ომი მონინააღმდეგეს არ წამოუწყია, მაგრამ თავი და თავი მიზეზი, მისივე აღიარებით, თავად გახდაო. დოკუმენტის ხელმოწერის დროს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, რასაც მხოლოდ კალმის ფხაჭუნი არღვევდა, რადიოკომენტატორმა ქვეყანას მაშინვე ჩურჩულით ამცნო, ეს სუფთა ოქროს კალამი უდავოდ სამუზეუმო ექსპონატად გადაიქცევაო.

ეპოპეა ამით დასრულდა და ბავშვთა არმიაც სამშობლოსკენ გაემართა, სადაც არნახული აღფრთოვანებით შეეგებენ. სადაც არ

უნდა ჩაევლოთ, გზის აქეთ-იქით აღგზნებული ბრბო იკრიბებოდა და ტრიუმფალური მარშით მიმავალ გამარჯვებულებს ეგებებოდა. ყველაზე დიდი ზეიმით კი ბავშვთა არმიას დედაქალაქი შეხვდა და იქ, ხალხის თანდასწრებით, ეროვნული შეხვედრის სადღესასწაულო ცერემონიალი შედგა.

ხალხი ცხვირსახოცებს იქნევდა და მოჭარბებული გრძნობებით აღგზნებული, შლეგიანივით ბღაოდა, მუსიკა ქუხდა, თვალები ყველას სიხარულის ცრემლით ევსებოდა. შემდეგ, კიდევ უფრო დიდი აღფრთოვანებით, ტრიუმფალური პროცესიის ბოლოში მომავალ ომის პატარა ინვალიდებს შეეგებნენ: უსინათლოებს, დასახიჩრებულებსა და ხელ-ფეხ მოკვეთილებს. თუმცა ბევრ მათგანს ყავარჯნებისა და პროთეზების შეძენა უკვე მოესწრო და თითქმის სრულფასოვან ბავშვებს დამსგავსებოდნენ.

გამარჯვების ძლიერი ზალპი ქუხდა, ხიშტები მზეზე ელვარებდა, რა დაუვიწყარი სანახაობა იყო! ისტორიის დიად წიგნში ხომ ახალი, მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაიწერა, რასაც შემდგომი თაობები აღტაცებით წაიკითხავდნენ. ქვეყანას ბევრი ბრწყინვალე გამარჯვება ახსოვდა, მაგრამ არც ერთით არ უამაყია ისე, როგორც თავისი ბავშვების გმირობით ამაყობდა. ერის მეხსიერებაში ერთგულებითა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით ანთებული მისი შვილების გმირობას ვეღარაფერი წაშლიდა.

ყოველ გაზაფხულს გამარჯვების დღეს, მოსწავლეები დროშების ფრიალით, საზეიმოდ მიემართებოდნენ სასაფლაოსაკენ, სადაც ნორჩ მეომრებს პატარა, თეთრი ჯვრების ქვეშ სამარადისო ძილით ეძინათ. ბავშვები საფლავებს ყვავილებით ამკობდნენ.

საფლავებთან გულის ამაჩუყებელი სიტყვები იფრქვეოდა. დიად წარსულს, წარუშლელ დიდებას, ბავშვთა გმირულ თავგანწირვას იხსენებდნენ. დროშები მზის სხივებში თრთოდნენ, ბავშვთა წკრიალა ხმები და მგზნებარე მონოდება ისმოდა. გაბრწყინებული თვალებით ისინი მომავალს გასცქეროდნენ და ახალი საგმირო საქმეებისკენ მიისწრაფოდნენ.

ჯალათი

ჯალათი ჩაბნელებულ სამიკიტნოში იჯდა და სვამდა. მიკიტნის გადმოდგმული ერთადერთი ქონის სანთლის მხრჩოლავი ციმციმი მაგიდასთან გაშხლართულ, სისხლისფერ-ნითელ სამოსში გამონყობილ ძლიერ, ზონზროხა სხეულს ეცემოდა. და კიდევ ხელს, რომელიც შუბლზე ამომწვარ დამღას ფარავდა. რამდენიმე უბნელი ხელოსანი და შეზარხოშებული ქარგალი სუფრის ბოლოს შემოსხდომოდნენ და ღრეობდნენ. ჯალათის მხარეს არავინ იჯდა. ქვის იატაკზე უჩუმრად ჩაივლიდა მიმტანი ქალი, ხელის კანკალით შეუვსებდა კათხას. მოშორებით მიმალული შეგირდი ბიჭუნა, სიბნელით რომ ესარგებლა და სამიკიტნოში შეპარულიყო, ჯალათს ანთებული თვალებით უმზერდა.

— სვიანი ლუდია, არა? აბა, რას გვეტყვი, ჯალათო? — გასძახა ერთმა ხელოსანმა. — არ გაგიგია? მიკიტნის დიასახლისი სახრჩობელასთან მოგეპარა, ქურდბაცაცას თითი ცხვირწინ აგწაპნა და ლუდის კასრში ძაფით ჩაკიდა. ოღონდ საუკეთესო ლუდი ჰქონდეს და ტყავიდან გაძვრება, ოღონდ მუშტრები მოიზიდოს და უკან არაფერზე დაიხევს. ლუდს, კი, არ გაგიგია, ეშხსა და გემოს ჩამოხრჩობილის თითივით ვერაფერი მატებს.

— მართლაც და საოცარია, — ჩაილაპარაკა პირმოღრეცილმა ბებერმა მეწაღემ და ჩაფიქრებულმა ნვერიდან ლუდი ჩამოიწურა. — რასაც კი უკეთურობასთან აქვს საქმე, ყველაფერში იდუმალი ძალა იმალება.

— ძალა და ეგეთი! მახსოვს, ჩვენს მხარეში აკრძალული ნადირობისათვის ერთი კაცი ჩამოკიდეს. თავად კი ამტკიცებდა უდანაშაულო ვარო, ვინ მოუსმინა. როგორც კი ჯალათმა ფეხქვეშ საყრდენი გამოაცალა და ყულფმა ნაუჭირა, ისეთი ქარები გაძვრა მთელი მხარე მოწამლა. ყვავილები გადაჭკნა, სახრჩობელის აღმოსავლეთით მდელო თითქმის მთლიანად გადაიბუგა და გავერანდა. ქარი მაშინ დასავლეთიდან უბერავდა. ერთსაც გეტყვით, იმ ზაფხულს უმოსავლო წელი დაგვიდგა.

ყველა ახარხარდა და მაგიდას მიაწყდა.

— მამაჩემი სხვაგვარად ჰყვებოდა ამ ამბავს. მის ჯეელობაში ერთი კაცი თურმე ცოლისდასთან დაძვრებოდა და როცა მისმა ჟამმა დარეკა, სწორედ ასევე დაემართა. არცაა გასაკვირი, ყოველი მინიერი სნრაფად უნდა მოიშორო. იმანაც ირგვლივ ისეთი სიმყრალე დააყენა, ხალხმა უკანაც კი დაიხია. ამ დროს ცაზე ღრუბელი გამოჩნდა, შავი და როგორი შავი, გულზე შემოგეყრებოდა. ღრუბელზე თავად ეშმაკი გადამჯდარიყო, ქარცახით მართავდა, ცოდვილ სულს მიათრევდა და თანაც სიამოვნებით ხითხითებდა, ასეთი სიმყრალე რომ დააყენა.

— ნეტავ, სისულელეებს არა როშავდეთ, — კვლავ ჩაერია მოხუცი და ჯალათს ალმაცერად გახედა. — ეს სახუმარო საქმე როდია. რაღაც სხვა ძალა იმალება-მეთქი, გეუბნებით. თუნდაც კრისტენი გავიხსენოთ, ანას ბიჭი, პირზე დუჟმორეული მინას ისე დაასკდებოდა ხოლმე, თითქოს გულ-გვამში ეშმაკი ჩასახლებოდა! რამდენჯერ დამიჭერია და პირიც გამიღებინებია მისთვის. ნეტავ, იცოდეთ, როგორ ძაგძაგებდა, ეგეთი ერთიც არ მინახავს, თუმცა ბევრი შემთხვევის მომსწრე კი ვარ. ერთხელაც დედამისმა წაიყვანა და აი, ერკერ-მჭედელი რომ მოკვდა, იმისი სისხლი ძალით დაალევინა. მაშინვე ყველაფერი გაუქრა. მას მერე ერთხელაც არ ნაქცეულა.

— ჰო-ო...

— მე ხომ მათი მეზობელი ვარ, თუმცა რა, ეგ ამბავი ხომ თქვენც კარგად იცით.

— ვინ გედავება.

— სისხლი აუცილებლად მკვლელისა უნდა იყოს, თანაც ჯერ კიდევ თბილი, თორემ ვერაფერს შველის.

— ეგ ხომ ეგრეა.

— ჰო. საოცარია, აბა, რა არის.

— აი, ის ბავშვებიც, სნეულები ან გაძვალტყავებულები რომ არიან, მაშინვე მოყოჩაღდებიან ხოლმე, როგორც კი ჯალათის მახვილიდან სისხლს მოალოკინებ. ჯერ კიდევ ბალღობიდან მახსოვს, — განაგრძო მოხუცმა. — ჩვენს მხარეში ეს ყველამ იცოდა. ერთი ექიმბაში დედაკაცი გვყავდა, ამ სისხლს ჯალათის სახლიდან ეზიდებოდა. ჰა, ცუდი ხომ არაფერი წამომცდა, ჯალათო?

ჯალათს ზედაც არ შეუხედავს, არც შერხეულა. მოციმციმე, მხტუნავ შუქში მისი მძიმე, შეუვალი სახე, შუბლზე შემოდებულ ხელებქვეშ ძლივსღა მოჩანდა.

— ჰო, უკეთურებას განკურნებაც შეუძლია, ნაღდად ასეა, — დაასკვნა მოხუცმა.

— ეტყობა, ხალხი ასე ხარბად ტყუილად არ ეტანება ყოველივე უკეთურს. ღამით შინ მობრუნებულმა სახრჩობელას თუ ჩაუარე, ჰო-ჰო-ჰო, ისეთი ფუსფუსი და ქოთქოთი დაგხვდება, შიშისაგან გული ფეხებში ჩაგივარდება. აი, სად კრეფენ აფთიაქარები, ექიმ-ბაშები თუ სხვა უღვთო ჯადოქრები თავიანთ ბანგსა თუ წამალს, მერე ღატაკსა და გაჭირვებულს ოფლით მოპოვებულ ფულს ოხრად ახდევინებენ. იმასაც ამბობენ, ზოგიერთ გვამს ძვლებამდე ისე გა-ცლიან ხოლმე, ვერც კი გაიგებ, ოდესმე ადამიანი თუ იყოო. განა თქვენზე ნაკლებად ვიცი, რომ უკეთურებას ძალა აქვს და თუ გაგი-ჭირდა, ვერც ასცდები. თავადაც გამოვცადე და სხვათა შორის, არც ჩემს დედაკაცს დაჰკლებია. და მაინც ვამბობ: წყეულიმც იყოს! მარ-ტო ღორები და ყვავები კი არა, ჩვენც მძორით ვცხოვრობთ-მეთქი!

— მორჩი ყბედობას, ნეტავ, გულებს რას გვიხეთქავ. მაინც რა გადაყლაპე, აღარ იტყვი?

— არც მითქვამს და არც გეტყვით. მე სხვა რამეს ვამბობ: წყეუ-ლიმც იყოს ეშმაკეული ძალა, რადგან ეს ყველაფერი მისგან მოდის-მეთქი. ეგრეა, თუ დამიჯერებთ!

— ა-ა, სისულელეს როშავ. მთელი საღამო უაზროდ ყბედობთ. ყელში ამოვიდა ამდენი სისულელე.

— ლუდს რატომ არა სვამ?

— ვსვამ, აბა, რას ვშვრები, შენ თვითონ შეუბერე, შე, ლოთო, შენა.

— მაინც უცნაურია, რომ უკეთურებას შველაც შეუძლია და თან ამდენი ძალაცა აქვს.

— საქმეც ეგ არის, რომ აქვს.

— ნუ კი ეხუმრები, ისეთი ძალაა, უნდა დაგღუპავს, უნდა აგაშ-ენებს.

ისევ ჩაჩუმდნენ. კათხები უკან დასწიეს. ზოგიერთმა პირი იბრუნა და ალბათ, პირჯვარი გადაინერა.

— ამბობენ, ჯალათს ვერც დანა ერევა, ვერც მახვილიო, — თქვა მოხუცმა და მდუმარე, ზონზროხა სხეულს ალმაცერად გახედა. — არც კი ვიცი, მართალია, თუ არა.

— ეგ ყველაფერი სულ ტყუილია.

— ეგ არა თქვა. ზოგი ისეთი პიტალო შეგხვდება, ვერაფერს დააკლებ. ჩემს ჯეელობაში გამიგონია, ერთ ეგეთს საშინელი ბოროტებისათვის დასჯა დაუპირეს, არადა მახვილით ვერა და ვერ მოერივნენ. შემდეგ ნაჯახით სცადეს და ისიც ხელიდან გაუვარდათ. შიშისაგან გულები დაუსკდათ და მაშინვე გაათავისუფლეს. ყველა მიხვდა, რომ უწმინდური ჩასახლებოდა.

— სისულელეა!

— ღვთის მადლმა, მართალს ვამბობ. მიწა გამისკდეს, თუ ეტყუოდე.

— სისულელეებს როშავ-მეთქი, გეუბნები! აბა, ვინ არ იცის, რომ სხვა ნაძირალებივით ჯალათებსაც ნაჯახითა და მახვილით აცლიან თავს. თუნდაც ენს ჯალათი გაიხსენე, განა, თავისივე ცულით არ წააცალეს თავი!

— ენსი სხვა საქმეა, ის ამ ძალებთან შეკრული არ იყო. მაგ საცოდავს უბედურება დაატყდა თავს და სიცოცხლე მოიმათხოვრა, თავის დედაკაცსა და ბალღებს ვერ შეელია. ეს, ძმაო, გამონაკლისი იყო. ამ ხელობას თავადაც ვერ შეეწყო. ფიცარნაგზე ავიდოდა და უბედურ ცოდვილებზე მეტად ეგ კანკალებდა. უკეთურობისა ეშინოდა, აი, რა იყო. ასე მგონია, სიკვდილიც იმიტომ მოიმკო, რომ შიშს ვერ მოერია, ეს ხელობა მისთვის ძალზე მძიმე აღმოჩნდა. ჰოდა, აიღო და თავისი საუკეთესო ძმაკაცი, სტაფანი მოკლა. მე ეგრე ვიტყოდი, ნაჯახი ენსზე ძლიერი აღმოჩნდა-მეთქი. თითქოს თავისკენ იზიდავდა, თითქოს ყოველთვის იცოდა, წინააღმდეგობას ვერ გავუნევ, ადრე თუ გვიან მის ქვეშ ამოვყოფ თავსაო და ამოყო კიდეც. არა, მას უკეთურის ძალა არ ჰქონდა. აი, ვისაც აქვს, იმას ვერაფერი მოერევა.

— რაღა თქმა უნდა, ჯალათის ძალა სხვას სიზმრადაც არ მოელანდება. უკეთურებასთან ასე ახლოს ტყუილად ხომ არ ტრიალებს? ისიც ნათელია, რომ რაღაცა ძალა მის ნაჯახსა და სხვა იარაღებშიც იმალება. ალბათ, იმიტომაც ვერავინ ეკარება ვერც მის იარაღს და ვერც თუნდაც სხვა რამეს, რასაც ჯალათის ხელი შეჰხებია.

— ეგ ხომ ეგრეა.

— ბოროტებას, ძმაო, ისეთი ძალა აქვს სიზმრადაც არ მოგელანდება. ერთი თუ მოგიგდო, კარგად მეყოლე, კლანჭებს ჩაგავლებს და თავს ვეღარ დაიძვრენ.

— ნეტა, შენ რაღა იცი? — შეეპასუხა კაცი, აქამდე ჩუმად რომ იჯდა. — მის არსში ჩაწვდომა იოლი ხომ არ გგონია? ცოტა მიახლოება თუ მოახერხე და ბოროტებას თვალი შეავლე, გაოგნებული დარჩები. იმას კი არ ვამბობ, ბოლომდე ჩავწდი-მეთქი, უბრალოდ, ცოტა ხნით მისი გავლენის ქვეშ მოვხვდი, თითქოს სახეში ჩავხედე და მის საიდუმლოს ოდნავ აეხადე რიდე. ეს კი სამუდამოდ გამახსოვრდება. საოცარი კია, მაგრამ ამის შემდეგ თითქოს აღარც გეშინია მისი.

— ვითომ ეგრეა?

— აღარ გეშინიაო? რაღაც არ მჯერა.

— გეუბნები აღარ გეშინია-მეთქი. აი, მომისმინე და თუ გინდა, გიამბობ, რატომაც აღარ მეშინია. სანამ ისხედით და ქაქანებდით, უცებ ერთი ამბავი გამახსენდა.

როცა ეს მოხდა, სულ პატარა ბიჭი გახლდით, ხუთი-ექვსი წლისა თუ ვიქნებოდი. მამისეულ მამულში ვცხოვრობდით. მამაჩემი კარგი მეურნე იყო და გაჭირვებაც არ გვიგრძნია. ჩემს დედ-მამას ერთადერთი შვილი მე ვყავდი და მგონი, მეტისმეტადაც ვუყვარდი. ჩვეულებრივ ხომ ასე ხდება, როცა ოჯახში მხოლოდ ერთი შვილი ჰყავთ ხოლმე. ბედნიერი ბავშვობა მქონდა. ისეთი კეთილი და ალერსიანი მშობლები მყავდა, სხვას რომ ვერ ნახავ. კარგა ხანია, ორივე გარდაიცვალა, ღმერთო, აცხონე იმათი სულები. ჩვენი მამული განაპირას, სოფლის ბოლოში იყო და მეც უმეტესად ან მარტო ვთამაშობდი ან დედ-მამას დავდევდი კუდში. დღემდე მახსოვს ეზოში სად რა გვედგა, სახლის სამხრეთით მდელოცა და ბოსტანიც კარგად მახსოვს. თუმცა ახლა ეს ყველაფერი უკვე დავკარგე და ალბათ, ვეღარც ვიხილავ, მოგონებები მაინც ცოცხლად შემომრჩა.

და აი, ერთხელაც, ზაფხულში, გახურებული მკის დროს დედამ მამაჩემსა და მის ნადს სადილი წაუღო. იმ სიშორეზე ჩემი ნაყვანა ძალიან ძნელი იყო, ამიტომ შინ მარტო დამტოვეს. მზე აჭერდა, თაკარა სიცხე იდგა. ბუზები ზღურბლის ქვასაც შეესივნენ და საქონლის ბაკთან იმ ადგილსაც, დილაობით რძეს რომ წველიდნენ ხოლმე. უაზროდ დავეხეტებოდი და ეზოს ვათვალიერებდი. ბაღში შეშის ფარდულთან მივედი, შემდეგ ფუტკრებიც მოვინახულე, მაძღრები და სითბოთი მოთენთილნი თავისი სკებიდან ზანტად რომ მოძვრებოდნენ. და როგორღაც ისე მოხდა, მომწყინდა, თუ რა იყო, ახლაც ვერ გეტყვით, ღობეზე გადავძვერი და ტყეში იმ ბილიკს

შევუყევი, ჩვენს სახლთან რომ იწყებოდა, ხოლო სად თავდებოდა, მაშინ არ ვიცოდი.სრულიად უცნობ ადგილებში მოვხვდი. ბილიკი ფერდობს მიუყვებოდა, ტყე ხშირი იყო, უშველებელი ხეები იდგა და მეც ტოტებშუა თუ ხავსმოდებულ ლოდებს შორის ვიჭვრიტებოდი. ქვემოთ, ხეობაში მდინარე მოქუხდა და ჩვენი სოფლისაკენ მიედინებოდა. ჩემთვის მივაბიჯებდი და ვხარობდი, კარგი ამინდიც კი მახალისებდა. მზე ხის ტოტებში, ფოთლებს შორის თვლემდა, კოდალების კაკუნი ისმოდა, თბილი ფისით გაჟღენთილი ჰაერი ჩიტების ჭიკჭიკს აევსო.

აღარ მახსოვს, რამდენ ხანს ვიარე, რომ უცებ შრიალი გავიგონე. ხშირ ბარდებში თითქოს რაღაცამ გაიშლიგინა და მინას მოსწყდა. მაშინვე ნაბიჯს ავუჩქარე, მაინტერესებდა, ვის გადავაწყდი. მოსახვევთან მისულმა თვალი მოვკარი ვიღაც გარბოდა და მეც უკან დავედევნე. ბილიკი ვაკეზე დაეშვა, ტყე გამეჩხერდა, უცებ თავი ველობზე ამოვყავი და დავინახე, წინ ორი ბავშვი გარბოდა. ჩემი ტოლები თუ იქნებოდნენ, თუმცა სულ სხვაგვარად იყვნენ ჩაცმულები. ისინი ველობის მეორე ბოლოში გაჩერდნენ, უკან მოიხედეს და ისევ გაიქცნენ. მეც უკან გამოვუდექი, თანაც ვერ გამექცევით, სულერთია, დაგიჭერთ-მეთქი, ვფიქრობდი. მათ კი ბილიკს გვერდი აუქციეს და თავი ხშირ ბარდებს შეაფარეს. თავდაპირველად მეგონა, დამალობანას მეთამაშებოდნენ, შემდეგ მივხვდი, ასე არ იყო. მე მათი გაცნობა და თამაში მეწადა. ამიტომ არ შევჩერებულვარ და ნელ-ნელა წამოვეწიე კიდეც. ბოლოს და ბოლოს ორივე სხვადასხვა მხარეს გაქანდა. ერთ-ერთი მათგანი წაქცეული ნაძვის ქვეშ შეძვრა და თითქოს ჩაიმარხა. მივირბინე, ტოტები გადავწიე და დავინახე: მოკუნტული ბიჭი იწვა. გახვითქული, ხარხარით დავახტი ზემოდან და მინას მივაკარი. ბიჭი აფართხალდა, თავი ასწია, ველური, შეშინებული თვალები ააცეცა და ტუჩები ბოროტად მოღრიცა. მწითური, მოკლედ შეჭრილი თმა ჰქონდა, სახე კი წვრილ, ჭუჭყიან ჭორფლს დაეფარა. ტანზე მხოლოდ ძველი, დაფხრეწილი ფლასი ემოსა. ასე თითქმის შიშველი ინვა ჩემს ხელებში და პატარა ცხოველივით თრთოდა.

ჩემი აზრით, ცოტა უცნაურად გამოიყურებოდა, მაგრამ ცუდი არაფერი მიფიქრია და არც ხელი გამიშვია. ერთი კი სცადა გამსხლტომოდა, მაგრამ მაშინვე მუხლი დავაჭირე და არა, გენაცვალე, ვერსად ნამიხვალ-მეთქი. ავხარხარდი. ისიც ჩაწყნარდა, მიყრუე-

ბოდა და ხმას აღარ იღებდა. მივხვდი, რომ მოთვინიერდა და აღარ გამექცეოდა. მაშინ ხელი გავუშვი, წამოვდექით და გზასაც ერთად გავუყევით, თუმცა დამფრთხალ თვალებს მაინც არ მაშორებდა. ის მეორე, მისი და აღმოჩნდა. სამალავიდან რომ გამოვიდა, ბიჭმა მას მიაშურა და ჩურჩულით დაელაპარაკა. გოგონა თვალებდაჭყეტილი, შეშინებული უსმენდა, მაგრამ როცა მივუახლოვდი, აღარ გაქცეულან.

ასე დავინყეთ თამაში და რახან მოთვინიერდნენ, ამ თამაშში ხალისიანადაც კი ჩაებნენ. ხან აქ დაიმალებოდნენ, ხან იქ, ამ ადგილებს, როგორც ჩანს, კარგად იცნობდნენ. ვიპოვნიდი თუ არა, ასევე ჩუმად ახლა სხვა ადგილისაკენ გარბოდნენ. მდელო თითქმის მოშიშვლებული იყო, მხოლოდ ლოდები და ნაქცეული ხეები მოჩანდა. მათ კი ეს მდელო, ეტყობა, ზეპირად იცოდნენ და ხანდახან ძლივსღა ვპოულობდი ხოლმე. არასოდეს მენახა ვინმეს ასე უხმაუროდ ერბინოს, არც კი გამიგია, ბავშვი ასე ჩუმად თამაშობდეს. ცოტა ხნის შემდეგ გახურდნენ, აქეთ-იქით თრითინებივით სხარტად დაქროდნენ, ოღონდ მაშინაც კი მათგან ჩქამი არ ისმოდა. არც ჩემთვის უთქვამთ სიტყვა, მაგრამ უამისოდაც კარგად გავერთეთ, ყოველ შემთხვევაში, მე კმაყოფილი დავრჩი. თუმცა დროდადრო, შუა თამაშში უცებ გახევდებოდნენ და მდუმარედ შემომცქეროდნენ.

ეტყობა, კარგა ხანს ვთამაშობდით, სანამ ტყიდან ძახილი არ გაისმა. ბავშვებმა სასწრაფოდ შეხედეს ერთმანეთს და მაშინვე იქით გაქანდნენ. ერთი მივაძახე, ხვალ ისევ შევხვდეთ-მეთქი, მაგრამ არც კი მობრუნებულან, ბილიკზე მხოლოდ მათი შიშველი ფეხების ტყაპუნის ხმა ისმოდა.

შინ რომ დავბრუნდი, ჯერ კიდევ არავინ იყო მოსული. დედაც მალე გამოჩნდა, მაგრამ არც ის მითქვამს, სად ვიყავი, არც ის, რა ვნახე. ვერც კი გეტყვით, რატომ გავჩუმდი, თითქოს საიდუმლო გავიჩინე.

მეორე დღეს დედამ ისევ წაიღო სადილი. როგორც კი მარტო დავრჩი, მაშინვე გუშინდელ ადგილს მივაშურე და ჩემი მეგობრები მოვინახულე. მათ თავი კვლავ შორს ეჭირათ და თავდაპირველად ვერც კი გავერკვიე, ჩემი დანახვა გაუხარდათ თუ არა. ერთი კია, ისე ზუსტად დამხვდნენ, თითქოს გამიზნულად მელოდებოდნენ. ისევ ნამოვინყეთ თამაში და ამ ჩუმი სირბილისაგან მთლად ოფლში გავიხვითქეთ. აღარც მე ვყვიროდი და ვჭყლოპინებდი, თუმცა ისინი

რომ არა, ალბათ, ასეც მოვიქცეოდი. მეჩვენებოდა, უკვე დიდი ხანი იყო, რაც ერთმანეთს ვიცნობდით. ამჯერად დიდ მდელომდეც კი მივირბინეთ და უცებ დავინახე წამოშვერილ კლდის ქიმზე მიკრული ქოხი, რაღაცნაირი პირქუში იერი რომ ედო. ოღონდ ჩვენ ამ ქოხს ახლოს არ გავკარებივართ.

შინ მობრუნებულს დედა უკვე მელოდებოდა. სად იყავიო, შემეკითხა და მეც, უბრალოდ ტყეში ვსეირნობდი-მეთქი, ვუპასუხე.

ის დღე იყო და ის დღე, ყოველ ცისმარე დილას ტყეში გავრბოდი. ჩვენი ოჯახობა ისე იყო თიბვით გართული, ჩემთვის არავის ეცალა, ვერავინ ამჩნევდა, სადღაც რომ ვიპარებოდი. ბავშვები ახლა შუა გზაზე მეგებებოდნენ და თავიც შორს აღარ ეჭირათ.

ძალიან მინდოდა მათი საცხოვრებელი მენახა, ისინი კი საშუალებას არ მაძლევდნენ, თითქოს სულ იქით მექაჩებოდნენ, სადაც საერთოდ ვთამაშობდით ხოლმე. ერთხელაც გავბედე და მათ ქოხს მივუახლოვდი, ბავშვებიც ცოტა მოშორებით გამომყვნენ. აქ ყველაფერი ჩვეულებრივი იყო, ოღონდ ქოხის ირგვლივ არც ხნულები ჩანდა, არც კვლები, მიწა ისე მიტოვებულსა და გავერანებულს ჰგავდა, თითქოს ადამიანს აქ არასოდეს ეცხოვროს. ქოხის კარი ღია დამხვდა, ბავშვებს დაველოდე და შიგ ერთად შევედით. ქოხში ბინდი ჩამოწოლილიყო და შმორის სუნი იდგა. წინ ქალი შემოგვეგება, თუმცა არც მოგვსალმებია, არც ხმა ამოუღია. მკაცრი თვალები ჰქონდა ამ ქალს, თითქოს გბურღავსო, მზერაში რაღაც არასასიკეთო კრთოდა. თმა ლოყებზე კულულებად ჩამოშლოდა, დიდ, სისხლისაგან დაცლილ პირზე კი ავი ღიმილი დასთამაშებდა. თუმცა მაშინ მისი გარეგნობისათვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია, ის კი გავიფიქრე, ალბათ, ბავშვების დედაა-მეთქი და ქოხში მიმოვიხედე.

— აქ საიდან გაჩნდა? — შეეკითხა ქალი ბავშვებს.

— სათამაშოდ მოდის ჩვენთან, ტყეში, — შიშით უპასუხეს ბავშვებმა. ქალმა ცნობისმოყვარეობით შემათვალიერა და თითქოს მზერაც ცოტა შეურბილდა, ანდა ვინ იცის, იქნებ, მე შევაჩვიე თვალი. ისიც კი მომეჩვენა, თავის ქალიშვილს ჰგავს-მეთქი, აი ისეთს, სამალავიდან გამოსული პირველად რომ დავინახე — თვალებდაჭყეტილი.

ბინდს ნელ-ნელა შევეჩვიე და ვერ გეტყვით რატომ, იქაურობა რაღაც უცნაური მომეჩვენა. ჩვენი სახლისაგან თითქოს დიდად არც განსხვავდებოდა და მაინც სხვანაირი იყო, არ მომეწონა. ყველა

საცხოვრებელს ხომ თავისი სუნი აქვს, აქ კი ნესტიანი და დახშული, მძიმე და ცივი ჰაერი იდგა, იქნებ იმიტომაც ქოხი კლდის კალთას რომ მიჰკვროდა.

დავდიოდი და ყველაფერს გაოცებით ვათვალიერებდი.

მოშორებულ კუთხეში ფართო, სწორი, უშველებელი და ორლესული მახვილი ეკიდა. მასზე გამოესახათ ღვთისმშობელი, ჩვილი ქრისტეთი, თან უამრავი იდუმალი ნიშნები და წარწერებიც ამოეტვიფრათ. ახლოს მივედი, რომ უკეთ დამეთვალიერებინა — მსგავსი ხომ აქამდე არაფერი მენახა — თავი ვერ შევიკავე, ხელი წავატანე და მაშინვე თითქოს ვიღაცის ოხვრა და ქვითინი შემომესმა.

შემოვბრუნდი და ბავშვებთან მივედი.

— ვინ ტირის? — ვიკითხე.

— ტირის? არავისაც არ უტირია, — მიპასუხა დედამ და შემომხედა, თვალები სულ გადასხვაფერებოდა.

— აბა, აქ მოდი! — დამიძახა, ხელი მტაცა, უკან მიმაბრუნა და მახვილს ისევ შეეხეო, მიბრძანა.

იმ წუთშივე ღრმა ამოოხვრა და ყრუ ქვითინი ისევ გაისმა.

— მახვილია! — შესძახა ქალმა და უკან გამომწია. — მახვილი გლოვობს.

შემდეგ ხელი გამიშვა, შებრუნდა, ღუმელთან მივიდა და ცეცხლზე შემომდგარ ქოთანს მოურია.

— ვისი შვილი ხარ? — შემეკითხა ცოტა ხნის შემდეგ და მომეჩვენა, რომ პირი ავად მოეღრიცა.

ვოლელი კრისტეფორის შვილი ვარ-მეთქი, ვუპასუხე, მამაჩემს ასე ერქვა.

— აი, თურმე ვისი ყოფილხარ.

გალურსული ბავშვები ველური, შეშინებული თვალებით ერთ ნერტილს მიშტერებოდნენ.

ქალმა ცოტა ხანს კიდევ იფუსფუსა ცეცხლთან, შემდეგ საქმე მოითავა, მერხზე ჩამოჯდა, კალთაში ჩამისვა და თავზე ხელი გადამისვა.

— ოჰო, ჰო, — ჩუმად ჩაილაპარაკა და დიდხანს თვალმოუშორებლად მიყურა. — მოდი, შენიანებთან წამოვალ, ასე აჯობებს, — დაამატა ბოლოს.

ქალი მოემზადა, კაბა გამოიცვალა, რაღაც ისეთი შემოიხვია თავზე, ადრე სხვა ქალზე არასოდეს რომ არ მენახა და გზას გავუდექით.

— აქ თამაშობდით ხოლმე? — შემეკითხა, როცა ტყეში შევედით. გზაში კიდევ რამდენჯერმე გამომელაპარაკა და შეჩქვიფება რომ შემამჩნია, ხელი ჩამკიდა.

ვერაფერი გამეგო და არც არაფერი მიკითხავს.

სახლს რომ მივუახლოვდით, დედა პარმაღზე გამოვარდა. ასე გაფითრებული არასოდეს მინახავს.

— რას ერჩი ჩემს შვილს? ხელი გაუშვი-მეთქი, გესმის? ახლავე გაუშვი, შე, წყეულო!

ქალმა ხელი მაშინვე გამიშვა, სახე მოეღრიცა და დაკოდილ მხეცს დაემსგავსა.

— რა უქენი ჩემს შვილს?

— ქოხში იყო ჩვენთან...

— შენს წყეულ ქოხში შეიტყუე, არა? — დაიყვირა დედამ.

— არ შემიტყუებია, სიმართლე თუ გინდა, თავად მოვიდა. ჰოდა, როცა მახვილს მიუახლოვდა და შემთხვევით ხელი შეახო, მახვილმა ამოიოხრა და აქვითინდა.

დედა გაოგნდა და ალმოდებული თვალები შიშით შემავლო.

— თავადაც უნდა იცოდე, ეს რას ნიშნავს.

— არა... არ ვიცი.

— ჯალათის მახვილით აღესრულება.

დედამ ყრუდ დაიკივლა, ტუჩები აუკანკალდა, მიცვალებულივით გაფითრდა და მომაჩერდა, ოღონდ საპასუხოდ სიტყვა არ დასცდენია.

— ვიფიქრე, ჯობს მივიდე და გავაფრთხილო-მეთქი. შენ კი მადლობის ნაცვლად დამდგარხარ და ბოღმას ანთხევ. აჰა, ბატონო, ჩაიბარე შენი ნაბიჭვარი და ჩვენს ხმას ვერ გაიგონებ, სანამ ჟამი არ დაჰკრავს; თავადვე მოისურვე ასე!

ქალი განრისხებული გატრიალდა და წავიდა.

აკანკალებულმა დედამ ხელი დამტაცა, მკერდში ჩამიკრა და კოცნით დამახრჩო. გაყინული და გაუცხოებული მზერა ჰქონდა. შემდეგ სახლში შემიყვანა, თავად კი ეზოში გავარდა და დავინახე, მინდორში ყვირილით როგორ გარბოდა.

დედა და მამა ერთად დაბრუნდნენ, მოშლილნი და დადუმებულნი იყვნენ. დღესავით მახსოვს, ფანჯრიდან ვხედავდი, სამანის გასწვრივ გზას შინისაკენ როგორ მოუყვებოდნენ.

ჩემთვის სიტყვა არ უთქვამთ. დედა ღუმელთან აფუსფუსდა. მამა ჩვეულებრივ კი არ ჩამოჯდა, წინ და უკან ბოლთის ცემას მოჰყვა. მისი გამხმარი სახე ისე გაიყინა და გახევდა, უსიცოცხლოს დაემსგავსა. როცა დედა ერთი წუთით წყლის მოსატანად გავიდა, მამამ წინ დამიყენა, თვალებში შიშით და თან გამომცდელად ჩამხედა. შემდეგ ისევ შებრუნდა. ჩემი მშობლები ერთმანეთსაც აღარ ელაპარაკებოდნენ. მცირე ხნის შემდეგ მამა ეზოში გავიდა, ერთხანს უსაქმოდ იხეტიალა, შემდეგ გაჩერდა და თვალი სივრცეს გაუშტერა.

მძიმე და პირქუში ჟამი ჩამოწვა. სულ მარტო დავრჩი, აღარავის ვჭირდებოდი. ირგვლივ ყველაფერი სხვაგვარი იყო, მინდვრებმაც კი იცვალეს სახე, თუმცა ისევ მზიანი, ნათელი დღეები იდგა. თამაშიც აღარ გამომდიოდა. დედ-მამაც ისე მივლიდა გვერდს, თითქოს უცხო ვიყავი, თუმცა ღამღამობით, ძილის წინ, დედა ისე მძაფრად მიკრავდა გულში, სულის მოთქმა მიჭირდა.

ვერ გამეგო, ყოველივე ასე რად შეიცვალა, ასე უღიმღამო რად გახდა. ხანდახან გავხალისდებოდი კიდეც; მაგრამ ეს უწინდელ მხიარულებას სულაც არ ჰგავდა. ჩვენი მამული თითქოს ჩაკვდაო, აქ ერთმანეთს თითქმის აღარავინ ელაპარაკებოდა. თუმცა დროდადრო, ჩემს იქ ყოფნას როცა ვერ ამჩნევდნენ, დედ-მამის ჩურჩული მესმოდა. ვერ ვხვდებოდი, რა დავაშავე, მეგონა, ალბათ, საშინელება ჩავიდინე, რახან ჩემი დანახვაც კი აღარ უნდათ-მეთქი. ვცდილობდი, შეძლებისდაგვარად ჩემი თავისთვის თვითონ მომეევლო და თვალში არავის ვეჩხირებოდი. ჩემი მშობლებისათვის ასე რომ ჯობდა, ამას ვხვდებოდი.

დედას ლოყები ჩაუცვივდა, თითქმის აღარაფერს ჭამდა. დილაობით ნამტირალევი თვალები დასიებული ჰქონდა. მახსოვს ბაკის უკან ადგილი შევარჩიე და ქვებისაგან ჩემთვის ცალკე სახლის აშენებაც კი დავიწყე.

ერთხელაც დედამ დამიძახა და დავინახე, გვერდით მამა ედგა. მივუახლოვდი თუ არა, ხელი ჩამკიდა და ტყისკენ წამიყვანა, მამა კი ადგილზე დარჩა და ჩვენს კვალს გასცქეროდა. დედას სწორედ იმ ბილიკისკენ მივყავდი, მაშინ რომ დავრბოდი და სწორე გითხრათ, თავდაპირველად მართლა შევშინდი. მაგრამ ირგვლივ ყოველივე ისე უღიმღამო იყო, ჯანდაბას, ამაზე უარესი რაღა მოხდება-მეთქი, გავიფიქრე. თვინიერად მივეკარი დედას, ბილიკზე დაყრილ ქვებსა და ფესურებს ფრთხილად ვუქცევდი ფეხს, რათა დედისათვის ზედ-

მეტი საზრუნავი არ გამეჩინა, მას ხომ ისეთი შეშუპებული სახე ჰქონდა, ვერც კი იცნობდი.

მდელოზე მივედით, ქოხი გამოჩნდა და დედა აკანკალდა. მთელი ძალით მოვუჭირე ხელი, მისი გამხნევება მინდოდა.

ამჯერად ქოხში ბავშვებისა და დედის გარდა ერთი კაცი კიდევ დაგვხვდა. ჩაფსკვნილი, ძლიერი აღნაგობის მამაკაცის მსხვილი, თითქოს გადმოტრიალებული ტუჩები გარდიგარდმო ნაოჭებს დაესერა. ნაყვავილარი სახე, უხეში, ველური გამომეტყველება, მძიმე მზერა და რაღაც მოყვითალო თუ მონითალო, ჩასისხლიანებული თვალები ჰქონდა. ჩემს ცხოვრებაში არც ერთ მოკვდავს ასე არ დავუზაფრივარ.

გამარჯობა არავინ გვითხრა. ქალი ღუმელთან დადგა და ქარცახი ისე გაავებით შეუჩიჩხინა, სულ ნაპერწკლები აცვივდა. კაცმა ჯერ ალმაცერად შეგვათვალიერა, შემდეგ კი მანაც ზურგი შეგვაქცია.

დედა ზღურბლზე გაჩერდა და რაღაცას დამცირებით შეემუდარა. იმასღა მივხვდი, რომ ჩემზე ლაპარაკობდა, ოღონდ მათგან რა უნდოდა, ეს ვეღარ გავიგე. დაუსრულებლად იმეორებდა, რაღაც საშუალება ხომ უნდა არსებობდეს, თუ დახმარებას მოინდომებთო.

პასუხი არავინ აღირსა.

დედა ისეთი გაუბედურებული და გასაცოდავებული ჩანდა, მეგონა, უარს ვერაფრით ეტყვიან-მეთქი. ისინი კი არც შემობრუნებულან, თითქოს მათთვის არც ვარსებობდით.

დედა მარტო განაგრძობდა ლაპარაკს. უფრო და უფრო ტანჯული და მავედრებელი, ყრუ და სასონარკვეთილი ხმით ეხვეწებოდა. მისი საცოდაობით დავიწვი. ის კი დაუსრულებლად იმეორებდა, ერთადერთი შვილი მყავსო და თვალები ცრემლით ევსებოდა.

იდგა და ახლა უკვე მხოლოდ ტიროდა, მისმა მუდარამ, როგორც ჩანს, ნაყოფი არ გამოიღო.

ისე შევშინდი, სად წავსულიყავი, აღარ ვიცოდი და ბავშვებთან მივირბინე, კუთხეში რომ ატუზულიყვნენ. შეშფოთებით გადავხედეთ ერთმანეთს, შემდეგ კი ყველა ერთად კედელთან მიდგმულ მერხზე ჩამოვსხედით: ფეხზე დგომა აღარ შეგვეძლო.

უსასრულოდ დიდხანს ვისხედით. უცებ ეს საშინელი სიჩუმე მამაკაცის უხეშმა ხმამ გაპკვეთა. მე შევხტი. კაცი იდგა და ჩვენკენ იყურებოდა, ოღონდ მარტო მე მეძახოდა.

— გამომყევი!

აკანკალებული ფრთხილად მივუახლოვდი. იგი გზას გაუდგა, მე კი წინააღმდეგობის გაწევა ვერ გავბედე და დავედევნე. დედაც კვალში ჩაგვიდგა. ღუმელთან მდგომი ქალი შემობრუნდა და დედა-ჩემის კვალს „თფუ!"-ო, მიაფურთხა.

მოგვიანებით მე და ეს კაცი მარტონი გავუყევით გაკვალულ გზას, სახლის ახლომახლო არყის ტევრისაკენ რომ მიდიოდა. მის გვერდით ყოფნა არ მსიამოვნებდა და ვცდილობდი, მოშორებით მევლო. და მაინც, სანამ მივდიოდით, თითქოს ერთმანეთი გავიცანით. ტყის სიღრმეში, ხეებს შორის წყარო მონანწკარებდა, როგორც ჩანს, წყალს აქედან იღებდნენ ხოლმე, რადგან გვერდით სახაპავი ეგდო. კაცი წყაროს პირას მუხლებზე დაეშვა და პეშვი გამჭვირვალე წყლით აივსო.

— დალიე! — მიბრძანა.

აშკარად ეტყობოდა, რომ ცუდი განზრახვა არ ჰქონდა და მეც ხალისით ავასრულე მისი მოთხოვნა, სულაც არ შემშინებია. ალბათ, იფიქრებთ, ასე ახლოდან უფრო საზარელი დასანახი იქნებოდაო, მაგრამ პირიქით კი აღმოჩნდა. ისე გამძვინვარება მასში თითქოს აღარც იგრძნობოდა, თითქოს ჩვეულებრივ ადამიანს უფრო დაემგვანა. მუხლებზე იდგა, მისი ჩასისხლიანებული თვალების მძიმე მზერას ვგრძნობდი და მახსოვს, ნაღდად ესეც უბედურია-მეთქი, ვფიქრობდი. ამასობაში კი კაცმა წყალი სამჯერ დამალევინა.

— ესეც ასე, ახლა ჩამოგეხსენება, — მითხრა მან. — რახან წყალი ჩემი ხელიდან შესვი, ნულარაფრის შეგეშინდება. — თქვა და თავზე ხელი მსუბუქად გადამისვა.

ეს უკვე ნამდვილი სასწაული იყო!

კაცი ნამოდგა და უკან გამოვბრუნდით. მზე ჩახჩახებდა, ჩიტები ყღურტულებდნენ, არყის ფოთლებისა და ქერქის სურნელი იდგა. ქოხთან დედა გველოდებოდა და როცა დაინახა, ხელჩაკიდებულები თანხმობით როგორ მოვდიოდით, თვალები სიხარულით გაუცისკროვნდა. მაშინვე გულში ჩამიკრა და გადამკოცნა.

— უფალმა გაკურთხოთ, — უთხრა ჯალათს, მაგრამ მან ზურგი შეგვაქცია. ჩვენ კი ბედნიერები შინისაკენ გამოვეშურეთ.

— ოჰო, ჰო, — ჩაილაპარაკა ვიღაცამ, როცა თხრობა დასრულდა.

— ხედავ, რა მომხდარა.

— განსაცვიფრებელი რამეა ეს უკეთურება, სადავოც კი არ არის.

— თითქოს ცოტა სიკეთეც კია მასში მიმალული.

— ჰო.

— არადა, რა ძალა აქვს! უნდა მოგსპობს და უნდა სიკვდილისგან დაგიხსნის.

— აბა.

— საოცარია, მაშ, რა არის.

— გაიგონებ ასეთ რამეს და ნაღდად ჭკუა მოგემატება.

— მე მგონი, დედაშენს არ აწყენდა, ჯალათის ცოლისთვის ბოდიში მოეხადა. ასე რომ გამოლანძღა.

— მეც ასე მგონია, აი, მან კი არ ისურვა მონანიება.

— კარგი ერთი.

ცოტა ხნით ჩაჩუმდნენ. ლუდი მოწრუპეს და ტუჩები მოიწმინდეს.

— რა თქმა უნდა, ჯალათიც შეიძლება კეთილი იყო. ვინ არ იცის, რომ ტანჯულებსა და სნეულებს, აი, ზღვართან რომაა კაცი მისული და ყველა მკურნალს ხელი აქვს ჩაქნეული, ხანდახან სწორედ ჯალათი შველის ხოლმე.

— ჰო, ისიც ნაღდია, რომ ტანჯვა არც მისთვისაა უცხო ხილი. ეტყობა, თავადაც ეწამება იმითი, რასაცა იქმს. ვინ აღარ იცის, რომ ჯალათი სიკვდილმისჯილს აღსრულების წინ ყოველთვის პატიებას სთხოვს ხოლმე.

— სწორია. ავი ნამდვილად არა სურს იმისთვის, ვისაც კლავს. ხანდახან ძმაბიჭურადაც კი ექცევა ხოლმე. თავად მინახავს!

— სწორედ რომ ძმაბიჭურად! აი, მე ერთხელ ისიც კი ვნახე, მსხვერპლი და ჯალათი ხელგადახვეულები ფიცარნაგისაკენ ერთად როგორ მიაბიჯებდნენ.

— მიდი?!

— მინახავს-მეთქი. ორივე ისეთი მთვრალი იყო, ფეხზე ძლივს იდგნენ. რაც კი მიართვეს, ყველაფერი გადაყლურწეს და რაღაც კიდევ დაამატეს. ჰოდა, ფეხიც აერიათ. ორივე კარგად იყო გამობრუჟული, მაგრამ ჯალათი, მგონი, ცოტა წინაც უსწრებდა. „უპ“-ო, შესძახა, ეს მაშინ, თავი როცა წააცალა.

ყველამ გადაიხარხარა და კათხები მოიყუდეს.

— ესე იგი, შენც კუნძი გელოდება. თუმცა, ვინ იცის, შეიძლება, არც სხვებს აგვცდეს.

— ეგრეა, ძმაო.

— არა, მაინც რამხელა ძალაუფლება ჰქონია. ეს რა სასწაული მოგვიყევი. შეჩვენება რომ არ მოეხსნა, გათავებული იყო შენი საქმე.

— ეჰ, ძმაო, ეგეთი სასწაულები შეუძლია! მგონი, ზოგიერთ წმინდანსაც გაუსწროს!

— არა, ყველაზე დიდი სასწაულების მოხდენა მაინც წმინდა მოციქულებსა და ღვთისმშობელს შეუძლიათ.

— და იესო ქრისტეს, ჩვენი ცოდვები რომ იტვირთა.

— ეგ ხომ თავისთავად, შე, უტვინოვ, მაგრამ ახლა ქრისტე რა შუაშია. ჩვენ ჯალათზე ვლაპარაკობდით!

— ნაღდად აქვს ძალაუფლება. უკეთურებას დიდი ძალა აქვს, ამას წყალი არ გაუვა.

— ძალა კი აქვს, მაგრამ საიდანა აქვს? ეშმაკისეულია-მეთქი, გეუბნებით! ალბათ, იმიტომაცაა ხალხი ყველაზე მეტად უკეთურს რომ ეტანება. საღვთო წერილსა და წმინდა ზიარებასაც კი ურჩევნია.

— ამას კი უშველა და...

— ჰო, რაც გინდა თქვი და ამას ხომ უშველა!

— იქნებ ასეცაა.

— აი, მღვდელი, შეიძლება, ვერც კი მორეოდა.

— რას მოერეოდა! აქ ბოროტება მბრძანებლობდა, იმან ჩაიგდო ხელში.

— ფუ, სატანას ოინებია!

— ოჰ-ო-ო?

— რა, არ გაიგონეთ? ჯალათს ზურგი შეუქცევია, როცა დედამ „უფალმა გაკურთხოთო", უთხრა.

— ჯანდაბას!

— ეშმაკმა დალახვროს, დავლიოთ! ნეტავ, რას დავმსხდარვართ და ამდენ უკეთურებას ვიხსენებთ.

— სნორია, სნორი! აბა ლუდი მოგვართვით! ლუდი-მეთქი, გეუბნებით, თანაც საუკეთესო იყოს, იცოდეთ!

— საუკეთესო კასრიდან ჩამოგვისხით! ო-ო-ო... ოღონდ იქიდან არა, სადაც ქურდბაცაცას თითია ჩაკიდული... რა, მართლა ქურდის

თითი ჩამოაკონნიალეთ ლუდში?

მოსამსახურე ქალს ფერმა გადაკრა, თავი გაიქინია და რაღაც ჩაიბურტყუნა.

— ნეტავ, რას უარობ, ეს ხომ მთელმა ქალაქმა იცის! ჯანდაბა შენ თავს, თუნდაც იქიდან ჩამოასხი. მაგარი კი იყოს და რას დავ-ეძებ!.. უჰ!.. — ჯალათივით შესძახა ბოლოს.

— ძალიანაც ნუ ოხრავ, თორემ ერთხელაც იქნება თავი აღარ შეგრჩება მხრებზე. მოგინდება დალევა და ჩასასხმელი აღარ გექნე-ბა.

— ჰოდა, სანამ დრო მაქვს, უნდა მოვასწრო.

— ეს ლუდი თავად ეშმაკის მოხარშულია, გემოზე ეტყობა!

— აქ ხომ სწორედ სატანის ბუნაგში ვართ, სამაგიეროდ, უკეთეს ლუდს ვერც კი ინატრებ.

ისევ დალიეს. სუფრაზე გადაწვნენ და იდაყვები აქეთ-იქით გა-შალეს.

— აი, ვფიქრობ, ნეტავ, ხვალ ალიონზე ვინმეს დასჯიან თუ არა-მეთქი, — თქვა ბებერმა მეწაღემ.

— ეგ ვინ იცის...

— შეიძლება, დასაჯონ კიდეც...

— იმიტომ ვფიქრობ, რომ, აი, ჯალათმა მოულხინა. თანაც წი-თელი სამოსი აცვია, სრული აღჭურვილობით გამოგვეცხადა.

— ჰო... ეტყობა, ეგრეა...

— თითქოს არავის უთქვამს, ვინმეს დასჯას უპირებენო?

— არა.

— რაც არის, ეგ არის. დაფდაფების ხმას მაინც გავიგონებთ, თუკი დასცხებენ.

— ოჰ, ამდენ ყბედობას ჯობს, დალიო, ბაბუა!

ისევ დალიეს.

ახალგაზრდა ჭაბუკს თან ორი ქალი შემოჰყვა.

— ოჰო, კახპებიც მობრძანებულან!

— სადაც ჯალათი მივა, მთელი მისი ხროვაც თან მიჰყვება.

— აბა, ჯეელო, სანთლები აგვინთე, ამ შენს კახპებს თვალი მაინც შევავლოთ.

— ოჰო, ლამაზმანები ყოფილან. დიდოჯახიდან ხომ არ არიან?

— ვერ ხედავ, რომ ეგრეა.

— ჯალათის გვერდით რატომ არ სხდებით? ჰა, ხომ არ შეგვიშინდით?

— ოჰ, თქვენ ამ ჩვენს ჯალათს, ეტყობა, ნამეტანი ახლოს იცნობთ.

— ეი, უმანკო ქალწულებო, სახრჩობელასთან ხომ არ ჩაგივლიათ? ერთი ვინმეა ჩამოკონწიალებული. ღამით ტანსაცმელი გახადეს და ახლა სულ დედიშობილა კიდია, მთელი ქონება გარეთა აქვს გამოფენილი. თუ ასეთი რამ დიდი ხანია აღარ გაოცებთ! ჰო, ჰო, ეს დედაკაცები კი დილიდანვე ისე გაქანდნენ, თითქოს წირვაზე მიიჩქაროდნენ. უნდა შეიცხადონ, აბა რა, ჩამოხრჩობილს ხომ ერთი რაღაცა განსაკუთრებით მიმზიდველად მოუჩანს. ნეტავ რას ხითხითებთ? ფრთხილად, თორემ ჯალათი გიჩვენებთ სეირს.

— სამარცხვინო ბოძთან ჯერ არ გაუშოლტიხართ?

— ალბათ, არც ეგ დაკლებიათ.

— ცოტაც მოიცადეთ და მისი შოლტების შიშით ქალაქიდან სულ აორთქლდებით. თანაც თავქუდმოგლეჯილები მოკურცხლავთ. ან არადა კოხტა უკანალები დაგიმახინჯდებათ!

ერთი ქალი შემობრუნდა:

— ჰეი, შენ, იოკუმ ხვადაგო, ენას კბილი დააჭირე! ჯობს, შენს დედაკაცთან შინ წაეთრიო, ჩვენზე ნაკლებს კი არ დაეხეტება. გუშინ საღამოს ჩვენს დაწესებულებაში მოქანდა, არიქა, მიშველეთ, თორემ შინ ვერ დამაგრილესო!

— აბა, აბა, ბევრს ნუ ტლიკინებთ. თუ გგონიათ, გული გამიხეთქეთ, ძალიან შემცდარხართ. უთქვენოდაც ვიცი, რა კახპაც არის! ერთხელაც იქნება ტყავს გავაძრობ!

— ეგ არის და ეშველება!

— არ ეშველება და წირვასაც გამოვუყვან!

— მაგასაც ეგ უნდა, აიღებს და თავად სატანასთან გაგორდება.

კაცმა პასუხად რაღაც ჩაიბურტყუნა. დანარჩენები ისევ დასცინოდნენ.

— ჰო, დედაკაცების საშველი არ არის, გინდ ამ ქვეყანას იყვნენ, გინდ იმ ქვეყანას, მაინც ვერ მოარჯულებ.

— არა თქვა, ჩვენი არ იყოს, არც მაგათ აკლიათ დაწვა, ჩამოხრჩობა და სიკვდილით დასჯა.

— სწორია. ჯალათი არც მაგათ სწყალობს.

— ეგეცაა.

— ჰო, შემიმჩნევია, ზოგიერთ ჯალათს განსაკუთრებით მოსწონს კიდეც დედაკაცების ნამება.

— გასაგებიცაა, რატომ.

— თავისთავად ცხადია, ეგ უფრო სასიამოვნოა, ვიდრე მამაკაცების თავის კვეთა.

— ალბათ.

— და მაინც, ეს გემოვნების საქმეა, ვის რა მოსწონს. ყოველთვის ეგრე კი არ ხდება. ერთხელ თავადაც შევესწარი, ჯალათმა დედაკაცი ვერ მოკლა და მორჩა.

— არა, მართლა?

— ჰო, ეგრე იყო. ვერა და ვერ მოკლა, იმიტომ, რომ იქვე, ფიცარნაგზე გიჟივით შეუყვარდა.

— მიდი?

— უყურე შენ!

— ჰე! ყველამ დაინახა, რომ სიყვარულით გაითანგა. იდგა და ქალს შესცქეროდა, ნაჯახი კი ვერა და ვერ ასწია!

ქალი მართლაც ძალიან ლამაზი იყო. მახსოვს გრძელი, შავი თმა ჰქონდა. მისი მშვენიერი თვალები კი, მოკრძალებული და შეშინებული, ცხოველის თვალებივით ნამიანი, მაშინვე დაგატყვევებდა. ახლაც თვალწინ მიდგას იმდენად უჩვეულო და მშვენიერი სახე ჰქონდა. ამ ქალს არავინ იცნობდა, შორიდან იყო მოსული, სულ ახალი დასახლებული იყო ჩვენთან. ჯალათმაც პირველად დაინახა და, რა გასაკვირია, რომ ასე შეუყვარდა. ტილოსავით გაფითრდა, ხელები აუკანკალდა და „არ შემიძლიაო", ჩაილაპარაკა. ახლოს ვინც იდგა, ყველამ გაიგონა.

— კარგი ერთი! წარმოგიდგენია?

— ჰო, საოცარი სანახაობა იყო, მართლაც განსაცვიფრებელი. ხალხმა ჯალათის თვალებში სიყვარული შენიშნა და გული აუყუჩდათ, აჩურჩულდნენ და აჩოჩქოლდნენ, აშკარად ჩანდა, კაცი შეეცოდათ.

— გასაგებია.

— ჰო, ცოტა ხანს ასე იდგა, შემდეგ ნაჯახი გააგდო და ქალს ხელი გაუნოდა. ქალს კი ცრემლი წასკდა და თითქოს სიყვარულმა მის სულშიც იფეთქა. ან კი რა გასაკვირია, როცა კაცი ასე მოიქცა — ისინი ხომ ფიცარნაგზე იდგნენ და ქალიც მასში მხოლოდ ჯალათს ხედავდა.

— ჰო-ო...

— მერე რით დასრულდა?

— ჯალათმა მოსამართლეს მიმართა და ამდენი ხალხის წინაშე განუცხადა, ცოლად მინდა ვითხოვოო. ხომ იცით, ასეთ შემთხვევაში შეწყალების უფლება აქვთ, თუ მოინდომებენ, ცხადია. ხალხიც ახმაურდა, სიცოცხლე აჩუქეთო. ამ ამბავმა სუყველა შეძრა, ხალხიც და მოსამართლეც, რადგან სიყვარულის სასწაულმოქმედი ძალა ყველას თვალწინ, პირდაპირ თხემის ადგილას გადაიშალა. ბევრი იდგა და ტიროდა. ასეც მოიქცნენ. მღვდელმა მაშინვე დასნერა ჯვარი და ცოლ-ქმარი გახდნენ.

ოღონდ ქალს შუბლზე დამღა ამონვეს, როგორც ნესი და რიგია. სახრჩობელა ხომ თავისას მოითხოვს. თუმცა, როგორც გითხარით, სიკვდილს გადაურჩა.

— ხედავ, რა ხდება?

— რას არ გაიგონებს კაცი.

— მერე რაღა მოხდა? ნუთუ მართლა ბედნიერები იყვნენ?

— კი, ჯალათის სახლში ბედნიერად ცხოვრობდნენ. მეზობლები ერთხმად ამტკიცებდნენ, ჯალათი ასეთი ჯერ არასოდეს გვინახავსო. მგონი, სიყვარულმა სულ გამოცვალა, ადრე ხომ ასეთი არ იყო. სულ სხვანაირად ცხოვრობდა. ადრე მის სახლში, როგორც ნესია, ყოველგვარი უწმინდურობა ბუდობდა, ახლა შეიცვალა. ხშირად მხვდებოდნენ ქუჩაში, ქალი უკვე ბავშვს ელოდა და სხვა შეყვარებული ნყვილებისაგან არაფრით განსხვავდებოდნენ. ქალიც ძველებურად ლამაზი იყო, თუმცა თავზე ჯალათის ცოლის სამარცხვინო თავსაბური ეხურა, შუბლზე კი დამღა უჩანდა. მაინც მშვენიერი იყო-მეთქი, გითხარით.

როცა მშობიარობის დრომ მოუწია, მათაც სხვებივით, ბებიაქალის მოწვევა მოინდომეს, თითქოს სხვა ცოლ-ქმარივით მათაც უხაროდათ შვილის გაჩენა, ყოველ შემთხვევაში ხალხი ასე ამბობდა. ყველაფერი სნორედ აქედან დაიწყო. მახსოვს, ჩვენს მოპირდაპირე სახლში მოაკითხეს ერთ ბებიაქალს, აუცილებლად მისი ნაყვანა უნდოდათ, ეშინოდათ, მშობიარობის დროს ცუდი არაფერი მოხდესო. ბებიაქალმა კი უარით გაისტუმრა. სხვებმაც შორს დაიჭირეს თავი. ისინი ხომ ასე თუ ისე მაინც უკეთურები იყვნენ.

— რაც გინდა თქვი და არაა ქრისტიანული, ასეთ დროს ადამიანს, რომ არ დაეხმარები.

— უკეთურება ხომ გადამდებია, აბა, დაფიქრდი, ბებიაქალმა კი ამის შემდეგ ნესიერი ქალი უნდა ამშობიაროს.

— ეგ თავისთავად.

— ჰოდა, ასე გამოვიდა, რომ ქალი სულ მარტო დარჩა და მარტომ იმშობიარა. კაცმაც კი ვერ მოუსწრო, ცოტა ადრე დაეწყო და კარგი საქმე ვერც ეს იყო. ზუსტად არავინ იცის, რა მოხდა, სასამართლოზე კი ქალმა აღიარა, ჩვილი მოვგუდეო.

— რა თქვი?.. მოვგუდეო?

— კი, მაგრამ, რათაო?

— ამბობენ, ასე თქვა, როგორც კი ვიმშობიარე და ცოტა ძალა მოვიკრიბე, ბავშვი ავიყვანე, სახიდან სისხლი ჩამოვწმინდე და შუბლზე თანდაყოლილი ნიშანი შევნიშნე, სახრჩობელას რომ ჰგავდაო. მათ ხომ ქალსაც ამონვეს შუბლზე დამღა, თანაც ისეთ დროს, მუცელში ჩვილი რომ ჩაესახა და მასაც ამის გამო გული დაუწყულდა და დაეტანჯა. ჰოდა, არ ისურვა, ცოცხლად დაეტოვებინა პირმშო, თავიდანვე ნიშანი რომ ედო, ქალს ხომ იგი სულს ერჩია. სხვაც ბევრი რამე მოუყოლია, ოღონდ ყური მოვკარი, დაბნეულად ლაპარაკობდაო. როგორც ჩანს, მაგ საცოდავს იღბალზე ეწერა უკეთურ საქმეში გაბმა, ეგ არის და ეგ.

— მე კი ძალიან მეცოდება.

— ჰო, რაც არ უნდა თქვა, საცოდავია.

— ჰოდა, განაჩენიც გამოუტანეს, ცოცხლად დაიმარხოსო. პატარა ცოდვა კი არ დაუდვია სულზე. ჯალათი იძულებული გახდა, თავად დაემარხა. მეც ნავედი სანახავად, ძალიან კი გაუჭირდა, მას ხომ უყვარდა ეს ქალი, მართლა უყვარდა, თუმცა ბოლო დროს მისი ბოროტმოქმედების გამო, შეიძლება გულიც კი აუცრუვდა. ნიჩბით მიწას აყრიდა და თვალს არ აშორებდა მის მშვენიერ სხეულს. ნელ-ნელა , რაც კი შეეძლო, შეანელა მუშაობა. ქალსაც მთელი ამ ხნის მანძილზე სიტყვა არ წამოსცდენია, მგონი, წინასწარაც კი დაემშვიდობნენ ერთმანეთს — ინვა ქალი და სიყვარულით სავსე თვალებით უყურებდა. ბოლოს და ბოლოს, ცხადია, სახეზეც მიაყარა მიწა და ზურგიც შეაქცია. ჰო, ძალიან გაუჭირდა, მაგრამ აბა, რა ექნა, განაჩენი გამოტანილი იყო.

იმასაც ამბობდნენ, ღამით მოვიდა და ამოთხარა, იქნებ ჯერ კიდევ ცოცხალიაო, ოღონდ ჭორები მგონია, თავადაც ხომ მიხვდებოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო.

სხვათა შორის, ძალიან მალე ჯალათი ჩვენი მხარიდან გადაიხვენა და აღარავინ იცის, რა დაემართა.

— ხედავ შენ, მაინც საცოდავები არიან.

— თავადაც ხომ უნდა სცოდნოდათ, რომ არაფერი გამოუვიდოდათ, მათი უკეთურება ჩვილზედაც გავრცელდებოდა.

— ეგრეა მაშ! ისე კი მაინც საოცარია, რომ სახრჩობელას ნიშანი დაჰყვა.

— ჰო, ამას, როგორც ჩანს, ვერასოდეს მოიშორებ.

— ეგ არის.

— თავში ქვა იხალე, არ გაგიშვებს და მორჩა. ნაღდად ეგრეა.

— ესე იგი მაინც გახდა მისი ჯალათი.

— სხვა რა გზა ჰქონდა.

— როგორც ჩანს, ბედისწერა ჩაერია.

კართან ნამოძახილები და ჩოჩქოლი გაისმა. სამიკიტნოში ხმაურით შემოიჭრა ადამიანი, ზურგსუკან, სიბნელეში ვიღაცას დაუყვირა და მტევანნაკვეთილი ხელი მუქარით დაუქნია.

— მიჰქარავ, მყრალო ხეპრევ! თავად არ დათვალე ქულები, ხომ სწორი გამოვიდა, არა?

— ტყვია გქონდა ჩასხმული მაგ შენს კამათლებში, დამპალო!

— ტყვია არა, ეშმაკი! ეს რა მითხრა, ტყვია ჩაასხიო! აბა, ხმა ამოიღე იუკე.

— არაფერიც არ იყო ჩასხმული, — უპასუხა ბიჭმა, რომელიც ხელებნაკვეთილს ფეხდაფეხ შემოჰყვა.

— ეს ეშმაკის ფეხი უკვე კარგად გაქნილია, იმიტომაცაა სულ კუდში რომ დაგდევს. შენ ხომ ბანქოც ვერ დაგიჭერია ხელში, ეშმაკის სახიჩარო! ნაღდად დანიშნული იყო ბანქო, თორემ ასე როგორ გამცლიდით!

— მოკეტე, ხეპრევ! — ხელებნაკვეთილი ჩამოჯდა და ირგვლივ ალმაცერად მიმოიხედა. ჯალათის დანახვაზე სახე მოექცა. გამხდარი, ლოყებჩაცვენილი სახე ჰქონდა, თვალები კი ნაკვერცხლებივით უელავდა. ბიჭიც მის გვერდით, მერხზე მოკალათდა.

— ოჰო, ლასე ჩამოხრჩობილიც მობრძანებულა!

— ჰა, ლასე, შენც ხომ არ შეგეშინდა ჯალათთან დაჯდომა?

— ნეტავ, არ ყბედობდე!

იგი ბაჯბაჯით წავიდა და მოშორებით, სუფრის ბოლოში ჩამოჯდა. ბიჭიც უკან დაედევნა.

— სწორედ ჯალათთანაა შენი ადგილი, წყეულო, — დაუყვირა ერთმა გლეხმა. — მოიცადე, ერთხელაც იქნება, კიდევ მოგიგდებს ხელში!

— ჰო, ძმაო ლასე, ახლა სახრჩობელაზე თუ ჩამოგაკონწიალებენ, თორემ მოსაჭრელი აღარაფერი შეგრჩა.

— სისულელეებს ნუ ფქვავ, რეგვენო, ვერ მომერევა ეგ თქვენი სახრჩობელა, გესმით?

— სად შეუძლია...

— ვითომ ვერ მოგერევა?

— ხელებმოკვეთილმა მხრები აიჩეჩა და მაგიდასთან ახლოს მიინია.

— ლუდი! — შესძახა მსახურ ქალს და ქალმაც მაშინვე ჩამოუსხა. ბიჭმა კათხა მოიყუდა, მანაც მოზრდილი ყლუპი შესვა და სული მოიბრუნა. ბიჭმა ადროვა, შემდეგ კი ისევ მოუმარჯვა კათხა. — მაშ, ვყალთაბანდობ, არა? — თქვა და დინჯად შებრუნდა გლეხისაკენ, სადღაც კართან ახლოს რომ იჯდა.

— არა, ბიჭო, არ ყალთაბანდობ!

— დიდად მჭირდება ყალთაბანდობა შენი უბადრუკი გროშები რომ გამოგტყუო! თავად მოფრინავენ ჩემს ჯიბეში! სიმყრალის გამო ველარ ჩერდებიან შენთან!

— მოკეტე-მეთქი შენი აქოთებული პირი, გეუბნები!

გლეხს ყველა დასცინოდა, უფრო კარგი გინება ველარ მოგიძებნიაო.

— ნეტავ, რაში მჭირდება ან ბანქოს დანიშვნა, ან კამათელში ტყვიის ჩასხმა! ლასე ჩამოხრჩობილი უმაგისოდაც კარგად მოინყობს ცხოვრებას!

— უფრო ეშმაკური ფანდებიც იცის, მაგას რას მოერევი, შე გლეხუჭავ, შენა!

— ეგეც ისე იქცევა, როგორც სხვა თაღლითები. ვერ გამიგია, ლასე, რა დღე არ დაგაყარეს, მაინც აღარაფერი გეშველა.

— მოიცა, ერთი, ლასე არ დაიკარგება!

— ეგრე გამოდის...

— მახსოვს, თითები რომ მომაჭრეს, აი, ამხელა ვიყავი, — თქვა ხელმოკვეთილმა და ბიჭზე ანიშნა.

— ლურსმნებით კუნძზე დააჭედეს. ეჰ, თავადაც მივედი სანახავად. კარგი სანახავი იყო, რაღა! მაშინ მითხრეს: „აი, შენი ქურდული

თითები ახლა სად არისო?!" მე კი მხოლოდ ვიცინოდი, ფეხებზედაც არა მკიდია, ლასე მაინც არ დაიკარგება-მეთქი! ეგრეც გამოვიდა!

თვალები რამდენჯერმე დაახამხამა და სახე მოექცა. შემდეგ ტაკვი იუკეს გაჰკრა და ლუდი მოითხოვა. ბიჭმაც მაშინვე მოიყუდა კათხა. მას გონიერი სახე ჰქონდა, თვალებს კი ისე აცეცებდა აქეთ-იქით, არაფერი გამოეპარებოდა.

— მარტო თითები ხომ არ მოგკვეთეს, ხელებსაც მისდგნენ, ეგ კი, ალბათ, ეგრე ადვილად ვეღარ აიტანე, არა?

— ოჰ, ფეხებზედაც არა მკიდია...

და მან პირი სახელოთი მოიწმინდა.

სუფრის მეორე ბოლოში ბებერი მეწაღე წინ გადმოიხარა.

— არ გაგიგიათ? მაგას მანდრაგორას ფესვი აქვს, — ჩაისისინა და აღგზნებით დაუსტვინა.

— მე არაფრის მეშინია, — ხმამაღლა, ნიშნისმოგებით განაცხადა ლასემ. — ფეხებზედაც არა მკიდია ყველაფერი. ეგერ ბიჭიცა მყავს. გოგრა უმუშავებს, ეგრე კი ნუ გგონიათ.

— ეტყობა კიდეც!

ბიჭს შექება ესიამოვნება და თვალები მოწკურა.

— რა ვქნა, შენი შვილი ხომ არ არის, ჰა, ლასე?

— რას გაიგებ! ისე კი მგავს, ხომ იცი, ჰე, ჰე, ჩემი ალი-კვალია.

— ოჰო, ესე იგი, თვითონაც არა გცოდნია.

— არა. კახპა ჰანას შვილია, დედამისს დაეთესა, მცემდა და არ მაჭმევდაო და მე მომეკედლა. ჩემთან რამეს მაინც ისწავლის, ცხოვრებაში გამოადგება. ეგეთი დაქოქილი მეორე არ მეგულება. ჰა, იუკე, მამაშენი ვარ თუ არა?

— ჩემთვის სულერთია, — ჩაიხითხითა იუკემ.

— სნორია, არ მიმიფურთხებია? მოსწონს ჩემთან ყოფნა, მორჩა და გათავდა! ხომ ეგრეა, იუკე?

— ჰო, — გაიკრიჭა ბიჭმა.

— არა, მარტო ეგ ლაწირაკი რას გიშველიდა, ვერ დამაჯერებ.

— გეგონოს!

— მგონია კიდეც!

— არა, ძმაო, შენ რაღაც სხვა ძალებს უხმობ საშველად, ნაღდად ასეა.

— მაინც რა ძალებს, ჰა?

— აბა, მე რა ვიცი!

— არ ვიცი? მაშ, ენას რაღას ატარტარებ?

ნამიერად ყველა ჩაჩუმდა, კათხებს წასწვდნენ და მისწი-მოსწიეს.

— ესე იგი, ჭორია და არა გაქვს ფესვი?

— ფესვი არა...

— ეგრეც იქნება, აბა, შენ ფესვს როგორ ამოგლეჯდი?!

ანთებულმა თვალებმა ბინდში დაიკვესა, გამხდარი სახე კი უფრო მეტად დაიძაგრა.

— ეგრე გეგონოს, არ დამჭირდეს თორემ ლასე ეგეთებს მოერევა?

— მართლაც და.

— არა თქვა. ეგეთი ფესვის ამოგლეჯა ზედ სახრჩობელის ქვეშ ეგრე იოლია? თანაც თუ კაცს ხელები არა აქვს.

— ისიც ხომ ყველამ იცის, რომ, თუ ყვირილი გაიგონე, შენი საქმე წასულია, ესე იგი, სიკვდილმა მოგაკითხა.

ლასეს ალმაცერად შეავლეს თვალი. ის კი აკანკალდა და თავი გამომწვევად ასწია.

— მე კი ვიტყოდი, მაგ ფესვის გარდა სხვაც ბევრი რამე აქვს-მეთქი! მგონი, კარგა ხანია სული ეშმაკს მიჰყიდე, არა, ლასე?

— არა, ბიჭო!

— მეც მაგას არ ვამბობ!

— ოჰო, გაიგონეთ?

— ღამლამობით უკეთური სულები ხომ არ გაკითხავენ?

— არა... ეშმაკს ვინც დაიძმაკაცებს, იმას ვინ შეაწუხებს. იმას ახალშობილივით უშფოთველად სძინავს.

— ეგ კი ნამეტანი მოგივიდა, ლასე!

— ჰო, ძამიკო, მგონი ცოტა გადაამლაშე! ეგრე რომ იყოს, სახიჩარი ხომ არ ივლიდი ამ ქვეყანაზე!

— ჯალათმა ისე გაგალამაზა, ეშმაკის კი არა, ნაღდად თავისი ნადავლი ეგონე!

ყველა ხუმრობდა და ხარხარებდა. კაცის ანთებულ მზერაში კი ბოროტება გაკრთა.

— ფეხებზედაც არა მკიდია, გესმით?

— ვითომ ეგრეა?

— განა შენც ჯალათის ჩვეულებრივი ნადავლივით არ მოგექცნენ? ღმერთმანი ასეა!

— მერე რა! ლასე ჩამოხრჩობილს მაინც ვერავინ გატეხს! — იკივლა მან და თვალები მრისხანედ დააკვესა. — ხომ მოინდომეს, არც ეგრე იოლი აღმოჩნდა!

— რას მეუბნები? დაწყებით ხომ ნამოიწყეს, ჰა?

— ფეხებს მომჭამენ ძირში, სადა აქვთ ამდენი ძალა! — იყვირა მან და წამოხტა. — არა აქვთ-მეთქი, არა აქვთ და მორჩა. არ შეუძლიათ ადამიანებს ჩემი გატეხვა, გითხარით და გავათავე!

— რასა ბრძანებ? რაღა გვეშველება!

— ჩემამდე ვერავინ მოვა. ამქვეყნად ვერავითარი ძალა ვერ წამართმევს იმას, რაც მოვიპოვე. ჩემს მერე კი, აი, ამ ბიჭს დავუტოვებ, ეგ არის ჩემი მემკვიდრე.

— აჰ, მემკვიდრეობაც გაქვს, ლასე? გაიგონეთ, ხალხო?

— აბა, რა გეგონათ? თქვენ რომ არ დაგესიზმრებათ, იმდენი მაქვს! ეს ჩემგან ფესვსაც მიიღებს და მთელ ჯოჯოხეთსაც!

— ესე იგი, მართლა გაქვს ფესვი?!

— მაქვს დალახვროს ეშმაკმა, მაქვს. შენ რა, გაჩვენო გინდა?

— არა, არა!..

— აი, აქ მკიდია, მკერდზე! გარედან კაცუნასა ჰგავს და ეს თუ მოიგდე, მერე გინდა იქურდე, გინდა რაც გინდა ქენი, ყველაფერი შენს ხელში მოიყრის თავს, თუნდაც სულ არ გქონია ეს ხელები!

ყველამ პირი გააღო და ხელებწაკვეთილს შიშით მიაჩერდა.

— როგორ ჩაიგდე, შე, წყეულო, შენა, ნუთუ თხემის ადგილას იყავი?

— აბა, სად ავიღებდი? სახრჩობელის ქვეშ, სწორედ იქ მოვძებნე, სადაც ქარის ჩამოგდებულ გვამებს მარხავენ ხოლმე!

— რა, იქ წასვლა გაბედე? და თანაც ღამით?

— საქმეც ეგ არის, რომ გავბედე! ეგ შენ ლოგინში კოტრიალი და „მამაო ჩვენოს“ ბურტყუნი ხომ არ გგონია? შენ თავის დღეში ვერ გაბედავდი!

— ვერა! ვერა!

— რას ოხრავდნენ და კვნესოდნენ, რომ იცოდე — საშინელება იყო...

— ვინ კვნესოდა...

— ახლა ვინ კვნესოდაო... მკვდრები, ცხადია! თავს მესხმოდნენ და მებღაუჭებოდნენ, სანამ ხელებს ვაფათურებდი! ისე მეკვროდ-

ნენ! მუშტებიც კარგად დავუშინე, მაგრამ რა გამოვიდა, დასაოკებლად მოთეთქვილი გიჟებივით კიოდნენ და ბღაოდნენ! ისეთი ხმაური იდგა, თავი ჯოჯოხეთში გეგონებოდა. ერთი ვიფიქრე, გავგიჟდები-მეთქი, ვერაფრით ვერ ვიშორებდი თავიდან. „შორს ჩემგან, წყეულებო, შორს ჩემგან, უწმინდურებო, ჯერ არ მოვმკვდარვარ, ჯერ ცოცხალი ვარ და ფესვიც გამომადგება-მეთქი", ვკიოდი. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, გაიფანტნენ და მაშინვე სახრჩობელას ქვეშ ამოსული ფესვი დავინახე. სახრჩობელაზე კი მაშინ პეტერ-ყასიბი და კიდევ ვიღაც-ვიღაცები ეკიდნენ. ტაკვით მიწა გავთხარე, შემდეგ კი გავწექი და კბილებით ამოვგლიჯე!

— რაო? კბილებითო?

— კბილებით, დიახ! ვისაც ვერაფერი გაუბედავს, სხვისიც არ უნდა, რომ დაიჯეროს!

მის გამძვინვარებულ მზერას ცეცხლის ალი ასდიოდა.

— უცებ ფესვმა ყმუილი დაიწყო და ისეთი, ძარღვებში სისხლი გაგეყინებოდა! მაგრამ სხვებივით ყურებზე კი არ ამიფარებია ხელი! დედაკაცი ვარ თუ რა?! ვითმენდი და ფესვს ვექაჩებოდი და ვექაჩებოდი! ირგვლივ სიკვდილის, გახრწნისა და სისხლის სუნი იდგა, მიწისქვეშეთიდან კივილი და ბღავილი ისმოდა! მაგრამ მე ყურებზე არ ამიფარებია ხელი! ვექაჩებოდი და ვექაჩებოდი! იმიტომ, რომ მისი მოპოვება მსურდა!

იგი შლეგიანივით ძაგძაგებდა და ყველამ უკან დაიხია.

— როგორც კი ფესვი ამოვგლიჯე, ირგვლივ ყველაფერი ახმაურდა, აზანზარდა, აყირავდა! უფსკრული განიხვნა და გვამები და სისხლი ამოცურდნენ! ბნელეთი გაიპო და ცეცხლის ალმა დედამინას გადაუქროლა! კოშმარიც იყო და გლოვის ზარიც! ყოველივეს ალი მოედო! თითქოს დედამინაზე თავად ჯოჯოხეთი გადმოიფრქვა! მე კი ვკიოდი: „ახლა ჩემია, ჩემია მეთქი!"

კაცი იდგა, როგორც დასახიჩრებული, საზარელი მოლანდება და თავს ზემოთ ტაკვებს იქნევდა, თვალებს შლეგიანივით აბრიალებდა, ხმას კი ადამიანისეული აღარაფერი შერჩენოდა.

— მაქვს მემკვიდრეობა, მაქვს-მეთქი, გეუბნებით! დალახვროს ეშმაკმა, მაქვს, მაქვს!

ჯალათი არ განძრეულა. მისი მძიმე მზერა დროის მიღმა, სიბნელეს მიშტერებოდა.

* * *

ხალხმა იმატა, დარბაზი გაიჭედა და ახმაურდა. ბინდში ადამიანების სიცილისა და ჭიქების ნკრიალის ხმები ისმოდა. ჭერზე დაკიდული შუშის ბურთი ნელა ტრიალებდა და დახშულ, მოლურჯო-მოიასამნისფრო თუ მომწვანო სხივებს აფრქვევდა. ოთახის შუაგულში მოცეკვავე წყვილები ტრიალებდნენ, მუსიკას ინტიმური ყღერადობა შეეძინა. თანდათან მოცეკვავეებმა მაგიდის შუა გასასვლელებიც დაიპყრეს და მთელ დარბაზს მოედვნენ. თვალებმიბნედილი, ღია ფერის კაბებში გამოწყობილი ქალები მამაკაცებს კისერზე ჩამოჰკიდებოდნენ. ჯაზური რიტმები ქუხდა.

ჩაფუნთუშებულმა ლამაზმანმა ჯალათის გვერდით ჩაისრიალა და კავალერის მხრის ზემოდან მას თვალი შეავლო.

— შეხედე, ჯალათიც აქ ყოფილა, — წამოიძახა ქალმა. — რა საინტერესოა!

ამ ხმაურიან ალიაქოთს ათინათები დასთამაშებდა, მაგიდებს მკრთალი მიწისფერ-მომწვანო შუქი ეცემოდა, ოფლში გახვითქული მიმტანები აურზაურსა და წივილ-კივილში აქეთ-იქით დაქროდნენ და შამპანურის ბოთლებს ხმაურით ხსნიდნენ.

ჩასუქებული ბატონი, გულისპირი რომ ამოსჩაჩოდა, ჯალათს მიუახლოვდა და თავი მონიწებით დაუკრა.

— ჩვენთვის დიდი პატივია ჯალათის ხილვა, — თქვა მან, მლიქვნელურად მოიფშვნიტა ხელები და გაისწორა პენსნე, რომლის მიღმაც ეკლიანი თვალები უელავდა.

ცეკვა დასრულდა, წყვილები დაიშალნენ და გაღიმებულები სუფრებთან დაბრუნდნენ.

— იცით, ჯალათი აქ ყოფილა!

— რას მეუბნები?!

— ჰო, შეხედე, აი, იქ ზის!

— აუჰ, რა კარგია, არა?

ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელსაც ენერგიული მოზარდის სახე ჰქონდა, ჯალათს მიუახლოვდა, ქუსლი ქუსლს შემოჰკრა და მარჯვენა გაჭიმული ხელი წინ აისროლა.

— ჰაილ! — დაიძახა და წამიერად გაიყინა. შემდეგ შემობრუნდა, ქუსლი ქუსლს კიდევ ერთხელ შემოჰკრა და უკან, თავისი ადგილისაკენ გაემართა.

ყველა უაზროდ ყბედობდა და ხარხარებდა. დარბაზში ჩამოძონძილი კაცი შემოიპარა და მაგიდებს შემოუარა. იგი თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა და გაძვალტყავებულ ხელებს მოწყალებისათვის იქამდე იშვერდა, სანამ გარეთ არ გააგდეს.

ქუჩის კახპები ისხდნენ და სასმელს ნრუპავდნენ.

— ნახე, ნახე, რა შნოიანია, როგორ უხდება ეს წითელი კოსტიუმი, არა?

— ჰო, კარგი ვინმეა!

— მტაცებელ მხეცს არა ჰგავს? აი, მესმის, ნამდვილი მამაკაცია!

— გარეგნობით სნორედ ნამდვილ კატას ჰგავს!

— არაფერი შეგეშალოს, გააფრინე და ეგ არის. კაცი ვარო, მაგან უნდა თქვას!

— ეს ხელები რაღას შემოუწყვია შუბლზე?

— აბა, მე რა ვიცი.

— მაინც შნოიანია.

— ჰო!

— როგორ ფიქრობ, ჯალათთან რომ ... ჰა?

— ო... ო... — ეჭვიც არ შეგეპაროს, თითებს ჩაიკვნეტ.

მუსიკა კვლავ გაისმა და ამჯერად მიბნედილ-მინაზებულად აჟღერდა. ორკესტრი გამოცვლილიყო. წყვილები ნელა ირწეოდნენ, ლურჯი შუქის ათინათი მხრებზე ჩამონყობილ ხელებსა და მინაბულ თვალებს ეცემოდა.

— რა, ხვალ დილით ვინმეს უპირებენ დასჯას?

— არ ვიცი, მაგრამ დასასჯელების მეტი რა ჰყავთ. მე თუ მკითხავ, ასემც უქნიათ, სულ ამოუხოცავთ.

— ჰო, სულაც არ იქნებოდა ურიგო. ადამიანები ამქვეყნად საჭიროზე მეტად გამრავლდნენ. ცხადია, მე ნამდვილ, სრულფასოვან ადამიანებზე მოგახსენებ. საუკეთესოები, ყოველ შემთხვევაში, როგორც წესი, ცოცხალი რჩებიან. დარწმუნებული ვარ, ამას, ნამდვილად აქცევენ ყურადღებას.

— აბა, რა!

ხანშიშესულმა ბატონმა, სამხედროსავით რომ გაჭიმულიყო და ტუჩებს იკვნეტდა, ჯალათის მაგიდას მყარი და თანაც სხარტი ნაბიჯით ჩაუარა.

— კარგია, რომ წესრიგი დამყარდება, ბატონო ჯალათო! ხალხმა თავი აიშვა, დალახვროს ეშმაკმა, დროა მოარჯულონ!

— რაშია საქმე, ბატონო. ჩვენ მშრალი ღვინო შეგიკვეთეთ, თქვენ კი ნახევრად მშრალი მოგიტანიათ. ეს რა უმსგავსობაა!

— ოჰ, უკაცრავად...

— დიახ, დიახ, აბა, მეტი რა გაქვთ სათქმელი. პირდაპირ ავ თვალს არ ენახვება თქვენი მომსახურება. თანაც ამდენი ხანი გვალოდინეთ!

— არა, გენაცვალე, გამოცვლა მოგიწევს. ჩვენ მხოლოდ მშრალ ღვინოსა ვსვამთ.

ნაპატიები ბიურგერი ქალი ტუალეტიდან ბაჯბაჯით გამოდიოდა. ჯალათის დანახვაზე ხელები აასავსავა.

— შეხედეთ, შეხედეთ! ჯალათიც აქ ყოფილა! აუცილებლად უნდა ვაცნობო ჰერბერტს!

ქალი ჯალათს მიუახლოვდა და მხარზე ხელი ნდობით დაადო.

— ჩემს შვილს ნაღდად გაუხარდება თქვენი გაცნობა. ჩემი საყვარელი ბიჭუნა ხომ პირდაპირ ქედს იხრის სისხლის ღვრის წინაშე.

ქალმა თავი ასწია და დარბაზს დედის ღიმილით მოავლო თვალი; თავისიანებს ეძებდა.

მუსიკა მოთენთილივით ჟღერდა და ქალთა მოქნილ, სალუქ სხეულებს ეალერსებოდა. შავტუხა ბიჭუნა, ორმაგი კარიდან დარბაზში რომ შემოპარულიყო, ახლა მაგიდებს შორის დაძვრებოდა, ძონძებს იწევდა და ქვეშ შიშველი ვარო, ყველას აჩვენებდა. ბოლოს მიმტანებმა დაიჭირეს და ქუჩაში გააპანღურეს.

— პირიქით, ბატონო ჩემო! ძალადობა ადამიანის არა მხოლოდ ფიზიკური, სულიერი ძალების უმაღლესი გამოვლინებაცაა! ეს ფაქტი ბოლოს და ბოლოს აშკარად დადასტურდა და სწორედ ჩვენი წყალობით! ხოლო ვინც სხვაგვარად ფიქრობს, სწორედ ძალადობის საშუალებით შევაცვლევინებთ აზრს. აი, მაშინ ნაღდად დაგვიჯერებენ. თქვენ რა, სხვაგვარად ხომ არ ფიქრობთ? არ მეთანხმებით?

— რას ბრძანებთ, ცხადია, გეთანხმებით.

— ჰო, ჩვენც ამის იმედი გვაქვს.

— მაშ, ასე. ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ. ყველა, ვინც სხვაგვარად ფიქრობს, უნდა დასაჭურისდეს! ეს ელემენტარული აუცილებლობაა, თუ გვსურს ჩვენი იდეების გამარჯვებას ფესვი გავუმაგროთ! აბა, რომელი ჭკუთმყოფელი მოგვთხოვს ამ გადამ-

დებ სენს საშუალება მივცეთ შემდგომ თაობებსაც მოედოს. არა, ბატონო ჩემო! ჩვენი პასუხისმგებლობა კარგადა გვაქვს შეცნობილი.

— ჰო, რა თქმა უნდა!

— არა, ბატონო ჩემო, ძალიან სასაცილო კია, მაგრამ თქვენ ისევ წარსული და ჩვეული ფასეულობის გავლენის ქვეშ ბრძანდებით მოქცეული. ბოლოს და ბოლოს გაიგეთ, რომ ჩვენი მსოფლმხედველობის გარდა, ყველა დანარჩენი დასამარდა! აღარ არსებობს, გასაგებია? ერთხელ და სამუდამოდ დასამარდა!

— რას მეუბნებით! აი, ახლა გასაგებია! ჰო, ასე იქნება, ცხადია!

— რა იოლია, არა? საკმარისია, ჩვეული აზრთაწყობისაგან თავი გამოიხსნა და ჩვენს სრულიად ახლებურ შეხედულებებს მაშინვე შეისისხლხორცებ, ხომ, მართალია? ცოტა დასაწყისში გაგიჭირდება, თორემ საერთოდ ძალიანაც იოლია.

— ჰო, რა თქმა უნდა.

— არასოდეს გინახავთ ურჩებს რა საფუძვლიანად სცემენ? ჩვენს პრაქტიკაში ამას ხშირად ვიყენებთ. ფრიად შთამაგონებელი სანახაობაა. გარწმუნებთ, ისეთი შეგრძნება გიჩნდება, თითქოს კაცობრიობის აღზრდის და ახალი, უფრო ამაღლებული ცხოვრების შექმნისა თუ სრულქმნის საქმეში უშუალო მონაწილეობას იღებდე.

— ოჰ, დიახ, მართლაც სიამოვნებით ვნახავდი.

— იყო შემთხვევები, ოთხმოცი წლის ბერიკაცებიც კი მოგვიქცევია, თუკი დრო არ დაგვენანებოდა, ცხადია.

— ნამდვილი სასწაულია. საერთოდ, ხალხში ჭეშმარიტი რწმენის გავრცელება ხომ წარმოუდგენლად ძნელია.

— ჰო, ნამდვილად! თუმცა, გარწმუნებთ, ჩვენ განსაკუთრებულ ნარმატებებს მივაღწიეთ!

— ჩვენ შეცნობილი გვაქვს პასუხისმგებლობა მომავალი თაობების წინაშე, გასაგებია? ვიცით, რომ ერთი წუთის დაკარგვაც კი არ შეიძლება. თუ ახლა ჩავუნერგეთ ხალხს სწორი აზრები, მომავალში ყოველთვის სწორად იფიქრებენ! არ უნდა დაგვავიწყდეს, რა დიად დროში ვცხოვრობთ! ჩვენს დროს მთელი კაცობრიობისა და ცხოვრების მომავალი განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება!

— ჰო, რა თქმა უნდა.

— ისიც შეცნობილი გვაქვს, რომ პასუხისმგებლები მხოლოდ ჩვენა ვართ.

— კლასებიო, არავითარი კლასები აღარ არსებობს! ჩვენი დროის მნიშვნელობა და სიდიადე სწორედ ეს არის! არსებობს ხალხი, ვინც ჩვენსავით ფიქრობს და ხალხის რაღაც რაოდენობა, ვინც ვირის აბანოში ჩააყუდეს, რათა ჩვენსავით ფიქრი ასწავლონ. თუკი ვინმე ცოცხალი გადარჩა, ნამდვილად ისწავლის.

— აბა, შეხედეთ, აქ, მაგალითად, შამპანურს სვამენ, ან უმეტესობა უბრალოდ ლუდს ყლურწავს. ბიურგერებიც, მუშებიცა და მდიდრებიც ერთმანეთში არიან აზელილები და ყველა ზუსტად ერთნაირად, სწორედ ჩვენსავით აზროვნებს! ვინც ვირის აბანოში არაა ჩაყუდებული, ყველა ჩვენსავით ფიქრობს!

— ჰო.

— როგორც იქნა, გადაიშალა ჩვენი თვალის წინ ერთიანი და შედუღაბებული ერის შესანიშნავი, ჯერ არნახული სურათი! ეჭვიც არ მეპარება, რომ მალე მათ გზააბნეულებიც შეუერთდებიან. ვინც გაჯიქდება, იმათ მალე მოვუგრეხთ კისერს! ხალხი ერთ მუშტადაა შეკრული თავისი ციხეების ირგვლივ და ნეტარებით ელოდება, როდის გაიგონებს კიდევ ერთი მოქცეულის კივილს!

— შესანიშნავია! რა ამაღლებული სულია!

— ჰო, ასეთი რამ მსოფლიოს ჯერ არ უხილავს! ეს საყოველთაო ლოცვასა ჰგავს. ბევრი სმენაზეა გაჭიმული და ისე ელოდება ახლად მოქცეულთა კვნესას. აი, ასეთი მოწიწებით ეთაყვანებიან თვალთაგან დაფარულ საიდუმლოს, მათ რასაში რომ აღესრულება. ჭეშმარიტად პათეტიკური სანახაობაა. ასეთი რამ მხოლოდ ჩვენთან შეიძლება მოხდეს. ჩვენ ამქვეყნად არც ერთ სხვა ხალხს არ ვგავართ! სულ არა ვგავართ!

— ჰო, ჩვენ აუცილებლად გვჭირდება საკუთარი ღმერთი, თანაც რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოვიპოვოთ! დაუშვებელია, რომ ჩვენი ხალხი იმ ღმერთს ეთაყვანებოდეს, რომელსაც სხვა, არასრულფასოვანი რასები ეთაყვანებიან. ჩვენი ხალხი ძალიან ღვთისმოსავია, მას საკუთარი ღმერთი სურს ჰყავდეს. რაღაც სხვა, საერთო ღმერთის წარმოდგენა ჩვენი შეხედულებების მთელი სისტემის აშკარა დაცინვაა და სწორედ ისე დაისჯება, როგორც დანაშაულის სხვა ფორმები ისჯება ხოლმე.

ერთი საეჭვო სუბიექტი დარბაზის ბინდბუნდში დაეხეტებოდა და თავხედური ღიმილით მათხოვრობდა. თუ არაფერს მისცემდნენ, მაგიდას ხელს ჰკრავდა და ჭიქებიდან სასმელს ღვრიდა.

მოშორებულ კუთხეში სუფრას კომპანია შემოსხდომოდა.

— რა ჯანდაბაა! ჩვენ ლუდი და სოსისები შეგიკვეთეთ, თქვენ კი შამპანური მოგაქვთ. რა უმსგავსობაა! ამ ნასუქი ღორებივით მილიონერები ხომ არ გგონივართ?

— მომიტევეთ, მაღალი წრის ხალხია-მეთქი, ვიფიქრე...

— ფუ, ჯანდაბას! მეორედ თვალები გაახილე, თორემ ერთს ისეთს მოგაკერებ, ეგრე ზეზეურად აღარ ჩამოგეძინება!

დარბაზში ფეხარეული ჯარისკაცი შემოვიდა, ჯალათს გვერდით მიუჯდა და სახეში მიაყარა:

— რა ბრიყვს დამსგავსებიხარ!.. საველე ფორმა რად არ გაცვია, ჰა? არა, ერთი ამას დამიხედეთ, ჰა!..

— ჩუ... — ჩაიჩურჩულა ვიღაცამ გვერდით. — ნუთუ ვერ ხედავ, ეს ხომ ჯალათია.

— ვხედავ, ბატონო, ვხედავ! რომ ვხედავ, იმიტომაცაა სიცილით რომ ვიგუდებოდი. ესაა ჯალათი? ფუ, ვის რაში სჭირდება ასეთი ჯალათი! ტყვიამფრქვევები გვინდა, ტყვიამფრქვევები! და კიდევ ყუმბარები!.. აი, ეს მესმის, გასაგებია? არ ვარგიხარ ამ ხელობისათვის, ზედ გეტყობა, რომ არ ვარგიხარ!

— სისულელეებს ნუ როშავ. ვარგა კი არა, იქნებ, უკეთესიც იყოს. ნეტავ, ტყუილად რას ქაქანებ, ყმაწვილო, თქვენ ხომ მონათესავე სულები ხართ, თავადაც გესმის.

— მეც მაგას ვამბობ, ტყვიამფრქვევები გამოიყენოს-მეთქი!.. კარგი გამოგონებაა, თანაც თანამედროვე, გესმით თუ არა?.. ერთ ნამში, ბახ, და ყველაფერი გათავებულია!.. საველე ფორმა გჭირდება-მეთქი, გესმის, ბებერო?

— ძალიან ნუ გადაამლაშე! ჩემს ღამის ქოთანსაც კი შენზე უკეთ ესმის ომი რა არის! ზედვე გეტყობა, რომ ჯერ არ მოგისუნია!

— არ მესმის და გავიგებ, გასაგებია? ეშმაკს გეფიცები, გავიგებ! აი, მაშინ მიყურე, დალახვროს ეშმაკმა!

— ჰო, აბა რა, შენ თუ აიწყვიტე!..

— ჰო, მეცა და სხვებმაც! ნუ გეშინიათ, ჩვენი საქმე კარგად ვიცით! და არც მხდალების რიცხვს განვეკუთვნებით!

— ყოჩაღ, ყმაწვილო, სწორი ხარ!

— ყოჩაღი ბიჭია, თუმცა მაგისი თავქარიანი თავისათვის ამდენი ლუდის ყლურნვა მეტისმეტი გამოდგა. რა კარგია, რომ ჩვენს მშვენიერ ქვეყანაში ასეთი სასიქადულო ახალგაზრდობა გვეზრდება!

მოხუც კაცს გული აგიჩუყდება ამის შემხედვარე...

— ეჰ, ბებრებო... ნეტავ, თქვენც რამე გესმოდეთ... შენ გაგიმარ-ჯოს, ჯალათო! აი, შენ ნამდვილად მომწონხარ! მე და შენ — ორივე ერთად რომ შევეჭიდოთ, როგორმე მოვანესრიგებთ ამ ქვეყანას!.. რატომ არა სვამ? ვითომ რაო. ყურები ხომ არ ჩამოგიყრია?

ერთ სუფრასთან მიმსხდარი ხალხი ისე ხარხარებდა, რომ სტუმ-რებსაც და მიმტანებსაც თვალი იქით გაურბოდათ. ახალგაზრდა ქალი ლამის წელში გადანყვეტილიყო.

— ომი გვჭირდება, ეს დღესავით ნათელია! ომი ჯანმრთელობაა, ბატონო! ერი, რომელსაც ომი არ სურს, სნეული ერია!

— სწორია! მშვიდობა ჩვილი ბავშვებისა და ავადმყოფებისთ-ვისაა გამოგონილი — აი, მათ ნამდვილად სჭირდებათ! მოზრდილი, ჯანმრთელი ადამიანი კი, აბა, რა თავში იხლის!

— სანგარი ერთადერთი ადგილია, სადაც კაცური კაცი თავს შეიძლება კარგად გრძნობდეს! მშვიდობიან დროსაც კი სანგრებში უნდა ცხოვრობდე, ამ სახლებმა მეტისმეტად გააააზიზა ხალხი!

— ჰო, აბა, ომისეულ ტყვიის შხაპს რა შეედრება! ჯანმრთელი ერი უამისოდ ათწლეულზე მეტს ვერ გაძლებს, ვერა! ან არადა, გა-დაშენდება, თუ, ცხადია, მართლა ნორმალურ ერთან გაქვს საქმე.

— ის, ვინც ომს შეწყვეტს — მოღალატეა!

— ნაღდად!

— ძირს მოღალატეები! ძირს მოღალატეები!

— სიკვდილი მოღალატეებს!

— მაშინაც მოღალატეა თუ ომს გამარჯვებით დააგვირგვინებს. ამ შემთხვევაშიც კი საკუთარ ერს მშვიდობიანი არსებობის სრულ გაურკვევლობას უსჯის უნამუსოდ. რა არის ომი, ეს ყველასთვის ნათელი და გასაგებია, ხოლო თუ ხალხი მშვიდობით ცხოვრობს, მას ყოველი მხრიდან იდუმალი ხიფათი ემუქრება.

— ნაღდად ასეა.

— გვეყო, ბატონო! დროა ბოლო მოვუღოთ ამ დამღუპველ მო-თენთილობას! ბავშვები ომისთვის უნდა აღვზარდოთ. სიარული მათ სამხედრო საჭიროებისათვის უნდა ისწავლონ და არა თავიანთი დედიკოებისათვის!

— ამ საქმეს მალე ეშველება. ბავშვებს ჩვენ თვითონ აღვზრდით. არ შეიძლება, ისინი უპასუხიმგებლო მშობლების იმედზე დავტო-ვოთ.

— რა თქმა უნდა.

— ასე და ამგვარად ჩვენი მომავალი განაღდებული იქნება.

— თუ სწორად გავიგონე, ომზე საუბრობდით, ჩემო მეგობრებო, — ჩაერია კაცი, რომელსაც ტყვიებისაგან დაგლეჯილ სახეზე მხოლოდ ქვედა ყბა გადარჩენოდა, ზედა ნაწილს კი წითელი, ხეშეში კანი ფარავდა. — მართალი გითხრათ, გული გამინათდა! იმედი მაქვს, მოვესწრები იმ ბედნიერ დღეს, როცა ჩემი ერი გარდასული ბრძოლის ველებისაკენ კვლავ ამაყად გასწევს! კიდევ იმედი მაქვს, რომ თანამედროვე მეცნიერება ამ დროისათვის ისეთ სიმაღლეებს დაიპყრობს, მეც კი შევძლებ ომში მონაწილეობის მიღებას. ახლა ხან ერთი წიგნი გამოვიდა. შიგ წერია, მეცნიერები ცდილობენ იმას მიაღწიონ, რომ ადამიანი მხოლოდ სულის მეშვეობით ხედავსო. ესე იგი, დამიზნებასაც შეძლებს, არა? თუ ასე იქნა, პირველ რიგებში მე მიგულეთ და თვალიც გამჭრიახი მექნება, რადგან სული, მეგობრებო, სწორედ მოწოდების სიმაღლეზე მიდგას!

— ბრავო! ბრავო!

— მშვენიერია!

— შესანიშნავია!

— ასეთი ხალხი მხოლოდ დიად დროს შეიძლება იშვას!

— ტყუილად კი არ ამბობენ, ომი აკეთილშობილებს ადამიანსო, აშკარად ასეა!

— ასეთ ერს ჭეშმარიტად ვერავინ დაამარცხებს!

— ცხადია, ჩვენი იდეები მთელ მსოფლიოს უნდა მოეფინოს! საშინელება იქნებოდა, სხვებისთვის რომ არ გაგვეზიარებინა! ხოლო, თუ რომელიმე ერი არ ისურვებს მის გაზიარებას, სხვა რა გზა გვრჩება, უნდა გავანადგუროთ!

— რაღა თქმა უნდა, მათთვისვე იქნება ასე უკეთესი. ნებისმიერი ერი ჯობს განადგურდეს, ვიდრე ამ იდეების გარეშე დარჩეს.

— რა თქმა უნდა!

— მსოფლიო მადლიერიც კი დაგვრჩება, როცა მიხვდება, რისთვის ვიბრძოდით.

— ჰმ, სწორედ რომ საჭიროა, კაცობრიობამ დროდადრო დააქციოს თავისივე შექმნილი! ან არადა, აღქმის ბავშვური უშუალობა დაიკარგება. ნგრევა უფრო მნიშვნელოვანი მოვლენაა, ვიდრე პრიმიტიული შემეცნება, მასში ხომ უბრალოდ ჩვევის ძალა ვლინდება. რა დიადი და მშვენიერი ჟამი დაგვიდგა! შემეცნების მოსურნე მონ-

დომებული და მშრომელი ჭიანჭველები ყოველთვის მოიძებნებიან, ამაზე თავის შენუხებაც არ ღირს, თავხედი გონება კი, ერთი ხელის დაკვრით რომ გაანადგურებს ადამიანთა სათამაშო სამყაროს, რათა ყოველივე თავიდან დაიწყოს, იშვიათად ჩნდება და ისიც მხოლოდ მაშინ, მისი ღირსნი რომ ვხდებით!

— ჰო, ჩვენი ერი აბსოლუტურად ჯანმრთელი ერია! ამიტომაც გვყოფნის ძალა პირდაპირ განვაცხადოთ: ჩვენ გვხიბლავს ის, რაც სხვებს ჩაგვრად მიაჩნიათ. ამას მხოლოდ დაბეჩავებული ან დეგენერატული რასები გაურბიან. ყველა ძლიერი ერი მის თავზე აღმართულ მათრახს სიხარულით ეგებება და თავსაც მშვენივრად გრძნობს!

— ნამდვილად ასეა, არა? ყველაზე მეტად კი ფრთები იმან შეგვასხა, ჩვენს რიგებში ახალგაზრდობა რომ ვიხილეთ. ახალგაზრდობა — ჩვენი საყრდენია! ეს მამაცი, არასენტიმენტალური და თანამედროვე ახალგაზრდობა! ჩვენ, ძალაუფლების მქონეთ, ყველგან გვიჭერენ მხარს და ახალგაზრდა გმირები არიან!

— კი, ჰყოფნით ასეთი სიმამაცე!

— მგონი, რაღაც ჩაილაპარაკეს?.. არა? ალბათ, მომესმა.

შემოსასვლელ კართან ჩოჩქოლი ატყდა, ხალხი აჩურჩულდა, ადგილებიდან წამოიშალა. ყველა იქით იყურებოდა და ხელს წინ იშვერდა. დარბაზს ხმაურის ტალღამ გადაუარა.

— გაუმარჯოს მკვლელებს! გაუმარჯოს მკვლელებს!

ორი კარგად ჩაცმული, მომხიბვლელი ახალგაზრდა, გარეგნულად სხვებისაგან არაფრით რომ არ გამოირჩეოდა, ხელების ორ მწკრივს შორის მოაბიჯებდა და აქეთ-იქით ხალხს თავს თავაზიანად უკრავდა. მთელი დარბაზი წამოიშალა, საცეკვაო მუსიკა შეწყდა და ორკესტრმა, რომელიც საუკეთესოდ ითვლებოდა, მაშინვე ჰიმნი დასჭექა. ამ ჰიმნს ყველა ფეხზე მდგარი ისმენდა. სამი მიმტანი მაშინვე ახლად შემოსულებისაკენ გაქანდა. მეტრდოტელიც უკან დაედევნა და სიჩქარეში ლუდის კათხებითა და წითელი ღვინის გრაფინებით სავსე მაგიდა ვიღაც ქალბატონებზე წამოაპირქვავა. ქალებმა ჩუმად, თან მხურვალედ დაარწმუნეს, არაფერიაო, და ისიც კვლავ ახალმოსულებისაკენ გაეშურა. დარბაზი გაჭედილი იყო, ამიტომ ვიღაც იძულებული გახდა, წამომდგარიყო და შინისაკენ გაეტია, ახალგაზრდები კი განთავისუფლებულ მაგიდას შემოუსხდნენ.

— რა ჯანდაბაა, სადაც არ უნდა მიხვიდე, ყველგან გცნობენ!

— დალახვროს ეშმაკმა, მართალია! — უპასუხა მეორემ, პირიდან ბოლი გამოუშვა და შეკვეთის მოლოდინში ფეხები მაგიდის ქვეშ გაჭიმა. — მგონი, უკვე მომბეზრდა კიდეც.

— ჰო, რომ გვცოდნოდა მკვლელად ყოფნა ასე მძიმე ტვირთი აღმოჩნდებოდა, ის ჯეელი შეიძლება არც მიგვეხვრიტა. სხვათა შორის, არა უშავს რა, კაი ბიჭიც კი იყო.

— ჰო, მაგრამ შუბლზე ეწერა, ჩვენიანი რომ არ გახლდათ.

— ეგ კი ეგრეა, მაგრამ შუბლზე, კაცმა არ იცის, რა ეწერა.

ზანგთა ორკესტრი ისევ ფოქსტროტს ახუჭუჭებდა. დარბაზში გაძვალტყავებული ქალი შემოეხეტა თავშალში გახვეული ჩვილით ხელში და რადგან თვით მომსახურეებმაც კი არ მიაქციეს ყურადღება, ცოტა ხნის შემდეგ ისევ უკან გაბრუნდა.

— მოხვალ ამაღამ გვამების გადასათრევად?

— გვამების გადასათრევად?

— ჰო, ზოგიერთი მოღალატისა და ახალი მსოფლმხედველობის მტრების გვამები საფლავებიდან უნდა ამოვთხაროთ და ჭაობში გადავუძახოთ. მათი ადგილი სწორედ იქ არის.

— ჰმ...

— ჰმ?.. რა, არ გინდა?

— არ ვიცი. აზრი ვერ გავიგე.

— აზრი? ჩვენი მოძრაობის იდეაა, ძამიკო!

— კი მაგრამ... ისინი ხომ ბევრად ადრე დაიხოცნენ, სანამ ეს იდეა გაჩნდებოდა.

— მერე?

— ეს უკვე ჯანდაბამ უწყის, რა არის.

— რა თქვი? არ გინდა? უარზე ხარ?

— რა უარი, უბრალოდ ვამბობ, ეს კი მეტისმეტია-მეთქი.

— მეტისმეტიაო? იქნებ სისულელედაც მიგაჩნია?

— არა, სისულელე კი არა...

— მისმინე, მაინც რის თქმას აპირებ? აბა, ბოლომდე გადმოალაგე!

— რა ვთქვი ასეთი? რას შემომიჩნდი?

— ბრძანებას არ ემორჩილები? მსჯელობა დამინყე, არა?

— გამიშვი-მეთქი, გეუბნები!

— ნახე, რა მომინდომა, ეგ არის და გაგიშვებთ!

— გამიშვით-მეთქი, ოხრებო!

— გესმის, რა დაგვიძახა?

— დამპალო, უარზე ხარ, არა? სხვის ბანაკში გადაბარგდი!

— როდის გითხარით უარი!

— არა, გვითხარი!

— ნეტავ, რას ეკამათები ამ მოღალატეს! მორჩი ყბედობას!

სროლის ხმა გაისმა და სხეული იატაკს მძიმედ დაასკდა.

— გაათრიეთ აქედან ეს ნეხვი!

— ჯანდაბას, ეგდოს, ნეტავ ვის რას უშლის!

ჯაზი კვლავ გრიალებდა. წვრილკისრიანმა გოგონამ თავი შემოაბრუნა.

— რა ხდება აქ? — იკითხა მან.

— მგონი ვიღაც მიახვრიტეს.

— ა...ა...

პატარა ჯგუფი მოშორებით მდგარ მაგიდას შემოუსხდა.

— ყველა იმაზე ქაქანებს, ეს ხვალე როგორი იქნებაო. მე კი, იცი, რა მგონია?

— რა?

— ისეთი სულაც არ იქნება, ამ ლაწირაკებს რომ წარმოუდგენიათ!

— აბა, როგორი იქნება?

— ჰმ... — სიგარეტი გაახვია, მეზობლისგან მოუკიდა და თამბაქოს ნამცეცი გადმოაფურთხა. — თუ საჭირო გახდა ჩახმახზე თითის გამოკვრა ჩვენც შეგვიძლია. ისიც საკითხავია, ზოგიერთი ხრიკი ჩვენგან ხომ არ ისწავლეს, თუკი საერთოდ საჭიროა ამისი სწავლა.

— არა მგონია, საჭირო იყოს. ჩვენ დროში ასეთი რამე ყველამ ბუნებრივი მონაცემებით იცის.

— ცხადია.

— ურიგო როდი იქნებოდა, კაცობრიობა ცოტათი კიდევ გაგვეწმინდა. მე მგონი, ნამდვილად არ აწყენდა.

— ჰო, შეძლებისდაგვარად მონაწილეობასაც სიამოვნებით მივიღებდი.

ერთი ახალგაზრდა ქალი ჯალათს მიუახლოვდა და მის გვერდით ჩუმად ჩამოჯდა. ერთი შეხედვით მდაბიოს ჰგავდა, მაგრამ თავშალი მოიხადა თუ არა, საოცარი ნათელით გასხივოსნებული სახე გამოჩ-

ნდა. მან ფრთხილად დაადო ჯალათს ხელი ხელზე და ისიც მისკენ შებრუნდა — ეს ქალი, ვგონებ, ერთადერთი იყო, ვისაც ამ დროის მანძილზე ჯალათმა ყურადღება მიაქცია, თუმცა მასზე საუბარს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით.

მუსიკის ჟღერადობა იცვლებოდა, დარბაზის მეორე ბოლოში საუკეთესო ორკესტრი ნელი ტანგოს კლასიკურ მელოდიას უკრავდა, საზოგადოებას მშვიდი, შთაგონებული განწყობა დაეუფლა, მაგრამ თითქოს ჯიბრზე ვიღაც ბატონს ტუალეტში გასვლა სწორედ მაშინ დასჭირდა. უკან დაბრუნებისას ესტრადის უკან სუფრასთან შემომსხდარი ზანგები დაინახა, თავიანთ ბუტერბროტებს სასწრაფოდ რომ ნთქამდნენ. ბატონს სახე გაულურჯდა და ზანგებისაკენ გაქანდა.

— ღორებო, როგორ ბედავთ! დამსხდარხართ და თეთრკანიანებთან ერთად მიირთმევთ!

ზანგები გაოგნებით შესცქეროდნენ. უფრო ახლოს მჯდომი სკამზედაც კი წამოიწია.

— რაო? რა მინდაო?

— რა მინდაო? როგორ ბედავ-მეთქი, რომ დამჯდარხარ აქ და ხეთქავ, ოხერო, მაიმუნო!

შავკანიანი ზამბარასავით წამოხტა და თვალები დააკვესა, თუმცა ვერაფერი შებედა.

— გესმით, ბატონებო, ხედავთ! — გააფთრებით შეუძახა საზოგადოებას განრისხებულმა ბატონმა და ხალხმაც იხუვლა, ზანგებისა და მის ირგვლივ თავი მოიყარა. — არა, მსგავსი თუ გინახავთ რამე? გაუგონარი ამბავია! ეს მაიმუნები დამსხდარან და ჩვენთან ერთად ჭამენ!

საშინელი აურზაური ატყდა.

— რა თავხედობაა! სად გაგონილა! თქვენ რა, თავი ზოოპარკში ხომ არ გგონიათ? არა, იქნებ ასე გგონიათ?

— ჭამა ჩვენც გვინდა, როგორც ყველა ცოცხალ არსებას! — თქვა ერთმა ზანგმა.

— ოღონდ ადამიანებთან ერთად არა, ძაღლო!

— ჭამაო? თქვენ აქ დასაკრავად მოხვედით თუ საჭმელად!

— ამხელა პატივი გხვდათ წილად, ჩვენთვის უკრავთ, რადგან ჩვენ გვსურს თქვენი მუსიკით ვისიამოვნოთ! ოღონდ კეთილი ინებეთ და წესიერად მოიქეცით, ან არადა ლინჩის წესით გაგასა-

მართლებთ, გასაგებია?

— აბა, სცენაზე აძვერით!

— გაინძერით-მეთქი, დაუჩქარეთ!

ზანგებს ბრძანების შესრულება არც უფიქრიათ.

— რა ხდება, ბატონებო, ეს ხომ ნამდვილი პასიური წინააღმდეგობაა! — თქვა ნარმოსადეგმა მამაკაცმა კეთილშობილის გარეგნობით რომ გამოირჩეოდა.

— ჰა, კიდევ დიდხანს უნდა გელოდოთ?

— აბა, აბა, დროზე აძვერით ესტრადაზე!

— ჩვენ მშივრები ვართ! თუ არ ვჭამეთ, ვერაფერს დავუკრავთ!

— მშივრებიო? გესმით, რას ამბობენ?!

— ჰო, ჭამა გვინდა და გვაქვს კიდეც ამის უფლება, — თქვა უშველებელმა ოქლაქმა და თვალები მუქარით დააკვესა.

— უფლებაო, ეს შენა გაქვს უფლება? აი, შე ურცხვო, შენა!

— ჰო, მაქვს, — უპასუხა ზანგმა და მისკენ ნაბიჯი გადადგა.

— რა?! როგორ პასუხობ თეთრკანიანს, შე თახსირო, შენა! — კაცმა ზანგს სილა გააწნა.

ზანგი მოიკუზა, მხეცივით აკანკალდა, შემდეგ ნინ ელვისუსწრაფესად გაქანდა და მუშტი ისეთი ძალით ჩასცხო, თეთრკანიანი ბატონი იატაკზე გაიშხლართა.

არნახული აურზაური ატყდა. ხალხმა იხუვლა, მთელ დარბაზს უკიდეგანო აღგზნება მოედო! ზამბარასავით შემართული და გახელებული ზანგები მჭიდრო ჯგუფად შეიკრნენ. თვალები სისხლით ავსებოდათ, კბილები თეთრად უელავდათ და ადამიანთა ჯუნგლებში შერეკილ საოცარ ცხოველებს ჰგავდნენ. უცებ სროლის ხმა გაისმა და ზანგების ჯგუფს ერთ-ერთი ღმუილით მოსწყდა. მთლად სისხლით მოთხვრილი იგი თეთრკანიანებს დაერია და განურჩევლად არბევდა. დანარჩენებიც ბღავილით დაიძრნენ, მაგრამ ისევ რევოლვერები შეაჩერეს. სროლის ხმა განუწყვეტლივ ისმოდა და დასისხლიანებული ზანგები მაგიდებსა და სკამებს ეფარებოდნენ.

— ჰა, დაუკრავთ თუ არა? — იყვირა მომხიბვლელმა, ქერა მამაკაცმა და თავისი ბრაუნინგი სწორედ იქით დაცალა, სადაც შავკანიანები იმალებოდნენ.

— არა! — დაიღმუვლეს ზანგებმა.

— მეორე ორკესტრიც ხომ გვყავს! — ხალხის დასაშოშმინებლად დაიყვირა ვიღაცამ. — კიდევ ერთი ორკესტრი გვყავს.

— ჭირს წაუღია ეგ თქვენი სენტიმენტალური ლაყბობა! სწორედ ამათ უნდა დაუკრან! აბა, წამოხტით, შავკანიანო მაიმუნებო!

ზანგები თავშესაფრიდან გამორეკეს და ამჯერად უარესი ზედახორა გაიმართა; ბრბო გახელდა, სხვადასხვა ნივთები ჰაერში სასიკვდილო ჭურვებივით დაფრინავდა, სკამებზე შემხტარი კახპები კიოდნენ. ზანგები მთელ დარბაზს მოედვნენ, ბრბო კი მათ დაედევნა.

— ჯანდაბა მაგათ თავს, ბოლოს და ბოლოს ჩვენ ხომ ცივილიზებული ერი ვართ!..

— რა?! კიდევ ერთხელ იტყვი ამ სისულელეს და შუბლს გაგიხვრეტ!

— ცივილიზაციაო? დალახვროს ეშმაკმა!

შავკანიანი გოლიათი, ვგონებ, სწორედ ის, მუშტებს რომ იქნევდა, დარბაზში ველური მხეცივით დაქროდა, გზიდან ხალხს წიხლისკვრით იშორებდა და აქეთ-იქით ყველას სასიკვდილო ნოკაუტებით უმასპინძლდებოდა. მაგრამ ზუსტად გასროლილ ტყვიას ვერსად გაექცა, ხელი მკერდზე იტაცა, იატაკზე გაიშხლართა და არაფრისმთქმელი ღიმილით ტუჩები ფართოდ გაეჭიმა. დანარჩენმა ზანგებმა დაქსაქსული ძალები გააერთიანეს, სკამები მოიმარჯვეს და ვისაც კი მისწვდნენ ყველას თავები დაუხეთქეს. ბრმა გახელებით იბრძოდნენ და თვალის გუგებითაც კი სიძულვილს ასხივებდნენ, სანამ დამარცხებულები ძირს არ დაეცემოდნენ.

— იკბინები კიდეც, შე მშიშარა ძაღლო! — დაულრიალა სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა გოლიათმა იატაკზე გაშოტილ ერთ ცოცხალ-მკვდარ ფერადკანიანს, კბილებით ფეხზე რომ ჩაფრენოდა. იარაღი მიუშვირა და ესროლა. ზანგები ისეთი საშინელი, ველური, საომარი ყიჟინით კიოდნენ, მხოლოდ პირველყოფილ ტყეებში რომ გსმენიათ, მაგრამ თეთრკანიანებმა თავი არავის შეაშინებინეს და პოზიცია მედგრად მხოლოდ იარაღის მეშვეობით შეინარჩუნეს. რევოლვერების სროლის ხმა ტყვიამფრქვევების კაკანს ემსგავსებოდა. ცხელი და გახელებული ბრძოლა გაიმართა.

ორ ახალგაზრდა მკვლელს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, ისხდნენ და ერთობოდნენ, თავიანთი საქმე ხომ უკვე გაკეთებული ჰქონდათ.

ბოლოს და ბოლოს ცოცხლად გადარჩენილი ზანგები კუთხეში მოიმწყვდიეს და ალყა შემოარტყეს, მათი წინააღმდეგობა გატყდა.

ძალაუნებურად გამარჯვებულებს დანებდნენ.

— ეგრე რაღა! — სული მოითქვეს თეთრკანიანებმა.

— აბა, ესტრადისაკენ გასწიეთ, სწრაფად!

ზანგები სცენისაკენ გაირეკეს და მათაც ძალაუნებურად საკრავები აიღეს.

სმოკინგში გამონყობილი ჩასკვნილი მამაკაცი სკამს ცხენივით გადაჯდა და რევოლვერი მათ მიუშვირა.

— ვინც არ დაუკრავს დაიხვრიტება! — განაცხადა მან.

და ზანგებმაც დაუკრეს. თვალებჩასისხლიანებულები, ასევე სისხლით მოთხვრილი სახეებითა და ხელებით, საზარელი გახელებით, შლეგიანებივით უკრავდნენ. ეს საშინელი, ჯერ არ-სმენილი, შლეგი მუსიკა იყო, რომელიც ჰგავდა ჯუნგლებში გაგონილ შუაღამის ყმუილს, იმ სასიკვდილო დაფდაფების ხმას, მზის ჩასვლისას ტყეში შეკრებილი ველურები რომ ახმიანებდნენ. ნინ ჩამომჯდარი გოლიათი ზანგი კბილს კბილზე აჭერდა და საკრავს გახელებით ურახუნებდა. გახეთქილი თავიდან სისხლი კისერზე ჩამოსდიოდა, შემოხეული პერანგი კი ნითლად ღაღანებდა. დასისხ-ლიანებულ მუშტებს იგი დაუსრულებლად ურტყამდა საკრავს, დან-არჩენ საკრავთა ხმები ამ ქუხილს ერწყმოდა და ერთ მთლიან ღრი-ანცელში ითქვიფებოდა.

— შესანიშნავია! შესანიშნავი!

თეთრკანიანები ამ მუსიკის ტაქტზე ცეკვავდნენ, ხტოდნენ და ყირას ჭიმავდნენ. ყველგან ცეკვავდნენ. უშველებელი დარბაზი ავ-სულის აჩუხჩუხებული საწამლავივით დულდა. ბრძოლისაგან თუ იმიტომაც, რომ შენობაში ცხელოდა, ხალხს სახეები გახურებოდა, მძიმე ოხშივარი დარბაზში მხუთავ ტალღებად იშლებოდა, მაგიდებს შორის მომაკვდავები ეყარნენ და ხროტინებდნენ, მოცეკვავე ნყვილები კი მათ წიხლის კვრით იშორებდნენ. ჭერზე ჩამოკიდებუ-ლი ბუშტი, უამრავი ფერით ალივლივებული, ამ აქოთებული ნალექ-ის თავზე ტრიალებდა. ქალები ენებებსა და სილამაზეს აფრქვევდ-ნენ, ანთებულ მზერას გასისხლიანებულ ზანგს არ აშორებდნენ და ფეხებს მამაკაცთა ფეხებშუა აცურებდნენ. ამ მზერითა და ნელზე ჩამოკიდებული რევოლვერით აღგზნებული მამაკაცები ქალებს მკ-ერდზე მძაფრად იკრავდნენ.

აღფრთოვანებით ნამონითლებული ერთი მამაკაცი, ბრძოლაში საყელო რომ შემოხეოდა, ჯალათთან ახლოს მაგიდაზე შეხტა და

ბრაუნინგი ჰაერში აიქნია.

— გავიმარჯვეთ, ბატონებო! ჩვენს წინააღმდეგ აჯანყების ყველა მცდელობა ამაოა! წესრიგი და დისციპლინა! სწორედ ამ ნიშნით ვიმარჯვებთ! მსოფლიო ბატონობასაც ამით მოვიპოვებთ! — იგი ხელებს იქნევდა და გაჰკიოდა, ირგვლივ კი მის მოსასმენად ბრბო შემოიკრიბა. — და აი, ამ ღირსშესანიშნავ დღეს, როცა ჩვენი რასის უპირატესობა განვამტკიცეთ, გვაქვს ბედნიერება, ჩვენს შორის იმ საქმის წარმომადგენელი ვიხილოთ, ყველაზე მეტად რომ ვაფასებთ. ჯალათი ჩვენთანაა! და ჩვენც ვამაყობთ ამით! თუ აქამდე ვინმეს არ ესმოდა, დაე, ახლა გაიგოს! მისი აქ ყოფნა ადასტურებს, რომ ჩვენ დიად საუკუნეში ვცხოვრობთ! უკან დაგვრჩა უპატიური სისუსტის საუკუნე და კაცობრიობის თავზე ახალი განთიადი ამობრწყინდა! ჯალათის ძლიერი ფიგურა რწმენასა და სიმამაცეს გვმატებს! ნინ უნდა ნაგვიძღვეს — ის ხომ ერთადერთია, ვისი წინამძღოლობითაც ნინ უყოყმანოდ გავწევთ!

მოგესალმებით, ბელადო ჩვენო, მივესალმებით შენს წმიდათაწმიდა ემბლემებსა და სიმბოლოებს, ყველაზე ნათელსა და ძვირფასს, რაც ცხოვრებაში მოგვეპოვება და რაც კაცობრიობას ახალ ხანას გაუხსნის! ადამიანის ფერი, სწორედ, სისხლის ფერია! ჩვენ ვიცით, ღირსეული შვილები ვიქნებით შენი! ჩვენ ვიცით, თამამად შეგიძლია გვენდო, როცა აღტაცებით შემოგძახებთ „დიდება შენდა, დიდება!"

კაცი მაგიდიდან ჩამოხტა, გაწითლებული და აქოშინებული კერპისაკენ გაემართა.

ჯალათმა თვალი შეავლო, თუმცა არც თავი აუწევია, არც შერხეულა და არც პასუხი გაუცია.

აწითლებული ბატონი ცოტა არ იყოს შეცბა, რა ექნა, აღარ იცოდა.

— დიდება! — ერთხელ კიდევ შესძახა, თუმცა ხმაში ყოყმანი დაეტყო და ხელი წინ გაიშვირა. დანარჩენებმაც მას მიბაძეს.

ჯალათი კვლავ უსიტყვოდ შესცქეროდა.

— კი, მაგრამ... განა, შენ ჯალათი არა ხარ? — ყოყმანით შეეკითხნენ მას.

მან კი, ვისაც კითხვით მიმართეს, დაღდასმული შუბლიდან ხელი მოიშორა. დარბაზი მაშინვე აღფრთოვანებულმა ყიჟინამ შესძრა.

— ჰო, ჯალათი ვარ! — თქვა მან და წამოდგა. თავის სისხლისფერ-წითელ სამოსში უშველებელი და საზარელი ჩანდა. ყველას მზ-

ერა მაშინვე მას მიეჯაჭვა და აბღავლებულ დარბაზში ისეთი სიჩუმე ჩამონვა, მისი სუნთქვის ხმაც კი ისმოდა.

— მას შემდეგ, რაც სამყარო შეიქმნა, ჩემს საქმეს ვაკეთებ და დასასრული ჯერ კიდევ არ ჩანს. ათასნლეულები გაკრთებიან, ერები იბადებიან და ერთ ღამეში ქრებიან, მეღა ვრჩები და სისხლით მოთხვრილი მათ კვლავ გავცქერი. მხოლოდ მე არ ვბერდები. ადამიანთა ერთგული მუდამ მათ კვალს მივდევ და ჯერ არ გაკვალულა ისეთი იდუმალი ბილიკი, სადაც აბოლებული კოცონი არ დამენთოს, ან მინა სისხლით არ მომერწყოს. დასაბამიდან კვალში გიდგავართ და თქვენს შორის ვრჩები, სანამ ჟამი არ დაკრავს. როცა ღვთაებრივი ხილვით შთაგონებულებმა პირველად შეხედეთ ზეცას, თქვენთვის ძმა დავკალი და მსხვერპლად შევნირე. დღესავით მახსოვს ქარით მოხრილი ხეები და ცეცხლის ის ანარეკლი თქვენს სახეებს რომ დასთამაშებდა, როცა ძმას გული ამოვგლიჯე და ცეცხლში ჩავაგდე. მას შემდეგ ბევრი დამნაშავე თუ უდანაშაულო მსხვერპლი შევნირე ღმერთსა თუ ეშმაკს, ზეცასა თუ ჯოჯოხეთს. მთელი ერები აღმიგვია პირისაგან მიწისა, იმპერიები დამიცლია და ნანგრევებად მიქცევია. ყველაფერს ვაკეთებდი, რასაც კი ჩემგან მოითხოვდით. მთელ ეპოქებს ვასამართლებდი და წამით თუ შევისვენებდი სისხლიან მახვილზე დაყრდნობილი, სანამ ახალგაზრდა, მოუთმენელი ხმებით ახალი თაობები კვლავ არ მომიხმობდნენ. ადამიანთა ზღვას სისხლის ქაფად ვთქვეფდი და მის მოუსვენარ ხმაურს სამარადჟამოდ ვახშობდი. წინასწარმეტყველებსა და მაცხოვრებს მკრეხელობისათვის კოცონზე ვწვავდი, ადამიანთა სიცოცხლე ღამესა და ბნელეთში გამოვამწყვდიე. ყველაფერს ვაკეთებდი თქვენთვის.

ახლაც მიხმობენ და კვლავ მივდივარ. სივრცეს გავხედავ:დედამიწას ციებ-ცხელება მოსდებია. სიცხით ითანგება, ზეციური სიმაღლიდან ჩიტების სევდიანი ჭიკჭიკი ისმის. დადგა ჟამი ბოროტებამ ანთხიოს თესლი! ჯალათის დრო დადგა!

მზე ღრუბლებში იხრჩობა. მისი ნესტიანი ბურთი შედედებული სისხლის ლაქასავით ბუუტავს. მინდვრებს მივუყვები, შიშსა და საშინელებას ვთესავ და მსხვერპლს ვკრეფ. შუბლზე დანაშაულის დამღა მაქვს ამომწვარი, თავადაც ავსული ვარ, უკუნითი უკუნისამდე მსჯავრდადებული, შეჩვენებული და ეს თქვენი ბრალია.

მე მისჯილი მაქვს გემსახუროთ და ერთგულად ვასრულებ ჩემს საქმეს. ათასნლეულების სისხლი მძიმედ მანევს მხრებზე.

ჩემი სული სავსეა თქვენი სისხლით! ჩემს თვალებს სისხლის რიდე აჰფარებია და ვერაფერს ხედავს, როცა ადამიანთა მოდგმის ყმუილი ჩემამდე აღწევს! ყველას და ყოველს გახელებით ვარბევ, როგორც თქვენა გსურთ, როგორც თქვენ მიკიჟინებთ! თქვენი სისხლით ვარ დაბრმავებული! უსინათლო ვარ, თქვენში ჩაკეტილი! ეს თქვენა ხართ ჩემი ჯურღმული, საიდანაც თავს ვერასოდეს დავაღწევ!

საკუთარ სახლში კი, ჯალათის სახლში, ჩაბნელებულ ფანჯარასთან ვდგები, მის მიღმა საღამოს სიჩუმეში ჩათვლემილ მინდვრებსა თუ ყვავილებს და ღრმა ღვთაებრივი სიმშვიდით შემოსილ ხეებს შევცქერი და მაშინ ჩემი ბედისწერა მახრჩობს, მაწამებს. ძალმიხდილი ნავიქცეოდი კიდეც, გვერდით ეს ქალი რომ არ მედგას.

მან ქალს შეხედა, სწორედ იმ ქალს, მდაბიოს რომ ჰგავდა. მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა.

— და მე ზურგს ვაქცევ ყველაფერს! მტკივნეულია იმის დანახვა თუ რა მშვენიერია ეს დედამინა. ქალი კი ფანჯარას ისევ გასცქერის, სანამ ყოველი ბინდით არ შეიმოსება.

ისიც ტუსაღია, ჩვენი საერთო სახლის ტუსაღი, მაგრამ შეუძლია, დედამინის მშვენიერება იხილოს და მაინც იცოცხლოს.

ჯალათის სახლი სუფთად აქვს მოვლილი, ისე ესათუთება, თითქოს ადამიანის საცხოვრებელი იყოს. მაგიდას, სადაც ვჭამ, მუდამ სუფრას აფარებს, არც კი ვიცი, ვინ არის იგი, მაგრამ ჩემთვის სიკეთე მოაქვს. როცა ეზოში ჩამოღამდება, შუბლზე ხელს მისვამს და ჯალათის დაღი აღარ მოჩანსო, მეუბნება. იგი სხვებს არ ჰგავს, მას ჩემი სიყვარული შეუძლია!

ხალხში გავიკითხე, ვინ არის-მეთქი, მაგრამ არავინ იცნობს.

ვის შეგიძლიათ მითხრათ, რისთვის ვუყვარვარ ან ჩემს სახლს რისთვის უვლის?

ჩემი სახლი ხომ ჯალათის სახლია! სხვაგვარი არც შეიძლება იყოს, ჩემი სასოწარკვეთილება უფრო გაუსაძლისი გახდებოდა!

მუდამ ველოდები, სანამ ჩემს მკლავებში მშვიდად ჩაიძინებს, შემდეგ ვდგები, თბილად ჩავფუთნავ და უჩუმრად ვემზადები, რომ არ გავაღვიძო. ფრთხილად გამოვდივარ სახლიდან, რომ ჩემი საქმე ღამით აღვასრულო, ავის მოსურნე ზეცას შევცქერი, დედამიწას პირქუშად რომ ჩამოსნოლია. კარგია, რომ არ გაეღვიძა, კარგია, რომ ჩემი მოუშორებელი ტვირთით კვლავ მარტო ვრჩები.

მაგრამ ვიცი, დამელოდება და უკან მობრუნებულს, საქმემოლეულს, სიქაგაცლილსა და სისხლში მოთხვრილს შემეგებება.

რად უნდა ვზიდო მარტომ ყოველი! ეს ყველაფერი მე რად უნდა დამაწვეს მხრებზე! შიში თუ დანაშაული, თქვენ მიერ ჩადენილი! მთელი ეს სისხლი, თქვენ მიერ დათხეული, მე რად უნდა მომეკითხოს, რად ვერ უნდა შევიცნო სამყარო! ჩემს უბედურ სულს რად უნდა სტანჯავდეს ავსულთა წყევლაცა და უდანაშაულო მსხვერპლთა ჩივილიც!

მსჯავრდადებულნი თავის ბედისწერას მე მაბრალებენ, ვცდილობ, არ გავიგონო, სიკვდილის მოლოდინში რასაც ამბობენ, მაგრამ სიტყვები მაინც ხმიანობს ჩემში. ხმები შორეული ათასწლეულებიდანაც კი ხმიანობენ. ყველას მიერ დავიწყებული, სიცოცხლისგან დაცლილი ხმები ჩემში ძველებურად ცოცხლობენ! გულს მირევს თქვენი სისხლის სუნი, ცოდვის მოუნანიებლობით ვიხრჩობი!

თქვენი ბედისწერა მე უნდა ვზიდო, თქვენი გზით დაუღალავად მეე უნდა ვიარო, მაშინაც კი, როცა თავად კარგა ხანია საფლავში ისვენებთ!

ვინ გათხრის ისეთ ღრმა საფლავს მე რომ დამასამაროს! მეც მინდა ვეზიარო თავდავიწყებას! შეჩვენების ტვირთს მხრებიდან ვინ ჩამომხსნის და სიკვდილის სიმშვიდეს ვინ მომანიჭებს.

არავინ! ჩემი ტვირთის თრევა არავის ძალუძს!

როცა ღმერთი ჯერ კიდევ არსებობდა, ერთხელ მასთან მივედი ჩემი გასაჭირის მოსახსენებლად და რა პასუხი მივიღე?!

მახსოვს, რისთვისაც წავედი. ერთ ისეთ ადამიანს ვდარაჯობდი, ვინც მაცხოვარი ვარო, ამბობდა. თქვენს ნაცვლად სურდა დატანჯულიყო და მომკვდარიყო, თქვენი ხსნა სურდა. ჩემი გათავისუფლებაც კი უნდოდა.

მისი სიტყვების არაფერი მესმოდა, რადგან ვხედავდი: სუსტი და უძლური იყო, ჩვეულებრივი მამაკაცის ძალაც კი არ ჰქონდა და მეც მხოლოდ დავცინოდი. იგი თავს მესიას ეძახდა, ამქვეყნიურ მშვიდობას ქადაგებდა და განაჩენიც ამისთვის გამოუტანეს.

ჯერ კიდევ ბიჭუნა მიხვდა, რომ ადამიანებისთვის უნდა დატანჯულიყო და მომკვდარიყო. ბევრს მიამბობდა თავის ბავშვობაზე — სიკვდილმისჯილნი ხომ მუდამ ბავშვობას იხსენებენ ხოლმე — იმ მხარეზე, გალილეას რომ ეძახდა, თითქოს მშვენიერი რომ იყო — სხვებიც ასე ამბობენ ხოლმე.

გაზაფხულობით იქ, მთებში, უამრავი შროშანა ყვავისო. მათ შორის ვიდექი, ნათელ მინდვრებს გავცქეროდი და სნორედ მაშინ მივხვდი, რომ უფლის ძე ვიყავიო, მითხრა. მეც მაშინვე მივხვდი, რომ უბედურ შეშლილთან მქონდა საქმე. ის კი განაგრძობდა, მინდვრებს გავცქეროდი, თვალი ამეხილა და მივხვდი, ამქვეყნიური მშვიდობა იყო ის მოძღვრება, რაც ხალხისთვის უნდა მექადაგა, მეცნობებინაო. მეც შევეკითხე, რა საჭიროა შენი სიკვდილი, რათა სხვებმა მშვიდობით იცხოვრონ-მეთქი? მანაც მიპასუხა: საჭიროა, უზენაესი შეთანხმება ასეთიაო, მამამ ჩემმა ასე მაცნობაო, მამად კი თავად უფალი ღმერთი მიაჩნდა და თავისი მრწამსის კეთილი ბავშვივით სჯეროდა.

მაგრამ როგორც კი მისმა ჟამმა დარეკა, სხვებივით შეშინდა, ათრთოლდა და ალბათ, ძველებურად დარწმუნებულიც აღარ იყო. მეც აღარაფერი მითქვამს და თავის შიშთან მარტო დარჩა. მზერა კი ხანდახან ძალიან შორს გაურბოდა, თითქოს კვლავ თავისი ბავშვობის მხარე და შროშანებით მოფენილი ველები სურდა ეხილა.

შიში უფრო და უფრო გაუძლიერდა. მუხლებზე დაემხო, აჩურჩულდა და ლოცვა დაიწყო. ნათრევაც კი დამჭირდა მისი. როცა დრო დადგა.

ჯვრის სათრევად ძალა ძლივს ეყო, ღონემიხდილი მიბარბაცებდა. შემეცოდა, ჯვარი გამოვართვი და გზის ნაწილი თავად ვატარე. მხოლოდ მე მივეშველე — სხვებმა არ ისურვეს. თუმცა რა იყო ეს სიმძიმე იმასთან შედარებით, ადამიანთა ნაცვლად რომ მითრევდა.

ჯვარზე რომ დავანვინე, ლურსმნების დაჭედების წინ ჩვეულებისამებრ პატიება ვთხოვე. არ ვიცი, მისი მოკვლა ასე რად მტკიოდა. კეთილი, დამფრთხალი თვალებით შემომხედა — დამნაშავის კი არა, უბედურის თვალები ჰქონდა. „შემინდვია, ძმაო“ — ჩუმი ხმით მითხრა და თუმცა მე არ მჯერა, ერთი ახლოს მდგომი იმასაც კი მიმტკიცებდა, ამ დროს შუბლიდან ჯალათის დაღი გაგიქრაო.

არ ვიცი, ძმა რად დამიძახა! მაგრამ მომეჩვენა, რომ მართლა ღვიძლ ძმას ვაკრავდი ჯვარზე. არასდროს ასე სულდამძიმებული არ ვყოფილვარ, თუმცა რამდენი დამისჯია. როცა ჩემს ხელობას მისდევ, დროდადრო ძალაუნებურად გიწევს მსხვერპლის შეთვალიერება. ის კი არც ერთ ჩემს მსხვერპლს არ ჰგავდა.

არასოდეს დამავიწყდება, რა თვალებით შემომხედა ამ სიტყვებს რომ მეუბნებოდა!

რა კარგად მახსოვს! ჰო, მახსოვს, მე ხომ თქვენ მიერ კარგა ხნის წინ დავიწყებული ყველა ხმა და დაღვრილი სისხლი შემოვინახე!

მე რად უნდა ვეწამებოდე! თქვენს გამო მე რად უნდა ვიტვირთო ყოველი! მე რად უნდა დავიტანჯო თქვენი ცოდვებით!

მე ხომ მათრახითაც კი ვცემე ციხის ეზოში — თითქოს უამისოდ ვერ მოკლავდნენ. მისი სხეული ჩემი ხელით იყო დაიარებული და შეშუპებული. ეს ყოველივე ისე ამომივიდა ყელში მისი ჯვარი ძლივსღა ავწიე.

ხალხმა კი, ო, რა გაიხარა, როცა ჯვარს გაკრული ავწიე. ყვიროდნენ და ზეიმობდნენ, როცა ბოლოს და ბოლოს ჯვარცმული იხილეს. ჯერ არასოდეს მინახავს თხემის ალაგას ხალხს ასე ეზეიმოს, როგორც მაშინ ზეიმობდა, ის რომ გავაკარი ჯვარზე! დასცინოდნენ და მასხარად იგდებდნენ, ლანძღავდნენ და აგინებდნენ თავი ჩვენს მესიად, ჩვენს ქრისტედ რად წარმოიდგინეო. სხვასაც ბევრ რამეს ეუბნებოდნენ... აფურთხებდნენ და მისი ნამება სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ. მან თვალები დახუჭა, რათა არ ეხილა ადამიანები იმ წუთებში, როცა მათ გადარჩენას ლამობდა. იქნებ ცდილობდა კვლავ ეფიქრა, რომ მაინც მათი მეუფე და უფლის მირონით ცხებული იყო. ხალხის მოწნული ეკლის გვირგვინი მის გასისხლიანებულ თავს გვერდით სასაცილოდ ჩამოეკიდა. ამის დამნახავს მე შემეშინდა და ზურგი შევაქციე.

სანამ სული ამოხდებოდა მთელ დედამიწაზე წყვდიადი ჩამოწვა და მისი ხმამაღალი ყვირილი გავიგონე:

— უფალო, უფალო, რაისთვის დამიტევე მე!

და მაშინ სულ ვეღარ შევხედე. ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა კიდეც, რაც მისთვის მადლი იყო. ჩვენც მაშინვე ჩამოვხსენით, რადგან შაბათი დგებოდა და მისი ჯვარზე დატოვება არ შეიძლებოდა.

როცა ხალხი გაიფანტა, რათა შაბათს მომზადებული შეხვედროდა და იქაურობა, როგორც იქნა, მოცარიელდა, იქვე თხემის ალაგას, გვამების სიმყრალესა და უწმინდურობაში ჩამოვჯექი და მახსოვს, ვარსკვლავების ქვეშ გვიან ღამემდე ასე ვიჯექი. სწორედ მაშინ გავიფიქრე, ღმერთთან მივალ და ვესაუბრები-მეთქი.

დავტოვე მინა და მივაშურე ზეცას, სადაც უფრო იოლად და ლაღად ვსუნთქავდი. დიდხანს ვიარე, არც კი ვიცი, რამდენ ხანს. საშინლად შორს ცხოვრობდა, ის, უფალი ღმერთი.

როგორც იქნა თვალი მოვკარი, ზეციურ სივრცეებს შორის ტახტზე ზვიადად იჯდა. იქით გავეშურე, მივუახლოვდი და ჩემი სისხლიანი ნაჯახი ზედ ტახტის ძირში დავაგდე.

— ყელში ამომივიდა ეს ჩემი ხელობა, — ვუთხარი მას. — მგონი, საკმაოდ გემსახურე, არა?

ის კი უძრავი, გაქვავებულივით იჯდა და სიცარიელეს მიშტერებოდა.

— არ გესმის? მეყოფა-მეთქი ჯალათობა! მეტს ვეღარ ავიტან! აღარ შემიძლია ამ სისხლითა და საშინელებით ცხოვრება. შენ კი თვალს ხუჭავ! ის მაინც ამიხსენი ყოველივე ამას რა აზრი აქვს? ერთგულად ვემსახურე ჩემს საქმეს, ყველაფერს ვაკეთებდი, რაც ჩემს ძალ-ღონეს აღემატებოდა, მაგრამ აღარა მაქვს მეტი ძალა! მეტს ვეღარ ავიტან! მეყოფა! გესმის?

მაგრამ ის არც კი მამჩნევდა. მისი უსიცოცხლო და ცარიელი, მომრგვალებული გუგები სივრცეს ისე მიშტერებოდა, თითქოს უდაბნოს გასცქეროდა. მაშინ მეც შიში და აუტანელი სასოწარკვეთილება დამეუფლა.

— დღეს შენი სულიერი ძე გავაკარი ჯვარზე! — ველური გახელებით წამოვიძახე, მაგრამ მის პირქუშ, უგრძნობელ სახეზე ნაკვთიც არ შერხეულა. თითქოს ქვისაგან იყო გამოკვეთილი.

ვიდექი ასე, ამ გაყინულ სიჩუმეში და მარადისობის ქარის სიცივე ძვალ-რბილში მატანდა. რა უნდა მექნა? ვისთან მელაპარაკა? აღარაფერი არსებობდა. ისლა დამრჩენოდა ჩემი ნაჯახი ამელო და იმავე გზით უკან დავბრუნებულიყავი.

და მე მივხვდი, რომ ის არ იყო მისი ძე. ის ადამიანთა მოდგმას ეკუთვნოდა და რა გასაკვირია, რომ სწორედ ისე მოექცნენ, როგორც საერთოდ ექცევიან ერთმანეთს. თავისი მოდგმის ერთი წარმომადგენელი, როგორც სჩვეოდათ, ჯვარს აცვეს, მეტი არაფერი. განრისხებული და აღშფოთებული ვბრუნდებოდი უკან და ვიყინებოდი.

იგი სხვებივით გაქრა და სიმშვიდე მოიპოვა. ჩემი ბედკრული სული კი განწირულია კვლავ გააგრძელოს ეს გზა აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე. მე უნდა დავბრუნებულიყავი დედამიწაზე და კვლავ ეკლიან გზას შევდგომოდი — სხვა გზა არ მქონდა. მე ვერავინ მიშველის.

არა, ის არ იყო მაცხოვარი, ასეთს სად ექნებოდა ამდენი ძალა! მოზარდის ხელები ჰქონდა, მისი საცოდაობით ვინვოდი, ლურსმებს რომ ვაჭედებდი და სულ ვცდილობდი თხელ ძვლებს შორის გამეტარებინა. იმაზეც კი ვეჭვობდი, დაიჭერენ კი ეს ხელები, როცა მათზე ჩამოეკიდება-მეთქი. სად ჰქონდა ძალა, ასეთი ხალხი გადაერჩინა!

გვერდში მახვილი რომ ვატაკე, იმის გასარკვევად შეიძლებოდა თუ არა მისი ჩამოხსნა, უკვე მკვდარი იყო. გაცილებით უფრო მალე მოკვდა, ვიდრე საერთოდ კვდებიან ხოლმე.

აბა, რა მაცხოვარი ის იყო, ის უბედური! თქვენ დახმარებას როგორ შესძლებდა! ან მე ჩემს ტვირთს როგორ მომხსნიდა! აბა, ხალხისთვის ის რა ქრისტე იქნებოდა! მაშინღა მივხვდი სწორედ მე რად უნდა გემსახუროთ, სწორედ მე რად მიხმობდით ხოლმე!

მე ვარ ქრისტე თქვენი! დაღდასმული ჯალათი! თქვენთან ზეცით მოვლენილი!

რათა დავთესო მტრობა დედამიწაზე და ბოროტი ადამიანში!

საკუთარი ღმერთი ქვად გადააქციეთ. იგი დიდი ხანია მოკვდა! მე კი, ქრისტე თქვენი, ცოცხალი ვარ! მე ვარ მისი დიადი აზრის ნაყოფი. თქვენში ჩასახული მაშინ, როცა ჯერ კიდევ ძლიერი იყო, ჯერ კიდევ ცოცხლობდა და იცოდა, რა სურდა, ყოველივეში რა აზრს დებდა! ახლა უმოძრაოდ ასვენია ტახტზე, რომელსაც ჟამი ძირს კვერთხივით უთხრის და მარადისობის სასიკვდილო ქარი მის გვამს ზეციური უდაბნოსაკენ მიაქროლებს. მე კი, ქრისტე თქვენი, ცოცხალი ვარ, რათა თქვენც იყოთ ცოცხლები! ეს მე მივაბიჯებ ამქვეყნად საბრძოლო გზით. ყოველდღე სისხლით მომაქვს ხსნა და მე არ მაცვამთ ჯვარს!

მენატრება მსხვერპლის სიკვდილით მოკვდე — როგორც ოდესღაც ჩემი ბედკრული, უსუსური ძმა მოკვდა. მენატრება ჯვარზე გაკრულმა სული ამოვუშვა და გულმოწყალე წყვდიადში გავითქვიფო! მაგრამ ვიცი, ეს დრო არასოდეს დადგება. სანამ არსებობთ, ჩემი საქმე უნდა აღვასრულო. ჩემი ჯვარი არასოდეს არ აღიმართება! ბოლოს და ბოლოს, ალბათ დასრულდება ჩემი შრომა და დედამიწაზე საქმე აღარ დამრჩება. მაგრამ მაშინაც კი ჩემი უზიარებელი სული დაუღალავად იქროლებს სამყაროს ღამეში მამის ჩემის სასიკვდილო სავანეს რომ შემოხვევია, კვალში კი შიში და ტანჯვა ჩაუდგება, ყოველივე იმის გამო, თქვენთვის რომ ჩაუდენია!

და მაინც მენატრება ის დღე, როცა პირისაგან მიწისა აღიგვებით და ჩემი აღმართული ხელი ბოლოს და ბოლოს ძირს დაეშვება, როცა დაისადგურებს სიჩუმე. აღარ გავიგონებ ხრინწიანი ხმა როგორ მიხ-მობს, მარტო ვიქნები, ირგვლივ მიმოვიხედავ და მეცოდინება, რომ ყოველივე უკვე დასრულდა.

გავემართები მარადიული წყვდიადისაკენ, უბედურ მიწაზე კი მოვისვრი ჩემს სისხლიან ნაჯახს — როგორც მოგონებას ადამიან-თა მოდგმაზე, ოდესღაც აქ რომ ცხოვრობდა!

ჯალათი ხალხს მკაცრი და ალმოდებული მზერით დასცქეროდა. შემდეგ მაგიდას ხელი გაჰკრა და გასასვლელისაკენ მრისხანედ და-იძრა.

ის იყო კარს ხელი წაატანა, ქალი, გვერდით რომ ეჯდა და მდ-აბიოს ჰგავდა, ადგილიდან წამოხტა, მკაფიო, ჩუმი ხმით დაელა-პარაკა, სახე კი იდუმალი, ტანჯული ბედნიერებით გაუნათდა!

— შენ იცი, მე დაგელოდები! როცა დატანჯული და სისხლით მოთხვრილი მოხვალ, არყის ხეებს შორის დაგხვდები! შენ თავს მო-მაყრდნობ, მე კი მეყვარები! ხელებიდან სისხლს ჩამოგწმენდ და შენს გახურებულ შუბლს ვემთხვევი!

შენ იცი, მე დაგელოდები!

ჯალათი ქალს ჩუმი, ნაღვლიანი ღიმილით შესცქეროდა. უცებ ქუჩიდან დაფდაფების ყრუ ხმა გაისმა, ისიც გაჩერდა და ყური მი-უგდო.

შემდეგ ხელი ქამარზე ჩამოიდო და ბურუსიანი განთიადის შეს-ახვედრად გასწია.

განთავისუფლებული ადამიანი

ხელში მრგვალი კენჭი მიჭირავს. ნითელია და ცისფერი ძარღვები დასდევს. თუ კარგად დაუკვირდები, სხვა ფერებსაც გამოარჩევ; მწვანეს, იისფერსა და რაღაც ბზვინვარეს, ოქროს რომ ჩამოჰგავს. თუ ნელა შემოატრიალებ, ყველა ფერითა და ელფერით აელვარდება. მისი თვალიერება არასოდეს არ მწყინდება. გლუვი, ლამაზი ზედაპირი, რომელიც თითქოს რბილიც კი გეჩვენება, ისევე, როგორც ყველა იდეალურად გლუვი ზედაპირი, მშვენიერი სანახავია. საოცარია, რომ ეს ჩიტის კვერცხისხელა კენჭი ასეთ ამოუწურავ მრავალფეროვნებას იტევს. ეს მთელი სამყაროა. ეს უსასრულობაა, რომელსაც ეზიარები, უსასრულობა, რომელიც ხელის გულზე ეტევა.

კენჭი ციხის ეზოში ვიპოვნე და დამალვა მოვახერხე.

* * *

ციხეში ნახევარსაათიანი სეირნობის დროს გვეკრძალება დახრა და მიწიდან რამის აღება. ბადრაგმა შემამჩნია და რად დაიხარეო, შემეკითხა. ისე, არაფრისთვის-მეთქი, ვუპასუხე და დაწყნარდა. აქ ასაღებიც არაფერიაო, ესლა მითხრა. საბედნიეროდ, გაჩხრეკვა არც კი უცდია.

კენჭი ახლა ჩემია! ჩემი ხელშეუხებელი საკუთრებაა! მთელი სამყარო, ვეებერთელა, შეუცნობელი ქვეყანა მეკუთვნის. უსამანო სამეფო, ამოუწურავი სიმდიდრე მეკუთვნის. ახლა ეს ყველაფერი ჩემია! ეს რაღაც შეუცნობელი, ცოცხალი და ჭეშმარიტი თავისი უსასრულობით რომ მავსებს, ჩემი იდუმალი სამფლობელოა!

ნარებქვეშ, მოშორებულ კუთხეში დავმალავ. იქ ვერავინ იპოვნის. ან კი ვინ დაიწყებს ასეთი ნვრილმანის ძებნას?

* * *

ხშირად მეჩვენება, რომ ყოველივეს თავი და თავი სიხარულია. აბა, სიხარულის გარდა რას შეეძლო სამყაროს სივრცის, მთელი ამ მზის სისტემებისა და ირმის ნახტომების შექმნა? მაგრამ ყოველივე

ასე რად გარდაისახა? ისეთი რად არ დარჩა, როგორიც შექმნის პირველ დღეს იყო? ზეცა და მიწა ხომ ისევ ისეთია, ცხოვრებაც ისევ მდიდარი და განსაცვიფრებელია, უფრო მეტადაც კი გამდიდრდა.

მაშ, სიხარული რაღამ მოგვისპო?

* * *

ცისფერს თავისი აზრი აქვს, წითელს — თავისი. მწამს, რომ ამ კენჭში ყველაფერს თავისი აზრი აქვს. მე კი ვერ ჩავწვდი, მაგრამ ვხედავ, რომ ყოველივეში ღრმა, შინაგანი აზრი და მდიდარი შინაარსია ჩაქსოვილი. ეს ისე დღესავით ნათელია, რომ ვხვდები — შობის საათი, დიადი სიხარულის საათი იყო. ახლა? ახლა სადღა გაქრა? სხვა დანარჩენი ხომ ისევ არსებობს, ოღონდ დაიხარე და მაშინვე აიღებ. განძი ყველგანაა მიმოფანტული.

ციხის ეზოშიც, ყველგან.

* * *

ზეცაც შენია და მიწაც. დედამიწა ყვავილებით მოფენილია და ვარსკვლავეთიც კიაფობს, მაგრამ მისი შუქი კოსმოსის სიცარიელისკენ მიმართულა, შენთვის არ კიაფობს. ყვავილთა სურნელიც თითქოს მხოლოდ ქარისთვის უჩუქებიათ.

შენ სადღა ხარ, შენ, ვინც ყვავილთ სურნელს უნდა ისუნთქავდე და ანდრომედეს თანავარსკვლავედის სალამს იღებდე? ვისკენაც განთიადი მზის პირველ სხივს მიმართავდა? ვინც მინდვრებში იხეტიალებდა და სინათლის უსაყვარლესი ქმნილება გახდებოდა?

შენ სადა ხარ, ადამიანო?

* * *

ცხოვრების სიმდიდრე თითქოს მივატოვეთ, თითქოს მიგვავიწყდა. ზურგით ცხოვრების სიღატაკესღა მივათრევთ, როგორ შეგვავსო! ისე ველოლიავებით, ვითარცა მოძულე სიძულვილს, სნეული სენს. დაბეჩავებულები, სიღატაკის გამხმარ პურს ვლოღნით და შეჩვენებას ვუთვლით მათ, ვინც ჩვენ გვერდით ილოღნებიან.

სიმდიდრის გაშლილი სუფრა კი ხელუხლებელი დგას, სტუმრები არ ჰყავს.

* * *

ისევ და ისევ ტკივილით ვფიქრობ ჩემს ბედ-იღბალზე. სხვების ბედ-იღბალზეც ვფიქრობ. აქ რად ჩაგვკეტეს? ზედამხედველებიც ხომ ჩაკეტეს. ისინიც ჩვენსავით ცხოვრობენ (რას იზამ, რახან ტუსაღები არსებობენ, ზედამხედველებიც ტუსაღები ხდებიან). საითაც გაიხედავ, ყველგან ტუსაღებს დაინახავ. თავისუფალი არავინაა!

ზედამხედველებს, ალბათ, უფრო უჭირთ. მათი ცხოვრება აბსოლუტურად ცარიელია. აი, სახეში შეხედეთ — ერთნაირად უხეშ, უმეტყველო, გაყინულ სახეებს დაინახავთ. ტუსაღთა სახეები კი ცვალებადი და მეტყველია, ზედ ტკივილი, სასონარკვეთა ან აღშფოთება იკვეთება. ეს ცოცხალი სახეებია. ტუსაღებს შიში ანვალებთ, სულ რაღაცით იტანჯებიან, მათი ცხოვრება ღატაკია, მაგრამ ცარიელი არაა.

მხოლოდ ტუსაღს შეუძლია ციხის ეზოში რამე იპოვნოს.

* * *

ჩემი კენჭი ზღვის პირმშოა. აბა, ხელით შეეხე. ასე იდეალურად გლუვიც ამიტომაა. ზღვა დაუსრულებლად ხეხავდა. ზღვის ტალღები, ხან რომ ნამოიქოჩრებიან, ხან კი ეშვებიან, ეს უსასრულო სტიქია ხომ არასოდეს მშვიდდება, იქნებ ამ კენჭს ათასწლეულებითაც განბანდა, სანამ ისეთი გლუვი არ გახდა, რომ რბილიც კი გეჩვენება, სანამ ცოცხალს არ დაემსგავსა. ქალივით რბილია, რადგან ზღვის შექმნილია. ფსკერზე იწვა და ათასწლეულების მწყობრ გუგუნს, ზღვის სიღრმეების სუნთქვასა და ქვიშის შრიალს ისმენდა.

ზღვა...

* * *

ალბათ, როგორ მიყვარდა ცხოვრება! ისე ვიხსენებ, როგორც საყვარელ ქალს, სამუდამოდ რომ დაგაშორეს. მისი თმის მზიურ

შარავანდედს ამჩნევ, თუმცა თავად მზე ვერ დაგინახავს; ლანდშაფ-ტის ფონზე მის სილუეტს ამჩნევ, თუმცა თავად ლანდშაფტი ვერა და ვერ გაგიხსენებია. აი, ამ ბილიკს ვერ ვცნობ, თუმცა ოდესღაც მგონი მინახავს; ვერც ხეებსა ვცნობ, აი, ამ ხეებს ვერ ვცნობ, თუმ-ცა მინახავს, ოდესღაც მგონი მინახავს. ბევრი მიეცა დავიწყებას, თუმცა ვინ იცის, იქნებ მხოლოდ სახე იცვალა. ქალი კი არასოდეს იცვლება, ისევ ისეთია. დინჯად, ნარნარად მიაბიჯებს, თავი კი ისე გადაუხრია, თითქოს ხის ტოტს ირიდებდეს ან რამეს აყურადებდეს. ჰო, ის არის, ჩემი ყოფილი სიყვარულია. სახეს ვერ ვხედავ, ჩემგან შორსაა. მხოლოდ სილუეტს ვხედავ და იმას, რომ შემობრუნებას აღარ აპირებს.

იქნებ ცხოვრების ხატი ჩემთვის უკვე აღარ არსებობს?

* * *

ზღვა...

ისევ წამოიქოჩრება, ისევ დაეშვება. ტალღები გრგვინავენ და ხმაურობენ, დღეს ისევე როგორც გუშინ, როგორც საუკუნეთა მან-ძილზე. ასე მგონია, მისი ხმა მესმის. აქ, მისი კენჭი მიჭირავს ხელში და მის მწყობრ სუნთქვას შევიგრძნობ.

ზღვა არ იცვლება და ვერ დავივიწყე. მეტისმეტად უბრალო და ვეებერთელაა, რათა მისი დავიწყება შეძლო. ეს ხომ რაღაც მთლიანობაა, უცვლელი მთლიანობა, რაღაც მუდმივი და მარადი-ული. ყოველი მისი მოძრაობა მარადიულია და განუმეორებელი. აი, ტალღა ნაპირისკენ მოისწრაფვის, აი, თითქოს წინააღმდეგობა შეხ-ვდაო, უკანვე გაფრიალდება; მარად უხილავი მიზნისკენ ისწრაფვის და ზედაპირი ისე მშვიდად ერხევა, თითქოს მკერდს სუნთქვა უთრ-თოლებდეს. ყველაფერი მარადიულია, მარად ახალგაზრდაა.

ჰო, ჩემი შეყვარებული უდავოდ ღირსია სიყვარულისა.

* * *

კედლები ვერასოდეს მომწყვეტენ ცხოვრებას, ის ჩემში დუღს. კედლებს მხოლოდ ცხოვრების ხატის დაფარვა შეუძლიათ, მისი სიღრმე კი მარად ჩვენშია, ოღონდ ახლა აღარაფერს ირეკლავს. კედლები ვერასოდეს მოგწყვეტენ სიყვარულს, მხოლოდ შეყვარებ-

ულის დაშორება შეუძლიათ. განშორებისას კი სიყვარული, როგორც არასდროს, ისე ძლიერდება!

ჩვენი ცხოვრების უმთავრესი არტერიები სადღაც ერთიან სიღრმეში იკრიბება. სადღაც ერთ მთლიანობას ქმნის და დიადი ზღვის ერთიანი სუნთქვით, მარადიულობის სუნთქვით იუღინთება. სადღაც ყოველივე მთლიანი სიღრმეა, უცვლელი, მიუღწეველი და ფარული სიღრმე, რომელსაც გარეგანი გარსი არა აქვს. ანარეკლი ხომ სინამდვილე ვერასოდეს გახდება და ვერც ცხოვრების ხატი შეცვლის თავად ცხოვრებას.

ვინ იცის, იქნებ ახლა, როცა ვეღარაფერს ვხედავ, ადრე მიუღწეველს უფრო მივუახლოვდე? თვალდახუჭული ადამიანი ხომ უკეთ ხედავს და იქნებ მეც უკეთ შევიცნო საგანთა არსი? იქნებ, იდუმალმა წყარომ თავისი წმინდა წყლით ამავსოს და არსთაგამრიგემ ჭეშმარიტი, ჩვენგან დაფარული სამყარო გადამიშალოს?

ამბობენ, უსინათლოებს ხვედრის ზღუდის გადალახვა შეუძლიათო. მაშ, მე რად ვერ უნდა გადავლახო ჩემი?

* * *

სიღრმეში ჩაწვდომა, წყვდიადში ჩახედვას ხომ არ ნიშნავს? არ ვიცი. იქნებ პირიქითაცაა? იქნებ წყაროებიც ნათელია და სიღრმეც, იქნებ ყოველივეს თავი და თავი სიხარულია? და, ვინ იცის, იქნებ შექმნის პირველი დღის ფართო და ნათელ სამყაროში შევიხედო?!

* * *

არა, სიღატაკეს ვერასოდეს შევეგეუბი! უნდა დავიჯერო, რომ ცხოვრება მშვენიერია და მარად ახალგაზრდა, რომ მის სიღრმეში სინათლეა და ჩემი წყაროები ყველა ზღუდეს გადალახავენ; რომ სიკეთე მდიდარია, ძლიერი და ბოროტება ვერასოდეს გაუტოლდება. უნდა დავიჯერო და მაშინ თვალდახუჭული, იქ, სიღრმეში, ჭეშმარიტი არსთაგამრიგის ფარულ, მარად ახალგაზრდა სამყაროში ჩავიხედავ.

* * *

ხვედრის გადალახვა! იმ ზღუდეთა გადალახვა, თვალს რომ გიბნელებენ! როგორ ეჩვენებათ, რომ შეუძლიათ დილეგში ჩაგვკეტონ და სინათლე ნაგვართან! ადამიანს სინათლეს ასე იოლად როგორ ნაართმევ! სამყაროს ჩამოშორებით მხოლოდ ანარეკლს ჩამოაშორებ, ცხოვრების ჩამოშორებით მხოლოდ პირად ცხოვრებას ნაართმევ და არა იმ დიადსა და ყოვლისშემძლეს, რომლის ნაწილადაც გვევლინება და რომელსაც ვერავინ და ვერასდროს მოსწყვეტს. ცხოვრებამ რა იცის, რომ ვიღაც კედლებს აშენებს, რომ მისი წყაროები დილეგში ისეა მოქცეული ვეღარაფერს აირეკლავენ. ცხოვრების წყარო ციხის მიწიდანაც მოსჩქეფს, თუმცა ტუსაღები წყურვილით იტანჯებიან. ცხოვრება თავის წყაროს უსინათლოს უხსნის, თუმცა არც ესმის რა არის უსინათლობა და არც ედარდება. ცხოვრება უშფოთველია, სწრაფმავალი და მიუღწეველი, ვერც შეეხები, ვერც დაუშავებ რამეს. ნათელია და ყოვლისშემძლე; ასეთი იყო და მარად ასეთი იქნება.

მხოლოდ ადამიანები იტანჯებიან. ცხოვრებამ არ იცის რა არის ტანჯვა.

* * *

ციხის მიწაზე ალუბლის ხე იზრდებოდა. მოჭრეს და მაინც ყვავის. შეშის გროვად გადაქცეულა და მაინც ყვავის. ჩამოჭრილი ტოტები ისევ ცოცხალია, თეთრი ყვავილებით მორთულა.

სიცოცხლემ ვერ გაიგო, რომ ალუბალი მოჭრეს და როგორც ყოველთვის, ჩვეულებისამებრ, ყვავილებით მორთო.

არა, ტუსაღები წყურვილით არ დაიხრჩობიან! ყველაფერს გადალახავენ; თავად სიკვდილსაც გადალახავენ. ცხოვრებას ეკუთვნიან და მას ვერავინ მოსწყვეტს. თავად ცხოვრებას მაგრად უჭირავს, არც გაუშვებს. ძალადობა ვერაფერს შეცვლის; ჰო, დათრგუნვაც და ძალადობაც უსარგებლოა. რაღაც ისეთი აქვთ, სასონარკვეთილებას რომ არ ემორჩილება; რაღაც ისეთი, სახელი თავადაც რომ ვერ დაურქმევიათ.

ნაპობი ყვავის.

* * *

ჰო, ჩვენ ნაპობებად გადაგვაქციეს! მაგრამ ის ვერ გაიმარჯვებს, ვინც ძალადობას მსხვერპლად შეგვწირა, ვინც ადამიანი დაამახინჯა. ბოლოს და ბოლოს უკვდავი სანყისი დამარბეველ ძალებს მინაზე დასცემს. როცა ადამიანი ძალადობის მსხვერპლი ხდება, მის დამახინჯებულ იერსახეში სანყისი დედააზრი თავს მეტად იჩენს. მისი საიდუმლოც უფრო თვალსაჩინოა, რადგან ის გარეგანი, სიღრმისეულ არსს რომ ფარავს, უკვალოდ იკარგება. უსასრულო წამებისა და დანაკარგების ფასად, განსაცვიფრებელი უბრალოებისა და სიდიადის ხატი იქმნება. დამარბეველმა ძალებმა თავადაც არ უნყიან, რომ ქმნილების უკვდავი არსის გამოთავისუფლების საქმეს ემსახურებიან.

* * *

მაგრამ, საერთოდ რად არსებობს ამქვეყნად ტანჯვა, წამება? ნუთუ საბოლოო გამარჯვებისთვის ეს აუცილებელია, ნუთუ უამისოდ ვერ მოიპოვებ? ნუთუ გამარჯვების სიმბოლო მხოლოდ ნაპობი შეიძლება გახდეს? ნუთუ ასეთია წესი და ეს ჩვენი ხვედრია? ტანჯვა ერთადერთი გზაა ჩვენი არსის გამოსავლენად? მხოლოდ ტანჯვის გზით შეიძლება მივხვდეთ უზენაესი გაგებით, რანი ვართ? ეს უნდა დავიჯეროთ? მაშინ გამოვა, რომ დამარბეველი ძალები შემქმნელი ძალების არსი ყოფილა? უნაყოფო, არაცხოველმყოფელი, ნეგატიური — და შემქმნელი? და მაინც შემქმნელი? და სნორედ ამის გამო, ამ აღმაშფოთებელი წესრიგის ძალით, ყოველივე ნაპობად გადაიქცევა?

არა, ამას ვერავითარი ძალა ვერ დამაჯერებს!

ტანჯვა, რა თქმა უნდა, ვერაფერს შექმნის და ვერც გამარჯვებას მოიპოვებს. ძალმომრეობას აღარც ვახსენებ. აბა, რით შეიძლება ჩვენს გამოვლინებას ხელი შეუწყოს. ნეგატიურს, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით, შექმნა არ შეუძლია. ცხოველმყოფელი მხოლოდ სიუხვე და სინათლე შეიძლება იყოს. მხოლოდ მას შეუძლია შექმნას. დამკვიდრებას, განხორციელებასა და ჩამოყალიბებასაც მხოლოდ ის კვებავს. ცხოვრების ფესვი ხომ სიხარულია. ასე არ არის?

რა თქმა უნდა. უდავოდ. სხვაგვარად წარმოუდგენელია. არც მინდა, რომ წარმოვიდგინო. ასე უნდა იყოს.

ის კი აღარ მესმის ტანჯვა ასე უსაზღვრო რად არის და მთელ ჩვენს ცხოვრებას ასე პირქუშ, ავისმოსურნე ჩრდილად რად გადაჰფარებია. ეს როგორ გამოდის? ან რატომაა, რომ ეს ჩრდილი განსაკუთრებით ავისმოსურნედ სიცოცხლის სწორედ უმაღლესი ფორმებისადმია განწყობილი და თავად ცხოვრების განვითარებასთან ერთად იზრდება და ძლიერდება? ასე რად ხდება? არის კი ეს რაღაც იდუმალი აუცილებლობა?

ადამიანივით არც ერთი ცოცხალი არსება არ იტანჯება და ამასთანავე, სწორედ ჩვენ, როგორც არავინ, ისე ვართ სიუხვისა და ბედნიერებისათვის შექმნილები. თუ ჩვენთვის არა, მაშ, ვისთვის არის იგი განკუთვნილი! და მაინც, განწირულები ვართ. პირქუში ჩრდილი თავს გადაგვფენია და რაც უფრო მაღლა, მწვერვალებისკენ მივიწევთ, უფრო და უფრო მუქდება და ავისმოსურნე ხდება.

რად უნდა იყოს ადამიანის ცხოვრება აუცილებლად სევდიანი დრამა? რად უნდა იყოს ის ტრაგედია, რომელიც დღისით მზით გაჩახჩახებულ, ღამით კი ვარსკვლავებით მოფენილ, შესანიშნავ სამეფო სასახლეში გათამაშდება? რად უნდა ჰგავდეს უძველეს საგას, უკვდავს, მშვენიერსა და ამაღელვებელს და ამასთანავე, სასტიკსა და დამამცირებელს?

მაგრამ, ვინ იცის, იქნებ სწორედ ესაა ჩვენი უკვდავება?

* * *

ზეცაც შენია და მინაც. მაგრამ ის ტვირთიც შენია, რომელსაც სხვა ვერავინ ანევს. ხვედრის ტვირთი, რომელიც ყოველთვის მეტისმეტად მძიმეა და რომელიც თავად ბუნების მეუფეს თუ ძალუძს იტვირთოს, ცხოვრებამ მხრებზე დაგვადო და რას იზამ, უნდა ვატაროთ, ნელში მოხრის უფლება არ გვაქვს. წაიქეცი, მაგრამ არ ჩამოაგდო, სასიკვდილოდ დაშავდი, მაგრამ ნუ მოკვდები, დაიტანჯე, მაგრამ დაამარცხე ეს ტანჯვა. ისევ და ისევ აზიდე ტვირთი შენი და ატარე, დროისა და ჟამის უსასრულობაში ატარე.

თავად ცხოვრების ტვირთს ხომ არ ვეზიდებით? ასე ხომ არ გამოდის! იქნებ თავისი იდუმალი ტვირთი ჩვენ აგვკიდა, რადგან ხელთდასმულებად, უახლოესებად, ნდობის ღირსებად ჩაგვთვალა?

იქნებ თავადაც იტანჯება, ჩუმად, უთქმელად? იტანჯება და მხოლოდ ჩვენით შეუძლია ამ ტანჯვა-ნამების განსხეულება? ეს ხომ არ არის ჩვენი მისია? რაღაც უზენაეს მიზანს ხომ არ ემსახურება? რაღაც დიადისკენ, ყოვლისმომცველისკენ, მიუღწეველისაკენ სწრაფვას ხომ არ ემსახურება?

რა თქმა უნდა, ცხოვრება მდიდარი და ყოვლისშემძლეა, მაგრამ, განა, სიმდიდრე ბედნიერების სინონიმია? ამას მხოლოდ ბრიყვი თუ დაიჯერებს. რა თქმა უნდა, ის ნათელია, თავის ნყაროების ფსკერამდე ნათელია, მაგრამ, განა, უფსკრულში არ ჩაედინება? პირქუშ უფსკრულში, სადაც სინათლის სხივი ვერც კი აღწევს? განა, მისი არსიც კი რთული, მრავალმნიშვნელოვანი და წინააღმდეგობრივი არ არის? იქნებ ადამიანი სწორედ ამისთვის უნდა მოვლენილიყო, რათა მისი წინააღმდეგობრიობა, გახლეჩილობა, გაორება შეეცნო? რათა ყოველივეს ერთად თავის მოყრა ეცადა? იქნებ მის გაორებულ არსს, იანუსის ორ — დღისა და ღამისაკენ მიმართულ სახეს — სწორედ ადამიანში უნდა ეჩინა თავი? მისი ერთიანი სული სინათლესა და ნყვდიადს შორის უნდა განფენილიყო და მისი შეერთებისთვის ებრძოლა? იქნებ ესაა ადამიანის დანიშნულება? ამისთვის ხომ არ ვიტანჯებით?

ხელში კენჭი მიჭირავს. ათასფრად ბრწყინავს, იერს იცვლის, ცოცხლობს. მასში თითქოს სიცოცხლის მთელ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას მოუყრია თავი. მაგრამ ეს „ბედნიერების" თილისმა როდია. საქმე ასე მარტივად არაა. ბედნიერება არ მოაქვს, მაგრამ რაღაც უფრო დიდს, უფრო აუცილებელს განიჭებს.

სამეფო გვირგვინს ერთი განსაკუთრებული თვალი აქვს, სხვებისგან გამოირჩევა. ეს მოდგმის იდუმალი თილისმაა, თაობიდან თაობაზე რომ გადადის. ხვედრის თვალია.

* * *

საიდან გაჩნდა? რა სიღრმეებიდან ამოიზარდა, რათა შემდგომ ადამიანისთვის ცხოვრების მიერ მორთმეულ, მრავალმნიშვნელოვან საჩუქარდ გადაქცეულიყო? ისევე კარგად კი იცის ნყვდიადის საიდუმლოც, როგორც სინათლისა? ახსოვს კი ის სიღრმე, სადაც მისი ფერები ქრებოდა და სადაც, ვინ იცის, იქნებ ოდესმე ისევ ჩაქრეს კიდეც? დღისა და მიწისქვეშეთის, ნყვდიადის მეუფების,

შუქისა და ჩრდილის შემაერთებელ რგოლად ხომ არ გვევლინება მეფის სულში?

ღამღამობით, სასახლეში მისი მძიმე ნაბიჯების ხმა ისმის, უძველეს დარბაზებში ჰადესის ჩრდილი დაბორიალებს, მწვერვალზე აღმართული, მარტოსული აკროპოლის ირგვლივ ერინიები დაძრწიან და მარად გარინდებულ ბუნებას შეუცნობელი ძრწოლით ავსებენ. მხოლოდ აქ, მწვერვალზე, ადამიანთა საუფლოში — მხოლოდ აქ შეიძლება ხვედრის ტვირთს გაუძლო, აქ ყველაფერს შეიძლება გაუძლო.

* * *

სინათლის უძველესი სამყარო! განა, უმთავრესი ეს არ არის? განა, არსებობა ჭეშმარიტი მხოლოდ აქ არ შეიძლება იყოს? განა, ზეცაცა და მიწაც მისთვის არ შეიქმნა?

და მაინც, სადღაც, ქმნილების გულში, მის ყველაზე იდუმალ სიღრმეში, რაღაც ტრაგიკული, სისხლიანი ჭრილობა იმალება. შექმნის მომენტში, ალბათ, სასიკვდილო დარტყმა მოხვდა, რაღაც მოკლეს და ყოველივემ მაშინვე გაორებული აზრი შეიძინა — უარყოფილიც გახდა და უარმყოფელიც. სამყაროს სისხლი წვეთავს და იქნებ ადამიანები სწორედ ამისთვის ვიშვით, რომ წვეთ-წვეთად შევაგროვოთ. მხოლოდ ჩვენ, მხოლოდ ადამიანებმა შევძელით სპექტაკლის დრამატული არსი, ტანჯვის ტრაგიზმი შეგვეცნო და თავადაც დაუსრულებლად ვიმეორებთ ერთხელ ჩადენილ დანაშაულს.

უძველესი რწმენა, რომ ცოდვა ადამიანთან ერთად იშვა, ჭეშმარიტსა ჰგავს, თუმცა ახლა ოდნავ აზრი იცვალა. თუმცა, რა მოხდა, ძველი აღთქმის შეფასებები ხომ მარად ჭეშმარიტი აღმოჩნდება ხოლმე, თუმცა აზრს სულ იცვლის და ყოველ საუკუნეს ახალი, თავისებური ფორმით ევლინება. განა, ერინიები ჩვენც ისევე ფეხდაფეხ არ დაგვდევენ, როგორც უხსოვარი დროიდან ჩვენს წინაპრებს დასდევდნენ? ცხოვრების ეს გამოცანა, მის გულში გაჩენილი ეს ბზარი ადამიანში დანაშაულის შეგრძნებითა და ცოდვის შეცნობით გამოვლინდა. ადამიანის სული შეშფოთდა, შეშინდა, ეწამა, ზღვარის გადალახვისას თავი დაიდანაშაულა. ყოველივე მტანჯველსა და გადაუწყვეტელს ქედი მოუხარა და ეს ტვირთი საკუთრივით ატარა. და გაუძლო კიდეც. ქედი მოუხარა იმას, რაც ცხოვრების გულში იმ-

ალებოდა და გათავისუფლებას, გამოსავალს ეძებდა.

ადამიანი უნდა გაჩენილიყო. იგი თავად ცხოვრების წინააღმდეგობრივი, ტრაგიკულად ორსახოვანი და მრავალმნიშვნელოვანი არსის ქმნილება გახლდათ. მხოლოდ მას შეეძლო თავის თავში ყოველივე დაეტია. კიდეც დატანჯულიყო და დანაშაულის უფსკრულშიც ჩანთქმულიყო. მხოლოდ მან იცოდა, რა არის ცოდვა და ატარებდა ტრაგიკული დანაშაულის შეგრძნებას, რომელიც არსებითად მისი არც იყო, საკუთარივით კი სტანჯავდა; როგორც, ვთქვათ, ოიდიპოსს, რომელმაც არც კი იცოდა მამა თუ მოკლა. მხოლოდ მას შეეძლო ხილული აბსურდიდან თუ სატანჯველიდან, განსხვავებულობიდან თუ ნაირგვაროვნებიდან ღრმა აზრით სავსე ფასეულობა ამოეზიდა.

და, როგორც ჩანს, ცხოვრება რაღაც ძალიან მნიშვნელოვანსა და ნაყოფიერს, სწორედ ადამიანის ამ ძალაში პოულობდა.

* * *

დაფარულმა გამოსავალი იპოვნა. მიძინებულმა გამოიღვიძა და ცნობიერება შეიძინა. მარადიული ბურუსიდან თავი ტანჯვით გამოიხსნა და იგრძნო, ცხოველური გარსი როგორ ჩამოიშორა, იგრძნო, რომ სხვებს არ ჰგავდა, რომ უფრო მდიდარი, მძლავრი, ბედნიერი და ამასთანავე, გამორჩეულიც იყო. მხოლოდ მას შეეძლო უსაზღვრო ტანჯვით ეცხოვრა.

უფსკრულმა პირი დააღო — ქმნილებისთვის ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს უფსკრული მან თავის სულში აღმოაჩინა. ახლა მის სიღრმეებში უნდა ჩაეყვინთა, რათა იქიდან საკუთარი თავი ყველას გასაგონად დაედანაშაულებინა.

ცხოვრება უფრო ამაღლებული შინაარსით შეივსო. ხვედრად, მონოდებად, ტანჯვის გზად გადაიქცა. Via dolorosa, ჯვარცმულის გზა, რომელზედაც ადამიანმა ფეხი შედგა. ახლა ცხოვრებას უკვე შეეძლო თავისი ტკივილი, თავისი მტანჯველი წინააღმდეგობრიობა ადამიანის მხრებზე გადაედო. ადამიანსაც შეეძლო მისი ტანჯვით დასნეულებულიყო და მისი დანაშაულიც ჩაედინა, შეეძლო ჯვარზე თავადაც გაკრულიყო და სხვებიც გაეკრა.

ვის შეუძლია შეაფასოს ადამიანთა სამყაროს ჩასახვისა და გან-

ვითარების, ცხოვრების გაღრმავებასა და გაფართოების საქმეში, დანაშაულის, თვითგანადგურებისა და მონანიების მნიშვნელობა? შეაფასოს ნაყოფიერება ისეთი წესრიგისა, სადაც რაღაც სწორია, რაღაც კი არასწორი, სადაც ღრმა, გაუაზრებელ მოქმედებას ზღვარი ედება, სადაც ნებისმიერი აქტი შეუცნობელი კი არა, პასუხისმგებელი არსების საქციელია და ასე თუ ისე, მისი პირადი „მეს" ჩამოყალიბებას ემსახურება, სადაც სული, თანდაყოლილი სამართლიანობის შეგრძნების წყალობით დამღუპველ, მარადიულ უფსკრულშიც შეიძლება ჩაინთქას და სიწმინდისა და თავგანწირვის მარადიულ მწვერვალსაც მიაღწიოს. ცხოვრება კი ამით, მხოლოდ ახალ, განსაცვიფრებელ, ჯერ არარსებულ განზომილებას შეიძენს.

ამ ახალი განზომილების გარეშე ადამიანთა სამყარო, პიროვნების განვითარების, სულიერი ბრძოლის სამყარო და კულტურა ვერ შეიქმნებოდა. ახლა, როგორც იქნა, გამოიკვეთა სიმაღლისა და სიღრმის ის საზღვრები, რომლის მიღწევა ცხოვრებას სურდა და რომელიც ადამიანის სულს უნდა დაეტია. უცებ დაჰბერა ტრაგიკული სიდიადის სიომ, საორკესტრო მრავალფეროვნების სიმდიდრე გამოიკვეთა და სიმფონიაც აღტაცებისა და ტკივილის ხმებით აჟღერდა; მისმა ლაიტმოტივმა, ხვედრის ძლიერმა მოტივმა ზღუდე გაანგრია, ბრძოლისა და გათავისუფლების მეშვეობით ძალა მოიკრიბა და უფრო მკვეთრად, უფრო მგზნებარედ აგუგუნდა.

ბოროტი და კეთილი! ცოდვა და სიკეთე! უფსკრულიდან სინათლისა და სიწმინდის მწვერვალისკენ აღმასვლა! ადამიანთა სამეფო! ადამიანთა ხვედრი! ახალი, უმანკო სამყარო, ნაყოფიერი და უკიდეგანო! სიუხვე, სიუხვე! ბრძოლით მოპოვებული იმედების სამყარო!

მაგრამ ყოველი შენაძენი, ყოველი მონაპოვარი აუტანელი ტანჯვის ფასად უჯდება. ტრაგიკული დაძაბულობა არასოდეს სუსტდება და დრამის განვითარებასთან ერთად, უფრო და უფრო ძლიერდება. კონფლიქტი მოუგვარებელია და ასე მოუგვარებელივე დარჩება, რადგან წინააღმდეგობრიობის მასშტაბი თავად ცხოვრების მასშტაბთან ერთად იზრდება, განვითარება ფართოვდება და ეს ყოველივე მხოლოდ ადამიანით ჩატარებული შემოქმედებითი აქტის გაგრძელებად გვევლინება.

ასე ბევრს რად მოითხოვენ! შეუძლებელი რად უნდა შევძლოთ! ასე მაღალ მოთხოვნებს რად გვიყენებენ, თუკი მის შესრულებას

ვერასოდეს შევძლებთ! რად უნდა გახდეს ჩვენი ბედნიერება რაღაც ისეთი დიადისა და რთულის ზვარაკი, ბედნიერების გაგებას რომ ვერ შეუთავსდება!

რად ვართ ვალდებულები რჩეულნი ვიყოთ!

შეიძლება იკითხო, შეიძლება დაიჩივლო.

მაგრამ ადამიანს ბრძოლაღა რჩება. ისევ და ისევ ბრძოლა, რომელსაც უფრო ღია პოზიციებზე, სანგრის წინა ხაზზე გაჰყავს და დაუსრულებელ სიფხიზლეს უკიჟინებს. საზღვრები კი დაუსრულებლად ფართოვდება. ადამიანის სამფლობელო უსამანოა და ჯერ უპატრონო მინების ხარჯზე ისევ და ისევ იზრდება. ასეთია ჩვენი სამშობლო და მისთვის ვიბრძვით, ვიმარჯვებთ, ვიხოცებით. ხანდახან პოზიციები ირღვევა — სირბილი, ძრწოლა და პანიკა იწყება. დარბეული ნაწილები ზურგში იყრიან თავს და სასწრაფოდ ხელახლა ყალიბდებიან. ყველას საერთო გულგატეხილობა, უიმედობა მოიცავს და თავის ბუნაგებში შეკეტილი, ჭუჭყიანი, ცოცხალმკვდარი ჯარისკაცები ნყევლა-კრულვას შეუთვლიან ქვეყანას, რომლის დაცვაც დაბადებითვე მიესაჯათ. ყველაზე მამაცებმა, პაუხისმგებლობით აღსავსეებმაც კი შეიძლება ხანდახან მოიწყინონ, ხანდახან იფიქრო, კარგი იქნებოდა ბრძოლის ველიდან გავიქცე, სიმძიმეს თავი დავაღწიო და ცოტა ხანს ბალახივით ვიცხოვროო, ყვავილების, ხეების, ფრინველების მარტივი სიხარულით ვიცხოვროო. ამდენ მსხვერპლად თუ ღირს ეს ყოველივე? უაზრო ხომ არ არის ეს ბრძოლა? თავად გამარჯვება? ან რა ქვეყანაა, თუკი საზღვრები არა აქვს? როგორ დავიცვათ? გამარჯვებასაც ფასი არა აქვს, შედეგი არა აქვს, ყველაფერი ისევ გადაულახავი რჩება. დაუსრულებელი ბრძოლები, დაუსრულებელი მსხვერპლი, ხოლო სამშობლო მის მიწაში მიძინებულ გმირებს არც კი იხსენებს, რადგან თავად უსამანოს, უთვალავი და უსახური გმირები ჰყავს. ეს რა ხვედრი მოგვისაჯეს!

მაგრამ დაეშვება ღამე და ვიღაც აღდგება, ვარსკვლავების შუქში დარბეულ და მიტოვებულ მინას და დაცემულ მებრძოლებს შეათვალიერებს. მაშინ ისინიც იარაღს აისხამენ და ღამის საფარქვეშ, წინ ფეხაკრებით გაიძურწებიან.

* * *

საინტერესოა, ვინ გვიღალატა? ჩვენ ხომ ვიმარჯვებდით, გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ, როგორც არასდროს, ისე მივინევდით. და უცებ, გვიღალატეს. პოზიციები, თითქოს რაღაც იდუმალი ბრძანებით დავტოვეთ, თუმცა, ერთი შეხედვით, წარმოუდგენლად მომგებიანი პოზიციები გვქონია. მეტისმეტად წინ კი იყო გადანეული და მხოლოდ გარკვეულ უბნებზე გამაგრებული, მაგრამ ჯარისკაცებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. და მაინც, ალბათ, შეიძლებოდა მათი შეკავება. ან დაცვა მაინც. როგორც მოხდა, რომ უბრალოდ მიატოვეს?

ვინ იძლევა ბრძანებებს? რა თქმა უნდა, უზენაესი მთავარსარდლობა! შეუძლებელია ყოველივე რიგითი ჯარისკაცებით დაწყებულიყო, პირველი ისინი შემკრთალიყვნენ. თუმცა შემდეგ, ყველაფერი რომ შეზანზარდა და შეირყა, ამ სასოწარკვეთილებისა და მარცხის ორგიების წამომწყებნი სწორედ ისინი აღმოჩნდნენ.

არა, მაინც მგონია, რომ სწორედ მათ გვიღალატეს, ვინც წინ, ყველაზე სახიფათო საზღვრისაკენ გვიბიძგებდნენ, სიდიადის სამანისკენ გვერეკებოდნენ, გამარჯვებისთვის მსხვერპლსა და გმირობას მოითხოვდნენ, ორაზროვანი ბრძანებებით თავს გვაბეზრებდნენ, რადგან თავადაც, თავისი არსით, ორაზროვანები გახლდნენ.

მეოცნებეები — მოღალატეები არიან!

* * *

ყველა გამარჯვებისაკენ და ერთდროულად კრახისაკენ, დაღუპვისაკენ ისწრაფვის. როგორც კი მწვერვალს მიაღწევ, უფსკრულიც დაგვიახლოვდება და სწორედ სიმაღლეზე იგრძნობ, როგორ გიზიდავს და გისრუტავს. დაეჭვების კერა კაცობრიობის მისწრაფებათა უმაღლესი წერტილებია, კულტურის მწვერვალები, სრულქმნილების მწვერვალები. კულტურის დაშლა უმაღლეს ფენებში იწყება. ნებისმიერი კულტურა თვითგანადგურების სანყისს ატარებს, რაღაც ისეთს, შიგნიდან რომ მოუღებს ბოლოს. ადრეულ ეტაპებზე ეს სახიფათო ჯერ კიდევ არ არის. პირიქით, პატარა დოზებით შხამიც ხომ სტიმულია. სამეფო გვირგვინის ძვირფას თვლებს ეს თავისებურ ეშხსა და მელანქოლიურ ბრწყინვალებასაც კი

მატებს. შემდეგ ნელ-ნელა გამოჩნდება, რომ თვლები შეიცვალა, ეს კი იმის ნიშანია, რომ მალე ბრწყინვალებას საერთოდ დაკარგავს.

რა უცნაურია, რა გაუგებარია! დამარბეველი ძალები, გამარჯვებულ, შემქმნელ ძალებთან ერთად მთლიანობას როგორ ქმნიან...

ახალი გვირგვინი მხოლოდ ძვირფასი და ლამაზია. გვირგვინი საკუთარი განადგურების წინ კი ჭეშმარიტად მშვენიერი შეიძლება გახდეს!

* * *

მახსენდება ღრუბელი ამ დღეებში რომ დავინახე, როცა გისოსებს მიღმა ცას შევცქეროდი. ადამიანის თავს ჰგავდა, კეთილშობილი, მკაცრი და ამაყი მამაკაცის პროფილს. ამაღლებულის, უპირატესისა და დახვეწილობის ნამდვილი განსახიერება გახლდათ.

სანამ შევცქეროდი, პროფილის კონტურები ნელ-ნელა შეიცვალა. თავდაპირველად სახის სილამაზე უფრო გამოიკვეთა, მისი თვითმყოფადი ინდივიდუალობა უფრო გამოაშკარავდა, შემდეგ რაღაც საგანგებო, უცნაური გაზვიადების ნიშანი გაჩნდა, ბოლოს კი რაღაც მტკივნეული და შეუხედავიც კი ჩამოყალიბდა. სახე თითქოს თვალდათვალ დაიშალა და ამასთანავე, არც თავისი ინდივიდუალობა, თავის „მეს"-თან მსგავსება დაუკარგავს. თანდათანობით კეთროვანის სახეს დაემსგავსა, მკვეთრი კონტურები დაკარგა, დაიშალა და თითქოს ცოცხლად დალპა. საბოლოო ჯამში, მეტყველი თვალი ნახვრეტად გადაიქცა, ყბა ჩამოეკიდა და სახის ნაცვლად კბილებდაკრეჭილი თავის ქალაღა დარჩა.

მაგრამ თავის ქალაც კი ყოფილ სახეს, ამ დიადსა და მშვენიერ ხატს ჰგავდა. რაღაც საერთო, რაღაც ღრმად დაფარული საიდუმლოება აკავშირებდათ.

* * *

ყველაფერი ყვავილობისკენ ისწრაფვის და ამასთანავე, თვითგანადგურებასა და სიკვდილისაკენ მიემართება. ყოველ ყვავილს თავისი ორეული ჰყავს, რომელიც მარადიული წყვდიადის სამყაროდან იხმობს; ყოველ ხეს თავისი ორეული ჰყავს, უნაყოფოდ ტოტებგაშლილი წყვდიადში, სადაც ყოველივე ბუნდოვანია, ყოველივე მხ-

ოლოდ არსია. ხრწნის ძალებს, ნიშანს, მზად იყავითო, სწორედ სიმნიფე და დასრულება აძლევს. კრახისა და სიკვდილისკენ სწრაფვას ყოველივე განვითარების ზენიტზე ინყებს. სწორედ გამარჯვებაა ის ძალა, იარაღი დაყარეთო, რომ ბრძანებს.

ეს რაღაა? იქნებ ყოველი მიწიერი იმ ქვეყნისკენ მიისწრაფვის, სადაც იშვა? იქნებ ნყვდიადის ნყლებში სურს ჩანთქმა, სადაც ისეთივე მთლიანობად გადაიქცევა, როგორც ოდესღაც იყო? იქნებ თავის დაკარგვის, მარადიულში, მთლიანობაში გათქვეფის სურვილია, რათა მისი ძლიერი ნებით კვლავ იშვე, კვლავ აღდგე, ის ხომ ერთადერთია, ვისაც ჩვენი არარაობიდან გამოხმობა შეუძლია?! რათა მისი უსაზღვრო ალერსისგან, დავიწყების ნყვდიადისგან დინჯად გამოიხსნა თავი და უკვე განახლებული და ახლად შექმნილი ისეთი სიხარულით განიმსჭვალო, რომელსაც სახელიც არა აქვს? ისეთი აღფრთოვანებით განისმჭვალო, თითქოს შექმნის სასწაული პირველად აღსრულებულიყოს?

იქნებ სიკვდილის სამეფოც სიცოცხლის სამფლობელოა? იქნებ ჩასახვისა და შობის კარი დედის მარადიული საშოა, სადაც სინათლე ვერ აღწევს?

იქნებ შექმნის პირველი დღის ეს ჩემი დარდი მხოლოდ კვლავ აღდგომის სევდიანი მონატრებაა?

* * *

კვლავ აღდგომა. დაიბრუნო პირვანდელი სახე და მაინც სხვა-გვარი. მაინც რა ხდება? არ ვიცი. მაგრამ სხეულს სიმხნევე განაახლებს, ტოტებს კი თრთვილი. უკვდავების ნყალში ჩაშვებით უცებ რაღაც იცვლება, რაღაც ძველებურად აღარაა. რაღაც გემატება, თუმცა რა, ვერ გაგირკვევია. წინ კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგმევა და აი, სულ ახალი დღე დადგება, დღე, რომელიც დედამიწაზე ჯერ არ გაბრწყინებულა.

იქნებ საჭიროა, იქნებ აუცილებელიცაა დროდადრო სინათლიდან ნყვდიადში დავბრუნდეთ, მის მარადიულ ძახილს დავემორჩილოთ? არარსებობაში ჩავიძიროთ, რათა მარადიულსა და მთლიანში გავითქვიფოთ? რათა აღესრულოს უდიდესი სასწაული, დღის სინათლეზე ვერასოდეს რომ ვერ აღესრულება? იქნებ ეს არის სიღ-

რმის, წყდიადის დანიშნულება? ღამის მნიშვნელობა დღისათვის იქნებ ეს არის?

თუ დღის მოსავალს სხვაგვარად ვერც მოიმკი? იქნებ ბეღელში სნორედ ღამის მონათესავე ნიადაგის მოსავალი უნდა შეგროვდეს, უკანასკნელ მარცვლამდე უნდა შეგროვდეს ის განსხეულებული თავთავი არც დროის ქარებს რომ ცნობენ, არც შრიალებენ და არც ირხევიან, რამეთუ ერთ მთლიანობას მარადიულობასთან ქმნიან. მინაზე აღმოცენებული თავთავი იმთავითვე ლპობისა და განადგურებისათვის ემზადება, ამ დროს კი, დავიწყებისა და სიკვდილის საუფლოში იგი უკვდავებისათვის, კვლავ აღდგომისათვის მწიფდება.

იქნება ამიტომ ისწრაფვის ყოველივე კრახისკენ სნორედ განვითარების ზენიტში? ყოველგვარი დაგვირგვინება, ყოველგვარი ტრიუმფი, უკიდურეს ზღვარს მიღწეული სიცოცხლის სიყვარული?

* * *

ნეტავ, შემეძლოს ამის დაჯერება! ნეტავ, მწამდეს, რომ დამარბეველი ძალები, თავად სიკვდილიც, სიცოცხლის ყველაზე მნიშვნელოვან, ყველაზე განსაცვიფრებელ ნაწილს ემსახურება! გაგრძელებასა და განახლებას ემსახურება და არა უსასრულო გამეორებას. რომ სიკვდილი, გარდაცვალება მტრულად განწყობილი სულაც არ არის, რომ არსებობს ერთი მთლიანობა და არა მხოლოდ დაპირისპირებათა ბრძოლა. რომ საფუძველთა საფუძველი მიზანშეწონილობაა, ღრმა სიმშვიდე და მშვიდობა!

რა მშვენიერია რწმენა! რა მტკივნეული და მწარეა სასოწარკვეთა!

* * *

არა, სასოწარკვეთა რა საჭიროა. არც მიზეზი აქვს. ეს ცდუნება მაშინ დაგიპყრობს, თუ მხოლოდ იმას დაინახავ ცხვირწინ რაც გიდევს, ვთქვათ, ციხის კედლებს, საკნის კედლებს ან დილეგს. თუ არ ძალგიძს შორს განჭვრიტო, მთლიანობის ურთიერთკავშირი დაინახო და გააცნობიერო, რომ შენც მისი ნაწილი ხარ.

შემთხვევითობა ყოველთვის გვატყუებს. ის, რაც თანადროულობაში ხდება, ეგრეთ წოდებული თანამედროვეობა, ცხოვრების

პატარა მონაკვეთზე გაზვიადებულ შთაბეჭდილებას გვიქმნის და ყოველივე დანარჩენს ფარავს. დანარჩენი უბრალოდ გვავიწყდება. და რაც უფრო უხეში და თამამია გარეგანი, თავსმოხვეული სინამდვილე, მით უფრო იოლად ვივიწყებთ ხოლმე მისით დაფარულ ჭეშმარიტებას.

მაგრამ თავად ცხოვრება არაფერს ივიწყებს. ის ყოველთვის ყველგანაა; მთელი თავისი სისავსით, ერთდროულად ყველგან მეფობს.

* * *

სასოწარკვეთა! ეს ხომ იმას ნიშნავს ვაღიარო, რომ აი, ამ გალიის გარდა, რომელშიც ვზივარ, რომელშიც ტანჯული პატიმრები სხედან, სხვა არაფერი არსებობს! რომ სულ ესაა ცხოვრება, რომ ამქვეყნად მხოლოდ ჩვენი ხანმოკლე პატიმრობისთვის ვიშვით, იღბალმა მეტი არაფერი გამოიმეტა. ეს ხომ იმას ნიშნავს, შეეგუო, რომ მხოლოდ პატიმარი ხარ და მეტი არაფერი!

მაგრამ ცხოვრება არასოდეს აგიშენებს გალავანს, არასოდეს გაგრიყავს. პირიქით, ცოცხალსაც და მკვდარსაც მაგრად მიგიჯაჭვავს. გარდაცვალებასა და კვლავ აღდგომას, განვითარებათა და განახლებას, უკვდავებასა და მარადიულობას, ისევ და ახლად შექმნის დღეს მიგაჯაჭვავს.

იგი გაწყვეტს დროისა და სივრცის ჯაჭვს. ის თავისუფლებაა, თავისუფლება, თავისუფლება!

* * *

ვდგავარ და ზემოთ მიმაგრებული ცხაურის მიღმა თავისუფლებას გავცქერი. ვხედავ, როგორ მიცურავენ ღრუბლები, თითქოს ერთმანეთში იჭრებიან, ერთმანეთისგან იშვებიან, შორდებიან და ისევ ერთდებიან. სახეცვლილების დინჯსა და უწყვეტ ნაკადს ვხედავ. რაღა ერთი მთლიანობა იქმნება, ოღონდ მარად არამდგრადი და ცვალებადი. მამოძრავებელი ძალა თვალისგან დაფარულია, მხოლოდ შედეგს ვხედავ — როგორ აღმოცენდება, იცვლება, გარდაისახება. სამყაროს უსასრულო სივრცეებში რაღაც გატაცებული, მარადიული მოძრაობა შეიმჩნევა.

გავა დრო და ყოველივე თვალს მიეფარება, გაიფანტება, გაილევა, გაქრება. ზაფხულის ზეცა ცისფერს გადაიკრავს და მნიშვნელოვანი აღარაფერი დარჩება.

აღარაფერი?

არა, მამოძრავებელი ძალები რჩებიან, მაგრამ ისეთს აღარაფერს ამოძრავებენ, მე რომ დავინახო. მე ხომ მხოლოდ ხილულს ვამჩნევ. საერთოდ კი, ყველაფერი ძველებურად დარჩება.

ეს ღრუბლები რომ არ შემემჩნია, ვერც კი წარმოვიდგენდი რაღაც ძალების არსებობას. აი, რა იოლად შეიძლება ცდებოდე!

დავდგებოდი, სიცარიელეს ჩავხედავდი და ვერაფერსაც ვერ მივხვდებოდი.

* * *

ღრუბლებს ხშირად ვესაუბრები. ჩემი ახლობლები არიან და ბევრ იდუმალს მაზიარებენ. არა, რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვან საიდუმლოს არ მანდობენ, მაგრამ იმას, რაც შემიძლია გავიგო, რაც შეიძლება როგორღაც მაცნობონ, იმას მეუბნებიან. ცხოვრება თითქოს გაკრთება, თავისი გზით მიდის: შობა, არსებობა, სიკვდილი. აი, ღრუბელთა ცხოვრება კი, მათი სიცოცხლე, მფრინავი ალეგორიები, წამიერი, ცვალებადი და ნათელი სამყარო, ჩემი სამყაროა, რადგან თავადაც მისი ნაწილი გავხდი.

სარკმელი ისე მაღლაა, მიწას ვერ ვხედავ, თითქოს სამუდამოდ დამეტოვებინოს.

ღამღამობით კი ვარსკვლავებს ვესაუბრები. სულ ახლოს კიაფობენ. არამიწიერი შუქით კიაფობენ. თითქოს ცოცხლად დამმარხეს, მაგრამ სამყაროს უსამანო სივრცეებში დამმარხეს.

* * *

ჰო, ჩემი უხილავი ძალები ისევ აქ არიან. სად წავიდოდნენ! ვერც არსებობას შეწყვეტენ და ვერც აორთქლდებიან. ნაწილი მთელს როგორ მოწყდება! ისინი მარადიულები არიან და მუდამ ერთნაირად საქმიანები, მაშინაც კი, როცა ჩემთვის უხილავ სამყაროში იღვწიან, როცა არ „ცოცხლობენ“. რა არის სიცოცხლე? რა არის სიკვდილი?

იქნებ სიკვდილი გარდასახვაა? ჩვენთვის შეუცნობელი გარდასახვა, რადგან ახლა სხვაგვარად ვცხოვრობთ?

და როცა გარდავისახებით ამ ცხოვრების შესახებ აღარაფერი გვეცოდინება? იქნებ სამანი, რომელიც საბოლოო და საბედისწერო გვეჩვენება, კი არ ჰყოფს ორ სამყაროს, მხოლოდ ჩვენი აღქმის ზღვარია? ჩვენ ხომ ყოფითი რეალობის გარდა არაფრის შეცნობა არ შეგვიძლია. ცნობადები და თვალხილულები რომ ვიყოთ, შევამჩნევდით კი, რომ სამანი საერთოდ არ არსებობს, ეს ორი სამყარო ერთი მთლიანი სამყაროა და ყოველივეს ერთიანი არსი აქვს?

ყველას ერთიანი მშობლიური ალერსი გვიყრის თავს და გვიცავს. დავიწყების ნყვდიადში, მარადიული დედის საშოში ვნებივრობთ და როცა შობის ზღვარს მივადგებით და ცხოვრებას ქვემოდან ზემოთ ავხედავთ, ძველ მდგომარეობას ველარ ვიხსენებთ, ვერ ვაცნობიერებთ. მაშინ მხოლოდ ნათელი და გამოკვეთილი გვხიბლავს, მთლიანად დღის სამფლობელოში გადავდივართ და დავიწყების მრუმე სამყარო ჩვენი აღქმისთვის მიუწვდომელი რჩება. მაგრამ ის ხომ აქვეა, გვერდით და არც უცხო არაა, თუმც ასე ვფიქრობთ. ჩვენ ხომ სულში მის საიდუმლოებებსა და გამოცანებს ვატარებთ. ჩვენ ხომ მისი ქმნილება ვართ.

მაშ რატომაა, რომ მუდამ გახსენების სურვილი გვაწუხებს?

* * *

მარადიული ცხოვრება! რა თქმა უნდა, არსებობს, მხოლოდ მარადიული შეიძლება არსებობდეს. მაშ, ეს ჩვენი ქვეყანა როგორღა იარსებებდა? ვინ გამოკვებავდა? გემებისა და ნავთსაყუდელის გარეშე დარჩენილ კუნძულს დაემსგავსებოდა, დაიშრიტებოდა და დასნეულდებოდა. უდროობის ყოფიერებასთან, ამოუწურავ მთლიანობასთან კავშირი რომ არ ჰქონდეს, თავის სიმდიდრეს საიდან მიიღებდა;

რა თქმა უნდა, მარადიული ცხოვრება არსებობს. თავადაც ვეხებით, მისი ნაწილი ვართ.

* * *

ამაოდ გვეშინია. არსებობს უთვალავი განძეული, ამოუწურავი მარაგი; განძეულით დატვირთული გემებიც არსებობენ და ამ უხილავ, აფრებიან გემებს ჩვენი სულის იდუმალ ნავსაყუდელებში თავისი ტვირთი შემოაქვთ, სულ გზას ადგანან.

მხოლოდ სიკვდილი და სიღატაკე არ არსებობს.

* * *

ცარიელი გემები არც ცოცხალთა ქვეყნიდან ბრუნდებიან. რაც ვიყავით, რასაც მივაღწიეთ, რაც შევიძინეთ, ყველაფერს შესანახად მიაქანებენ. ეს მარადისობის მოსავალია და უკანასკნელ მარცვლამდე უნდა შეკრიბონ. ნამცეციც კი არ უნდა დაკარგონ.

ან კი როგორ უნდა დაკარგონ, თუკი სიკვდილი სიცოცხლისგან განუყოფელია და მას ემსახურება, თუკი სიკვდილის ცელით მოკვეთილი ყოველი ქმნილება, მაშინვე მკვდრეთით აღდგომის სურვილით ივსება.

* * *

აი, რად არის ასე მნიშვნელოვანი ადამიანის სინდისი! რაღაც ფასეულს უნდა წარმოვადგენდეთ, როცა მოსავლის აღების დრო დადგება. აი, რად არის ასე მნიშვნელოვანი ნებისმიერი ადამიანის ცხოვრება, ნებისმიერი შეცდომა. აი, რადა აქვს აზრი ამქვეყნად ჩვენს მობრძანებას.

ვიქნებით კი მარადისობისთვის ფასეულები? გავამდიდრებთ კი მის ბეღელს? თუ აფრებაშვებული გემი ცარიელი გაბრუნდება და მარადისობას ვერაფერს შემატებს?

როგორი იქნება მოსავალი?

* * *

ყველაფერზე პასუხს ვაგებთ და ამას ვერავინ გაექცევა. პასუხისმგებლობის გრძნობა მოსვენებას არ გვაძლევს. ხანდახან გავეპარე-

ბით ხოლმე, დავემალებით, ამ მოძველებულ თვითრწმენას მასხრად ავიგდებთ და წარმოვიდგენთ, რომ მისგან თავი გამოვიხსენით. სინამდვილეში კი, ამ გრძნობას ვერავინ აღმოფხვრის, რადგან მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება და უიმისობა არაფრით ეგების. რადგან ის სიცოცხლის შემქმნელის ნებასთან განუყოფელია, ჩვენ კი მხოლოდ ამ ნების იარაღი ვართ.

ზნეობრივი დაცემა ამა თუ იმ ეპოქისთვის შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს. საბოლოო სიტყვა კი მას არ ეკუთვნის, რამეთუ იგი ცხოვრების არსს, შემქმნელის ნებას უპირისპირდება.

* * *

ხშირად ფიქრობენ, რომ ზნეობა ჩვენში რელიგიას ეყრდნობა, მასთან ერთად იბადება, ან კვდება. რა მცდარი აზრია! რელიგია ბევრ მოვლენაში, მათ შორის ამაშიცაა ჩახლართული, მაგრამ ადამიანის სულში ფასეულობას კი არ ქმნის, უკვე არსებულს წარმოაჩენს. ღმერთსა და რწმენას მოკლებულ ეპოქებს უზნეოდ, რელიგიურს კი ზნეობრივად ნუ წარმოვიდგენთ. ადამიანები, რომლებზეც რელიგიას არავითარი გავლენა აღარა აქვს, ზნეობრივი თვალსაზრისით ხშირად მორწმუნეებზე მაღლაც კი დგანან.

არა, ზნეობრივს ადამიანში რომელიმე რელიგიური ხილვა ვერ შექმნის და ვერც მასთან ერთად დაიკარგება. იგი მაშინ ქრება, როცა ცხოვრების რწმენას ვკარგავთ, ცხოვრებას ვღალატობთ, მის გაყალბებას ვცდილობთ, როცა მოთხოვნებს უგულებელვყოფთ და ეშმაკობით გვინდა მივაღწიოთ იმას, რაც მიზანი გვგონია.

ცხოვრება კი გაყალბებას ვერ ეგუება.

* * *

ცხოვრება მაინც გვერევა, განვითარების გზას კვლავ და კვლავ აღადგენს და ამით თავის აზრიანობას ამტკიცებს.

დაიჯერო, რომ შესაძლებელია ადამიანის სამარადისო, არადროებითი ზნეობრივი განადგურება, იგივე იქნება, გჯეროდეს, რომ ადამიანის სულიერი შენობის აგებისას მასში ჩანერგილი რაღაც არსებითი შეიძლება დაინგრეს, შენობა კი მაინც გადარჩება; გჯეროდეს, რომ ყოფიერების ძირითადი არსი შეიძლება რადიკა-

ლურად შეიცვალოს. ეს კი აბსურდია!

რხევები, რომლებიც ადამიანთა ცხოვრების ზედაპირზე ხანდახ-ან შეიმჩნევა, მის სიღრმეებში კატასტროფულ ცვლილებებს სულაც არ ნიშნავს.

* * *

ვერც ის ნიადაგი გაქრება, რომელზედაც დროდადრო რელი-გია აღმოცენდება. შეიძლება ამ ნიადაგით შექმნილი სიმბოლოთა სამყარო გახუნდეს; რელიგიებმა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, შეიძლება ძალაუფლება დაკარგონ და ერთ მშვენიერ დღეს გაქრნენ კიდეც, ოღონდ ის, რაც მათ ქმნის, არასოდეს გაქრება. ცხოვრებას ვერ გააღატაკებ, ვერც ადამიანს გააღატაკებ.

ვის შეუძლია ერთ-ერთი ყველაზე ღრმა წყარო დაშრიტოს, ადა-მიანის სულის აღმოცენების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი პირველი მიზეზი გააუქმოს? უამისოდ ხომ უბრალოდ ვერ ვიარსებებდით.

ხეს როგორ შეუძლია ის ძალები გაანადგუროს მის შემქმნელ ფესვში რომ დაბუდებულა. ხემ არაფერი იცის მისი ბუნების შესახ-ებ, არც რაღაც თესლის არსებობის შესახებ სმენია რამე. და მაინც თესლის ყველა შესაძლებლობა სწორედ ხეში იჩენს თავს, ხე მისი წყალობით არსებობს. და ეჭვადაც კი არ იცის, რომ თავადაც ქმნის ასეთ თესლს და მომავალს აბარებს. გამხმარი ხეც კი თავის მსგავს თესლს ტოვებს და კვლავ სრულქმნილი, სწორედ ისეთი აღდგება, როგორიც მუდამ იყო.

ჩვენც ასევე დავტოვებთ მარადისობის სრულფასოვან თესლს უკეთესი, უფრო სრულქმნილი მომავლისთვის.

უკვდავება, კვლავ აღდგომა! დამცირებიდან და ტკივილიდან სრულქმნილებასა და უხრწნადობაში აღდგომა. მხოლოდ ახლა, მხ-ოლოდ ამჟამადაა ყველაფერი ცუდად, ყველაფერი ისე, როგორც არ უნდა იყოს. თესლში კი ყველაფერი სწორია. დროის ყველა მოცე-მულ პერიოდში რაღაც ისე არაა, როგორც უნდა იყოს. თესლში კი სრულქმნილებას დაუბუდებია და თავის დროს მოთმინებით ელო-დება. და მისი დრო დადგება, აუცილებლად დადგება! ეს დრო ხეს აამაღლებს, ააყვავებს, დაამშვენებს, თუმცა ხელს უშლიან, თუმცა თავის შესაძლებლობებს ბოლომდე ვერასოდეს ახორციელებს. ხეს ამახინჯებენ, ახრჩობენ, ხან ელვა ეცემა ან სუსტი, გამრუდებული,

დასუსხული კრონა აღმოაჩნდება. და მაინც, უსასრულო დროის მანძილზე, ხე გაიზრდება, უფრო გაძლიერდება. მის ზრდას ვერავინ შეაჩერებს, რადგან წინააღმდეგობის გადალახვა მისი დანიშნულებაა.

არ არსებობს გარდაცვალება! არ არსებობს სიკვდილი! არც დამარცხებით გამოწვეული სისუსტე და ყოყმანი არსებობს! მხოლოდ ძალთა მარადიული აღორძინება, მხოლოდ უსასრულოდ განმეორებადი, უსასრულოდ განახლებადი ქმნილება, მხოლოდ შექმნის მარადიული, ბრნყინვალე დღის რწმენა და სიხარული არსებობს!

სასონარკვეთა? ჩვენ უნდა ნარგვეკვეთოს სასო? ჩვენ ხომ სულში უკვდავ ძალებსა და გამარჯვების უკვდავ ნებას ვიტევთ, უდიდეს სასწაულს ვეზიარებით. ჩვენ ხომ სულით სრულქმნილების საიდუმლოებას ვატარებთ, რათა საუკუნეების მიღმა მომავალს გადავცეთ, თუმც ამ საიდუმლოს ამოხსნა არ შეგვიძლია. სრულქმნილება რეალობაში ხორცს ვერასოდეს შეისხამს. იგი მიზანივით მიუღწეველია და ასე დახშული და მიუღწეველი მარადისობის იდუმალ საუფლოში დარჩება. რიდეს ახდა რომც შეგვეძლოს, მაინც ვერაფერს გავიგებდით. და მაინც, ყოველთვის, როცა სიცოცხლე კვლავ იშვება, ყოველთვის, როცა თესლი გარსს გაარღვევს, რიდე გაქრება, საიდუმლოება თავს შემქმნელი ძალებით გამოაჩენს და გამარჯვების ნებით განხორციელდება.

ადამიანი — მარადიული ნებაა გამარჯვებისა!

ბარაბა

ყველამ იცის, მაშინ ისინი ჯვარზე როგორ ეკიდნენ და მის გარშემო ვინ მოიყარა თავი. დედაი მისი, მარიამი და მარიამ მაგდალინელი, ვერონიკა, სიმონ კვირინელი და იოსებ არმათიელი, რომელმაც შემდეგ მის სხეულს არდაგი შემოახვია. ოღონდ ქვემოთ, ფერდობზე, ცოტა მოშორებით კიდევ იდგა ერთი კაცი, ვინც თვალს არ აშორებდა მომაკვდავ ჯვარცმულს, ვინც მისი სასიკვდილო წამება თავიდან ბოლომდე იხილა. ამ კაცს სახელად ბარაბა ერქვა და ეს წიგნიც მასზე დაიწერა.

ოცდაათიოდე წლის თუ იქნებოდა. ჩასკვნილი იყო, თუმცა სახე ჩაყვითლებოდა. წითური წვერი და შავი თმა ჰქონდა, წარბებიც — შავი, თვალები კი თითქოს იმისთვის ჩაცვენოდა, რომ გამოხედვა უკეთ დაემალა. ერთი უპედან ღრმა ნაჭრილობევი იწყებოდა, ნიკაპისკენ ეშვებოდა და წვერში იკარგებოდა. საერთოდ კი ადამიანის გარეგნობას, ალბათ, დიდი მნიშვნელობა არცა აქვს.

იგი ბრბოს პრეტორიიდანვე ქუჩა-ქუჩა აედევნა, ოღონდ უკან მიჰყვებოდა და როცა გატანჯული რაბი თავის ჯვრიანად წაიქცა, ნაბიჯიც კი შეანელა და შეყოვნდა, მის გვერდით არ აღმოჩნდეო, და ჯვარიც სწორედ იმ სიმონს ნამოკიდეს. მამაკაცები ბრბოში ცოტანი იყვნენ, რომაელებს თუ არ ჩავთვლით. მსჯავრდადებულს უფრო ქალები მიაცილებდნენ; და კიდევ ბიჭუნების ხროვა — ეს შარახვეტიები ხომ მაშინვე იქ გაჩნდებოდნენ ხოლმე, როცა ქუჩაში ვინმე ჯვარზე გასაკრავად მიჰყავდათ. ასეთ გასართობს ხელიდან არ გაუშვებდნენ, მაგრამ მალე დაიღალნენ და ჩვეულებრივ თამაშს მიუბრუნდნენ; მანამდე კი ერთი შეავლეს თვალი სახენაჭრილობევ კაცს, ბრბოს კუდში რომ მიჰყვებოდა.

და აი, უკვე თხემის ადგილზე იდგა და შუალა ჯვარზე გაკრულ კაცს თვალს ვერ აშორებდა. აქ ამოსვლა არ უნდოდა, აქ ყველაფერი უწმინდური და დამასნეულებელი იყო. იმასაც ამბობდნენ, ვინც ამ დანყევლილ, შეჩვენებულ ალაგას ერთხელ მაინც ამოვა, სულის ნაწილს აქ ტოვებს, უსათუოდ აქვე დაბრუნდება და დარჩებაო. ირგვლივ თავის ქალები და ძვლები ეყარა. დამპალი ჯვრები აღარაფრად ვარგოდა, მაგრამ არ გაჰქონდათ, რომ ხელი არაფრისთვის

ეხლოთ. აქ რატომ მოვიდა? ამ კაცს ხომ არ იცნობდა და დიდად არც მისი ხვედრი ენაღვლებოდა. მაშ გოლგოთაზე რაღად მოვიდა? ბარაბა აკი გაათავისუფლეს.

ჯვარცმულს თავი ჩამოუვარდა, მძიმედ სუნთქავდა. ეტყობა, ცოტაღა დარჩა. ძლიერი აღნაგობა აქვსო, ვერ იტყოდით, გაძვალტყავებულ სხეულს ლანდი გასდიოდა და ისეთი გამხდარი მკლავები ება, თითქოს ამ ხელებით არასოდეს უმუშავიაო. უცნაური კაცი ჩანდა, თხელი წვერი და ბიჭივით უბალნო მკერდი ჰქონდა. ბარაბას იგი არ მოეწონა.

იქ, სასახლესთან პირველად რომ დაინახა, მაშინვე მიხვდა, სხვებს არ ჰგავდა. ვერ გეტყოდათ, რატომ, უბრალოდ მიხვდა. მისი მსგავსი არასოდეს ენახა. ან იქნებ, მოეჩვენა კიდეც, რადგან ჯურღმულიდან ის-ის იყო ამოვიდა და თვალები სინათლეს უცებ ვერ შეაჩვია. და აი, თავდაპირველად ეს კაცი რაღაც შარავანდედით შემოსილი იხილა. შარავანდედი, ცხადია, უმალვე გაქრა, ბარაბას ჩვეული გამჭრიახი მზერა დაუბრუნდა, ისევ მშვენივრად ხედავდა გარშემო ყველაფერს და არა მხოლოდ იმას, ვინც სასახლესთან განმარტოებული იდგა. და მაინც, იგი უცნაური იყო, არავის ჰგავდა. ბარაბას ვერ გაეგო, ასეთი კაცი ციხეში როგორ ჩააგდეს, მასავით სიკვდილი როგორ მიუსაჯეს. მისი გონება ამას ვერ წვდებოდა. რა ბარაბას საქმეა, მაგრამ ასეთი კაცისათვის მსჯავრი არ უნდა დაედოთ, ნათელია, რომ ის უდანაშაულოა.

და აი, ის ჯვარზე გასაკრავად წაიყვანეს, ბარაბას კი ჯაჭვები შემოხსნეს და გაათავისუფლეს. ბარაბას რა ბრალია, ასეთ თავად გადანყვიტეს, მათი ნება იყო, ვის გაათავისუფლებდნენ. ჰოდა, ბარაბა გაუშვეს. ორიდან ერთი უნდა გაეთავისუფლებინათ, თუმცა სიკვდილი ორივეს მიუსაჯეს. ბარაბას თავგზა აებნა. სანამ ჯაჭვებს ხსნიდნენ, იდგა და შესცქეროდა ის, მეორე, ჯარისკაცებმა თაღქვეშ როგორ გაატარეს, ამ კაცს ზურგზე უკვე ჯვარი ჰქონდა აკიდებული.

კიდევ დიდხანს იდგა და დაცარიელებულ თაღს თვალს არ აშორებდა. შემდეგ მცველმა ხელი ჰკრა და დაუყვირა:

— რა პირი დაგიღია? გაეთრიე აქედან, ვერა ხედავ, გაგათავისუფლეს!

ბარაბა გამოფხიზლდა, იგივე თაღი გაიარა, დაინახა, ის, მეორე როგორ მიათრევდა ჯვარს და მის კვალს ქუჩა-ქუჩა აედევნა. თავა-

დაც არ იცოდა, რად გამოუდგა, ან საათობით რად იდგა, მის სასიკვდილო ტანჯვა-ნამებას რად უყურებდა, ამ კაცის ხვედრი ხომ დიდად არ ენაღვლებოდა.

კი მაგრამ ისინი, აი, ჯვართან ახლოს რომ მიყუჟულან — ამათ რაღა ესაქმებათ? ეტყობა, თავად მოვიდნენ, არავის დაუძალებია, მიდით და დასნეულდითო. ახლო მეგობრები და ნათესავები თუ იყვნენ. უცნაურია, დასნეულების თითქოს სულ არ ეშინოდათ.

აი, ის ქალი, ეტყობა დედაა. თუმცა სულაც არა ჰგავს. მაგრამ რომელიმე განა ჰგავს? ქალს გლეხური, პირქუში, უხეში სახე ჰქონდა, ტუჩებსა და ცხვირს სულ ხელისგულით ინმენდდა, ცხვირიდან წვეთები ჩამოსდიოდა, რადგან ცრემლს იოკებდა. მაგრამ ქალი არ ტიროდა. იგი სხვებივით არ იტანჯებოდა და ჯვარცმულს სხვებივით არ შესცქეროდა. რა თქმა უნდა, დედამისი იყო. ალბათ, სხვებზე მეტადაც ეცოდებოდა, მაგრამ თითქოს მასზე განაწყენებულიც ჩანდა, აქ რადა ხარ გაკრული, საქმე ჯვარცმამდე რად მიიყვანეო. ალბათ, რაღაც ისეთი მაინც ჩაიდინა, რომ ჯვარზე გააკრეს ასე წმინდა და უმნიკვლო და ქალიც ამას საყვედურობდა. ვინ ვინ და ქალმა ხომ იცოდა, რომ მას არაფერი დაუშავებია, ამიტომაც იყო დედა, რომ დაეშავებინა კიდეც, მაინც ასე ეცოდინებოდა.

თავად ბარაბას დედა არ ჰყავდა. არც მამა — მის შესახებ გაგონებითაც კი არაფერი გაუგონია. არც ნათესავები — არც ერთ ნათესავს არ იცნობდა. ამიტომ ამ ჯვარზე ბარაბა რომ ჩამოეკიდათ, ალბათ, ცრემლი არც დაიღვრებოდა. ასე ვინ გამოიტირებდა. მკერდში მუშტებს ისე იბრაგუნებენ, თითქოს უფრო დიდი უბედურება აღარ არსებობს. როგორ ქვითინებენ და ყმუიან — საშინელებაა.

მარჯვენა ჯვარზე გაკრულ კაცს მოხარშულს იცნობდა. უცებ მას რომ დაენახა ბარაბა, ნაღდად გადაწყვეტდა ჩემ გამო მოვიდა, უნდა ნახოს დამსახურებულად როგორ მომეზღოო. ბარაბა კი მის სანახავად სულაც არ მისულა, თუმცა არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო მისი ტანჯვისთვის ეცქირა. თუკი საერთოდ ვინმე იმსახურებდა სიკვდილს, უპირველესად ეს ნაძირალა იმსახურებდა. ოღონდ, იმისთვის არა, რისთვისაც გაასამართლეს, სულ სხვა რამის გამო.

მაგრამ რად უნდოდა ბარაბას მისი დანახვა, მისი და არა იმ მეორესი, შუალა ჯვარზე რომ იყო გაკრული. ბარაბა მეორეს სანახავად მოვიდა, მის ნაცვლად ჯვარზე ხომ სწორედ ის ჩამოკიდეს. სწორედ მან, მეორემ აიძულა ბარაბა აქ მოსულიყო, მეორეს ჰქონდა

ამის უფლება, ასეთი ძალა. ძალა? განა უფრო უძლური ვინმე არსებობდა? უფრო საცოდავი ჯვარზე არავინ გაუკრავთ, დანარჩენები გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ და, მგონი, გაცილებით ნაკლებადაც იტანჯებოდნენ. ეტყობა, უფრო ძლიერები იყვნენ. ამას კი ხეირიანად თავიც ვერ დაეჭირა, მთლად გვერდზე ჩამოვარდნოდა.

აგერ თავი ასწია, გამშრალი ტუჩები მოილოკა და ჩავარდნილ, უბალნო მკერდში მძიმე ოხვრა გაეხირა. რაღაც წაიჩურჩულა, მგონი, მწყურიაო, თქვა. ჯარისკაცები ფერდობის ქვემოთ, ბალახზე წამოგორებულიყვნენ, მოწყენილები ელოდნენ, ეს სამნი ბოლოს და ბოლოს როდის დაიხოცებოდნენ, კამათელს აგორებდნენ და არაფერი გაუგონიათ. მაშინ ერთ-ერთი ნათესავი მათ მიუახლოვდა. ჯარისკაცი უხალისოდ წამოიზლაზნა, ღრუბელი დოქში ჩააწო, ხელჯოხს ნამოაცვა და ჯვარცმულს გაუწოდა. ჯვარცმულმა მღვრიე სითხე გასინჯა და აღარ დალია. არამზადამ კი ჩაიხითხითა, შემდეგ ძმაკაცებთან მივიდა და ახლა ყველა ერთხმად ახარხარდა. არამზადები!

მშობლები — თუ ვინც იყვნენ — ჯვარცმულს გულმოკლულები შესცქეროდნენ. ის კი იხრჩობოდა, იხრჩობოდა და აშკარად სულს ღაფავდა. ჩქარა მაინც აღესრულოს, ფიქრობდა ბარაბა, მისი ტანჯვა ჩქარა მაინც დასრულდეს! ყველაფერი ჩქარა მაინც დამთავრდეს! როგორც კი აღსრულდება, შეიძლება გაიქცე და ამაზე აღარასოდეს იფიქრო!

მაგრამ მთაზე სიბნელე ჩამოწვა, თითქოს მზე ჩაქრა, ისეთი სიბნელე და ამ წყვდიადში ჯვარცმულმა მთიდან ხმამაღლა დაიყვირა:

— უფალო! უფალო! რაისთვის დამიტევე მე!

სულისშემძვრელი ყვირილია. რისი თქმა სურდა? ან ასე უცებ რად ჩამობნელდა? ამ შუადღისას რად ჩამობნელდა? გაუგებარია. სამი ჯვარი სიბნელეში ძლივსღა მოჩანდა. საზარელია. ახლა რაღაც საშინელება მოხდება. ჯარისკაცები წამოიშალნენ, იარაღს ხელი დასტაცეს. ესენი ხომ მაშინვე იარაღს დასტაცებენ ხოლმე ხელს. ხელშუბიანები ჯვარებს შემოეხვივნენ. ასე იდგნენ და ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ — ბარაბას ესმოდა. ახლა კი დაფრთხნენ! ახლა კი უკვე აღარ ხითხითებენ. ეტყობა, ცრუმორწმუნეები არიან!

ბარაბა თავადაც დაფრთხა, და გაიხარა, როცა კვლავ ინათა და გარემოს ძველებური იერი დაუბრუნდა. ნელა ნათდებოდა, როგორც დილაობით თენდება ხოლმე. ბორცვებს, ზეთისხილის

ხეებს დღის სინათლე მოეფინა და მიჩუმებული ჩიტუნებიც კვლავ აჟღურტულდნენ. ჰო, სწორედ ისე, როგორც დილით.

ჯვართან ნათესავები გაუნძრევლად იდგნენ. აღარც ოხრავდნენ, აღარც ყმუოდნენ. იდგნენ და ჯვარცმულს შესცქეროდნენ. ჯარისკაცებიც ასევე იდგნენ. ირგვლივ სრული მდუმარება სუფევდა.

ახლა მშვიდ'ად შეიძლებოდა ადგომა და წასვლა. ყოველივე ხომ უკვე დასრულდა. მზე კვლავ ძველებურად ანათებდა და გარემოსაც ძველებური იერი ედო. უბრალოდ, ცოტა ხნით ჩამობნელდა იმიტომ, რომ ის მოკვდა.

ჰო, წასვლის ჟამი დადგა. სწორედ დრო იყო. ბარაბას აქ არაფერი ესაქმებოდა. რახან ის, მეორე მოკვდა, აქ აღარაფერი აკავებდა. კაცი ჯვარს ჩამოხსნეს — წასვლისას ესღა დაინახა. ვიღაც ორმა სხეულს სუფთა არდაგი შემოახვია — ესეც დაინახა. ძალიან თეთრი სხეული ჰქონდა და ორივენი ისე ფრთხილად ეპყრობოდნენ, თითქოს ეშინოდათ, არაფერი დავუშავოთ, არა ვატკინოთ რაო. საოცარია, ის ხომ უკვე ჯვარცმული იყო. საერთოდაც, რაღაც უცნაური ხალხი ჩანდა. სამაგიეროდ, დედა შვილის ნეშტს თვალგამშრალი შესცქეროდა. მისი ჩაშავებული, პირქუში სახე უსაშველო ტკივილს ვეღარ გამოხატავდა. მხოლოდ იმას ამხელდა, რომ მისი გონება ვერ სწვდებოდა, რაც აქ მოხდა, რასაც ვერასდროს და ვერავის შეუნდობდა. ამას კი ბარაბა კარგად მიხვდა.

როცა მგლოვიარეთა წყებამ ახლოს ჩაიარა — მამაკაცები ნეშტს მიასვენებდნენ, ქალები უკან მიჰყვებოდნენ — ერთ-ერთი ქალი დედას მიუახლოვდა, რაღაც ჩასჩურჩულა და ბარაბა მიანიშნა. დედა შეჩერდა და ისეთი გასაცოდავებული, ისეთი საყვედურიანი მზერით შეხედა, ბარაბამ იფიქრა, ამ მზერას ვერასოდეს დავივიწყებო. შემდეგ ისინი გოლგოთას გზას კვლავ ქვემოთ დაუყვნენ და მარცხნივ გადაუხვიეს.

ბარაბა მიმავლებს შორიახლო ისე აედევნა, რომ არავის დაენახა. სულ ახლოს, კლდეში გამოკვეთილი სამარე მოჩანდა. მიცვალებული იქ დაასვენეს, ილოცეს, შემდეგ სამარე დიდი ლოდით დაგმანეს და წავიდნენ.

მაშინ ბარაბა სამარეს მიუახლოვდა და ცოტა ხნით გაჩერდა. თუმცა არ ულოცია. ის ბოროტმოქმედი იყო, ბოროტმოქმედთა ლოცვა კი საერთოდ ზეცას ვერ აღწევს, ესეც არ იყოს, ბარაბას

ცოდვები არ ჰქონდა მონანიებული, თანაც ამ კაცს სულ არ იცნობდა. ისე, სხვათა შორის, გაჩერდა ცოტა ხნით.

შემდეგ იერუსალიმისკენ მიმავალ გზას გაუყვა.

* * *

ქალაქში ბარაბა დავითის კარიბჭით შეავიდა და კურდღლისტუჩაც მაშინვე დაინახა. ქალი კედლის გასწვრივ მიიპარებოდა და ვერ გხედავო, თავს იკატუნებდა. მაგრამ ბარაბამ შენიშნა, ქალმა დამინახა და ეტყობა, ამ შეხვედრას არ მოელოდა, ალბათ, უკვე ჯვარზე გაკრული ვეგონეო.

გამოედევნა, წამოეწია და ახლა ისინი გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ. ცხადია, არ უნდა დაწეოდა, არც სჭირდებოდა ბარაბას ქალთან გასაუბრება და თვითონვე გაოცდა, როცა დაელაპარაკა. მგონი, ქალიც გაოცებული იყო და რადგან სხვა გზა აღარ ჰქონდა, გაუბედავად შეხედა.

ერთმანეთის საწუხარზე კრინტი არ დაუძრავთ. კაცმა ისღა ჰკითხა, საით გაგიწევია ან გალგალიდან რაიმე ამბავი ხომ არ მოგსვლიაო. ქალი მოკლედ და ჩვეულებისამებრ დუდღუნით გაეპასუხა. ბარაბამ სიტყვები ძლივს გაარჩია. შემდეგ გაარკვია, ქალს თურმე არსად მიეჩქარებოდა. ხოლო, როცა ჰკითხა, სად ცხოვრობო, ქალმა არ უპასუხა. მას კაბის კალთები შემოსცვეთოდა და ნაფლეთებად ეკიდა, კალთიდან კი დიდი, ჭუჭყიანი, შიშველი ფეხები მოუჩანდა. საუბარი მალე ამოიწურა და გზას ორივე მდუმარედ გაუყვა.

რომელიღაცა სახლის ღია კარიდან, შავ ხვრელს რომ მიაგავდა, ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა. მოულოდნელად იქიდან მაღალი, მსუქანი ქალი ყვირილით გამოვარდა. ქალი მთვრალი იყო. ბარაბას დანახვისას მსხვილი მკლავები სიხარულით აიქნია და კაცი შინ შეიპატიჟა. ბარაბამ ფეხი აითრია, თანაც უცნაური თანამგზავრი ახლდა და რცხვენოდა, მაგრამ ქალი არ მოეშვა და ორივენი მუჯლუგუნების კვრით სახლში შერეკა. აქ კი ხმამაღალი სალმით მიეგება ბარაბას ორი მამაკაცი და სამი ქალი, რომლებიც მაშინღა იცნო, როცა თვალი სიბნელეს შეაჩვია. შესვლისთანავე სუფრასთან დასვეს და ღვინო დაუსხეს. ერთხმად აყაყანდნენ, რა კარგია, ციხიდან რომ გამოგიშვეს და როგორ გაგიმართლა, შენ ნაცვლად სხვა

რომ დასაჯესო. სიმთვრალით თავაწყვეტილებს მისი სიხარულის გაზიარების სურვილი წვავდათ. ხელებს უფათურებდნენ, რომ ეს სიხარული მათაც გადასდებოდათ. ერთმა ქალმა კი ხელი უბეში ჩაუცურა და სქელუას თავაწყვეტილ ხარხარში, ბალნიან მკერდზე მოუთათუნა.

ბარაბა ყველასთან ერთად სვამდა, მაგრამ ცოტას ლაპარაკობდა. იჯდა და თავისი მუქი თაფლისფერი თვალებით, რომლებიც ისე ჩასცვენოდა, თითქოს დამალვას ცდილობდაო, ერთ წერტილს მიშტერებოდა. ყველამ აღნიშნა, დღეს რაღაც უცნაური ხარო. თუმცა ხანდახან ასეთი ადრეც ენახათ.

ქალები ღვინოს უსხამდნენ, ის კი კვლავ სვამდა და საერთო საუბარს უსმენდა, თუმცა თავად ხმას თითქმის არ იღებდა.

ბოლოს და ბოლოს რა გჭირს, რა დაგემართაო, ყველა ერთად შეუჩნდა, მაგრამ სქელუამ ხელი კისერზე მოხვია და თქვა: აბა რა გასაკვირია, ასე უცხოდ რომ გამოიყურება, ისე დიდხანს იტანჯებოდა ჯურღმულში, თითქმის მოკვდა კიდეც, რადგან სიკვდილს ვისაც მიუსჯიან, ის მაშინვე კვდება, შემდეგ გინდაც გაათავისუფლონ და შეინყნარონ მაინც მკვდარია, იმიტომ, რომ მკვდარი იყო. ის მხოლოდ მკვდრეთით აღსდგა, ეს კი იმას სულაც არ ნიშნავს, სხვებივით შვება — ლხინით იცხოვროსო. როცა ამ სიტყვებს ხარხარი მოჰყვა. ქალი გაბრაზდა და მოქეიფეებს დაემუქრა, ბარაბასა და კურდღლისტუჩას გარდა ყველას გარეთ გაგყრითო. ამ გოგონას შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ ერთი შეხედვით მაინც კეთილი და მოკრძალებული ქალი შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა, ცოტა არ იყოს, მდაბიოსა ჰგავსო. ამ სიტყვებზე კაცები სიცილისგან კინაღამ დაიხოცნენ, შემდეგ დაწყნარდნენ და ბარაბას ჩურჩულით უამბეს, როგორც კი შეღამდება, ისევ მთებში დავბრუნდებით. ჩვენ მხოლოდ იმისთვის ჩამოვედით, რომ თიკანი მსხვერპლად შეგვეწირაო. მსხვერპლი არ მიიღეს, ამიტომ გავყიდეთ და მის ნაცვლად ორი უმწიკვლო გვრიტი შევწირეთ, მოგებული ფულით კი აგერ, სქელუასთან ვქეიფობთო. მერე, ჩვენთან დაბრუნებას თუ აპირებო, შეეკითხნენ და თანაც აუხსნეს, ახლა ისინი სად უნდა მოეძებნა. ბარაბა მხოლოდ თავს უქნევდა და დუმდა.

ერთმა ქალმა სიტყვა ჩამოაგდო იმ მეორეზე, რომელიც ბარაბას ნაცვლად გააკრეს ჯვარზე. ერთხელ როგორღაც დავინახე, გვერდით ჩამიარაო. ამბობენ, წმინდა წერილიც იცის, წინასწარმეტყველებაც

შეუძლია და სასწაულებსაც ახდენსო. ეს ხომ მავნებლობა არაა, ამას ბევრი იჩემებს და ამის გამო ჯვარზე ვინ გააკრავდაო. ლანდი გასდიოდაო, ესღა ახსოვდა მოსაუბრეს. მეორე ქალმა დასძინა არ მინახავს, მაგრამ გამიგონია, თითქოს ამბობდა, ტაძარი დაიქცევა, იერუსალიმი დაიღუპება, ხოლო მიწისძვრა და ცეცხლი ცასა და დედამიწას შთანთქავსო. სისულელეა, ამისთვის ჯვარზე გააკრავდნენ, აბა რას იზამდნენ. მესამემ განაგრძო, უმეტესად ღატაკებს მეგობრობდა და სულ ჰპირდებოდა, უფლის სავანეში მოხვდებითო, კახპებსაც კი ჰპირდებოდაო. აქ უკვე სამივე ერთად ახარხარდა, მაგრამ მაინც დაასკვნეს, კარგი იქნება, მართლაც, ასე რომ მოხდესო.

ბარაბა უსმენდა, ოღონდ წეღანდელივით დაფიქრებული აღარ იყო. ეს კია, ერთხელაც არ გაღიმებია. ის უცებ შეცბა, როცა სქელუა კვლავ მოეხვია და უთხრა, მიმიფურთხებია იმ მეორესათვის, ასეა თუ ისე, მან ხომ უკვე ფეხები გაჭიმა, ჯვარზე ბარაბა კი არა, ის გააკრეს და სწორედ ეს არის მთავარიო.

კურდღლისტუჩა თავდაპირველად მოკუნტული იჯდა და საუბარს გაფანტული უსმენდა, მაგრამ როცა სიტყვა იმ მეორეზე ჩამოვარდა, უცებ შეშფოთდა, უცნაურად გარდაისახა, წამოხტა, თეთრი, ტანჯული სახე შიშით მოექცა, თვალი თანამგზავრს მიაპყრო და თავისი უცნაური ხმით, დუდღუნით დაიყვირა:

— ბარაბა!

თითქოს უჩვეულო არაფერი მომხდარა, ქალმა კაცს დაუძახა, მაგრამ ყველა გაოგნებული შესცქეროდა, ვერ ხვდებოდნენ ასე უცებ რატომ აყვირდა. ბარაბაც უცნაურად გარდაისახა, თვალები სწორედ ისე ააცეცა, როცა ჩვეულებისამებრ ვინმეს მზერას არიდებდა. ვერავინ გაიგო, რა მოხდა. თუმცა რა მნიშვნელობა ჰქონდა, სჯობდა, ყურადღება არ მიექციათ. ასე თუ ისე, ბარაბა ხომ ნაღდად მათი კაცი, სწორედ რომ მათთაგანი იყო, მაგრამ ახლა ცოტათი თავის თავს არ ჰგავდა და არავინ იცოდა, რას ჩაიდენდა.

გოგონა კვლავ სოხანეზე გაშლილ საფენზე მოიკუნტა, მაგრამ ცეცხლოვანი თვალები ბარაბასათვის არ მოუშორებია.

სქელუამ საჭმელი მოიტანა. ალბათ, დაგამშიეს, ალბათ, ეს ოხრები ჯურღმულებში ხალხს აშიმშილებენო, თქვა და წინ, მაგიდაზე, პური, მარილი და შემწვარი ცხვრის ხორცი დაუწყო. ბარაბამ ცოტა მოციცქნა, დანარჩენი კი, თითქოს უკვე მაძღარი იყო, კურდღლის-

ტუჩას გადაულაგა. ქალი საჭმელს დაეძგერა, შეთქვლიფა, როგორც მხეცმა, მაშინვე გარეთ გავარდა და გაუჩინარდა.

მაშინ დანარჩენებმა გაბედეს და ვინ არისო, ბარაბას ჰკითხეს, მაგრამ პასუხს, ცხადია, ვერ ეღირსნენ. ახლა ბარაბა თავის თავს ჰგავდა. პირად საქმეებს ყოველთვის საიდუმლოდ ინახავდა.

— მაინც რა სასწაული მოახდინა იმ წინასწარმეტყველმა? — შეეკითხა ბარაბა ქალებს. — რას წინასწარმეტყველებდა?

ქალებმა უპასუხეს, ავდმყოფებს არჩენდა, ბოროტ სულებს დევნიდა და როგორც ამბობენ, მგონი, მკვდრებსაც აცოცხლებდა, მაგრამ, ვინ იცის, მართალია თუ ტყუილი, ალბათ, ტყუილიაო. ხოლო მის წინასწარმეტყველებაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ. მხოლოდ ერთმა თქვა, ყური მოვკარი, თითქოს ვიღაცას დიდი ლხინი გადაუხდია, საქორწილო, თუ რაღაც ამგვარი სუფრა გაუშლია, სტუმრები კი არ მოსულან. მაშინ მსახურები გზაზე გაკრეფილან და განურჩევლად ყველა მიუპატიჟებიათ, გადაყრიან დამშეულ ღარიბ-ღატაკებს, რომლებსაც შიშველი სხეულიც კი ვერაფრით დაეფარათ. ჰოდა, მდიდარი მეპატრონეც განრისხებულა... თუ არა უშავსო, უთქვამს... არა, საქმე რით დამთავრდა, აღარ ახსოვდა. ბარაბა ისეთი ყურადღებით უსმენდა, თითქოს რაღაც ძალიან მნიშვნელოვან ამბავს უყვებოდნენ, მხოლოდ, როცა ერთ-ერთმა ქალმა დაამატა, ჯვარცმულს, როგორც ბევრ სხვას. თავი მესია ეგონაო, ბარაბამ გრძელი, ნითული ნვერი მუჭაში ჩაბღუჯა და ღრმად ჩაფიქრდა.

— მესია? შეუძლებელია... — ჩაიბუტბუტა მან.

— მესია კი არა, ის არ გინდა! — თქვა ერთ-ერთმა მამაკაცმა. — მესიას ჯვარზე ვინ გააკრავდა. ამ უდღეურებს ხომ იქვე ჩახოცავდა. ნეტავ თუ ესმის რას ნიშნავს მესია.

— როგორ არ მესმის, ჯვარიდან ჩამოვიდოდა და სულ ყველას ამონყვეტდა!

— მესია იყო და ჯვარზე გაგაკრან? სად გაგონილა!

ბარაბა კი ისევ იჯდა, ნვერი მუჭაში ჩაებღუჯა და სოხანეს დაშტერებოდა.

— არა, მესია არ იყო...

— რას ბუტბუტებ, ბარაბა, ჯობია გადაჰკრა! — უთხრა მეზობელმა და ფერდში მუჯლუგუნი უთავაზა, უცნაური კია, რომ გაუბედა, არადა — უთავაზა. ბარაბამ თიხის ტოლჩა მორჩილად გამოცა-

ლა და დაბნეულად იქვე დადგა. ქალებმა მაშინვე შეუვსეს და ისევ დაალევინეს. ღვინომ, ალბათ, იმოქმედა, მაგრამ ბარაბას ფიქრები კვლავ სხვაგან დაჰქროდა და მეზობელმა ისევ იდაყვი გაჰკრა.

— აბა, ბარაბა, დალიე და გამოცოცხლდი! განა არ გიხარია, რომ მხიარულ ხალხთან ზიხარ, ნაცვლად იმისა, ჯვარზე ლპებოდე? მაინც ასე ჯობია, არა? აქ თავს კარგად გრძნობ, ხომ მართალია? აბა, დაფიქრდი, ბარაბა! შენ ხომ ტყავი გადაირჩინე, შენ ხომ ცოცხალი ხარ! ცოცხალი! გესმის, ბარაბა?

— ჰო, ჰო — ამბობდა იგი. — ჰო, რა თქმა უნდა...

ასე ნელ-ნელა შეუჩნდნენ, კაცმაც სოხანეს თვალი მოსწყვიტა და თითქოს ადამიანსაც უფრო დაემგვანა. ისხდნენ ასე, სვამდნენ, ყველაფერზე და არაფერზე ყბედობდნენ და ბარაბაც აღარ იყო ისეთი უცნაური.

მაგრამ უცებ, თითქოსდა უმიზეზოდ, განსაცვიფრებელი შეკითხვა გაისმა. ეს ბარაბამ იკითხა, დღეს რომ მზე ჩაქრა და ნყვდიადი ჩამონვა, იმაზე რას ფიქრობთო.

— ნყვდიადი? რა ნყვდიადი? — ყველა გაოცებული შეჰყურებდა. — განა ჩამობნელდა? როდის?

— ექვსი საათი თუ იქნებოდა...

— ჯანდაბა შენ თავს! ეს უკვე ნამეტანია! კი, მაგრამ სხვებსაც ხომ უნდა შეენიშნათ!

ბარაბა დაიბნა და ყველას სათითაოდ უნდობლად შეხედა. ისინი კი ისევ არწმუნებდნენ, არავითარი ნყვდიადი არ გვინახავს და სხვასაც მთელ იერუსალიმში არაფერი მაგის მსგავსი არ შეუმჩნევიაო. რა, მართლა ნყვდიადი მოგელანდა? შუადღის გულზე ჩამონვა? რა არაკებს გვიყვები? თუ მართლა მოგეჩვენა, მაშინ ჯურღმულში დიდხანს ჯდომისაგან თვალები დაგბნელებია. ჰო, სწორედ ეგ არის. სქელუამ თქვა, ნაღდად იმის ბრალია, თვალები რომ სინათლეს გადაეჩვივნენ, სინათლემ დაგაბრმავა. აბა რა არის გასაკვირველიო.

ბარაბამ ყველას ეჭვიანი მზერა მოავლო და, მგონი, გულზე მოეშვა. იგი ნელში გასწორდა, ტოლჩას მისწვდა, გადაჰკრა, ოღონდ ამჯერად ტოლჩა მაგიდაზე აღარ დაუდგამს, კიდევ დამისხითო, გაუშვირა. დიდხანს არ ალოდინეს, ყველამ ერთად განაგრძო სმა და ბარაბამაც, ეტყობა, ბოლოს და ბოლოს, ღვინო დაიგემოვნა. საერთოდ, იგი ტოლჩას ერთბაშად გადაჰკრავდა ხოლმე და მაშინვე გამოიბრუჟებოდა. არა. ამჯერად ქადაგად არ დავარდნილა, მაგრამ

ზოგი რამ ციხის შესახებ მაინც უამბო. კარგი დრო გაუტარებია, რაღა! გახდებოდი უცნაური, აბა რა მოგივიდოდა. ხედავთ, გაათავისუფლეს, ჰა, როგორია? ამ ოხრებმა ოღონდ კლანჭებში მოგიგდონ, მერე თვითონ იციან. და უცებ ასე გაუმართლა! ჯერ ერთი მისი ჯერი დაემთხვა პასექს, როცა ვიღაცას აუცილებლად ათავისუფლებენ, მეორეც, სნორედ ბარაბა გაათავისუფლეს! რა ბედნიერებაა! ახლა ყველას ეთანხმებოდა, ხოლო როცა ზურგზე ხელები მოუტყაპუნეს, ერთად წაესივნენ და სახეში ცხელი ოხშივარი შეასუნთქეს, თავადაც ახარხარდა და რიგრიგობით ყველასთან შესვა. ღვინო თავში აუვარდა, კაცი გალღვა, უფრო და უფრო გამხიარულდა, დასიცხულმა გულისპირი ჩაიხსნა, სოხანეზე დანვა და ყველასთან ერთად მოხერხებულად მოკალათდა. ეტყობა, თავს კარგად გრძნობდა. მეზობლის ქალს ხელიც კი მოუთათუნა და მიიზიდა. ქალი ახარხარდა, კისერზე ჩამოეკიდა, მაგრამ სქელუამ გვერდზე გაათრია და თქვა: როგორც იქნა, ჩვენი ცუნცულა თავის თავს დაემსგავსა. იმ საზიზღვრი ციხის შემდეგ გამოკეთდა და აზრზეც მოვიდა. ახლა რაღაც სისულელეები, რაღაც წყვდიადი აღარ მოელანდებაო, ჰო-ჰო-ჰო, იფ-იფ-იფ — და ქალმა კაცი მიიზიდა, მთელი სახე დაულოშნა, მსხვილი თითები კისერზე შემოაჭდო, ნითური ნვერი აუწენა. ყველას უხაროდა, რომ კაცს გულზე მოეშვა, ისეთივე გახდა, როგორიც ადრე იყო, როცა გამხიარულდებოდა ხოლმე. ყველა შესანიშნავ გუნებაზე დადგა. სვამდნენ, ბღაოდნენ, ერთმანეთს ყველაფერში უთანაგრძნობდნენ, გულით უხაროდათ ერთად რომ იყვნენ, ერთად თავს ასე კარგად რომ გრძნობდნენ. სიმთვრალისაგან უფრო და უფრო ხელდებოდნენ. მამაკაცებს ქალი და ღვინო თვეობით არ ეგემნათ და ახლა დანაკარგის ანაზღაურებას ცდილობდნენ — ხომ უნდა აღენიშნათ, რომ ბოლოს და ბოლოს იერუსალიმში ჩამოაღწიეს, ბარაბას გათავისუფლება ხომ უნდა აღენიშნათ! თორემ დრო აღარ ითმენდა, ისევ მთაში უნდა დაბრუნებულიყვნენ. მაგარი, მწკლარტე ღვინით იბანგებოდნენ და სქელუას გარდა ყველა ქალს ეტორღიალებოდნენ, ფარდის მიღმა რიგრიგობით მიათრევდნენ და იქიდან გაწითლებულები, აქოშინებულები მხოლოდ იმისთვის გამოდიოდნენ, რომ კვლავ ესვათ და ებღავლათ. ასეთი წესი ჰქონდათ — ყველაფერს საფუძვლიანად აკეთებდნენ.

დაბინდებამდე იმხიარულეს. შემდეგ ორივე მამაკაცი წამოდგა, დროა გუდა-ნაბადი ავიკრათო, განაცხადეს, ყველას გამოემშვი-

დობნენ, თხის ტყავები წამოისხეს, ტყავქვეშ იარაღი დამალეს და ღამეულ ქუჩაში გასხლტნენ. მთვრალი, დაოსებული დედაკაცები მაშინვე ფარდის მიღმა მიწვნენ და სამივემ ღრმა ძილს მისცა თავი. ბარაბა და სქელუა მარტონი დარჩნენ და ჩვენი სიამტკბილობის დრო ხომ არ დადგა, ამდენი საშინელების გადატანის შემდეგ ეს ხომ არ გინდაო, შეეკითხა ქალი, მთელი შიგანი მეწვის, როცა შენზე ვფიქრობ, შე საცოდავო, ციხეში რა გადაიტანე, ჯვარზეც კინაღამ გაგაკრესო. ქალმა იგი სახურავზე საზაფხულოდ დადგმულ პალმის რტოების ქოხში აიყვანა. აი, იქ დაწვნენ და ქალმა ბარაბას მიუალერსა. კაციც მალე გახელდა და ქალის დიდ, მსუქან სხეულს თითქოს სამარადისოდ ჩაეწება. შუაღამე ისე გადავიდა, არ კი გაუგიათ.

ბოლოს და ბოლოს, ორივე დაოსდა. ქალი გვერდზე გადაბრუნდა და მაშინვე ჩაიძინა. გაოფლილი კაცი ძილგამფრთხალი იწვა და ქოხის ფოთლებიან ჭერს შესცქეროდა. ისევ შუალა ჯვარზე გაკრულ კაცსა და თხემის ადგილას მომხდარ ამბავზე ფიქრობდა. შემდეგ წყვდიადი გაახსენდა. იყო თუ არ იყო? ნუთუ მართლა მოეჩვენა? იქნებ, მხოლოდ გოლგოთაზე ჩამობნელდა, ქალაქში კი არაფერი შეუმჩნევიათ? იქ კი ნამდვილად ჩამობნელდა, ჯარიკაცებიც დაფრთხნენ და საერთოდ... თუ ესეც მოეჩვენა? იქნებ, ყველაფერი მოეჩვენა? არა, არაფერი შველის, მაინც გაუგებარია:

და მისი ფიქრი კვლავ ჯვარზე გაკრულ კაცს მიუბრუნდა. თვალგახელილი ინვა, ვერ იძინებდა, გვერდით კი ქალის სავსე სხეულს გრძნობდა. ქოხის ხმელ ფოთლებს შორის ზეცა მოჩანდა — ალბათ, ზეცა იყო, თუმცა არც ერთი ვარსკვლავი არ ანათებდა. არსად, არც ერთი ვარსკვლავი არ ანათებდა. ყველგან მხოლოდ წყვდიადი მეფობდა.

ჰო, ახლა გოლგოთაზედაც და სხვაგანაც წყვდიადი მეფობდა.

* * *

მეორე დღეს ბარაბა ქალაქში დაეხეტებოდა და უამრავ ნაცნობს გადაეყარა, ზოგს — მეგობარს, ზოგს — მტერს, მაგრამ მისი დანახვა ყველას ერთნაირად უკვირდა. ზოგიერთმა კი ისე შეცბუნებით შეხედა, თითქოს მოჩვენებას ხედავსო. ბარაბა შეჩქვიფდა. ნუთუ

არ იცოდნენ, რომ გაათავისუფლეს? ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა შეეგნოთ, როდის მიხვდებიან, რომ ჯვარზე სხვა გააკრეს!

მზემ დააჭირა და გასაოცარი იყო, როგორ გაუჭირდა კაცის თვალებს ამ ჩახჩახა შუქის დანახვა. იქნებ, იმ ჯურღმულში თვალები მართლაც დაუსნეულდა? ბარაბამ ჩრდილში გასვლა გადაწყვიტა, ტაძრისაკენ გაემართა, კარიბჭის თაღი გაიარა, შევიდა, თვალების დასასვენებლად ბინდში ჩამოჯდა და მაშინვე შვებით ამოისუნთქა.

რამდენიმე კაცი უკვე იჯდა ტაძარში; ისინი კედელთან მიყუჟულიყვნენ. ჩუმად საუბრობდნენ. ბარაბას გამოჩენა, მგონი არ ესიამოვნათ, თვალი ალმაცერად შეავლეს და ხმა დაიდაბლეს. ბარაბას მხოლოდ ცალკეული სიტყვები ესმოდა, მაგრამ აზრი ვერ გამოჰქონდა და არც ცდილობდა გამოეტანა. მათი საიდუმლო სულაც არ აინტერესებდა. ერთ-ერთი მათგანი დაახლოებით ბარაბას ხნის იქნებოდა, ისიც ნითურწვერიანი იყო. ნითური, გრძელი, განენილი თმა წვერში ერეოდა. ცისფერი თვალები რაღაც უცნაურად, ბავშვურად იმზირებოდნენ, სახე კი ფართო, ხორცსავსე ჰქონდა. მაღალ, ბრგე ყმაწვილს საერთოდ ყველაფერი დიდი ჰქონდა, ხელებისა და ჩაცმულობის მიხედვით ხელოსანი უნდა ყოფილიყო. ბარაბას სულ არ ენაღვლებოდა, ეს კაცი ვინ იყო ან როგორ გამოიყურებოდა, მაგრამ მისი შეუმჩნევლობა შეუძლებელი იყო, თუმცა განსაკუთრებული არაფერი გააჩნდა, თუ ცხადია, ცისფერ თვალებს არ ჩავთვლით.

მაღალი რაღაცას დარდობდა, ეტყობა, დანარჩენებიც ნაღვლობდნენ. მგონი, მიცვალებულზე საუბრობდნენ, ჰო, მგონი, მიცვალებული ახსენეს. თუმცა მამაკაცები იყვნენ, დროდადრო მძიმედაც ოხრავდნენ. თუ ბარაბამ სწორად გაიგო, თუ მართლა მიცვალებულს ახსენებდნენ, ხომ შეიძლებოდა ეს ოხვრა-გოდება ქალებისათვის, მოტირლებისათვის გადაეღოცათ?

უცებ ბარაბამ გაიგონა, რომ ის მიცვალებული, მათი მიცვალებული, ჯვარზე გააკრეს, ჯვარზე გუშინ გააკრეს. გუშინ?

ყურები დაცქვიტა, მაგრამ კედელთან მსხდომებმა ხმას უფრო დაუწიეს და ბარაბამ ვეღარაფერი გაიგონა.

ვისზე საუბრობდნენ?

ამ დროს ქუჩაში ხალხმა ჩაიარა და სიტყვაც აღარ ისმოდა, მაგრამ, როგორც კი სიჩუმე ჩამოწვა, ბარაბამ მათი ჩურჩული ისევ გაიგონა და მიხვდა, რომ ასე იყო, რომ სწორედ მის შესახებ საუბრობდნენ, მის შესახებ, ვინც...

უცნაურია... ამ წუთში ბარაბაც ხომ მასზე ფიქრობდა. სასახლის წინ რომაა, იმ თაღში გაიარა და გაახსენდა. შემდეგ ჩაუარა იმ ადგილს, სადაც მას ჯვარი დაუვარდა და ცხადია, ისევ გაახსენდა.

აი, ესენიც სხედან და იხსენებენ... უცნაურია! ამათ რაღა ესაქმებათ? ან ასე დაუსრულებლად რას ჩურჩულებენ? დროდადრო მხოლოდ მაღალი, წითური გოლიათი წამოიძახებდა რაღაცას ხმამაღლა. ამის გაგონებაღა შეიძლებოდა. წითური ნამეტანი ზორბა იყო და ეტყობა, ჩურჩულისათვის არ იყო გაჩენილი.

შემთხვევით... შემთხვევით წყვდიადზე ხომ არ ლაპარაკობდნენ? მისი სიკვდილის ჟამს წყვდიადი რომ ჩამოწვა, იმაზე ხომ არ ლაპარაკობდნენ?

გაფაციცებით უსმენდა, ისე გაფაციცებით, რომ მათ, ეტყობა, შენიშნეს. უცებ ჩაჩუმდნენ, ხმას აღარ იღებდნენ, ისხდნენ და ალმაცერად გამოსცქეროდნენ. შემდეგ ცოტა კიდევ იჩურჩულეს — აღარაფერი გაუგონია — მაღალს დაემშვიდობნენ და წავიდნენ. ისინი ოთხნი იყვნენ და ბარაბას არც ერთი მათგანი არ მოეწონა.

ბარაბა და მაღალი მარტო დარჩნენ. წითურთან საუბარი დააპირა, მაგრამ რითი დაეწყო, არ იცოდა. წითური კი იჯდა, დროდადრო დიდ თავს აკანტურებდა და პირი ეღრიცებოდა. როგორც მდაბიოს შეეფერება, დარდის დამალვას არც კი ცდილობდა. ბოლოს და ბოლოს, ბარაბამ პირდაპირ ჰკითხა რა განუხებსო. წითური გაოცდა ბარაბას მრგვალი, ცისფერი თვალებით შეხედა და არაფერი უპასუხა. ორიოდე წუთი უცნობი დანდობილად ათვალიერა, შემდეგ იერუსალიმელი ხომ არა ხარო, ჰკითხა. არა, აქაური არა ვარო. კილო რომ აქაური გაქვსო? ჩემი სამშობლო აქვეა, მთებში აღმოსავლეთითაო უპასუხა ბარაბამ. მაღალი თითქოს დაწყნარდა. იერუსალიმელების არაფერი მნამს, იოტისოდენაც არ ვენდობი, თითქმის ყველა ყაჩაღი და ბოროტიაო, პირდაპირ უთხრა. ბარაბამ ჩაიცინა და მაღალს სულითა და გულით დაეთანხმა. თავად სადაურია? თავად? ო, მისი სამშობლო შორსაა, და ბავშვურმა თვალებმა სცადა გამოეხატა ეს სიშორე. გულუბრყვილოდ გაენდო ბარაბას, როგორ უნდოდა, იერუსალიმში კი არა, იქ ყოფილიყო. უფრო მეტად ქვეყანაზე არსად უნდოდა ყოფნა. ოღონდ ეეჭვება მშობლიური ადგილები კვლავ მოიხილოს, იქ იცხოვროს და მოკვდეს, როგორც ოდესღაც ფიქრობდა. ბარაბა გაოცდა. რატომ? ხელს რა უშლის? ყველა ხომ თავისი თავის პატრონია.

— ო, არა, — უპასუხა მაღალმა. ღრმად ჩაფიქრდა და დასძინა. — არ არის, არა.

აქ რაღად დარჩიო? — შეკითხვისაგან თავი ვეღარ შეიკავა ბარაბამ. მაღალმა უცებ არ უპასუხა, შემდეგ კი უხალისოდ თქვა, მოძღვრის გამო დავრჩიო.

— მოძღვრის?

ჰო, ნუთუ მოძღვრის შესახებ არაფერი სმენია?

არა.

— არა? გუშინ გოლგოთაზე ჯვარს რომ აცვეს იმ კაცზე არაფერი გსმენია?

— ჯვარს აცვეს? არა, არ მსმენია. ჯვარზე რად გააკრეს?

— იმიტომ, რომ ასე ეწერა.

— ასე ეწერა? ჯვარს უნდა ეცვათ?

— ჰო, წმინდა წერილში ასე წერია. მოძღვარმა თავადაც იწინასწარმეტყველა.

— თავად იწინასწარმეტყველა? წმინდა წერილში ასე წერია? — ბარაბამ წმინდა წერილი ცუდად იცოდა და ასეთი არაფერი გაეგონა.

— არც მე ვიცოდი, მაგრამ ასე წერია.

ბარაბამ მაშინვე დაიჯერა. და მაინც რატომ, რისთვის გააკრეს ჯვარზე მოძღვარი? უცნაურია.

— ჰო... მეც ასე მგონია. არ მესმის სიკვდილი რისთვის დასჭირდა. თანაც ასეთი საზარელი სიკვდილი. მაგრამ ასე ეწერა. თავადაც ინინასწარმეტყველა. მოსახდენი უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდეც. რამდენჯერ უთქვამს, — აქ მაღალმა უშველებელი თავი ჩაჰკიდა, — რამდენჯერ უთქვამს, თქვენ ნაცვლად ვენამები და მოვკვდებიო.

ბარაბამ შეხედა.

— თქვენ ნაცვლად მოვკვდებიო?

— ჰო, ჩვენ ნაცვლად! უდანაშაულოდ ვენამები და თქვენ ნაცვლად მოკვდებიო. დამნაშავეები ხომ ცხადია, ის კი არა, ჩვენა ვართ.

ბარაბა იჯდა, ქუჩას გაჰყურებდა და აღარაფერს ეკითხებოდა.

— ახლა უფრო იოლად მესმის ის, რასაც ხანდახან ამბობდა, — თავისთვის ჩაილაპარაკა მაღალმა.

— კარგად იცნობდი? — შეეკითხა ბარაბა.

— კარგად. რა თქმა უნდა, კარგად. იმთავითვე მასთან ვიყავი, ჯერ კიდევ მაშინ, იქ, ჩვენთან, დასაბამიდან.

— მაშ შენი მხრიდანაა ნამოსული?

— შემდეგ კი ყველგან მივყვებოდი, სადაც არ უნდა წასულიყო.

— რატომ?

— რატომ? მეკითხება კიდეც. ზედავე გეტყობა, რომ მოძღვარს არ იცნობდი.

— რაზე მეტყობა?

— გაიგე, მას ძალა ჰქონდა, შეუცნობელი ძალა. ერთხელ გეტყობოდა, გამომყევი! და გაჰყვებოდი. სხვა გზა არ გრჩებოდა. აი ასეთი ძალა ჰქონდა. მოძღვარი რომ გცნობოდა, უკითხავად შენც გაჰყვებოდი.

ბარაბა გაჩუმდა, შემდეგ თქვა:

— ჰო, ალბათ, არაჩვეულებრივი ადამიანი იყო, თუ ყველაფერი, რასაც შენ ამბობ, მართალია. მაგრამ თუკი ჯვარს აცვეს, არც ისე ძალა ჰქონია.

— ო, არა, არა! თავდაპირველად მეც ასე ვიფიქრე — ყველაზე საშინელიც სწორედ ესაა. გულში ერთი წუთითაც როგორ გავივლე! ახლა კი, მგონია, მივხვდი ასეთი სამარცხვინო სიკვდილი რისთვის დასჭირდა. ახლა კარგად დავფიქრდი და ისეთ ხალხსაც ვესაუბრე, წმინდა წერილი ჩემზე უკეთ რომ იციან. გესმის, თურმე მას, უდანაშაულოს, ამის ატანა და ჯოჯოხეთში მოხვედრაც მოყვასისთვის სჭირდებოდა. ის კიდევ დაბრუნდება და თავის ძალასაც დაგვანახებს. მკვდრეთით აღსდგება! ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება, რომ მკვდრეთით აღსდგება!

— მკვდრეთით აღსდგება? ეს რა ბოდვაა?

— ეს ბოდვა არ არის! უეჭველად აღსდგება. ზოგიერთები ფიქრობენ, ხვალ დილით აღსდგებაო, რადგან ეს მესამე დღეს უნდა მოხდეს, თითქოს ამბობდა, ჯოჯოხეთში სამ დღეს დავრჩებიო, თუმცა ეს თავად არ მომისმენია, მაგრამ ასე ამბობდა. ხვალ, გათენებისას...

ბარაბამ მხრები აიჩეჩა.

— არ გჯერა?

— არა.

— არ გჯერა... რა დაგაჯერებს... შენ ხომ არ იცნობდი. ჩვენ შორის კი ბევრს სჯერა და მართლაც, თავად რატომ არ უნდა აღსდგეს, თუკი სხვების მკვდრეთით აღდგენა შეეძლო?

— მკვდრეთით აღდგენა შეეძლო? შეუძლებელია.

— შეეძლო! ჩემი თვალით მინახავს.

— ნუთუ მართალია?

— სრული ჭეშმარიტებაა. მკვდრეთით აღადგინა. ასე რომ, ძალა აქვს. ძალა ყველასთვის ეყოფა, ოღონდ სურვილი ჰქონდეს, ოღონდ მოინდომოს, თავის თავისთვისაც მოინდომოს, აქამდე ასე არ იქცეოდა. ასეთი ძალის პატრონმა თავი ჯვარზე რად გააკვრევინა?.. ჰო, ვიცი, ვიცი... ოღონდ ამის გაგება იოლი როდია. მე, ძმაო, ერთი უბირი კაცი ვარ და ამის გაგება ჩემთვის იოლი არაა.

— შენც, კაცმა რომ თქვას, თითქოს არ გჯერა, რომ მკვდრეთით აღსდგება.

— არა, არა, მჯერა. ცხადია, მართალს ამბობენ. მოძღვარი დაბრუნდება და თავის ძალასა და ბრწყინვალებას წარმოაჩენს. ამაში ეჭვიც კი არ მეპარება. იმათ ხომ წმინდა წერილი უკეთ იციან. მაშინ დიადი ჟამი დადგება. ისინი ხომ იმასაც ამბობენ, ახალი, ბედნიერი ხანა დაიწყება და ძე კაცი თავის მეუფებას დაამკვიდრებსო.

— ძე კაცისა?

— ჰო, თავის თავს ასე უწოდებდა.

— ძე კაცისა?..

— ჰო, ასე ამბობდა, თუმცა ზოგიერთები ფიქრობენ... არა, ვერ გეტყვი. ბარაბა ახლოს მიუჩოჩდა.

— რას ფიქრობენ?

— ისინი... ისინი ფიქრობენ, რომ თავად უფლის ძე იყო!

— უფლის ძე იყო?

— ჰო, მაგრამ, იქნებ, ტყუილიცაა. გაოგნდები, აბა, რა მოგივა. სჯობს ისეთივე დაბრუნდეს, როგორიც წავიდა.

ბარაბა გაგიჟდა.

— რას არ ყბედობენ! — წამოიყვირა. — უფლის ძეო! უფლის ძეა და ჯვარს აცვეს! შენ რა, არ გესმის, რომ ეს შეუძლებელია!

— მე ხომ გითხარი, შეიძლება ტყუილიცაა-მეთქი. თუ გინდა კიდევ გაგიმეორებ.

— რომელი გიჟი დაიჯერებს ამას? — განაგრძო ბარაბამ და ნაჭრილობევი თვალის ქვემოთ ისე გაულურჯდა, როგორც გამწარებისას ულურჯდებოდა ხოლმე.

— უფლის ძეო! სადაური უფლის ძეა. გეგონა, აგრეთვე დაეშვებოდა მიწაზე? ეგრევე შენს მშობლიურ მხარეში იხეტიალებდა და იქადაგებდა!

— არა... რატომ? სწორედ, რომ შესაძლოა, ასე მომხდარიყო. ვითომ ჩვენს მხარეში არ მოვიდოდა? ჩვენი მხარე, ცხადია, მივარდნილია. მაგრამ საიდანღაც ხომ უნდა დაეწყო. — და მაღალმა ისე მიამიტად გამოხედა, ბარაბას ნაღდად გაეცინებოდა, ასე აღელვებული რომ არ ყოფილიყო. იგი კანკალებდა და მხრებზე თხის ტყავს ისწორებდა. თუმცა ტყაპუჭი ჩამოცურებას სულაც არ აპირებდა.

— კი მაგრამ, მისი სიკვდილის შემდეგ სასწაულები რომ მოხდა, იმაზე რაღას იტყვი? — შეეკითხა მაღალი. — ამაზე თუ იფიქრე?

— რა სასწაულები?

— შენ რა, არ იცი, რომ მისი სიკვდილის ჟამს წყვდიადი ჩამოწვა?

ბარაბამ გვერდზე გაიხედა და თვალები მოიფშვნიტა.

— რომ მინა იძრა და გოლგოთაც ქვევიდან ზევით, სწორედ იმ ადგილას გასკდა, სადაც ჯვარი იდგა?

— მსგავსი არაფერი მომხდარა! თავად გამოიგონეთ! საიდან იცი, რომ გასკდა? შენ რა, იქ იყავი?

უცებ მაღალს ფერი ეცვალა. ბარაბას დაეჭვებით შეხედა და მაშინვე თვალი აარიდა.

— არა, არა, მე არაფერი ვიცი. არაფრის დამტკიცება არ შემიძლია, — წაიბუტბუტა, კიდევ დიდხანს დუმდა და მძიმედ ოხრავდა.

ბოლოს ბარაბას მხარზე ხელი დაადგო და როგორღაც ამოთქვა:

— იცი... მოძღვარს გვერდით არ ვუდექი, როცა იტანჯებოდა და კვდებოდა. მე გავიქეცი. მივატოვე და გავიქეცი. მანამდე კი განვუდექი კიდეც. ეს ყველაზე საზარელია. განვუდექი, განვუდექი. როგორ მაპატიებს, თუკი დაბრუნდება! რას ვეტყვი, რას ვუპასუხებ, როცა შემეკითხება? — მან ფართო, წვერიანი სახე ხელისგულებში ჩამალა და გადაქანდ-გადმოქანდა. — ეს რა ჩავიდინე! ადამიანმა ასეთი რამ როგორ უნდა ჩაიდინოს! — და როცა ბარაბას ისევ შეხედა, ცისფერ თვალებში ცრემლი ედგა. — რა გაწუხებსო, მეკითხებოდი. ახლა ხომ მიხვდი. ახლა ხომ იცი, რა კაციცა ვარ. უფალმა ჩემმა და მოძღვარმა კი შენზე უკეთ იცის. მე უბედურს რა მეშველება? როგორ ფიქრობ, მომიტევებს ამას მოძღვარი?

ბარაბამ უთხრა, ალბათ მოგიტევებსო, თუმცა მაღალის ნაამბობს მაინცდამაინც არ შეუწუხებია, სხვათა შორის უპასუხა, ისე სიტყვის მასალად. რატომღაც მოსწონდა ეს კაცი, რომელიც თავის თავს ადანაშაულებდა, თითქოს ბოროტმოქმედი იყო, თუმცა,

საერთოდ, ცუდი არაფერი ჩაუდენია. მანამდე რა, ვინმე არავის მოუტყუებია? დიდი ამბავი!

მაღალმა ხელზე დასტაცა ხელი და მაგრად მოუჭირა.

— ასე გგონია, მართლა ასე გგონია? — ხმაჩახრენილი იმეორებდა.

სწორედ ამ დროს მოედანზე რამდენიმე კაცმა ჩაიარა. როცა წითური დაინახეს და შენიშნეს, თუ ვისთან იჯდა და საუბრობდა, გაშეშდნენ, თითქოს თვალებს არ დაუჯერეს. მაშინვე მაღალთან მიცვივდნენ და თუმცა მათ საქციელში ისეთი მონიწება იგრძნობოდა, რაც წითურის უბადრუკ სამოსელს სულაც არ შეეფერებოდა, მაინც დაუყვირეს:

— იცი, ეს კაცი ვინ არის?

— არა, — პატიოსნად აღიარა მაღალმა. — არ ვიცნობ, მაგრამ სიკეთით სავსე სული აქვს და მშვენივრად ვისაუბრეთ.

— მაშ არ იცი, რომ მოძღვარი ამის ნაცვლად გააკრეს ჯვარზე?

მაღალმა ბარაბას ხელი გაუშვა, ირგვლივ ყველას რიგრიგობით შეხედა და ძრწოლა ველარ დამალა. დანარჩენებს ზედ ეტყობოდათ, რასაც ფიქრობდნენ და მძიმედ, ბრაზიანად სუნთქავდნენ.

ბარაბა წამოდგა და ისე შებრუნდა, რომ მისი სახე მეტად ველარავის დაენახა.

— განვედ ჩვენგან, უწმინდურო, — დაუყვირეს მას.

ბარაბამ თხის ტყავი შემოიხვია, ქუჩას მარტო დაუყვა და უკან აღარ მოუხედავს.

კურდღლისტუჩას არ ეძინა. იწვა, ვარსკვლავებს შესცქეროდა და იმაზე ფიქრობდა, რაც მალე უნდა მომხდარიყო. არა, დაძინება არ შეიძლება, მთელი ღამე უნდა იფხიზლოს.

ქალი იწვა თივაზე, რომელიც სანაგვე კარიბჭესთან ორმოში აკრიფა. ირგვლივ კი კვნესოდნენ, ძილში ბორგავდნენ ავადმყოფები და ულარუნებდა ეჟვნები კეთროვანისა, სიარულით რომ ცდილობდა ტკივილის გაყუჩებას. ნაგვის გროვები მთელ ხეობას სიმყრალით ავსებდა, სუნთქვა ჭირდა, მაგრამ ქალი მიჩვეული იყო, ამ სუნს ველარც გრძნობდა. აქ ამ სიმყრალეს ველარავინ გრძნობდა.

ხვალ განთიადისას... ხვალ განთიადისას...

უცნაური კია — მალე ყველა სახიჩარი განიკურნება და ყველა დამშეული დანაყრდება. რა ძნელი დასაჯერებელია. მაინც როგორ

მოხდება? ზეცა განიხვნება, ანგელოსნი დაეშვებიან და ყველას დააპურებენ, თუნდაც მხოლოდ ღატაკებს, მდიდრებმა ისევ შინ მიირთვან, აი, ჭეშმარიტად დამშეულებს კი ანგელოსები მაშინვე დააპურებენ, აქვე, სანაგვე კარიბჭესთან, სუფრებს, წმინდა ტილოს ქათქათა სუფრებს, პირდაპირ მიწაზე გაშლიან და ყოველგვარი კერძით აავსებენ, ყველას შეეძლება წამოწვეს და რამდენიც უნდა, იმდენი მიირთვას. საერთოდ, ამის წარმოდგენა მაინცდამაინც რთული არ არის, უბრალოდ უნდა გახსოვდეს, რომ ყველაფერი შეიცვლება, გარდაიქმნება, გადასხვაგვარდება... იქნებ, თავადაც ახალი კაბით გამოეწყოს. ვინ იცის, იქნებ, თეთრი კაბა ანდა ლურჯი ქვედატანი ჩაიცვას? ყველაფერი ხომ შეიცვლება, როცა უფლის ძე, მკვდრეთით აღსდგება და ახალი საუკუნე დადგება.

ქალი ინვა და ფიქრობდა ნეტავ ეს ყველაფერი როგორ მოხდებაო.

ხვალ... ხვალ განთიადისას... კარგია, რომ წინასწარ უთხრეს.

კეთროვანის ეჟენებმა სულ ახლოს გაიჟღარუნა. ქალს ხმა ეცნაურა. ეს კეთროვანი ღამღამობით ყოველთვის მოდიოდა, თუმცა კეთროვანებს თავიანთი დაბლობიდან გამოსვლა ეკრძალებოდათ, ეს მაინც ბედავდა. ეტყობა, ადამიანებთან ახლოს ყოფნა უნდოდა. ერთხელ თავადაც ასე თქვა. ქალი ხედავდა, ვარსკვლავების შუქში, რა ფრთხილად დაბოდიალობდა კეთროვანი მძინარეთა შორის.

მიცვალებულთა საუფლო... მაინც როგორია?.. ამბობენ, ის ახლა მიცვალებულთა საუფლოში დადისო... მაინც როგორ გამოიყურება?.. არა, ამის წარმოდგენა ქალს არ შეეძლო.

ბრმა მოხუცმა ძილში დაიკვნესა. ცოტა მოშორებით ღონემიხდილი ყმაწვილი გაშოტილიყო და იხუთებოდა, მისი ხროტინი ყოველღამე ისმოდა. სულ ახლოს გალილეველი ქალი ინვა, მას ხელი ეკრუნჩხებოდა, რადგან სხეულში უცხო სული ჩასახლებოდა. ირგვლივ ინვნენ ავადმყოფები, რომელთაც სნამდათ, რომ წყლის ნაკადით განიკურნებოდნენ და ღატაკები, რომლებიც აქ, სანაგვეზე ნარჩენებით იკვებებოდნენ. ხვალ აქ აღარავინ დარჩება. ახლა ისინი ინვნენ და ძილში ბორგავდნენ, მაგრამ ქალს უკვე აღარავინ ეცოდებოდა.

ანგელოზი, ალბათ, სულს შეუბერავს წყალს და ისიც მაშინვე განიწმინდება? და ყველა, ვინც კი ამ წყალში შევა, მაშინვე განიკურნება? თვით კეთროვანებიც კი განიკურნებიან? ნუთუ წყალში

მათაც შეუშვებენ? თუ გამოყრიან? ვინ იცის... არავინ არაფერი იცის...

იქნებ, წყლის ნაკადი არც განიწმინდოს, იქნებ ეს არც იყოს მთავარი. იქნებ, ანგელოზებმა გეთინომიის მთელ ხეობას, მთელ დედამინას გადაუფრინონ და ყველა ავადმყოფობა, დარდი თუ უბედურება ფრთებით ახვეტონ! იქნებ, ასეც მოხდეს!

შემდეგ ქალმა გაიხსენა, როგორ იხილა ძე უფლისა. რა ალერსიანი იყო! ასე თბილად მას ჯერ არავინ მოქცევია. ქალს შეეძლო უფლისათვის ეთხოვა, ამ სიმახინჯისაგან მიხსენიო, მაგრამ არ ისურვა. მოძღვრისათვის ეს ძალიან იოლი იყო, მაგრამ ქალმა არ ინდომა თხოვნა. მოძღვარი იმათ ეხმარებოდა, ვისაც მართლა უჭირდა, დიდ საქმეთათვის იყო მოვლენილი. ქალს კი არ სურდა წვრილმანებით მისთვის თავი შეეწყინა.

უცნაური რამ უთხრა, ძალიან უცნაური, როცა ქალი მტვერში, მის წინ მუხლებზე დაეცა, ის კი მოტრიალდა და მიუახლოვდა.

— ჩემგან შენც სასნაულს ელოდები? — ჰკითხა.

— არა, უფალო, არ ველოდები. მხოლოდ გიცქეროდი, გზას როგორ მიუყვებოდი.

შემდეგ მოძღვარმა შემოხედა, ნაზად, სევდიანად შემოხედა. ლოყაზე ხელი მოუთათუნა, ტუჩზეც შეეხო, ტუჩი კი ზუსტად ისეთივე დარჩა. ბოლოს უთხრა:

— შენ ჩემ ყოფნას დაადასტურებ.

უცნაური სიტყვებია. ნეტავ რას ნიშნავს? „ჩემ ყოფნას დაადასტურებ". მე დავადასტურებ? გაუგებარია. როგორ დავადასტურებ.

მოძღვარმა ქალის ნათქვამი უმალო გაიგო. სხვებს კი არა ჰგავდა. მაშინვე მიხვდა. თუმცა რა არის გასაოცარი, უფლის ძეც ხომ ამიტომ იყო.

კიდევ ბევრი მსგავსი აზრი უტრიალებდა თავში. იხსენებდა მოძღვრის მზერას, მისი ხელების სურნელს, როცა ტუჩებზე შეეხო ქალის ფართოდ გახელილ თვალებში ვარსკვლავები ირეკლებოდნენ, ის გაოცებული იყო, სანამ შესცქეროდა, უფრო და უფრო ემატებოდა ვარსკვლავები. რაც შინიდან წამოვიდა იმდენი ვარსკვლავი ნახა... საინტერესოა, რა არის ვარსკვლავი? ვინ იცის. ცხადია, ისიც ღმერთმა შექმნა, მაგრამ რა არის, არავინ უწყის... აქ, უდაბნოში ბევრი ვარსკვლავია... მთაშიც ბევრი იყო... მთაში, გალგალთან... ოღონდ იმ ღამეს არ იყო, არა, იმ ღამეს არ ყოფილა...

ქალმა ორ ფიჭვს შორის მოქცეული სახლი გაიხსენა... დედა კარში იდგა და შესცქეროდა, სანამ შეჩვენებული კურდღლისტუჩა მთიდან ეშვებოდა... ჰო, იძულებულნი იყვნენ გაეგდოთ, რათა ამის შემდეგ ისე ეცხოვრა, როგორც მხეცები ცხოვრობენ ბუნაგებში. ქალი ფიქრობდა, თუ რა მწვანე იყო მდელო გაზაფხულზე, დედა კი ამ დროს კართან, სიბნელეში, გვერდულად იდგა, რათა შემჩვენებელს არ დაენახა...

მაგრამ ახლა ამას აღარ აქვს მნიშვნელობა. ახლა მნიშვნელობა აღარაფერს აქვს.

უსინათლო წამოჯდა და ყურები დაცქვიტა, გაღვიძებოდა და კეთროვანის ეჟვანების ჟღარუნი გაიგონა.

— აბა, გასწი აქედან, — დაიყვირა მან და სიბნელეს მუშტი მოუღერა. — წაეთრიე! ხედავ, რა შემოგვეჩვია?

ეჟვნების ჟღარუნი სიბნელეში ჩაიკარგა. მოხუცი კვლავ წამონვა და თვალის ცარიელი უპეები ხელით დაიფარა.

მკვდარი ბავშვები — ნეტავ ისინიც თუ ხვდებიან მიცვალებულთა საუფლოში? ვინც ისე მოკვდა, დედის საშოდან არც კი დაძრულა, ისიც იქ ხვდება? შეუძლებელია... ნუთუ ეწამებიან? ისინი რილასთვის? თუმცა დაზუსტებით ვინ იცის... დაბეჯითებით არავინ იცის.

„შეჩვენდეს ნაყოფი მუცლისა შენისა...“

მაგრამ, როცა ახალი საუკუნე დადგება, განა ყველა შეჩვენება თავის თავად არ გაბათილდება? იქნებ, ასეც მოხდეს, ვინ იცის?

„შეჩვენდეს... ნაყოფი... მუცლისა შენისა...“

ქალს შემციენულივით შეაძაგძაგა. მალე მაინც გათენდებოდეს! როდის დადგება აისი! რა ხანია, აქ წევს, ღამე კი არა და არ გაილია! ჰო, ვარსკვლავები უკვე სხვაგვარად კიაფობენ და ნამგალა მთვარეც კარგა ხანია მთას ამოეფარა. სამგზის იხილა ჩირაღდნები ქალაქის კედელზე. ესე იგი ბოლო გუშაგებიც გამოიცვალნენ. ჰო, გაილია ღამე... უკანასკნელი ღამე...

აი, ზეთისხილის მთაზე ცისკრის ვარსკვლავი ამობრწყინდა! მაშინვე იცნობ, ისე დიდი და კაშკაშაა, სხვებზე გაცილებით კაშკაშა, ასე ბრწყინვალე კი ჯერ არ ყოფილა. ჩავარდნილ მკერდზე ხელებდაკრეფილი ქალი ვარსკვლავს გაბრწყინებული თვალებით შესცქეროდა.

შემდეგ წამოხტა და ბინდში გაიქცა.

გზის მეორე მხარეს, სამარის პირდაპირ, ბუჩქის უკან კაცი მოკუნტული ინვა. გათენდება თუ არა, ყველაფერს დაინახავს, აქედან კარგად მოჩანს, მალე მაინც ამოვიდოდეს მზე!

ცხადია, მიცვალებული მკვდრეთით ვერ აღსდგება, ეს ხომ ისედაც იცოდა, მაგრამ სურდა ყველაფერი თავისი თვალით ეხილა, დარწმუნებულიყო. ამიტომაც წამოხტა ალიონზე, კარგა ხნით ადრე, სანამ აისი აინთებოდა და ამ ბუჩქის უკან ჩანვა. თუმცა თავისი საქციელი თავადვე აოცებდა. აქ რისთვის მოვიდა? ბოლოს და ბოლოს, მისთვის ხომ სულ ერთია? რა მისი საქმეა?

ეგონა, სასნაულის სანახავად უამრავი ხალხი მოიყრის თავსო. ამიტომაც დაიმალა, არ უნდოდა, რომ ვინმეს დაენახა. მაგრამ, როგორც ჩანს, მის გარდა არავინ მოსულა. უცნაურია.

თუმცა არა — სულ ახლოს, ზედ შუა გზაზე, ვიღაცას მუხლი მოეყარა. ვინ არის? როგორ მოხდა, რომ მისი ნაბიჯების ხმა ვერ გაიგონა? მგონი, ქალია. მისი ნაცრისფერი სილუეტი გზის ნაცრისფერ მტვერში ითქვიფებოდა.

უკვე თენდებოდა და მალე პირველი სხივიც დაეცა კლდეს, სადაც სამარე იყო გამოკვეთილი. ყოველივე ისე სწრაფად მოხდა, რომ ბარაბამ თვალი ვერ მიადევნა. არადა, მზერად აქ უნდა ქცეულიყო. სამარე ცარიელი აღმოჩნდა! კართან ლოდი გადაეგორებინათ და კლდეში სამარე ცარიელი იყო!

თავდაპირველად ბარაბა გაოგნდა. იწვა და შესქეროდა სამარეს, სადაც — თავადაც იხილა, ჯვარცმული როგორ შეასვენეს, შესცქეროდა იმ ლოდსაც, რითაც მის თვალნინ შესასვლელი დაგმანეს. შემდეგ ყველაფერს მიხვდა. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ლოდი გაცილებით ადრე გადააგორეს, ალბათ მანამდე, სანამ ბარაბა მოვიდოდა სამარე მანამდე დაცარიელდა და ძნელი მისახვედრი როდია ვინ გადააგორა და მიცვალებული ვინ წაასვენა. ეს ყველაფერი მისმა მონაფეებმა ღამით ჩაიდინეს. სიბნელით ისარგებლეს და საყვარელი მოძღვრის სხეული მოიტაცეს. ახლა კი განაცხადებენ, შეგვპირდა და აღსდგა კიდეცო. ამის მოფიქრებას დიდი ჭკუა როდი სჭირდება.

ჰოდა, ყველანი გადაიხვეწნენ, როცა ამ დილით უდიდესი სასნაული უნდა მომხდარიყო, მიიმალნენ.

ბარაბა საფარიდან გამოძვრა და სამარეს მიუახლოვდა, უკეთ რომ დაეთვალიერებინა. როცა მუხლმოყრილ სხეულს გვერდით

ჩაურა, ცალი თვალით გახედა, კურდღლისტუჩა შეიცნო და გაოგნდა. გახევებული იდგა და ქალს დასცქეროდა. ქალის გაფითრებული, ტანჯული სახე სამარეს მიშტერებოდა, მისი ნეტარი მზერა მეტს ვეღარაფერს ამჩნევდა. ბაგე გაპობოდა, მაგრამ თითქმის არ სუნთქავდა, ზემო ტუჩის მახინჯი ნაჭრილობევი სულ გათეთრებოდა. ქალი ბარაბას ვერ ხედავდა.

მისი სახის გამომეტყველებამ კაცი როგორღაც შეაცბუნა და შეარცხვინა კიდეც, რაღაც ისეთი გაახსენა, რისი გახსენებაც არ სურდა. ქალს მაშინაც ასეთი სახე ჰქონდა. კაცს კი მაშინაც რცხვენოდა. ბარაბამ მხრები აიჩეჩა და მოგონება მოიშორა.

ბოლოს და ბოლოს, ქალმა შენიშნა და თავადაც გაოცდა, ბარაბას აქ რომ ხედავდა, აქ რომ იდგა. ეს გასაგებიცაა, კაცს ხომ თვითონაც უკვირდა. აქ არაფერი ესაქმებოდა.

უკეთესი გამოსავალი იყო, თავი მოეკატუნებინა — გზად მივდიოდი, აქ შემთხვევით გამოვიარე, არც ეს ადგილი ვიცოდი და არც სამარის შესახებ მსმენია რამეო. ანკი რად არ უნდა მოეკატუნებინა? რა თქმა უნდა, ეს ძნელი დასაჯერებელი იქნებოდა და ქალი, ალბათ, არც დაუჯერებდა — და მაინც, ბარაბამ იკითხა:

— შენ აქ რატომ წევხარ?

ქალს არ აუხედავს, არც განძრეულა, კვლავ მუხლებზე იდგა და მზერას კლდეში გამოკვეთილ სამარეს არ აშორებდა. და ბარაბამ მისი ჩურჩული ძლივს გაიგონა:

— ძე უფლისა აღსდგა...

უცნაურია, მაგრამ ამ ჩურჩულმა კაცი შესძრა. თავისი ნების საწინააღმდეგოდ რაღაც იგრძნო — მაგრამ რა — ვერ ხვდებოდა. იდგა და არ იცოდა რა ეთქვა, როგორ მოქცეულიყო. შემდეგ, როგორც აპირებდა, სამარეს მიუახლოვდა და დარწმუნდა, რომ ცარიელი იყო. თუმცა ეს ხომ წინასწარვე იცოდა, ეს ხომ მისთვის სულ ერთი გახლდათ და არც არაფერს ნიშნავდა. შემდეგ კვლავ დაჩოქილ ქალს მიუახლოვდა. კურდღლისტუჩას ისეთი ნეტარი, დაბანგულ-ბედნიერი სახე ჰქონდა, რომ შეეცოდა. ეს ყველაფერი ხომ სიცრუე იყო. ცხადია, ბარაბას შეეძლო მისთვის მოეთხრო, როგორ მოხდა ეს მკვდრეთით აღდგომა, მაგრამ ქალი ხომ ისედაც გაანაწყენა... ალბათ, უნდა აკმაროს. თავი ვერ აიძულა, ქალს სრული სიმართლე ვერ უთხრა. მხოლოდ ფრთხილად ჰკითხა, შენი აზრით ჯვარცმული მკვდრეთით მაინც როგორ აღსდგაო.

თავდაპირველად, ქალმა ბარაბას გაოგნებით შეხედა, შემდეგ აღფრთოვანებულმა, თავისი დუდღუნა ხმით დაწვრილებით უამბო, ციდან როგორ დაეშვა ანგელოზი, რომელსაც ხელი შუბივით გაეშვირა, ცეცხლი კი ანაფორასავით ემოსა. შუბი კლდესა და ლოდს შორის ჩაასო და გახეთქა. თითქოს ყველაფერი უბრალოდ გეჩვენებოდა. არა, მართლაც უბრალოდ ხდებოდა, თუმცა ეს ნამდვილი სასწაული იყო. აი, ასე მოხდა, შენ რა, თავად არ დაგინახავსო?

ბარაბამ თვალები დახარა და არა, არ დამინახავსო, ჩაილაპარაკა. თუმცა გულში გაუხარდა, რომ მსგავსი არაფერი უხილავს. ეტყობა, თვალები გამოუკეთდა. ისეთივე გაუხდა, როგორიც ყველას აქვს და ახლა აღარაფერი ეჩვენება, ყველაფერს ჩვეულებრივად ხედავს. ის კაცი მასზე ვეღარ მოქმედებს, ძალა დაკარგა. არავითარი აღდგომა, მსგავსიც არაფერი უხილავს. გოგონა კი კვლავ მუხლმოყრილი იდგა და რაც იხილა, მისი გახსენება თვალებს უბრწყინებდა.

ქალი, ბოლოს და ბოლოს, წასასვლელად წამოდგა და ქალაქისაკენ ორივე ერთად დაეშვა. ლაპარაკობდნენ ცოტას, მაგრამ ბარაბა მიხვდა, რომ მათი ადრე განშორების შემდეგ, ქალმა ირწმუნა მისი, ვისაც ის უფლის ძეს, ბარაბა კი, უბრალოდ, მიცვალებულს ეძახდა. მაგრამ ბარაბამ როცა ჰკითხა, მაინც რას გასწავლიდა ეს კაციო, ქალმა არ უპასუხა, თვალი აარიდა და ჩაჩუმდა. ასე მივიდნენ გზის გასაყართან — ქალს გეთინომიის ხეობისაკენ, კაცს კი დავითის კარიბჭისკენ უნდა აეღო გეზი და ბარაბამ კვლავ ჯიქურ ჰკითხა, მაინც რას გასწავლიდათ ის კაცი, თუმცა რა ჩემი საქმეა, მაგრამ მაინც რა ირწმუნეო. ორიოდ წუთი ქალი თავჩაქინდრული იდგა, შემდეგ ბარაბას გაუბედავად შეხედა და როგორც ყოველთვის, გაურკვევლად ჩაიდუდღუნა:

— გიყვარდეთ ერთმანეთი.

და ერთმანეთს ასე დაშორდნენ.

ბარაბა დიდხანს იდგა და მიმავალ ქალს გასცქეროდა.

ბარაბას თვითონვე უკვირდა, რად ჩარჩა იერუსალიმში, სადაც არაფერი ესაქმებოდა. მთელი დღეები ქუჩა-ქუჩა უთავბოლოდ დაეხეტებოდა. არადა, მთაში, ალბათ, ელოდნენ და სად დაიკარგაო, ფიქრობდნენ. ქალაქში რატომ დარჩა? ეს თვითონაც არ იცოდა.

სქელუამ ჯერ გადაწყვიტა ჩემ გამო არ მიდისო, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ცდებოდა. ცოტა განაწყენდა კიდეც. მაგრამ — ღმერ-

თო ჩემო! — კაცები უმადურები არიან და მათი განებივრება არ შეიძლება, ქალს კი ყოველღამე მასთან ეძინა და ეს თვითონაც მოსწონდა. კარგია, როცა გვერდით ნამდვილი მამაკაცი გიწევს და ეღლაბუცები. ბარაბას კი ერთი კარგი თვისებაც აქვს. მართალია, შენ ფეხზე ჰკიდიხარ, მაგრამ ყველა სხვაც ფეხებზე ჰკიდია. ასეა, წყალი არ გაუვა. მას არავინ სჭირდება. ყოველთვის ასეთი იყო. საერთოდ, ქალს მოსწონდა კიდეც, კაცს ფეხებზე რომ ეკიდა, უფრო სწორად, მხოლოდ მაშინ მოსწონდა, როცა ერთმანეთს ეალერსებოდნენ. შემდეგ კი მართლა მწარდებოდა და ცოტას კიდეც წაუტირებდა. მერე რა, არც ეს იყო ურიგო და თუ დაუკვირდებოდი, სიტკბოების მომგვრელიც გახლდათ. სქელუას ამ საკითხში დიდი გამოცდილება ჰქონდა არანაირი სიყვარული არ სძულდა.

მაგრამ ამ იერუსალიმს რას მიეკერა, ეს ქალსაც ვერ გაეგო. მთელი დღეები სად იკარგებოდა, რას აკეთებდა? ის ხომ იმ უქნარებს არ ჰგავდა, ქუჩაში ხეტიალის მეტი რომ არაფერი აინტერესებთ. ის მძიმე და ხიფათიან ცხოვრებას იყო ნაჩვევი. ასე უსაქმო ხეტიალი მას სწორედ არ შეეფერებოდა.

არა, თავის თავს აღარ ჰგავს მას შემდეგ, რაც ეს ამბავი მოხდა მას შემდეგ, რაც კინაღამ ჯვარზე გააკრეს. თითქოს ვერაფრით შეგუებია. რომ აიღეს და გაათავისუფლეს, — ჩაილაპარაკა მზის გულზე წამოგორებულმა, ფუმფულა მუცელზე ხელებდაკრეფილმა სქელუამ და უცებ გადაიხარხარა.

დროდადრო ბარაბა იმ ჯვარცმულის მიმდევრებს აწყდებოდა. ვერავინ იტყვის, გამიზნულად ეძებდაო, უბრალოდ ისინი ბაზარში ან ქუჩაში ხვდებოდნენ. ბარაბაც სიამოვნებით ჩერდებოდა, მათთან ლაქლაქებდა, ეკითხებოდა იმ ჯვარცმულზე და იმ უცნაურ მოძღვრებაზე, თავი და ბოლო რომ ვერ გაუგო. ერთმანეთი გიყვარდეთ? მაგრამ სასახლის მოედანს არ ეკარებოდა, არც მეზობელ, მდიდარ ქუჩებში დადიოდა, მხოლოდ ქვემორე უბნის ქუჩაბანდებში დაეხეტებოდა, სადაც ფარდულებში ხელოსნები მუშაობდნენ, მენვრილმანეები კი საქონელს ხმამაღლა აქებდნენ. ამ უბრალო ხალხს შორის მრავალი მორწმუნე იყო და ისინი ბარაბას გაცილებით მეტად მოსწონდა, ვიდრე კოლონადის ქვეშ მოსეირნე საზოგადოება. ამ ხალხის უცნაურ რწმენას ბარაბამ ვერაფერი გაუგო, თუმცა საკმაოდ ბევრი განმარტება მოისმინა. შეიძლება იმიტომაც ვერ გაიგო, რომ საკმაოდ ბრიყვულად უხსნიდნენ.

მაგალითად, მათ სასოებით სჯეროდათ, რომ მათი მოძღვარი მკვდრეთით აღსდგებოდა, რომ მალე ზეციურ მეომრებს სათავეში ჩაუდგებოდა, ამ ქვეყანას მოევლინებოდა და დედამინაზე თავის მეუფებას დაამკვიდრებდა. თანაც ყველა ერთსა და იმავეს იმეორებდა, ეტყობა, ასე ასნავლეს. ზოგიერთებს უცნაურობადაც კი მიაჩნდათ მოძღვარი საკუთარი თვალით რომ იხილეს, მოუსმინეს და გაესაუბრნენ კიდეც. ერთს თურმე მისთვის სანდლებიც შეუკერავს, ზომაც აუღია და ყველაფერი. არა, როგორღაც ძნელი დასაჯერებელი იყო. მეორენი ამტკიცებდნენ, სულ ერთია, მაინც უფლის ძეა და ღრუბელზე მამის გვერდით დაჯდება, თუმცა მანამდე ამ ცოდვილ, უკეთურ ქვეყანას დააქცევსო.

ეს რა ახირებული ხალხია?

მათ შენიშნეს, ბარაბას ამდაგვარი ამბების არაფერი სჯერაო და თავი მოარიდეს. ზოგიერთები მასთან შეხვედრისას აშკარა სიფრთხილეს იჩენდნენ და თითქმის ყველა აგრძნობინებდა, შენი დანახვა მაინცდამაინც არ მსიამოვნებსო. საერთოდ, ბარაბა ასეთ მოპყრობას შეჩვეული იყო, მაგრამ, უცნაურია ახლა ეს შეურაცხყოფდა, თუმცა ადრე მსგავსი რამ არ უგრძვნია. ხალხი ყოველთვის აგრძნობინებდა არ გვჭირდებიო, მისგან თავი ყველას შორს ეჭირა. იქნებ, გარეგნობის გამო ან თვალის ქვეშ დანით მიყენებული ნაჭრილობევი აფრთხობდათ, ამ ჭრილობის ამბავი ხომ არავინ იცოდა, ან იქნებ, თვალები არ მოსწონდათ, ისე ღრმად რომ ჩასცვენოდა, გამოხედვას ვერავინ იჭერდა. ბარაბამ ეს ყველაფერი მშვენივრად იცოდა, მაგრამ გულთან ახლოს არასოდეს მიუტანია. ხალხის დამოკიდებულებას ის უბრალოდ ვერ ამჩნევდა.

დღემდე არ იცოდა, თუ ასეთი რამ მას შეურაცყოფდა.

ამათ კი საერთო რწმენა ადუღაბებდათ და ვინც ამ რწმენას არ იზიარებდა, იმას ახლოსაც არ იკარებდნენ, ეშინოდათ. მათ თავისი საძმო ჰქონდათ, სიყვარულის საღამოებს აწყობდნენ და პურს ერთი დიდი ოჯახივით ტეხდნენ. ეს ყველაფერი ეტყობა, მათ მოძღვრებას უკავშირდებოდა, თავი და თავი ის „გიყვარდეთ ერთმანეთი“ იყო. მაგრამ უყვარდათ თუ არა ის, ვინც მათ არ ჰგავდა, ეს ჯერ კიდევ საკითხავი გახლდათ.

ბარაბას სულაც არ უნდოდა მათ სიყვარულის საღამოებს დასწრებოდა, ესღა აკლდა, გაფიქრებაც კი ზარავდა. ასე როგორ უნდა

მიეჯაჭვო ვინმეს! ბარაბა მუდამ თავისთავადი იყო და გადასხვაფერების სურვილი არც ახლა გაჩენია.

მაგრამ მათთან შეხვედრას რატომღაც მაინც ცდილობდა.

ერთხანს თავიც კი მოიკატუნა, თითქოს საძმოში შემოსვლა იმიტომ მინდა, რომ თქვენი რწმენის არსს კარგად ჩავწვდეო. ისინი პასუხობდნენ, სიამოვნებით მიგიღებთ, შევეცდებით ჩვენი მოძღვრის სიტყვები აგიხსნათო. სინამდვილეში გახარებულებს არ ჰგავდნენ. უცნაურია. სინდისი კი აწუხებდათ, მაგრამ ბარაბას კირთება, კიდევ ერთი ერთმორწმუნის შეძენა, სულაც არ ახარებდათ. არადა, ეს ყოველთვის ძალიან უხაროდათ ხოლმე. მაინც რა იყო მიზეზი? მაგრამ ბარაბამ იცოდა მიზეზი. მოულოდნელად იგი ნამოხტა და იქაურობას ფართო ნაბიჯებით გაშორდა, თვალს ქვემოთ ნაჭრილობევი გაულურჯდა.

ინამე! როგორ ინამოს, როცა საკუთარი თვალით იხილა ჯვარზე გაკრული! მისი სხეული, კარგა ხნის წინ მიცვლილი, აკი თვითონ ნახა, რომ არ აღმდგარა, ეს მათი წარმოსახვის ნაყოფი იყო! თავიდან ბოლომდე ყველაფერი მხოლოდ მათი ნარმოსახვის ნაყოფი იყო! მკვდრეთით ჯერ არავინ აღმდგარა, არც მათი „ფასდაუდებელი" მოძღვარი, არავინ აღმდგარა! და საერთოდ, ბარაბა არ აგებს პასუხს, თუ ვინ აირჩიეს მაშინ! ეს მისი კი არა, ხელისუფლების საქმეა! ვინც უნდოდათ, ის აირჩიეს, უბრალოდ ასე მოხდა. უფლის ძეო! სადაური უფლის ძეა! ასეც რომ იყოს, თავად რომ არ ნდომებოდა, განა ჯვარზე თავს გააკვრევინებდა უცნაური და თანაც სისაძაგლეა — წამება თავად ისურვო. ეტყობა, თავად უნდოდა! მართლა უფლის ძე იყო, მისთვის თავის დახსნა ხომ სულ იოლი იქნებოდა. მან კი არ ისურვა. თავის დახსნა არ უცდია, თავად გადაწყვიტა დატანჯულიყო და ასეთი საზარელი სიკვდილით მომკვდარიყო და ასეც მოხდა. თავისი გაიტანა — არ უნდოდა და არ გაუშვეს. ისე მოიქცა, რომ ბარაბა გაეშვათ. ადგა და ბრძანა: ბარაბა გაუშვით და ჯვარზე მე გამაკარითო.

თუმცა დღესავით ნათელია, რომ ის უფლის ძე არაა...

უცნაურად კი გამოიყენა თავისი ძალა, ძალიან უცნაურად. თითქოს ეს ძალა თვითონ არც გამოუყენებია. ისე გადაანყვეტინა, როგორც სხვებს სურდათ, თითქოს თვითონ არაფერში ჩარეულა, არადა, თავისი გაიტანა: ჯვარს ის აცვეს, ბარაბა კი გაათავისუფლეს.

ახლა ესენი ყბედობენ, ჩვენთვის, ჩვენ ნაცვლად მოკვდაო. ვინ იცის! შეიძლება. აი, ბარაბას ნაცვლად ნაღდად რომ მოკვდა, ამას ვერავინ უარყოფს, ეტყობა, ბარაბა მისთვის ამათზე უფრო ახლობელია, ყველა სხვაზე უფრო ახლობელია, მასთან სულ სხვაგვარადაა დაკავშირებული, ეს საძმო კი ახლოსაც არ იკარებს! ბარაბა აარჩიეს, ჰო, აარჩიეს, რომ ტანჯვისა და წამებისაგან გაეთავისუფლებინათ. ჭეშმარიტი რჩეული სწორედ ისაა, თავად უფლის ძის ნაცვლად გაათავისუფლეს. მან ხომ ასე თავად ისურვა, თავად ბრძანა. უბრალოდ, ამ ხალხმა არაფერი იცის.

ხოლო მათი „საძმო“, „სიყვარულის საღამოები“ და „გიყვარდეთ ერთმანეთი“ ბარაბას არაფრად სჭირდება. ის თავისთვისაა და მისი ურთიერთობაც იმასთან, უფლის ძეს რომ ეძახიან, აი, იმ ჯვარცმულთან, ასევე თავისებური იქნება. ამათსავით მათი მონა კი არ გახდება. დე, იმათ ილოცონ და ოხვრითაც იმათ მოიოხონ გული.

ნუთუ შეიძლება ტანჯვა გინდოდეს? როცა საჭირო არაა, როცა არავინ გაიძულებს? ვერც კი წარმოიდგენ, ამის გაფიქრებაც კი გულს აგირევს. კვლავ თვალწინ გაუკრთა გაძვალტყავებული, უბადრუკი სხეული, ხელები, ჩამოკიდებულ სხეულს ძლივს რომ იჭერდა და გამშრალი ბაგეები, სიტყვა „მწყურია“ ძლივს რომ წარმოსთქვა. არა, ბარაბას არ მოსწონდა ის, ვინც ასეთ ვნებებს თავად ეძებდა, ვინც ჯვარზე საკუთარი სურვილით გაეკრა. არა, სულაც არ მოსწონდა! ესენი კი თავიანთ ჯვარცმულს აღმერთებდნენ, მის ტანჯვას, მის უბადრუკ სიკვდილს ესათუთებოდნენ, ან იქნებ, უბადრუკად სულაც არ ეჩვენებოდათ? სწორედ სიკვდილს აღმერთებდნენ. ბარაბას კი სწორედ ეს სძაგდა, გაფიქრებაც გულს ურევდა, არ სჭირდებოდა არც ეს მოძღვრება, არც ეს ხალხი, არც ეს ჯვარცმული, ვისიც მათ სწამდათ.

ო, არა, ვის-ვის და ბარაბას სიკვდილი არ უყვარდა. სიკვდილი სძულდა, სულაც არ უნდოდა. იქნებ, ასე ამიტომაც მოხდა? იქნებ, სიკვდილისაგან დახსნილი რჩეულიც ამიტომ აღმოჩნდა; თუ ჯვარცმული მართლა უფლის ძე გახლდათ, ნათელმხილველიც უნდა ყოფილიყო და მაშინ, ცხადია, ეცოდინებოდა, რომ ბარაბას სიკვდილი — ტანჯვა და სიკვდილი არ სურდა. ჰოდა, აიღო და მის ნაცვლად მოკვდა! ბარაბას კი ისღა დარჩა, გოლგოთაზე გაეცილებინა და მისი ჯვარზე გაკვრისათვის ეცქირა. მეტი არაფერი მოეთხოვებოდა, მა-

გრამ ესეც ბევრი იყო, მას ხომ სიკვდილიც და ყველაფერი, მასთან დაკავშირებული, ასე ხელაღებით სძულდა.

ჰო, უფლის ძე სწორედ მის ნაცვლად გარდაიცვალა! სხვაზე კი არა, სწორედ ბარაბაზე თქვა: ის გაათავისუფლეთ, მე კი ჯვარს მაცვითო!

ასე ფიქრობდა ბარაბა, სანამ მექოთნეების შესახვევში ფარდულს ფართო ნაბიჯებით შორდებოდა, სანამ ემშვიდოდებობა მათ, ვისთან შეერთებაც სურდა და ვინც, შენი მოსვლა არ მსიამოვნებსო, აშკარად აგრძნობინა.

ბარაბამ გადაწყვიტა მათთან აღარ მივალო.

მაგრამ მეორე დღეს, როცა მაინც მივიდა, მაშინვე ჰკითხეს, ჩვენს რწმენას რა ვერ გაუგეო და აშკარად აგრძნობინეს, გუშინდელ დღის გამო ვნუხვართ, ცივად რომ მიგიღეთ, თავს ვადანაშაულებთ, რახან ასე მხურვალედ გსურს, დაგარიგებთ და თვალს აგიხელთო. მაშ რა იკითხა? რა ვერ გაიგო?

ბარაბამ კინაღამ მხრები აიჩეჩა და უპასუხა, ვერაფერიც ვერ გავიგე და მაინცდამაინც არც მანუხებსო. მაგრამ ამის ნაცვლად განაცხადა, ვთქვათ, ვერ წარმომიდგენია, რა არის აღდგომა და არც მჯერა, რომ შეიძლება ვინმე მკვდრეთით აღსდგესო.

მათ თავი აიღეს, ჯერ ბარაბას, შემდეგ ერთმანეთს შეხედეს, ცოტა ხანს იჩურჩულეს, ბოლოს კი ყველაზე უფროსმა იკითხა, ხომ არ გინდა ის კაცი ნახო, მოძღვარმა მკვდრეთით რომ აღადგინაო. თუ გინდა, გაჩვენებთ, ოღონდ საღამოს, სამუშაოს შემდეგ. რადგან ის იერუსალიმში არ ცხოვრობსო.

ბარაბა დაფრთხა. ამის მსგავსს ნამდვილად არაფერს ელოდა. ეგონა, იმსჯელებენ, თავის აზრს გადმომიშლიანო, ასეთ უხეშ დამამტკიცებელ საბუთს კი ნამდვილად არ ელოდა. ცხადია, ესმოდა, რომ ეს ყველაფერი მათი წარმოსახვის ნაყოფი, ღვთისმოსაური სიყალბე იყო, რომ ის კაცი უბრალოდ არც მომკვდარა, მაგრამ მაინც შეშინდა. იმ კაცის ნახვა სულაც არ სურდა, მაგრამ ამას ასე პირდაპირ ხომ ვერ იტყოდა. ძალაუნებურად ითვალთმაქცა, ძალიან მადლიერი ვარ და მიხარია, რომ საშუალება მეძლევა, თქვენი უფლისა და მოძღვრის ძლევამოსილება ვირწმუნოო.

საღამოს მოლოდინში იგი ქუჩებში დაეხეტებოდა და უფრო და უფრო ღელავდა. დღის ბოლოს კვლავ სამეთუნეოში მივიდა და

ერთმა ყმაწვილმა ქალაქის კარიბჭის მიღმა, ზეთისხილის მთისკენ ნაიყვანა.

ის, ვისთანაც მიდიოდნენ, მთის ფერდობზე შეფენილი პატარა სოფლის განაპირას ცხოვრობდა. ახალგაზრდა მეთუნემ კარზე ჩალის ფარდა გადასწია და დაინახეს, რომ მასპინძელი, მათთან გვერდშექცევით იჯდა მაგიდასთან, ხელები ზედ დაეწყო და წინ, ერთ წერტილს მიშტერებოდა. სტუმრები, ეტყობა ვერ შეამჩნია, სანამ ყმაწვილი წკრიალა ხმით არ მიესალმა. მაშინ სახე კარისკენ ნელა მოატრიალა და მისალმებაზე უცნაურად დახშული ხმით უპასუხა. ყმაწვილმა მექოთნეთა შესახვევის საძმოს მოკითხვა გადასცა, აუხსნა რისთვის მოვიდნენ და დამხვდურმაც, მაგიდასთან დასხედითო, ხელით ანიშნა.

ბარაბა მოპირდაპირე მხარეს დაჯდა და მისი სახე შეათვალიერა. კაცს ყვითელი, ერთი შეხედვით ძვალივით მაგარი სახე და ჩამომჭკნარი კანი ჰქონდა. ბარაბა ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ ასეთი სახე არსებობდა, არც ასეთი მიუსაფრობა უხილავს ოდესმე. კაცის სახე უდაბნოს ჰგავდა.

ყმაწვილის შეკითხვაზე, მასპინძელმა უპასუხა, ჰო, მოვკვდი, შემდეგ კი გალილეველმა რაბიმ, ჩვენმა მოძღვარმა, სიცოცხლე დამიბრუნაო. ოთხი დღე და ოთხი ღამე ვიწექი სამარეში, ახლა კი იგივე სული და იგივე სხეული მაქვს სულ არ შევცლილვარ. მოძღვარმა თავისი ძალა და ბრწყინვალება გამოაჩინა და დაამტკიცა, რომ ჭეშმარიტად უფლის ძეაო.

იგი დინჯად ლაპარაკობდა, უტყვი სახე ჰქონდა და ბარაბას არაფრისმთქმელი მზერით შესცქეროდა.

შემდეგ მოძღვარსა და მის დიად საქმეებზე ცოტა კიდევ ისაუბრეს. ბარაბა საუბარში არ ჩარეულა. მერე ყმაწვილი იმავე სოფელში მცხოვრები მშობლების მოსანახულებლად წავიდა და ისინი მარტო დატოვა.

ყველას გული ერეოდა, აღარავის უხაროდა, რომ დაბრუნდა და ასე ადგომა და წასვლა არ შეეძლო, ვერც წასვლის მიზეზი ეპოვნა. ის კი თვალმოუშორებლად შესცქეროდა უცნაური, ჩამქრალი მზერით, რომელიც არაფერს, მით უმეტეს, ბარაბასადმი ინტერესს არ გამოხატავდა და მაინც ასე უცნაურად იზიდავდა, ბარაბას წასვლა, თავის დაღნევა, გაქცევა უნდოდა, მაგრამ გაქცევა არ შეეძლო.

თავდაპირველად მასპინძელი დუმდა, შემდეგ ჰკითხა, ჩვენი მოძღვრისა თუ გწამს, ჭეშმარიტად უფლის ძე რომაა, თუ გჯერაო. ბარაბა შეყოყმანდა, შემდეგ, არაო,უპასუხა, რადგან უცნაური იყო მოტყუება ამ ცარიელი მზერისა, რომელსაც ცრუობდი თუ არა, სულაც არ ენაღვლებოდა. მასპინძელი არ განაწყენებულა, მხოლოდ თავი დაიქნია და თქვა:

— ჰო, ბევრს არა სწამს. გუშინ დედამისი მოვიდა. იმასაც არა სწამს. მე კი მხოლოდ იმისთვის დამიბრუნა სიცოცხლე, რომ ეს დავადასტურო.

ბარაბამ უთხრა, შენ როგორ არ ირწმუნებ, ალბათ, სამარადჟამოდ მისი მადლიერი ხარ ასეთი დიდი სასწაულით რომ გიხსნაო.

მასპინძელმა უპასუხა, ყოველდღე მადლობას ვწირავ, რომ სიცოცხლე დამიბრუნა, რომ მიცვალებულთა საუფლოში აღარ ვარო.

— მიცვალებულთა საუფლო? — წამოიყვირა ბარაბამ და თვითონ შენიშნა, რომ ხმა აუთრთოლდა, — მივცალებულთა საუფლო?.. როგორია? შენ ხომ იქ იყავი! მიამბე, როგორია!

— როგორია? — გამოეხმაურა მასპინძელი და ბარაბას გაოგნებით შეხედა. ცხადი იყო, შეკითხვის არსი არ ესმოდა.

— ჰო, რა ნახე, რა განიცადე?

— არაფერიც არ განვიცადე, — ისე უხალისოდ უპასუხა, თითქოს ბარაბას დაჟინებით უკმაყოფილი იყო. — მკვდარი ვიყავი სიკვდილი კი არარა არს.

— არარა?

— ჰო, აბა რა უნდა იყოს?

ბარაბა თვალმოუშორებლად შესცქეროდა.

— ესე იგი, გინდა მიცვალებულთა საუფლოზე გიამბო? არაფრის მოყოლა არ შემიძლია. მიცვალებულთა საუფლო არარაა. იგი არსებობს, მაგრამ არარაა.

ბარაბა ისევ დაჟინებით უყურებდა. ეს უტყვი სახე აშინებდა, მაგრამ თვალს მაინც ვერ აშორებდა.

— ჰო, — ჩაილაპარაკა მასპინძელმა და არაფრისმთქმელი მზერით ბარაბას მიღმა გაიხედა. — მიცვალებულთა საუფლო არარაა, მაგრამ მისთვის, ვინც იქიდან დაბრუნდება, სხვა ყველაფერიც არარა გახლავთ. უცნაურია, რომ ეს მკითხე, სხვებს არ უკითხავთ.

და მან უამბო, იერუსალიმის საძმო ხშირად მიგზავნის მოსაქცევად ხალხს და მრავალი უკვე კიდეც მოვაქციეო. ასე ვემსახურები

მოძღვარს, აუნაზღაურებელ ვალს ვუხდი, რადგან სიცოცხლე დამიბრუნა. თითქმის ყოველდღე ამ ყმაწვილს ან სხვას ჩემთან ვინმე მოჰყავს და მეც ჩემს მკვდრეთით აღდგომას ვუდასტურებ. ოღონდ მიცვალებულთა საუფლოზე არასოდეს მისაუბრია. მიცვალებულთა საუფლოს შესახებ ჩემთვის არავის და არასდროს უკითხავს რამეო.

ოთახში ბინდი ჩამოწვა. კაცი წამოდგა და დაბალ ჭერზე ჩამოკიდებულ ლამპარში ზეთი აანთო. შემდეგ პური და მარილი მოიტანა, თავისი ნაწილი მარილში ჩაანო და შენც იგივე ჰქმენიო, ბარაბას შესთავაზა. ბარაბა ძალაუნებურად დაემორჩილა, თუმცა ხელები უკანკალებდა. ასე ისხდნენ და ლამპრის ულიმღამო შუქზე პურს შეექცეოდნენ.

ამ კაცმა სიყვარულის საღამო ბარაბასთან მოყვასურად გაატარა! აბა მექოთნეთა შესახვევის საძმოს კი არ ჰგავდა! ეს ადამიანებს ერთმანეთისაგან დიდად არ ასხვავებდა, მაგრამ, როცა გამხმარი, ყვითელი თითებით პურის ნატეხი გაუწოდა და ბარაბამ ის ძალაუნებურად გაღეჭა, მოეჩვენა მკვდრის ხორცსა ვჭამო.

რატომ, რატომ გატეხა პური ბარაბასთან ერთად? რა საიდუმლოება იმალებოდა ამ სერობის მიღმა?

როცა სერობა დასრულდა, მასპინძელმა ბარაბა კართან მიაცილა და მშვიდობიანად გაუშვა. ბარაბამ საპასუხოდ რაღაც ჩაიბუტბუტა და სიბნელეში სწრაფად გაუჩინარდა. იგი ქალაქისაკენ მიაბიჯებდა, დიდი ნაბიჯებით ფერდობზე ეშვებოდა. გონებაში კი აკვიატებული ფიქრები მოეჯარა.

სქელუა გაოცდა და გაიხარა, როცა იმ საღამოს კაცი თავაწყვეტილი სურვილით დაეუფლა. იმ საღამოს მისი თავაწყვეტილობა ზღვარს ცილდებოდა. ქალს ვერ გაეგო, მაგრამ გრძნობდა, რომ ამ საღამოს კაცი ნამდვილად დასაოკებელი იყო. არადა, ქალის გარდა ვის შეეძლო მისი დაცხრომა. და ქალსაც ეზმანებოდა კვლავ ახალგაზრდა ვარ და ისევე ვიღაცას ვუყვარვარო.

მეორე დღეს ბარაბამ ქალაქის ქვემო უბანს, მექოთნეთა შესახვევს თავი მოარიდა. მაგრამ საძმოს ერთ-ერთი წევრი მას სოლომონის კოლონადასთან გადაეყარა და მაშინვე გუშინდელი ამბები გამოჰკითხა. აბა რას იტყვი? ხომ არავის მოუტყუებიხარო? ბარაბამ უპასუხა, ჰო, მართალია, ის კაცი მოკვდა და შემდეგ აღსდგა, ამაში დაეჭვება შეუძლებელია, ოღონდ თავად არ მესმის, თქვენს მოძღვარს მისი მკვდრეთით აღდგენა რისთვის დასჭირდაო. მექოთნე

გაშრა, უფლის ასეთი შეურაცხყოფით განაწყენებული გაფითრდა. მაგრამ ბარაბამ ზურგი შეაქცია და მასაც წასვლის გარდა სხვა აღარაფერი დარჩენოდა.

როგორც ჩანს, ეს ამბავი მხოლოდ მექოთნეების კი არა, ზეთისმხდელების, დაბაღებისა და ქსლის მბეჭველთა შესახვევებშიც გაიგეს, რადგან იქ ხელმეორედ მისულმა ბარაბამ უცებ შეამჩნია: მორწმუნეები, ყოველთვის რომ ელაპარაკებოდნენ, ახლა უცებ შეიცვალნენ, დუმდნენ და ეჭვიანად, ალმაცერად უმზერდნენ. ახლო მეგობრები ისედაც არასოდეს ყოფილან, მაგრამ ახლა თავის უნდობლობას დაუფარავად ამჟღავნებდნენ. ერთი ჩამომხმარი ბებერი, რომელსაც ბარაბა არც კი იცნობდა, პირდაპირ თავს დაესხა, რას დადიხარ, ჩვენგან რა გინდა, სასახლის, ან მღვდელმთავრის დაცვის, ანდა სადუკეველების მოგზავნილი ხომ არა ხარო. ბარაბამ ვერაფერი უპასუხა და მხოლოდ ამ ქაჩალი ბერიკაცის ბოღმისაგან გალურჯებულ მელოტ თავს დასცქეროდა. ეს კაცი ცხოვრებაში არასოდეს ენახა და არც მისი ვინაობა იცოდა, მხოლოდ ყურის ბიბილოში გაყრილმა ლურჯმა და წითელმა ნართმა, მღებავიაო, მიახვედრა.

ბარაბა მიხვდა, გამინაწყენდნენ და შეხედულება შეიცვალესო. ყველას სახეზე ახლა ცივი და მტრული გამომეტყველება აღბეჭდილიყო, ზოგიერთები კი მზერით ისე ბურღავდნენ, თითქოს მისთვის ნიღბის ჩამოხსნა ეწადათ. მაგრამ ბარაბა, ვერაფერს ვამჩნევო, თავს იკატუნებდა.

და აი, ბოლოს და ბოლოს აღსრულდა. ახალი ამბავი ყველა შესახვევს, სადაც მორწმუნეები ცხოვრობდნენ, ტყის ხანძარივით მოედო და მალე კაცი აღარ დარჩა, ყველამ იცოდა. ის არის! სწორედ ის, ვისაც მოძღვრის ნაცვლად შეუნდეს! ეს ბარაბაა! ბარაბა — შენდობილი!

კაცს ბოროტი მზერა თან სდევდა, სიძულვილით ანთებული თვალები შესცქეროდა.

ქარიშხალი არც მაშინ ჩაცხრა, როცა ბარაბა სრულიად განერიდა მათ.

— ბარაბა — შენდობილი! ბარაბა — შენდობილი!

თავის თავში ჩაიკეტა, აღარავის ხვდებოდა. გარეთ აღარც კი გადიოდა. სქელუასთან იწვა ფარდის მიღმა ან, თუკი შინ ძალიან

ხმაურობდნენ, სახურავზე, ქოხში აფარებდა თავს. მთელ დღეებს ასე ატარებდა. არაფერს აკეთებდა, ჭამაც კი ავიწყდებოდა, თუ საჭმელს წინ არ დაუდგამდი და არ შეახსენებდი, არაფერს შეჭამდა. ირგვლივ ვეღარაფერს ამჩნევდა.

სქელუა თავს იმტვრევდა, რა დაემართაო, ვერაფერი გაეგო. შეკითხვას ვერ უბედავდა. ძალაუნებურად თავი უნდა შეეკავებინა, რახან კაცს ასე სურდა, ეტყვი რამეს და არ გიპასუხებს, როცა არ უნდა შეიხედო ფარდის მიღმა, სულ წევს და ჭერს შესცქერის. სქელუა თავს იმტვრევდა. ხომ არ გადაირია? გონება ხომ არ დაუსუსტდა? არა, სქელუას არაფერი ესმოდა.

და უცებ მიხვდა. მაშინღა მიხვდა, როცა ხალხისაგან შეიტყო, ეგ დაეხეტება გიჟებთან, რომლებმაც ირწმუნეს იმ კაცისა, ჯვარზე რომ აცვეს მაშინ, როცა ბარაბას უპირებდნენ ჯვარზე გაკვრასო. ახლა კი მიხვდა! აშკარაა, ამიტომ გამოიცვალა! ახლა ყველაფერი ნათელია! იმათ გააგიჟეს! თავი ყოველგვარი სიბრიყვით გამოუტენეს! ვინ არ გაგიჟდება, თუკი ამ ბრიყვებში გაერევა. მათ სჯეროდათ, რომ ჯვარცმული მაცხოვარი იყო, თუ რაღაც ამგვარი, ვითომ ის დაეხმარებოდა მათ, რასაც სთხოვდნენ, ყველაფერს მისცემდა, ვითომ იერუსალიმის მეფე გახდებოდა და ამ ქოსა ნაძირალებს გაყრიდა. კიდევ მრავალი ასეთი რამის სჯეროდათ, ქალმა მათი მოძღვრება ხეირიანად არ იცოდა მაგრამ ახირებულები რომ იყვნენ, ეს ყველას კარგად მოეხსენებოდა. ოჰ, ღმერთო ჩემო, იმათ რაღას გადაეკიდა? ვითომ რისთვის დასჭირდა? გასაგებია, ახლა ყველაფერი გასაგებია! თავად ბარაბას უპირებდნენ ჯვარზე გაკვრას, მერე კი აიღეს და ის ვიღაც მათი მაცხოვარი აცვეს ჯვარს და წარმოგიდგენიათ, ეტყობა საჭირო გახდა ბარაბას მათთვის აეხსნა, ასე და ასე იყო, ბატონო დამნაშავე არა ვარო, ისინი კი, ალბათ, მაინც თავისას ქაქანებდნენ შენ არ იცი, როგორი მშვენიერი, უმანკო და წმინდა, თანაც დიადი იყო ის, ვისიც ჩვენ ვირწმუნეთო, დიად მეუფეს, ჩვენს მაცხოვარს ასე არ უნდა მოქცეოდიო, ერთი სიტყვით, თავი ამგვარი სისულელეებით გამოუტანეს, ესეც გადაირია, მე რატომ არ მოვკვდი, მე უნდა მოვმკვდარიყავიო. ნათელია, დღესავით ნათელია, რომ ასეც მოხდებოდა!

ჰო, ესე იგი იმიტომ გამოიცვალა, რომ მაშინ ჯვარს არ აცვეს! რა სიბრიყვეა! ოჰ, ბარაბა, რა სასაცილო ხარ, შეიძლება მუცელზე გასკდე! ყველაფერი იმის გამო მოხდა, ახლა გასაგებია!

და მაინც, საკმარისია, დროა უკვე გონება მოიკრიბოს, ნეტავ მასთან გონივრულად მოლაპარაკება შეიძლებოდეს. მაინც რა ჭირს? რა დაეტაკა?

მაგრამ გამოლაპარაკება ვერ მოახერხა. უნდოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. განა ბარაბა თავის თავზე ილაპარაკებდა? არა, ასეთი საუბრებით ვერ მიუდგებოდი.

ასე რომ, ყველაფერი ძველებურად მიედინებოდა. ქალი გარს უვლიდა და კვლავ მკითხაობდა, რა დაემართაო. ავად ხომ არ გახდა მართლა, იქნებ, ავად გახდა? სულ მთლად გაძვალტყავდა და თეთრ ჩამომხმარ სახეზე ვარდისფრად მხოლოდ ელიახუს დანით მიყენებული ნაჭრილობევი ულვივის. რაღაც საცოდავია, თავის თავს აღარა ჰგავს. თავის თავს სულ აღარ ჰგავს. უსაქმოდ დაეხეტება, წევს და ჭერს ათვალიერებს. და ეს ბარაბაა? ეს ის კაცია ბარაბა რომ იყო?

იქნებ, გამოცვალეს? იქნებ, თავის თავს აღარ ეკუთვნის? იქნებ, ვიღაცის სული ჩაუსახლდა? მგონი ასეცაა! იმ მეორეს სული? ჯვარცმულის სული? ცხადია, მას ბარაბასთვის სიკეთე არ სურს. იქნებ, ამ „მაცხოვარმა“, როცა მოკვდა, აიღო და თავისი სული ბარაბას ჩაუსახლა, თავად რომ არ მომკვდარიყო, მიყენებული წყენისათვის შური რომ ეძია, შური შენდობილზე რომ ეძია? ასეც ხომ შეიძლებოდა მომხდარიყო! თუ ჩაუფიქრდებოდი, ბარაბა უცნაური სნორედ ამის შემდეგ გახდა, ქალს ხომ ახსოვს, როგორი იყო, ახალგათავისუფლებული რომ გამოეცხადა. ჰო, ეტყობა, სნორედ ასე იყო, ყველაფერი ნათელია. მხოლოდ აი, ძნელი გასაგებია, როგორ მოახერხა იმ რაბიმ თავისი სული ბარაბასთვის ჩაესახლებინა. სული ხომ გოლგოთაზე აღმოხდა, ბარაბა კი იმ დროს იქ არ იყო. მაგრამ, თუ მართლა ისეთი ძლიერია, როგორც ამბობენ, მისთვის ძალიან იოლი იქნება, სადაც სურს, უჩინრად იქ გამოცხადდეს. ასეთი ძალისხმევისა, რასაც მოინდომებს, იმას ჩაიდენს.

საინტერესოა, თავად ბარაბამ თუ იცოდა თავს რა გარდახდა? თუ ხვდებოდა, რომ სხვისი სული ჩაუსახლდა? რომ თავად მიიცვალა, მასში კი ჯვარცმული ცოცხლობდა? იცოდა თუ არ იცოდა?

იქნებ, ვერც ხვდებოდა, მაგრამ ამის გამო შვებას ნაკლებად გრძნობდა. ეს ნათლად ჩანდა. გასაგებიცაა. სხვისი სული სხვისი სულია და ბარაბასთვის მას სიკეთე არ სურდა.

ქალს იგი ეცოდებოდა, თვალს ვერ უსნორებდა, ისე ეცოდებოდა. კაციც თვალს არიდებდა, მაგრამ იმიტომ მხოლოდ, რომ მისი დან-

ახვა არ უნდოდა. ქალი აღარ სჭირდებოდა, სულ აღარ სჭირდებოდა, ამიტომ არც უყურებდა. ღამღამობით ხომ სულ აღარ უნდოდა, ეს კი ყველაზე მძიმე ასატანი გახლდათ. სულელი დედაკაცი ადგა და ამ ბრიყვს მიეწეპა! ღამღამობით ქალი იწვა, ტიროდა და ახლა ეს ტირილი სიტკბოებას სულ აღარ ჰგვრიდა. უცნაურია, ასეთი რამ თუ კიდევ დაემართებოდა, ვერც წარმოედგინა.

როგორ მოიზიდოს? ჯვარცმული როგორ გააძევოს და ბარაბა ისევ თავის თავს როგორ დაამსგავსოს? ქალს წარმოდგენა არ ჰქონდა, სულებს როგორ აძევებდნენ. ამის შესახებ არაფერი იცოდა. ეს სული კი სახიფათო და ძლიერი ჩანდა. ქალს მისი ეშინოდა კიდეც, თუმცა გაუბედაობას ვერ დააბრალებდი. ბარაბას ხომ ზედ ეტყობოდა, რა ძლიერი სული ჰფლობდა. მან ხომ ისეთი დიდი, ჯანმრთელი ჭაბუკის მოთოკვა შესძლო, სულ ახლახან სიცოცხლით სავსე რომ იყო. როგორ მოახერხა? ასეთის შეგეშინდება, აბა რა მოგივა. ის ხომ ჯვარცმული სული იყო და ამიტომაც აშკარად განსაკუთრებული ძალა ჰქონდა.

ძალიან ეშინოდაო, ვერ იტყოდი, უბრალოდ ჯვარცმა არაფრად ესაჭიროებოდა. მადლობა მოგვიხსენებია. ვერ დაემდურები, მას უშველებელი და სავსე, ბარაბას მოსარგები სხეული აქვს. ოღონდ, ნამდვილი ბარაბასი, აი, ისეთის, როგორიც უწინ იყო, სწორედ მე უნდა გავეკარით ჯვარსო, სანამ დაიჩემებდა. ქალს კი უხაროდა და მერე როგორ უხაროდა, სწორედ ის რომ გამოუშვეს და ჯვარს არ აცვეს.

მარტოობის სევდით შეპყრობილი სქელუა ასე ფიქრობდა. შემდეგ კი, უცებ, ბარაბას სულ არ ვიცნობო, გაიფიქრა. არც კი ვიცი, რა დაემართა, ჯვარცმულის სული ჩაუსახლდა თუ სხვა რამ მოუვიდაო. კარგი ამბავია, მე და ჩემმა ღმერთმა, მხოლოდ ის მესმის, რომ მას არაფრად ვჭირდები, მე კი ასე ბრიყვულად შემიყვარდაო. ეს გაიფიქრა, ერთი წამოიტირა და უბედური ქალი ვარო, მიხვდა.

ბარაბამ, რაც ამ ქალთან ცხოვრობდა, რამდენჯერმე მოინახულა ქალაქი და ერთხელაც ასეთი რამ შეემთხვა.

ერთ პატარა სახლში შევიდა, დაბალჭერიან ქოხმახში, სადაც სინათლე სახურავზე დატოვებული ჭუჭრუტანებიდან აღწევდა და სადაც ტყავისა და სიმუავის მძაფრი სუნი იდგა. ალბათ, ტყავის სახელოსნო იყო, თუმცა დაბაღების ქუჩაზე კი არა, იდგა იმ მთის

ფერდობზე, ტაძრიდან კედრონის ხეობისაკენ რომ ეშვებოდა. ადრე აქ როგორც ჩანს, ტაძრისთვის მსხვერპლად შეწირულ ცხოველთა ტყავები გამოჰყავდათ. ახლა სახელოსნო მიტოვებულს ჰგავდა, კედლის გასწვრივ ჩამწკრივებული გობები და როფები ცარიელი იყო, თუმცა სუნი კვლავ ტრიალებდა. იატაკზე პურის ქერქები, მრავალგვარი ნარჩენები და სხვა ნაგავი ეყარა.

ბარაბა სახლში შეუმჩნევლად შესხლტა, შესასვლელთანვე კუთხეში ჩაიკუნტა და მლოცველებით სავსე ოთახი მოათვალიერა. ბევრი ვერაფერი დაინახა. კარგად მხოლოდ ისინი მოჩანდნენ ვისაც ჭუჭრუტანიდან გამოღწეული სხივი ეცემოდა. ეტყობა, ყველგან ლოცულობდნენ, ბინდბუნდიდანაც ისმოდა ბუტბუტი. მოულოდნელად რომელიმე კუთხეში ხმა უფრო და უფრო აიწევდა, ისევ ჩაწყნარდებოდა და საერთო ზუზუნში ჩაიკარგებოდა. ანდა უცებ ყველა ერთად ახმაურდებოდა, გახელდებოდა, ვიღაცა წამოიმართებოდა და მაცხოვრის აღდგომას მგზნებარედ დაადასტურებდა. დანარჩენები მაშინვე ჩაწყნარდებოდნენ და მთქმელისაკენ ისე შებრუნდებოდნენ, თითქოს მისი ძალა ჩვენც გადმოგვეცემაო, ელოდნენ. როცა ის ერთი სიტყვას დაასრულებდა, ლოცვას უფრო მგზნებარედ იწყებდნენ. მოწმეთა სახეებს ბარაბა ვერ ხედავდა, მხოლოდ ერთადერთხელ მოწმე თითქმის მის გვერდით წამოდგა და კაცმა მისი ოფლით დაცვარული სახე შენიშნა. მლოცველს ამქვეყნად თითქოს ყველაფერი დავიწყებოდა, მის ჩაცვენილ ლოყებზე ოფლის წვეთები მოგორავდნენ. ხანშიშესული კაცი იყო, სულმოუთქმელად ლაპარაკობდა. უცებ მიწაზე განერთხო და შუბლი იატაკს ისე დაახალა, როგორც ლოცვის ჟამს ყველა ახლის ხოლმე. თითქოს მოულოდნელად გაახსენდა, რომ იმ ჯვარცმულის გარდა, ვისზედაც დაუსრულებლად ლაპარაკობდა, კიდევ მამა ღმერთიც არსებობდა.

ამის შემდეგ შორეული კუთხიდან ხმა გაისმა და ეს ხმა ბარაბას ეცნო. იქით გაიხედა და სინათლის სხივში გალილეადან ჩამოსულ წითურ ახმახს მოჰკრა თვალი. ის სხვებზე მშვიდად ლაპარაკობდა და გალილეურ კილოზე უქცევდა, რაც იერუსალიმელებს საერთოდ სასაცილოდაც არ ყოფნიდათ. მიუხედავად ამისა, ამ კაცს სხვებზე უფრო ყურადღებით უსმენდნენ, მის ყოველ სიტყვას გაფაციცებით იჭერდნენ, თუმცა განსაკუთრებულს არაფერს ამბობდა. თავდაპირველად ცოტა თავის „ძვირფას“ მოძღვარზე ილაპარაკა, სხვაგვარად არც ახსენებდა. შემდეგ მლოცველებს შეახსენა, როგორც

მოძღვარმა თქვაო, ყველას, ვინც ჩემი ირწმუნა, ჩემი სახელისთვის გააძევებენ და დევნას დაუწყებენო. ყველამ უნდა აიტანოს თავისი ტანჯვა და ყველას უნდა ახსოვდეს, თავად მოძღვარი როგორ ენამა. მართალია, ჩვენი მხოლოდ სუსტი, საცოდავი ადამიანები ვართ, მას კი არ ვგავართ, მაგრამ უნდა ვეცადოთ გამოცდას გავუძლოთ, მასზე უარი არ ვთქვათ და რწმენას არ ვუღალატოთო. მეტი არაფერი უთქვამს. და ამასაც მათ კი არა, თითქოს თავის თავს ახსენებდა. როცა სიტყვა დაასრულა, შეკრებილებს იმედგაცრუება დაეტყოთ. ეს, ალბათ, მანაც შეამჩნია და თქვა, ახლა იმ ლოცვას წაგიკითხავთ, თავად მოძღვარმა რომ მასწავლაო. ასეც მოიქცა და სანამ კითხულობდა, მგონი, ყველა ძალიან კმაყოფილი იყო და ბევრი ატირდა კიდეც. მლოცველები როგორღაც აღფრთოვანდნენ. აი, მან ლოცვა დაასრულა, ბარაბასთან ახლოს მდგომნი მოტრიალდნენ, თითქოს გადაკოცნას უპირებდნენ და ბარაბამ ისინი მაშინვე იცნო. სწორედ მათ დაუყვირეს მაშინ „განვედ ჩვენგან უწმინდუროო.“.

შემდეგ კიდევ ორმა დაამოწმა და ყველა ისე აივსო ღვთიური სულით, ისე ატოკდა, აქეთ-იქით ქანაობაც კი დაიწყეს. ბარაბა ყოველივე ამას თავისი კუთხიდან გამჭრიახი თვალებით უთვალთვალებდა.

და უცებ შეცბა. ერთი სხივის ქვეშ კურდღლისტუჩა შენიშნა. ქალი იდგა, ხელები ჩავარდნილ მკერდზე დაეკრიფა და ფერმკრთალი სახე სინათლისთვის მიეშვირა. მას შემდეგ, რაც სამარესთან დაშორდნენ, ბარაბას ქალი აღარ უნახავს. ის კი უფრო გამხდარა და გასაცოდავებულა, ლოყები შიმშილისაგან ჩაცვივნოდა, სხეულს კი ძონძები ძლივს უფარავდა. ყველა გაოცებით უმზერდა — ეტყობა, მას აქ არავინ იცნობდა. ეტყობოდა, ქალი მათ უცნაური ეჩვენათ, იქნებ ამ ძონძების გამო, თუმცა მიზეზი თავადაც არ ესმოდათ და რას იტყვისო, გაოგნებული ელოდნენ.

ეს რაღად მოძვრებოდა დასამონმებლად? რა მოიფიქრა? ბარაბამ გუნებაში ამოიხვნეშა. ნუთუ არ ესმის, რომ ეს მისი საქმე არაა? ძალიან გაბრაზდა ქალზე, თუმცა მასაც არაფერი ესაქმებოდა აქ. აბა, რაში ჭირდებოდა დამონმება?

და, აი, ქალმა დაიწყო. მოძღვრისა და მაცხოვრის რწმენაზე რაღაც ჩაიდუდღუნა, მაგრამ მგონი გული ვერავის აუჩუყა. პირიქით, არაჩვეულებრივზე გაცილებით ბრიყვულად და გაუგებრად ლაპარაკობდა, იმიტომ, რომ ერთად ამდენ მსმენელს მიჩვეული არ

იყო და რცხვენოდა. ისინი კი ნათლად აჩვენებდნენ, უხერხულად ვგრძნობთ თავს და სირცხვილით თვალები სად დავმალოთ, არ ვიცითო. ზოგიერთმა კი უბრალოდ ზურგი შეაქცია. ბოლოს და ბოლოს, „უფალო, აი, დავადასტურე, როგორც მიბრძანეო“ თუ რაღაც ამის მსგავსი ნაიბუტბუტა, კვლავ სოხანეზე მოიკუნტა და შეეცადა, რაც შეიძლება ნაკლები ყურადღება მიექცია.

ყველამ შეცბუნებით გადახედა ერთმანეთს, ამ ქალმა ხომ არ დაგვცინაო. იქნებ, მართლაც ასეა! მგონი, ყველას დაშლა და სხვადასხვა მხარეს წასვლა მოუნდა. ერთ-ერთი უფროსი კაცი, რომელმაც ბარაბას „განვედ ჩვენგან უწმინდუროო“, უთხრა, წამოდგა და დაშლის დროაო, განაცხადა. შემდეგ დაამატა, ალბათ, ყველასთვის გასაგებია, ქალაქში კი არა, აქ რად შევიკრიბეთ, ხელმეორედ სხვაგან შევიკრიბებით, თუმცა სად — ჯერ არავინ იცის, მაგრამ უფალი ნამდვილად მოძებნის ჩვენთვის თავშესაფარს, სადაც მიწიერი ბოროტება არ შეგვეხება, ის არ მიატოვებს თავის ფარას, ის — მწყემსი კეთილი და...

ბარაბას მეტი აღარ მოუსმენია. ქოხიდან სხვებზე ადრე შეუმჩნევლად გამოძვრა. უნდოდა ყველაფერ ამას, რაც შეიძლება, მალე გასცლოდა.

კაცს გული ერეოდა.

როცა დევნა დაიწყო, ბრმა ბებერი, დაყრდნობილი იმ ჭაბუკის ხელს, რომელსაც სული ეხუთებოდა, სინედრიონში, მდევრებთან მივიდა და უთხრა:

— სანაგვე კარიბჭესთან ერთი ქალი ერესს ავრცელებს ვიღაც მაცხოვარზე, რომელიც თითქოს დაბრუნდება და მთელ ქვეყანას შეცვლის. რაც კი ახლა არსებობს, თითქოს ყველაფერი დაიღუპება და დაიწყება ახალი, უკეთესი ცხოვრება, სადაც მხოლოდ მისი ნება აღსრულდება. იქნებ, საჭიროა ეს ქალიც ქვებით ჩავქოლოთ?

მდევარი წინდახედული კაცი იყო და უსინათლოს თხოვა, უფრო დაწვრილებით ამიხსენი ყველაფერიო. მაინც რას ეყრდნობა მისი ბრალდება? და რაც მთავარია, რომელ მაცხოვარზეა ლაპარაკი? უსინათლომ უპასუხა, სწორედ იმ მაცხოვარზე, რომლის რწმენის გამო ხალხს ქვებით ქოლავენ და სამართლიანობა მოითხოვს ეს ქალიც ჩაიქოლოსო. მე ხომ ჩემი ყურით გავიგონე, როგორ განაცხ-

ადა, ჩემი უფალი ყველას, თვით კეთროვანებსაც გადაარჩენს, განკურნავს, ისინიც განინმინდებიან და სხვებზე უღირსნი აღარ იქნებიანო. აბა ნახეთ, რა მოხდება. კეთროვანები, ალბათ, ყველგან იხეტიალებენ, თანაც ეჟვნებს მოიხსნიან, მაშინ როგორღა უნდა გაარჩიო, განსაკუთრებით ბრმა თუ ხარ? განა შეიძლება ასეთი ერეესის გავრცელება?

გვერდით, სადღაც წყვდიადში, ბრმამ გაიგონა, რომ საბჭოს მოლვანემ წვერი მოიქექა და შემდეგ იკითხა, ამ დაპირებებისა ვინმეს თუ სჯერაო.

— ასეთებიც გვხვდებიან, — უპასუხა ბრმამ. — სანაგვე კარიბჭესთან ბრბო, რასაც გინდა, იმას დაიჯერებს. კეთროვანებმა კი, ცხადია, ყველაზე მეტად გაიხარეს. გარდა ამისა, ქალი მათთან დაეხეტება, გალავანთან მიდის, მათი ამფსონი გახდა ის ურცხვი ისა. ვინ იცის, იქნებ, მათთან ცოდავს კიდეც. თავად მე არ ვიცი. მაგრამ გამიგონია, ქალწული არ არისო. იმასაც ამბობენ, თავისი ახალშობილი მოკლაო. თავად არ ვიცი, ხალხი რასაც ამბობს, მხოლოდ ის მესმის. ყურები ხომ მაქვს, თუმცა თვალი არ მიჭრის, უსინათლო ვარ. ეს კი დიდი უბედურებაა, ბატონო ჩემო, სიბრმავე დიდი უბედურებაა.

საბჭოს მოლვანემ იკითხა, ამ „მაცხოვარს", როგორც თავად ეძახის, ან უფრო სწორად ჯვარცმულს, ქალმა ბევრი თაყვანისმცემელი თუ შესძინაო.

— ბევრი. განკურნება ყველას უნდა. ქალი კი პირდება სახიჩრებს, შეშლილებს, უსინათლოებს, ყველას მოარჩენსო. ასე რომ, ამ ქვეყნად არავითარი მწუხარება აღარ იქნება არც სანაგვე კარიბჭესთან და არც სხვაგანო. ახლა კი ქალზე განანყენდნენ, მაცხოვარი აქამდე რად არ გამოჩნდაო. ქალი ხომ დიდი ხანია დაპირდა, ის კი არა და არ მოდის. ჰოდა, ხალხს მობეზრდა. ახლა დასცინიან, ლანძღავენ, ეს ხომ გასაგებია, აბა, რა საჭიროა, ღამღამობით ქვითინი და ხალხისთვის ძილის დაფრთხობა. მარტო კეთროვანებსღა სჯერათ, არცაა გასაკვირი, იმდენი ეტლიკინა. ასე პირდება ტაძართან მიგიშვებენ და უფლის სავანეში შესვლის ნებას დაგრთავენო.

— ვის? კეთროვანებს?

— ჰო.

— ეს როგორ იტლიკინა?

— ეს ხომ ქალის დაპირება არაა, ეს მისი უფლის პირობაა. უფა-

ლი კი ისე ძლიერია, ყველაფრის დაპირება და ყველაფრის შეცვლა შეუძლია. ის ყოველივეს განაგებს, რადგან უფლის ძეა.

— უფლის ძე!

— ჰო.

— უფლის ძეა? ასე ამბობს?

— ჰო, ეს მკრეხელობაა, ყველას მოეხსენება. ის ხომ ჯვარს აცვეს, მეტი რაღა იქნება. ვინც გაასამართლა, ალბათ, იცოდა, რას აკეთებდა?

— ერთ-ერთი მსაჯული თავად ვიყავი.

— თუ ეგრეა, მისი ვინაობა ჩემზე კარგად გცოდნია.

დროებით სიჩუმე ჩამოწვა. უსინათლოს კვლავ ესმოდა ის, მეორე, წყვდიადში წვერს როგორ იქექავდა. შემდეგ იმავე ხმამ აუწყა, ქალი სამართალში უნდა მივცეთ, დეე, პასუხი აგოს და თუ შეუძლია, თავისი რწმენა დაიცვასო. ბებერმა მადლობა გადაუხადა, თავი მდაბლად დაუკრა და კედელზე ხელის ფათურით მოძებნა კარი, რომლითაც შემოვიდა. მის დასახმარებლად საბჭოს წევრმა მსახური მოიხმო და სანამ მას ელოდა, წესი რომ არ დაერღვია, უსინათლოს შეეკითხა, ქალზე დაბოღმილი ხომ არ ხარო.

— დაბოღმილი? რისთვის? ხალხზე დაბოღმილი საერთოდ არა ვარ. რისთვის? მე ხომ არასდროს და არავინ დამინახავს. არც ერთი სულიერი არ დამინახავს.

მსახურმა ბებერი ქუჩაში გაიყვანა. კართან კი ელოდებოდა ის ყმანვილი, რომელსაც სული ეხუთებოდა. უსინათლო ყმაწვილს ხელზე ჩაებღაუჭა და ერთად გაუყვნენ გზას.

კურდღლისტუჩას განაჩენი გამოუტანეს და წაიყვანეს იმ ორმოსთან, სადაც მსჯავრდადებულებს ქვებით ქოლავდნენ. ეს ორმო ქალაქიდან ცოტა სამხრეთით მდებარეობდა. ქალის კვალს მისდევდა მყვირალა ბრბო, ტაძრის დაცვის ერთ-ერთი უფროსი და მისი მცველები. ისინი წელს ზემოთ შიშვლები იყვნენ, თმა და წვერი დაწნული ჰქონდათ. ხელში კი ეჭირათ ტყავის მათრახები, რომლებიც რკინის წვეტებით ბოლოვდებოდნენ. მცველები წესრიგს იცავდნენ. როცა ადგილზე მივიდნენ, აღგზნებული ბრბო ორმოს გარს შემოერტყა, მცველმა კი გოგონა ძირს ჩაიყვანა. ორმოში უამ-

რავი ქვა ეყარა, ორმოს სიღრმეში კი ქვები ძველსა და შავ სისხლს ჩაემუქებინა.

დაცვის უფროსმა ყველას გაჩუმება უბრძანა, მღვდელმთავრის მაცნემ სასჯელი, მისი მიზეზები ხმამაღლა გამოაცხადა და დასძინა, პირველი ქვა ბრალის დამდებმა უნდა ისროლოსო. შემდეგ უსინათლო ორმოს კიდეზე დააყენეს და აუხსნეს, რა უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ბრმას ამის გაგონებაც არ სურდა.

— ქვა რად ვესროლო? რა მესაქმება ამ ქალთან? თვალით არასოდეს დამინახავს!

როცა, ბოლოს და ბოლოს, აუხსნეს, წესი ასეთია და ამისგან თავს ვერავინ დაიხსნისო, მან პირქუშად ჩაილაპარაკა:

— რას იზამ.

ბებერს ხელში ქვა ჩაუდეს და მანაც ეს ქვა წყვდიადში მოისროლა. ერთხელ კიდევ სცადა — და კვლავ არაფერი გამოუვიდა. მას ხომ წარმოდგენა არ ჰქონდა სამიზნე სად იყო, უბრალოდ ქვას წყვდიადში ისროდა, წყვდიადი კი ყველგან ერთნაირი იყო. ბარაბამ, რომელიც ბებრის გვერდით იდგა და აქამდე მხოლოდ მას, ქვემოთ მდგარ ქალს დასცქეროდა, ახლა შენიშნა, რომ უსინათლოს დასახმარებლად ვიღაც მოვარდა. ამ კაცს პირქუში, ბებერი, გაძვალტყავებული სახე ჰქონდა, შუბლზე კი ტყავის ტოპრაკებში ჩაკერებული აღთქმის მცნებები მიემაგრებინა. ალბათ, მწიგნობარი იყო. მან ბრმის ხელი მიზნისაკენ მიმართა, რათა დასჯა გაგრძელებულიყო, მაგრამ ამჯერადაც არაფერი გამოვიდა. ქვები მიზანს არ ხვდებოდა. სიკვდილმისჯილი ქვემოთ იდგა, გაბრწყინებული თვალები ფართოდ გაეხილა და რა მოხდებაო, ელოდა.

სამართლიანმა მოღვაწემ, ბოლოს და ბოლოს, მოთმინება დაკარგა, დაიხარა, დიდი, წვეტიანი ქვა აიღო და მთელი თავისი ბებრული ძალ-ღონით გოგონას ესროლა. ქვა მიზანს ზუსტად მოხვდა, ქალი შეტორტმანდა და გამხდარი ხელები როგორღაც უმნეოდ აიქნია. ბრბო აღფრთოვანებით აყვირდა, ხოლო სამართლიანი წინ გადაიხარა და თავის ნამოქმედარს, ეტყობა, უზომოდ კმაყოფილმა დახედა. ბარაბამ მისკენ ნაბიჯი გადადგა, სამოსი ოდნავ წამოუწია და ზუსტი, ჩვეული ხელით დანა გაუყარა. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, თვალი ვერავინ მიატანა. ხალხს ამისთვის სად ეცალა, მსხვერპლს ქვებს უმიზნებდნენ და ესროდნენ.

ბარაბამ ორმოს კიდისკენ გზა ხელისკვრით გაიკვლია და დაინახა, რომ ქვემოთ, კურდღლისტუჩამ რამდენიმე ნაბიჯი წინ ტორტმანით გადადგა, ხელები გაშალა და დაიყვირა:

— მოვიდა! მოვიდა!.. ვხედავ მას, ვხედავ! — შემდეგ მუხლებზე დაეცა, თითქოს ვიღაცის კალთას ჩაებღაუჭა და ჩაიდუდღუნა, — უფალო, როგორ დავადასტურო, უფალო, მომიტევე და შემიწყალე, უფალო...

შემდეგ გასისხლიანებულ ქვებზე დაეცა და სული განუტევა.

როცა ყველაფერი დასრულდა, ორმოს კიდესთან ხალხმა დაინახა, რომ ერთი კაცი მკვდარი ეგდო, მეორემ კი ვენახები გადაირბინა და კედრონის ხეობისაკენ მიმავალ გზაზე, ზეთისხილის ბაღში მიიმალა. მცველები გამოედევნენ და ეძებეს, მაგრამ თითქოს მიწამ უყო პირიო, ვერსად იპოვნეს.

* * *

დაღამდა თუ არა, ბარაბა ორმოსთან დაბრუნდა და ქვემოთ ჩავიდა. სიბნელეში ვერაფერს ხედავდა და წინ ხელების ფათურით მიიწევდა. სულ ქვემოთ იპოვნა ქალის დაფლეთილი სხეული, რომელიც ქვებით თითქმის დაემარხათ. რადგან ქვებს სიკვდილის შემდეგაც დიდხანს ესროდნენ. ქალის სხეული ისეთი პატარა და მსუბუქი იყო, სულ არ დაუმძიმებია ბარაბას ხელები, როცა ის ციცაბო ფერდობზე ამოძვრა და სიბნელეს შეერია.

ბარაბას ქალის ნეშტი მიჰქონდა. დროდადრო დასასვენებლად ჩამოჯდებოდა და მიცვალებულის სხეულს სიბნელეში გვერდით დაასვენებდა. შემდეგ ღრუბელი გაიფანტა, ვარსკვლავები აკიაფდნენ, მთვარე ამოვიდა და მიდამო გაანათა. კაცი იჯდა, შესცქეროდა ქალის სახეს, რომელიც უცნაურად კი ეჩვენა, თითქმის არ დაზიანებულიყო. არც იმაზე ფერმკრთალი ჩანდა, ვიდრე სიცოცხლეში იყო. მეტი სიფერმკრთალე არც არსებობს. მთლად გამჭვირვალე იყო. ნაჭრილობევიც ზედა ტუჩზე სულ არ ეტყობოდა, თითქოს მნიშვნელობა არა ჰქონდა, ეტყობოდა თუ არ ეტყობოდა. ჰო, ახლა მაინც რა მნიშვნელობა ჰქონდა.

ბარაბას გაახსენდა, როგორ მოისაზრა და ქალს მიყვარხარო, უთხრა. დაეუფლა კიდეც — არა, ჯობდა ახლა ამაზე არ ეფიქრა...

მაგრამ, მიყვარხარო როცა უთხრა — უთხრა მხოლოდ იმისთვის, არ გამცეს და დამემორჩილოსო — მერე და სახე როგორ გაუნათდა!

ამისთანების მოსმენას შეჩვეული არ იყო... ბარაბამ ნამდვილად გააბედნიერა მაშინ, არადა, ალბათ, ხვდებოდა კიდეც, რომ ატყუებდნენ. იქნებ, ვერც ხვდებოდა? ასე იყო თუ ისე, კაცმა თავისას მიაღწია. ყოველდღე მოდიოდა და იმდენი საჭმელი მოჰქონდა, რომ კაცი შიმშილით არ მომკვდარიყო — თავადაც მასთან წვებოდა, უფრო ხშირადაც წვებოდა, ვიდრე კაცს ჭირდებოდა. ბარაბაც ეუფლებოდა, იმიტომ, რომ სხვა ქალი გვერდით არ ჰყავდა, ეუფლებოდა, თუმცა მისი დუდღუნა ხმა ზარავდა და ნაკლები ილაპარაკეო, თხოვდა. შემდეგ ფეხი მოურჩა და ცხადია, წავიდა, აბა რა უნდა ექნა!

ბარაბამ წინ გადაჭიმული უდაბნო მოათვალიერა. მიტოვებულსა და მკვდარ უდაბნოს, მთვარის მკვდარი შუქი ეფინა. ოთხივე მხრივ ასეთი უდაბნო გადაჭიმულიყო. კაცი იცნობდა ამ უდაბნოს და რომც არ შეეხედა, მაინც მთლიანად ხედავდა.

„გიყვარდეთ ერთმანეთი...".

კვლავ ქალის სახე შეათვალიერა, შემდეგ სხეული ხელში აიტაცა და მთისკენ გასწია.

აქლემებისა და ცხვრების ბილიკს გაუყვა, იუდეის უდაბნოს გავლით მოაბელთა ქვეყნისაკენ რომ მიემართებოდა. ბილიკი თითქმის არ მოჩანდა, მაგრამ ცხოველთა ნაკვალევი ან არადა, ტურების მიერ დაღრღნილი ჩონჩხები მოსახვევებს მიანიშნებდა. შუაღამემდე ასე იარა, შემდეგ ბილიკი ქვემოთ დაეშვა და ბარაბა მიხვდა, ცოტაღა დამრჩაო. იგი ვიწრო ნაპრალში გაძვრა და თითქოს სხვა, უფრო მიტოვებულ და პირქუშ უდაბნოში შევიდა. აქ ისევ ბილიკი გამოჩნდა. მაგრამ ბარაბა დასასვენებლად ჩამოჯდა. მძიმე აღმართის დაძლევით გაიტანჯა, თანაც ადგილამდე მისვლას ცოტაღა აკლდა.

ნეტავ თავად მოახერხებდა პოვნას თუ მოხუცთან მოუწევდა წასვლა? ბარაბას მოხუცთან წასვლა არ უნდოდა, ჯობდა უმისოდ ეპოვნა. მოხუცი, ალბათ, ვერ მიხვდებოდა, მიცვალებული რისთვის მოასვენა. განა თავად ბარაბა კი ხვდებოდა? რა საჭირო იყო?.. მაგრამ იფიქრა, აქ მისი სახლიაო, თუკი საერთოდ სადმე ჰქონდა სახლი... გალგალში არაფრით არ დაკრძალავდნენ, იერუსალიმში კი მის სხეულს, ალბათ, ძაღლებს მიუგდებდნენ. ეს კი ძალიან ცუდია. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს? რა განსხვავებაა? აი, ბატონო, მოიყვანა თავის საცხოვრებელთან, საიდანაც გააძევეს და სადაც,

ალბათ, იმავე სამარეში ჩაწვება, მისი ჩვილი რომ წევს. მერე რა შეემატება? უბრალოდ მისთვის უნდოდა გარჯილიყო. ადვილი არ არის — მიცვალებული გაახარო.

ეს იერუსალიმი რას აიკვიატა? რად დაუკავშირდა იმ ჭკუანაკლულ მეუდაბნოვეებს, ვისაც მხოლოდ ერთი აზრი აქვთ აკვიატებული — დიდი მესია მოგვევლინება და ვიჩქაროთ, ყველამ უფლის წყალობას შევაფაროთ თავიო? ჯობდა მოხუცისთვის დაეგდო ყური და არც არაფერი დაემართებოდა. მოხუცი ადგილიდან დაძვრას არც აპირებდა. ასე ამბობდა, მეყოფა, იმედი უკვე იმდენჯერ მომეცა და გამიცრუვდა, მესიობა უკვე იმდენმა კაცმა დაიჩემა, ვითომ ეს რად აღმოჩნდება ჭეშმარიტი მესიაო. კურდღლისტუჩამ კი აიღო და შეშლილებს დაუჯერა.

ჰოდა, წევს დასახიჩრებული, მკვდარი. იმას შეეწირა. არის კი ის ჭეშმარიტი მესია?

ჭეშმარიტია, არა? ქვეყნის მაცხოვარია? ადამიანთა მოდგმის მაცხოვარია? მაშ ქალს რად არ დაეხმარა? მის გამო ქვებით რად ჩააქოლინა? თუ მაცხოვარია, ქალი რატომ არ გადაარჩინა?

მისთვის ხომ ეს იოლზე იოლი იქნებოდა, თუკი მოინდომებდა. მაგრამ არა, ტანჯვა ჭირდებოდა, თავადაც ეწამა და სხვაც უნდა ეწამებინა. მოწმეებიც ჭირდება. „უფალო, აი, დავადასტურე, როგორც მიბრძანე...“ „მკვდრეთით აღვსდექი, რათა დამედასტურებინა...“.

არა, ბარაბას ეს ჯვარცმული გულზე არ ეხატებოდა. ბარაბას იგი სძულდა. ქალი სწორედ მან მოკლა. მსხვერპლიც ქალისაგან სწორედ მან მოითხოვა და თავი არ დაიხსნასო, თვალიც მიადევნა. იქ, ორმოშიც კი ჩავიდა. ქალმა ხომ დაინახა, მისკენ წავიდა, ხელები გაუშვირა, შველა თხოვა, კალთებზე ჩაებღაუჭა — მან კი დასახმარებლად თითიც არ გაანძრია. ესაა უფლის ძე? უფლის მოყვარული ძე! ქვეყნის მაცხოვარი!

თავად ბარაბამ ის მაინც მოკლა, ვინც პირველი ქვა ისროლა. ეს ხომ მაინც გააკეთა. თუმცა ცხადია, ესეც ცოტაა. ქვა უკვე გაფრენილი იყო, უკვე მოხვდა. უშედეგო საქმე გახლდათ. და მაინც, მაინც, ბარაბამ ქვის მსროლელი მოკლა.

კაცმა მოღრეცილი პირი ხელით გაიწმინდა და მწარედ ჩაიცინა. შემდეგ მხრები აიჩეჩა, წამოდგა, თავისი ტვირთი ისე გაღიზიანებულმა ასწია, თითქოს ტარებით დაიღალა და გზას გაუდგა.

მოხუცის სავანეს გვერდი აუქცია, თუმცაღა იცნო, პირველად

რომ გადააწყდა, მაშინვე დაიმახსოვრა. ისიც გაახსენდა, მოხუცმა ჩვილის სამარესთან როგორ მიიყვანა. კეთროვანების გამოქვაბულები მარცხნივ მოჩანდნენ, ჭკუანაკლული მეუდაბნოვეებისა კი პირდაპირ, თუმცა მაშინ იქამდე არ მიუღწევიათ, ჰო კაცს ყველაფერი გაახსენდა, თუმცა ახლა, მთვარის შუქში ყველაფერს სხვა იერი დაჰკრავდა. აი აქ, ფერდობზე დაეშვნენ და მოხუცმა უამბო, ბავშვი მკვდარი დაიბადა, იმიტომ, რომ დედის მუცელშივე შეჩვენებული იყოო, მაშინვე დავმარხე, რადგან მკვდარი რაც იბადება, ყოველივე უწმინდურიაო. „შეჩვენდეს ნაყოფი მუცლისა შენისა...". დედას არ შეეძლო მოსვლა, სამაგიეროდ, მერე სამარესთან ხშირად იჯდა ხოლმეო... მოხუცი ლაპარაკობდა, დაუსრულებლად ლაპარაკობდა...

აქ არის? მგონი აქ უნდა იყოს... აჰა, აქ არის, აი, ეს ლოდიც... ბარაბამ ლოდი გადასწია და ქალი გამხმარი ჩვილის გვერდით დააწვინა. დასახიჩრებული სხეული ისე გაასწორა, თითქოს ცდილობდა მოხერხებულად მოეწყო, მისი სახე და ახლა მნიშვნელობა დაკარგული ტუჩის ზემოთ ნაჭრილობევი უკანასკნელად შეათვალიერა, შემდეგ ლოდი თავის ადგილას დააბრუნა, დაჯდა და უდაბნოს თვალი მოავლო. უდაბნო მიცვალებულთა საუფლოს ჰგავს, ფიქრობდა იგი, ქალი ახლოა უკვე იქაა, თავად მივიყვანე. თუმცა მნიშვნელობა არა აქვს, კაცი სიკვდილის შემდეგ სად წვება, მაგრამ ქალი სხვაგან კი არა, მაინც თავისი გამხმარი ჩვილის გვერდით წევს. რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე, კიდევ ერთხელ გაიფიქრა ბარაბამ, ირიბად ჩაიცინა და ნითური ნვერი მოიქექა.

„გიყვარდეთ ერთმანეთი...".

* * *

როცა თავისიანებთან დაბრუნდა, ისე გამოცვლილიყო, უწინდელი ბარაბა ვეღარავინ იცნო. მართალია, იმ ორმა, მაშინ იერუსალიმში რომ იყვნენ. ყველას უამბო, უცნაური გახდაო, მაგრამ გასაკვირი აბა რა იყო, ის ხომ ამდენი ხანი ჯურღმულში იჯდა და თანაც ჯვარზე კინაღამ გააკრეს. ალბათ მალე გაუვლიდა. მაგრამ არა, არ გაუარა. თუმცა კარგა ხანია დრო დამდგარიყო. მიზეზი ვერავის გაეგო, მაგრამ ბარაბა აშკარად თავის თავს აღარ ჰგავდა.

საერთოდ, ყოველთვის ახირებული ჩანდა, ვერ გაუგებდი, რას ფიქრობდა, რას აპირებდა. მაგრამ ახლა სხვანაირად იყო საქმე. ახლა მათთვის სრულიად უცხო გახდა და თავადაც, ვგონებ, მათ ისე უცხოებივით უყურებდა, თითქოს პირველად ხედავდა. როცა გეგმებს უზიარებდნენ — არც უსმენდა და არც სიტყვას ჩაურთავდა, თითქოს მისთვის სულ ერთი იყო. იორდანეს ხეობაში, საქარავნო გზებზე თავდასხმებში ცხადია, მონაწილეობდა, მაგრამ როგორღაც უხალისოდ, ნადავლისთვის თავს იკლავსო, ვერ იტყოდი. მთლად თავს არ არიდებდა ხიფათს, მაგრამ აღარც აღარაფერი აკლდა. ვინ იცის იქნებ, ამასაც გულგრილობის გამო აკეთებდა. თითქოს აღარაფერი უნდოდა. მხოლოდ ერთხელ, როცა მღვდელმთავრისათვის განკუთვნილ, იურიქონების მცხოვრებლებისაგან შეგროვილ აღალს ძარღვავდნენ, იგი უცებ სიბრაზისაგან გახელდა და აღალის მოდარაჯე, ტაძრის ორივე მცველი აჩეხა. ვერავინ გაიგო, რისთვის აჩეხა, მათ ხომ წინააღმდეგობის გაწევა არც უფიქრიათ, მაშინვე დანებდნენ, როგორც კი ბევრად გვჭარბობენო, დაინახეს. შემდეგ ცხედრებიც შეურაცხყო და ყველამ გადაწყვიტა, ეს კი მეტისმეტი მოუვიდაო. მცველები, მღვდელთმთავრის მსახურები მათ თავადაც სძულდათ, მაგრამ მიცვალებულები — ტაძრის, ტაძარი კი უფლის საკუთრება იყო. ჰოდა, ცოტა დააკლდათ, კინაღამ დაფრთხნენ, როცა ბარაბამ მიცვალებულები ასე შერყვნა.

საერთოდ, არც კი უცდია, რაიმე ისეთი ჩაედინა, რაც თითოეული მათგანისათვის ღირსეული იქნებოდა. თითქოს მათი საქმე სულაც არ ენაღვლებოდა. იორდანეს ფონზე გასვლის ჟამსაც კი, როცა რომაელ ჯარისკაცებს შეუტიეს, თავი დიდად არ გამოუდვია. არადა, ესენი არ იყვნენ, კინაღამ ჯვარზე რომ გააკრეს? დანარჩენები ისე დახელდნენ, ყველას ყელი გამოღადრეს და გვამები მდინარეში გადაყარეს. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ბარაბას ხალხის მჩაგვრელები სხვებივით სძულდა, მაგრამ ყველა რომ მასავით გულგრილად მოქცეულიყო, იმ საღამოს კარგი დღე არ დაადგებოდათ.

გარდასახვა გაუგებარი იყო. თუ მათ შორის ვინმესთვის შეიძლებოდა ჭეშმარიტად მამაცი გეწოდებინა, ამას სწორედ ბარაბა იმსახურებდა. ხანდახან უკიდურესად თავზეხელაღებულ თავდასხმებს აწყობდა და თავადაც პირველი მიდიოდა. მისთვის შეუძლებელი არ არსებობდა, ყველაფერს ახერხებდა. სწორედ სიმამაცისა და ჭკუის გამო ენდობოდნენ და ბარაბას გეგმებს ყოველთვის წარმატება

მოაქვსო, იმ აზრსაც მიეჩვივნენ. ის თითქმის მეთაური გახდა, თუმცა მეთაურებს საერთოდ არ სცნობდნენ და ბარაბაც არ უყვარდათ. იქნებ, მეთაურიც ამიტომ გახდა? სწორედ იმიტომ, რომ ახირებული და ჯიუტი იყო და მათ არ ჰგავდა. მის ხასიათს ხომ ვერა და ვერ აუღეს ალღო, ყოველთვის უცხო რჩებოდა. ერთმანეთის შესახებ მათ ყველაფერი იცოდნენ, ბარაბას შესახებ კი — თითქმის არაფერი და საოცარია, სწორედ ამიტომ ენდობოდნენ. ცოტა არ იყოს ეშინოდათ კიდევ ამ კაცისა და ამიტომ, სულის სიღრმეში უფრო მეტად ენდობოდნენ. თუმცა არა, უმთავრესი მიზეზი მაინც მისი სიმამაცე და ჭკუა იყო, რასაც წამოიწყებდა, ყველაფერს წარმატებულად ასრულებდა.

ახლა კი — აბა ვის ჭირდება მეთაური, რომელსაც მეთაურობა სულაც აღარ სურს და საერთოდაც აღარაფერი უნდა? მეთაური, რომელიც მხოლოდ გამოქვაბულის შესასვლელთან ზის და იორდანეს ხეობას ან უფრო მოშორებით — მკვდარ ზღვას რომ ეძახიან, სწორედ იმ ზღვას გასცქერის? რომელიც ისეთი უცნაური მზერით გიყურებს, რომ სულს გიშფოთებს? სულ მუდამ დუმს და თუ დაგელაპარაკა კიდევ ერთხელ დარწმუნდები, რომ ახირებულია, თითქოს ფიქრებით სადღაც შორს დაქრის, გულისამრევია. იქნებ იმიტომ, რომ იერუსალიმში ასე დიდხანს ჩარჩა და ჯვარზე კინაღამ გააკრეს? თითქოს მართლაც გააკრეს ჯვარზე და თავისიანებთან მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდა.

ყველას გული ერეოდა, აღარავის უხაროდა, რომ დაბრუნდა და კვლავ მათთან მოვიდა. მისი ადგილი აქ აღარაა. მეთაურად ხომ ნაღდად აღარ გამოდგება — სხვა რაღაში გამოდგება? უნდა იფიქრო, აღარაფრისთვის ვარგა? ჰო, უცნაურია, მაგრამ ასე უნდა იფიქრო.

თუ კარგად გაიხსენებ, ბარაბა ყოველთვის არ იყო ის კაცი, ვინც ყველას თვითონ მიუძღვის და ყველაფერს თვითონვე წყვეტს. ისეთი გულადი და თავზეხელაღებული, რომელსაც არც ხიფათი, არც სიკვდილი, არაფერი აფრთხობს, არა, ასეთი არ იყო, სანამ ელიახუმ თვალის უპის ქვეშ ნაჭრილობევი არ დაუტოვა. მანამდე, პირიქით სიმამაცით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა. საერთოდ, ეს ყველას ახსოვდა. მერე კი უცებ მამაკაცად გადაიქცა. სწორედ მას შემდეგ რაც ელიახუ, ეტყობა მოსაკლავად, მუხანათურად თავს დაესხა. ისინი განწირულებივით დაეჭიდნენ ერთმანეთს და ბარაბამ ზორბა,

საშიში, მაგრამ უკვე ხანდაზმული და დამძიმებული ელიახუ გამოქვაბულის შესასვლელიდან ხევში მოისროლა. ახალგაზრდა უფრო სხარტი და მოქნილი იყო და, თავისი ძალ-ღონის მიუხედავად, ბებერი მეომარი მას ვერ მოერეოდა. სულ ტყუილად წამოიწყო ეს ჩხუბი. ნეტავ რას ერჩოდა? ასე რად სძულდა ბარაბა? ეს არავის ესმოდა, მაგრამ რომ სძულდა, ყველამ იცოდა.

მათი მეთაურიც ბარაბა სწორედ მაშინ გახდა. მანამდე კი თავი დიდად არ გამოუჩენია, მამაკაცი იგი მხოლოდ მას შემდეგ გახდა რაც ნაჭრილობევი შეიძინა.

აი, ასე ლაპარაკობდნენ, ლაპარაკობდნენ — ჩურჩულებდნენ.

მაგრამ მათ არ იცოდნენ და არც არავინ იცოდა, რომ ელიახუ, ვინც ასე კარგად ახსოვდათ, ბარაბას მამა იყო. ეს არავინ იცოდა, არც შეიძლებოდა ვინმეს სცოდნოდა. მისი დედა, მოაბელი ქალი, ტყვედ ჩაიგდეს, როცა იერიქონის გზაზე ქარავანი გაძარცვეს. ამ ქალთან ჯერ ყველა კარგად გაერთო, შემდეგ კი იერუსალიმში საროსკიპოს მიჰყიდეს. საროსკიპოში ჩქარა შენიშნეს მალე იმშობიარებსო და იქიდანაც გააძევეს, ქალმაც შუა ქუჩაში იმშობიარა, მკვდარიც იქვე იპოვნეს. არავინ იცოდა ბარაბა ვისი შვილი იყო, თავად ქალიც ვერ იტყოდა ამას. მხოლოდ იმის თქმაღა შეეძლო, რომ ნაყოფი მუცელშივე შეაჩვენა და ზეცისა და დედამიწის, ზეცისა და დედამიწის შემქმნელის სიძულვილით შობა.

არა, ეს არავინ იცოდა. არც იმათ, ვინც გამოქვაბულში ჩურჩულებდნენ და არც შესასვლელში ჩამომჯდარმა ბარაბამ, მოაბის გადატრუსულ მთებს და მკვდარ ზღვად წოდებულ უკიდეგანო სივრცეს რომ გასცქეროდა.

ბარაბას ელიახუ არც კი გახსენებია, თუმცა სწორედ იმ ადგილას იჯდა საიდანაც მაშინ ის გადააგდო. კაცმა არ იცის, რა მიზეზით, ან უფრო სწორად სრულიად უმიზეზოდ, იგი ჯვარცმული მაცხოვრის დედაზე ფიქრობდა. იხსენებდა, თუ როგორ იდგა ქალი და თავის მილურსმულ ძეს, თავისავე გაჩენილ ვაჟიშვილს შესცქეროდა. თვალშინ ედგა მისი გამშრალი თვალები, გლეხური, უხეში სახე, რომელსაც ტკივილის გამოხატვა არ შეეძლო, ან იქნებ, ამის გამოხატვა უცხოების თანდასწრებით არ სურდა? არ ავიწყდებოდა მისი საყვედურით აღსავსე მზერა, მას, ბარაბას რომ შეავლო, როცა წინ ჩაუარა. რატომ შეხედა სწორედ ბარაბას? თითქოს სხვისთვის არაფერი ჰქონდა სასაყვედურო!

კაცი ხშირად ფიქრობდა გოლგოთაზე, იქ მომხდარ ამბავზე, და ქალზე, იმ მეორეს დედაზე...

იგი იჯდა და დაუსრულებლად შესცქეროდა მკვდარი ზღვის მიღმა მთებს და ბინდს, რომელიც მოაბელთა მინაზე ეშვებოდა.

ისინი კი თავს იმტვრევდნენ, ბარაბა როგორ მოვიშოროთო. ოცნებობდნენ თავი დაეხსნათ ამ უსარგებლო ტვირთისგან, აღარ დაენახათ ეს პირქუში სახე, რომელიც სევდისმომგვრელი იყო და ყოველგვარ სიხარულს სპობდა. როგორ მოიქცნენ? უცებ ხომ ვერ ეტყვიან აღარ გვჭირდები, ზედმეტი ხარ, სჯობს წახვიდეო? აბა ამის თქმას ვინ გაბედავს? თავი არავის გამოუდვია. სიმართლე თუ გნებავთ, ვერავინ ბედავდა. ეს უაზრო, ბრიყვული შიში, თუ რაც გნებავთ ის უწოდეთ, ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი.

და კვლავ ჩურჩულებდნენ, ყველას თავი მოგვაბეზრა, არ გვიყვარს, არც არასოდეს გვყვარებია, იქნებ, ილბალმაც სწორედ ამიტომ გვიღალატა, აი, ახლახან კიდევ ორი კაცი დავკარგეთ, ან სიკვდილმისჯილის გვერდით რა ილბალმა უნდა გაგვიჭრასო. გამოქვაბულს ყრუ, მძაფრი სიძულვილი ავსებდა, ბინდიდან თითქმის ზიზღნარევი მზერა შესცქეროდა მას, ვინც ქარაფის თავზე მარტოდმარტო დაუსრულებლად იჯდა და ხალხს თითქოს ცუდი ბედ-ილბლის ნიშნად ევლინებოდა. როგორ მოეშორებინათ თავიდან?

და აი, ერთხელაც, განთიადისას ბარაბა გაქრა... აღარსად ჩანდა. თავდაპირველად იფიქრეს, ჭკუაზე შეირყა და კლდიდან გადავარდა ან ბოროტი სული ჩაუსახლდა და თავად გადაჩეხაო. იქნებ, ელიახუს სულმა გაუსნორა ანგარიში? სწორედ იმ ადგილას, სადაც ოდესღაც ელიახუს დასახიჩრებული სხეული იპოვნეს, ხრამი გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინეს. მის კვალს საერთოდ ვერსად მიაკვლიეს. ბარაბა უბრალოდ გაქრა.

ყველას მაშინვე გულზე მოეშვა და ისინიც ციცაბო მთის კალთაზე მზით გახურებულ თავის ბუდეში მიბრუნდნენ.

* * *

არავინ იცის, შემდგომში ბარაბა როგორ ცხოვრობდა. ზუსტად ვერავინ გეტყვით, სად გადაიკარგა ან რას აკეთებდა, სანამ ჯერ

კიდევ ჯან-ღონით სავსე მამაკაცი იყო. ზოგიერთებს ჰგონიათ, გაუჩინარების შემდეგ, სინას ან იუდეას უდაბნოებში გადაიხვეწა და მარტოსული, უფლისა და ადამიანების სამყაროებზე ფიქრობდაო. სხვები პირიქით, ამბობდნენ სამარიელებთან წავიდაო, სწორედ იმ-ათთან იერუსალიმის ტაძარი, ღვთისმსახურები და მწიგნობრები რომ სძულთ და პასექის დროს, მათ წმინდა მთაზე, კრავის შენირვის ჟამს მუხლებზე დაჩოქილი, ჰარისიმის მთაზე მზის ამოსვლას ელოდაო.

ზოგიერთები კი დაბეჯითებით ამტკიცებენ, უმეტესწილ იგი სირიასთან ახლოს, ლიბანის ფერდობებზე, ყაჩაღთა ბანდის მეთაური იყო და თუკი იუდეველებსა და ქრისტიანებს წაანყდებოდა, დაუნდობლად უსნორდებოდაო.

და როგორც უკვე ითქვა, რა იყო მართალი და რა ტყუილი დაბეჯითებით არავინ იცოდა. სამაგიეროდ, ზუსტად ცნობილია, რომ უკვე მეექვსე ათეულ წელში გადამდგარმა ბარაბამ რამდენიმე წელი პათოსში, რომის ნაცვლის სპილენძის საბადოებში გაატარა და ბოლოს მისსავე სახლში მონად აქციეს. არავინ იცის, რისთვის დაიჭირეს ან საბადოებში მუშაობა რისთვის მიუსაჯეს — უფრო საშინელი სასჯელი ხომ არ არსებობდა. მაგრამ გასაოცარი ის კი არ არის, რომ საბადოში მოხვდა, გასაოცარი ისაა, რომ ამ ჯოჯოხეთში, თუნდაც მონად ქცეული, ცხოვრებას დაუბრუნდა. თუმცა აქ განსაკუთრებული რამ მოხდა.

ახლა იგი სახედანაოჭებული და ჭაღარა კაცი იყო, თუმცა ყოველივე იმის შემდეგ, რაც ბედისწერამ არგუნა, საოცრად კარგად გამოიყურებოდა. გასაკვირველად მალე გამოკეთდა და ძველებურად ძალ-ღონით აივსო. როცა მაღაროდან ამოვიდა, მიცვალებულს ჰგავდა: ჩამომხმარი სხეული ჰქონდა, ორ დამშრალ ჭასავით თვალის ფოსოებიდან სიცარიელე იხედებოდა. შემდეგ თვალებმა სამყარო ისევ აირეკლა, ადრინდელზე უფრო მღელვარე და ქანცგაწყვეტილი ძაღლის მოდარაჯე მზერა შეიძინა, მაგრამ დროდადრო კვლავ იელვებდა ის სიძულვილი, რითიც დედამისმა სამყარო შეაჩვენა, როცა ბარაბას აჩენდა. თითქმის შეუმჩნეველი ნაჭრილობევი კვლავ გაულურჯდა და გაჭაღარავებული წვერისაკენ დაეშვა.

ასეთი ძლიერი რომ არ ყოფილიყო, ვერაფერი გადაარჩენდა. ამისთვის მადლობა უნდა ეთქვა ელიახუსა და მოაბელი ქალისთვის,

ვისგანაც სიცოცხლე მიიღო საჩუქრად. მაგრამ არც ერთს არ უყვარდა იგი, პირიქით, სძულდა, არც ერთმანეთი უყვარდათ. სიყვარული თურმე რა ცოტას ნიშნავს. მაგრამ ბარაბამ არ იცოდა, რით იყო დავალებული იმ ორი ადამიანისაგან, სიძულვილით რომ ეხვეოდნენ ერთმანეთს.

იგი აღმოჩნდა დიდ სახლში, სადაც თავი უამრავ მონას მოეყარა. მათ შორის ერთი მაღალი, მოუხეშავი, გაძვალტყავებული სომეხიც იყო, რომელსაც სახელად სააკი ერქვა. ზედმეტად ახოვანი სააკი, მუდამ მხრებში მოხრილი დადიოდა. დიდი, ოდნავ გადმოკარკლული, შავი და ფართოდ გახელილი თვალები ისე უელავდა, თითქოს ცეცხლი ეკიდა. ჭაღარა, მოკლე თმისა და თითქმის გადატრუსული სახის გამო, ხნიერს ჰგავდა, თუმცა სინამდვილეში ორმოცს ცოტათი იყო გადაცილებული. ისიც მაღაროდან ამოვიდა. მრავალი წელი იქ ბარაბასთან ერთად გაატარა და თავის დახსნაც მასთან ერთად მოახერხა. თუმცა ვერა და ვერ გამოკეთდა. დაძაბუნებული და მთლად გაჭაღარავებული, თითქოს კატორღელის სამუდამო დაღს ატარებდა. სახე მთლად ჩანაცრისფერებული ჰქონდა. ასე გეგონებოდათ, რაღაც ისეთი განიცადა, რაზეც ბარაბას ნარმოდგენა არა აქვსო. ეს მართლაც ასე იყო.

დანარჩენ მონებს ძალიან აინტერესებდათ ეს ორი კაცი, ვინც იქიდან დაიხსნა თავი, საიდანაც ჩვეულებრივ ვერავინ გამოდიოდა. მათი ამბის მოსმენა ძალიან უნდოდათ! მაგრამ ისინი დუმილით უვლიდნენ გვერდს თავის წარსულს, საერთოდ თავი ყველასგან შორს ეჭირათ, ერთმანეთსაც თითქმის არ ელაპარაკებოდნენ, ამიტომ გაუგებარი იყო მათი ურთიერთობა. არადა, განუყრელად ერთად იყვნენ. უცნაურია, საჭმელად და დასასვენებლად ერთმანეთის გვერდის სხდებოდნენ, ღამ-ღამობით, თივაზეც გვერდიგვერდ ეძინათ, იმიტომ, რომ მაღაროში ერთი ჯაჭვით იყვნენ გადაბმულები.

ისინი ერთმანეთს მაშინვე გადააბეს, როგორც კი მატერიკიდან ჩამოიყვანეს. მონებს თავიდანვე ორ-ორს გადააბამდნენ ხოლმე და ამის შემდეგ მაღაროში ასე წყვილად მუშაობდნენ, ერთმანეთთან დაშორება აღარ შეეძლოთ. ეს ტყუპი — მონები ერთმანეთს ზედმეტად კარგად იცნობდნენ, ხანდახან ერთმანეთი მძაფრი სიძულვილით სძულდათ და ისიც ხდებოდა, სულ უმიზეზოდ, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ჯოჯოხეთში გადაბმულნი იყვნენ, ერთმანეთს დაუნდობლად დაეტაკებოდნენ ხოლმე.

მაგრამ ეს ორი კაცი თითქოს მორიგდა და ერთმანეთს უბედურების ატანაშიც კი ეხმარებოდა, არცთუ იშვიათად საუბრობდნენ და კატორღელის მძიმე ტვირთს ამით იმსუბუქებდნენ. თავად ბარაბა ცხადია, დიდი მოსაუბრე არ გახლდათ, მაგრამ მეორეს ყურადღებით უსმენდა. თავდაპირველად თავის თავზე არაფერს ყვებოდა, ორივე დუმდა, საიდუმლო, რომლის გამხელაც არ სურდათ, ორივეს ჰქონდა და ბევრმა წყალმა ჩაიარა, სანამ ერთმანეთის შესახებ რაიმეს შეიტყობდნენ. ერთხელაც, სრულიად შემთხვევით, გაირკვა, რომ ბარაბა ებრაელია და წარმოშობით იმ ქალაქიდანაა, იერუსალიმად რომ იწოდება. სააკი შეკრთა და შეკითხვები სეტყვასავით დააყარა. ერთი შეხედვით ამ ქალაქს კარგად იცნობდა, თუმცა მის ახლოსაც არასოდეს გაუვლია. ბოლოს ბარაბას ჰკითხა, ხომ არაფერი იცი იქ რომ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იმ რაბის, იმ უდიდესი წინასწარმეტყველის შესახებ, ვისი მოძღვრებაც ბევრმა ინამაო. ბარაბა მიხვდა, რას ეკითხებოდა და კი, გამიგონიაო, უპასუხა. სააკმა გამოკითხვა კვლავ გააგრძელა, მაგრამ ბარაბამ თავი აარიდა და თითქმის არაფერი ვიცი, უთხრა. თვალით თუ უნახავს? ჰმ, როგორ არა, კი დაუნახავს. სააკი მგონი შეაძრწუნა იმ ცნობამ, რომ ბარაბას რაბი ნანახი ჰყავდა და ცოტა ხნის შემდეგ, მართალს თუ ამბობო, ისე ჩაეკითხა. ბარაბამაც კვლავ უხალისოდ და ნაძალადევად, ჰო, მინახავსო, უპასუხა.

სააკს წერაქვი გაუვარდა. იგი იდგა, ღრმად ჩაფიქრებული, თავისი ხვედრით გაოგნებული. მისთვის უცებ ყველაფერი შეიცვალა, ამ სიახლის ბოლომდე აღქმა არ ძალუძდა, მაღაროც შეიცვალა, უცებ ყოველივე შეიცვალა. ის თურმე უფლის მხილველ კაცთან იყო გადაჯაჭვული.

და უცებ ზურგი ზედამხედველის მათრახმა აუწვა, მან სწორედ ამ დროს ჩაიარა. დარტყმისას სააკი მოიხარა, თითქოს მათრახს ასე უფრო აიცილებდა და აღგზნებულმა წერაქვი აამუშავა. როცა მწვალებელმა, როგორც იქნა ჩაიარა, სააკს სისხლი ღვარად ჩამოსდიოდა და ახოვანი სხეული უკანკალებდა. ხმის ამოღება კიდევ დიდხანს ვერ შესძლო. მაგრამ როგორც კი ლაპარაკი მოახერხა, სად და როდის ნახეო, შეეკითხა. ტაძარში ან სამლოცველოში ხომ არ მოგიკრავს თვალი? მაშინ ხომ არ უსმინე, როცა თავის მომავალ მეუფებაზე საუბრობდა? ან იქნებ, სხვა დროს იხილეო? ბარაბა

თავდაპირველად დუმდა, შემდეგ, გოლგოთაზე ვნახეო, უხალისოდ ჩაილაპარაკა.

— გოლგოთა? რა გოლგოთა?

ბარაბამ უპასუხა, ეს სწორედ ის ადგილია, სადაც ბოროტმოქმედებს ჯვარზე აკრავენო.

სააკი მიჩუმდა. თვალები ძირს დახარა. შემდეგ კი ძალიან ჩუმად ჩაილაპარაკა:

— აი, თურმე სად გინახავს.

ასე ითქვა პირველი სიტყვა იმ ჯვარცმულზე, ვისზედაც შემდგომში ამდენს ლაპარაკობდნენ.

სააკს მოძღვრის, მისი წმინდა სიტყვებისა და უდიდესი სასწაულების შესახებ, რაც შეიძლება მეტის გაგება ენადა. ჯვარს როცა აცვეს, ეს ხომ თავადაც იცოდა, აბა როგორ არ ეცოდინებოდა. კარგი იქნებოდა, ბარაბას რაიმე სხვაც მოეყოლა...

გოლგოთა... გოლგოთა... რა უცნაური, უცხო სახელია, არადა, რამდენი ხანია იცოდა, რამდენჯერ გაუგონია იქ, ჯვარზე, მაცხოვარი როგორ კვდებოდა, რა დიდი სასწაულები მოხდა. ბარაბამ ჰკითხა, თუ დაინახე ორად გაპობილ ტაძარს რიდე როგორ გადაეფარა, მთაც ხომ ორად გაიპო და თუ იქ იდექი, ალბათ, ესეც უნდა გენახაო?

ბარაბამ უპასუხა, შეიძლება ასეც მოხდა, მაგრამ მე არაფერი შემიმჩნევიაო.

— კი მაგრამ, მკვდრები ხომ სამარეებიდან გამოვიდნენ! ისინი ხომ მკვდრეთით აღსდგნენ, რათა მისი ძალა და ბრწყინვალება დაედასტურებინათ.

— ჰო... — ჩაილაპარაკა ბარაბამ.

— მისი სიკვდილის ჟამს ხომ მთელ დედამიწაზე წყვდიადი ჩამონვა.

ო, აი ეს ბარაბამ თავადაც იხილა. წყვდიადი ნამდვილად დაინახა.

სააკი, როგორც ჩანს, ბარაბას პასუხმა გააბედნიერა, თუმცა სასჯელის საშინელ ადგილზე ფიქრი თრგუნავდა. მას გაპობილი მთა, ჯვარი და ჯვარზე მსხვერპლად შეწირული უფლის ძე თითქოს თვალწინ ედგა. ცხადია, მაცხოვარი უნდა დატანჯულიყო და მომკვდარიყო. ასე ეწერა, ჩვენს გადასარჩენად ეწერა. ხო, ასეა, თუმცა

შეუძლებელია ამის გაგება. მაგრამ სააკი უფრო ხარობდა, როცა მას განდიდებულს წარმოიდგენდა თავის სამეუფოში, სადაც ყოველივე სხვანაირი იყო და აქაურობას არ ჰგავდა. ჯობდა მასზე გადაჯაჭვულ ბარაბას გოლგოთას გარდა მაცხოვარი კიდევ სადმე ეხილა. რაღა მაინცდამაინც იქ ნახა?

— უცნაურია, — უთხრა მან ბარაბას. — უცნაურია, რომ მაინცდამაინც იქ იხილე. იქ საიდანღა გაჩნდი?

ამ შეკითხვას ბარაბამ დუმილით უპასუხა.

მეორედ სააკმა, ნუთუ მანამდე მართლა არასოდეს გინახავსო, ჰკითხა. ბარაბამ უცებ არ უპასუხა. შემდეგ პრეტორიის ეზოშიც ვიყავი, როცა ასამართლებდნენო, უთხრა და, როგორ მოხდა, ისიც უამბო. გაიხსენა ის უცნაური შარავანდედი, სიკვდილმისჯილს რომ შემოეხვია. სააკი აღტაცებული დარჩა, როცა შარავანდედის ამბავი გაიგო. ბარაბამ კი აღარ ისურვა დაემატებინა, ყველაფერი იმიტომ მომეჩვენა, რომ მაშინ ის-ის იყო ჯურღმულიდან ამოვედი და მზემ თვალი მომჭრაო. რა საჭირო იყო? სააკს ამით რა მოემატებოდა? ან ვის რა მოემატებოდა? ჰოდა, არაფერი აუხსნა და სააკიც გაბედნიერდა, დაუსრულებლად ითხოვდა ამ სასწაულზე რამე კიდევ მიამბეო. კაცს სახე უბრწყინავდა, მისი ბედნიერება თითქოს ბარაბასაც გადაედო, თითქოს ბედნიერებას ერთად იყოფდნენ. და ყოველთვის, როცა სააკი თხოვდა, ბარაბა თავის არაჩვეულებრივ ხილვებს აღწერდა და ყოველთვის იმ დიდი ხნის წინანდელ უცნაურ შუქს თითქოს თავიდან ხედავდა.

ცოტა ხანიც გავიდა და სააკს გაანდო, მაცხოვარის აღდგომის მომსწრე ვიყავიო. არა, არ დამინახავს როგორ აღსდგა. ეს არავის დაუნახავს, მაგრამ ის კი ვიხილე, როგორ ჩამოფრინდა ციდან ანგელოზი, რომელსაც ხელი შუბივით გაეშვირა, ცეცხლი კი ანაფორასავით ემოსა. შუბმა სამარეს ლოდი მოაგლიჯა, იგი ლოდსა და კლდეს შორის ჩაერჭო, გააპო და მეც დავინახე, რომ სამარე ცარიელი იყოო...

სააკი სუნთქვაშეკრული უსმენდა და დიდ, ნდობით აღსავსე თვალებს ბარაბას არ აშორებდა. ნუთუ? ნუთუ ამ საცოდავმა, ბინძურმა მონამ ეს ყველაფერი იხილა? ნუთუ უდიდესი სასწაული ყველა სასწაული მის თვალწინ აღსრულდა? ვინ არის იგი? მისთვის, სააკისათვის რად მოიღეს ასეთი წყალობა, რად გადააჯაჭვეს ისეთ კაცს, ვინც ასეთი რამ განიცადა, ვინც უფალთან ასე ახლოს იყო?

ამ ამბავმა ბერძენი ბარაბას თავში აურია და სააკის მიმართ
დრო, ჩვენ ალალმართლობას დარდა ავიცილო, დამიფიქრა უკვე მეტი
ბელიალი. ბან ფიროლალად მიმოიხედა, დაინახა, რომ ეკლესიაში
არავინ ეფია და ბარაბას თავლას ვაჩვენებინო, ჩუმჩუმად მეტროპო-
შენდეგ ბარაბა კალის შეკეთილზე დამაყრებულ ლოსტარიოს მოეკ
ვანა და ბოცინ კალე ალის შუქზე, ყველზე ჩამოკიდული მოსის საჭეს
აჩვენა. ყველა ბორბს ეკიდა ასეთი საჭეს, რომელზედაც მეტროპო-
ნის დანლა ამოეტვიფრათ. აქ, მაღალოლებში, ყველა საჭეზე რიმის,
დამლა იყო დასმული, ისინი სახელმწიფო მოსეები იყვნენ. მიგრამ
სააკის საჭეს უკანა მხარეზე ორივეს ვაანჩია უცნაური, იდუმალი
ნიშნები, რომლის მნიშვნელობა არც ერთს ესმოდა. სააკმა ავხსნა
ეს ჯვარცმულის, მაცხოვრის, უფლის ძის სახელითა. ამ უცნაურ,
თითქოს ჯადოქრულ ნაჭდევს ბარაბა ვაოგნებული დასცქეროდა,
მაგრამ სააკმა ჩასჩურჩულა, ამას მხოლოდ ერთი მნიშვნელობა
აქვს, კერძოდ ის, რომ მე, სააკი, უფლის ძეს ვეკუთვნი, მისი მოსა
ვარო. შემდეგ ბარაბას უფლება მისცა საჭესათვის ხელი შეეხოთ.
ბარაბაც დიდხანს იდგა და საჭე ხელში ეკავა.

უცებ ორივეს მოეჩვენა ზედამხედველი მოდისო. არა, შეეცდნენ
და კვლავ უცნაური ნარწერისაკენ დაიხარენ. სააკმა ბარაბას ვაინ-
დო, ეს ერთმა ბერძენმა მომცა. ეს ბერძენი ქრისტიანია და თავად
მონა იყო, სწორედ მან მიამბო მაცხოვრისა და მისი მეუღლეების ძეს-
ახებ მალე რომ დაიწყება და მისი როგორ ეირნმუნო, ისიც მანსნაელა.
იგი სადნობ ღუმელთან გავიცანი. იქ კი წელინაადზე მეტი ეკრიანეს
ძლებს. ბერძენმა ერთი წელიც ვერ გაძლო და როცა კვდებოდა, ძა
პანაქება სიცხეში „ნუ მიმატოვებ, უფალოო", მისი ჩუმჩუღი ვაე
იგონე. შემდეგ მას ფეხები მოაჩეხეს, რათა ხუსდები ადვილად მოეს
სნათ, სხეულს კი ცეცხლში გადაუძახეს -- იქ ყველას ასე ექცეოდ
ნენ. ვფიქრობდი, მეც ეს დღე მომელის-მეთქი და სხვა არც არაფერის
იმედი მქონდა, მაგრამ მალე, მონათა ნანილი და მათ მორის მეც, აქ
გადმომიყვანეს, აქ ბევრი მონა დასჭირდათო.

აი, ასე, ახლა იცი, რომ ქრისტიანი და უფლის მოსა ვარო, დაასრუ
ლა თავისი სიტყვა სააკმა და ბარაბას ნდობით აღსავსე თვალებსა
შეხედა.

რამდენიმე დღე ბარაბა ჩუმი და ჩაფიქრებული იყო. მეორეგ
სააკს უცნაურად აღფრთოვანებული ხმით შეეკითხა, მაგ ნარწერას
ჩემს საჭდეზეც ხომ ვერ ამოტვიფრავო.

სააკმა შეევეცდებიო, მაშინვე უპასუხა. მართალია, იდუმალი ნიშნები არ ვიცი, მაგრამ ხომ შეიძლება საჭდეს დავხედოო...

ისინი ზედამხედველის ჩავლას დაელოდნენ, შემდეგ კი სააკმა ლამპრის მკრთალ შუქზე, წვეტიანი ქვის ნატეხით, ნიშნების ამოკვეთა მონდომებით დაიწყო. მისი მიუჩვეველი ხელისათვის უცნობი მოხაზულობის გამოყვანა იოლი როდი იყო, მაგრამ ძალიან ცდილობდა ზუსტად დაემსგავსებინა. მუშაობა მრავალგზის შეწყვიტა, ხან ვიღაცამ გაიარა, ხანაც მოეჩვენათ, გაიარაო — მაგრამ ბოლოს და ბოლოს წარწერა ამოიტვიფრა და ორივემ გადაწყვიტა, ძალიან კარგი გამოვიდაო. ისინი მდუმარედ დასცქეროდნენ თავის ნაჭდევს, ამ საიდუმლო წარწერას, რომელსაც თუმცა ვერ კითხულობდნენ, მაინც იცოდნენ. რომ ჯვარცმულის სახელი იყო და ისინიც მისი მონები ხდებოდნენ. შემდეგ ორივე მუხლებზე დაეცა და უფალს, ყველა უბედურთა მაცხოვარს, ღმერთს, მხურვალე ლოცვა აღუვლინეს.

ზედამხედველმა შორიდან შენიშნა, რომ ლამპართან წამოწოლილი ორი კაცი ისე თავდავიწყებით ლოცულობდა, ვერავის ამჩნევდა. ისიც თავს დაესხა და ორივე ცემით მიასიკვდილა. შემდეგ, როგორც იქნა, მიატოვა და სააკიც მინას დაასკდა. მაგრამ არა, ზედამხედველი კვლავ მობრუნდა, სააკს ისევ უშხუნა და წამოდგომა აიძულა. მონები ტორტმანებდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ და ისევ და ისევ მუშაობდნენ.

ასე იგემა ბარაბამ პირველი ტანჯვა იმ ჯვარცმულისთვის, რომელსაც თეთრი სხეული და უბალნო მკერდი ჰქონდა და ჯვარზე მის ნაცვლად გააკრეს.

წლები გადიოდა. დღეები დღეებს მისდევდა. სააკსა და ბარაბას, ალბათ, დღეთა სათვალავიც აერეოდათ, მაგრამ ყოველ საღამოს, ასობით ზუსტად ასეთ ღონემიხდილ მონასთან ერთად მათ დასაძინებლად შეყრიდნენ და ისინიც დაღამებულაო, ხვდებოდნენ. გარეთ მათ არასოდეს უშვებდნენ. სისხლისგან დაცლილნი, ჩრდილებად ქცეულნი, წლიდან წლამდე ცხოვრობდნენ ქვემოთ, წყვდიადში, მიცვალებულთა საუფლოში, სადაც გზას მხოლოდ ლამპრები და იშვიათი ღუმლები ანათებდნენ.

მაღაროს შესასვლელში სუსტი შუქი იღვრებოდა და იქ, ზემოთ რაღაცას, ალბათ, ცას თუ მოკრავდნენ თვალს. მაგრამ მინა, ის სამყარო, რომელსაც ადრე ეკუთვნოდნენ, არასოდეს დაუნახავთ, აქვე,

შესასვლელშივე აძლევდნენ საჭმელს — კალათებითა და ბინძური გობებით, რათა ღორებივით შეეთქვლიფათ.

სააკი დარდიანი იყო. ბარაბა მასთან ერთად აღარ ლოცულობდა. მას შემდეგ, რაც საჭდეზე მაცხოვრის სახელის ამოტვიფრა ითხოვა, რამდენჯერმე ილოცა, შემდეგ კი მიატოვა. უფრო ჩუმი რაღაც უცნაური და უცხო გახდა. სააკს არაფერი ესმოდა, თავიც რომ ემტვრია, მაინც ვერ გაიგებდა. თავად ძველებურად ლოცულობდა, ხოლო ბარაბა მხოლოდ ზურგს შეაქცევდა, თითქოს ამის დანახვაც არ სურდა. მართალია, ისე დგებოდა, რომ სააკს ეფარებოდა, ლოცვისას ხელი არავინ შეუშალოსო. ესე იგი ეხმარებოდა? მაგრამ თავად კი აღარასოდეს ულოცია.

რატომ? რისთვის? სააკი საგონებელში ჩავარდა. გამოცანაა. ბარაბა მისთვის საერთოდ გამოცანად გადაიქცა. არადა, ფიქრობდა კარგად ვიცნობო, აქ, მინისქვეშეთში, ამ ჯოჯოხეთში ერთმანეთს კარგად დავუახლოვდით, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ერთად ვილოცეთო. და უცებ მიხვდა, რომ სულ არ იცნობდა. მის შესახებ არაფერი იცოდა, თუმცა განუშორებლად ერთად იყვნენ. დროდადრო გვერდით წამოწოლილი ეს უცნაური კაცი სრულიად უცხოდ ეჩვენებოდა.

მაინც ვინ იყო ეს კაცი ბოლოს და ბოლოს?

ისინი ერთმანეთს კვლავ ელაპარაკებოდნენ, თუმცა ძველებურად ვეღარ საუბრობდნენ და ბარაბაც ახლა მასთან საუბრისას ზურგშექცევით ჯდებოდა. სააკი მის თვალებს ვეღარ ხედავდა. ან კი დაუნახავს ოდესმე? აბა, ჩაუფიქრდეს — დაუნახავს თუ არ დაუნახავს?

მაშ ვისთან გადააჯაჭვეს სააკი?

ბარაბა თავის ხილვებზე აღარაფერს ყვებოდა. ეს კი სააკისთვის ისეთი დიდი დანაკარგი იყო, წარმოდგენაც კი შეუძლებელია. ცდილობდა ყველაფერი თავად წარმოედგინა, როგორმე თავად გაეხსენებინა. განა იოლი იყო? ვერ ახერხებდა — ანდა როგორ მოახერხებდა... თავად სააკი ხომ ჯვარცმულის გვერდით არასოდეს მდგარა და არც შარავანდედს დაუბრმავებია. თავად სააკს ხომ უფალი არასოდეს უხილავს.

ძალაუნებურად იმ მოგონებით უნდა დაკმაყოფილებულიყო. რაღაც სასწაულებრივი, ოდესღაც ბარაბას თვალით რომ იხილა.

ყველაზე მეტად პასექის დილის ხილვები შეუყვარდა, მიცვალებულთა საუფლოდან უფლის დასახსნელად ცით მოვლენილი ალმოდებული ანგელოზი. როცა ამას ნათლად წარმოიდგენ, ზუსტად გეცოდინება, რომ ის, ცხადია, აღსდგა, ცოცხალია, რომ მალე დაბრუნდება და დედამინაზე თავის მეუფებას სწორედ ისე დაამკვიდრებს, როგორც ხალხს დაპირდა. სააკს ეჭვიც არ ეპარებოდა, სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ასე მოხდებოდა. მაშინ ყველას — ყველას, ვინც ახლა მაღაროში იტანჯება, თავისუფლებას მიანიჭებენ. თავად უფალი გასასვლელში ჩადგება, მონებს შეეგებება, ხუნდებს შემოხსნის და ისინიც მაშინვე მის საუფლოში მოხვდებიან.

ო, როგორ ოცნებობდა სააკი! და მუდამ, როცა დასაპურებლად უხმობდნენ, მაღაროს ჭიდან, სასწაული ხომ არ მოხდაო, ზემოთ იხედებოდა. მაგრამ განა აქედან სამყაროს დანახვა შეიძლებოდა? არავინ იცოდა, გარეთ რა ხდებოდა. ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო და ვერ გაგეგო. მაგრამ ეს თუ მოხდა, უფალი თუ უკვე გამოცხადდა, ცხადია, მათ მოუხმობდა. უფალი მათ არ დაივიწყებდა, თავისიანებს არ დაივიწყებდა და მიცვალებულთა საუფლოდან დაიხსნიდა.

ერთხელ, როცა სააკი კლდის შვერილზე მუხლმორთხმული ლოცულობდა, ძალიან უცნაური ამბავი მოხდა.

მაღაროში ახლად მოსული ზედამხედველი, რომელმაც მათი მტანჯველი შეცვალა, სააკს უკნიდან მიუახლოვდა. სააკს იგი არ დაუნახავს და არც არაფერი გაუგონია, მაგრამ ბარაბამ, რომელიც მლოცველის გვერდით იდგა, თუმცა თავად არ ლოცულობდა, იგი ბინდში შენიშნა და ვიღაც მოდისო, სააკს წასჩურჩულა. სააკმაც ლოცვა მაშინვე შეწყვიტა, წამოხტა და ხელი წერაქვს დასტაცა. ეტყობა, იგი ყველაზე საშინელ სასჯელს ელოდა, ამიტომ წინასწარ მოიხარა და ზურგი მათრახს მიუშვირა. იგი არავის დაუსჯია, რითაც ორივე განცვიფრებული დარჩა. ზედამხედველი, ცხადია, შეჩერდა, მაგრამ სააკს მხოლოდ მეგობრულად შეეკითხა, ასე რად იწექი, ეს რას ნიშნავსო. სააკმა ძლივს უპასუხა ჩემს ღმერთს ვლოცულობდიო.

— რომელ ღმერთს? — შეეკითხა ზედამხედველი.

სააკმა აუხსნა, რომელ ღმერთზე იყო საუბარი და მანამ მდუმარედ დაუქნია თავი, თითქოს ასეც ვფიქრობდიო, აგრძნობინა. შემდეგ სააკს ჯვარცმული მაცხოვრის ამბები გამოკითხა. მის შესახებ

უკვე მრავალი უცნაური ამბავი მომისმენიაო, თქვა. თავი მართლა ჯვარზე გააკვრევინა? მონის სამარცხვინო სიკვდილით მოკვდა? და ამის შემდეგ, ღმერთივით სცემენ თაყვანს? სასწაულია, მართლაც სასწაულია... მაცხოვარს რაღად ეძახიან? ღმერთისთვის უცნაური სახელია... ეს რას ნიშნავს? ჩვენ გვაცხონებს? ჩვენს სულებს აცხონებს... რა უცნაურია... ეს რაღა საჭიროა?

საკი შეეცადა აეხსნა. ზედამხედველი ყურადღებით უსმენდა, თუმცა ბნელი მონის დაბნეული, გაურკვეველი სიტყვებიდან ბევრი ვერაფერი გაიგო. ხანდახან მხოლოდ თავს გადააქნევდა. მაგრამ ისეთი ყურადღებით უსმენდა, თითქოს უბრალო სიტყვები მისთვის საგანგებო მნიშვნელობას იძენდა. ბოლოს თქვა, რა უბედურებაა, რამდენი ღმერთი არსებობს, მათგან თავი ვერ დაგიხსნია, შენი სიმშვიდისათვის ყველას მსხვერპლი უნდა შესწიროო...

საკმა უპასუხა, ჯვარცმული მსხვერპლს არ თხოულობს, მხოლოდ ის უნდა შენივე თავი შესწირო მსხვერპლადო.

— შენი თავი? კი მაგრამ, როგორ? ეს რაღას ნიშნავს?

— მის დიად სამსხვერპლოზე, შენი თავი უნდა შესწირო მსხვერპლად.

— მის სამსხვერპლოზე?...

ზედამხვედველმა თავი გადაიქნია.

— ბნელი მონა ხარ, — უთხრა შემდეგ. — რასაც ჩაგძახებენ, იმას ამოიძახებ. ეს ვინ გამოიგონა? ეს ბოდვები სად მოისმინე?

— ბერძენი მონისაგან გავიგონე, — უპასუხა საკმა, — ყოველთვის ასე ამბობდა, თუმცა რას ნიშნავს, ზუსტად თავადაც არ ვიცი.

— საქმეც ეს არის, არც არავინ იცის. მსხვერპლად თავი შესწირო... მის სამსხვერპლოზე... მის სამსხვერპლოზე...

შემდეგ რაღაც გაუგებრად ჩაიბუტბუტა და იშვიათი ლამპრების ბინდში, თითქოს მიწამ უყო პირიო, ისე გაუჩინარდა.

საკი და ბარაბა ამ დაუჯერებელ შემთხვევაზე დიდხანს ფიქრობდნენ. ყოველივე ისე უცნაურად გამოიყურებოდა, ვერაფერი გაეგოთ. ასეთი ადამიანი აქ როგორ გაჩნდა? ნუთუ ჩვეულებრივი ზედამხედველი? და ჯვარცმულის, მაცხოვრის ხვედრით დაინტერესდა? არა, დაუჯერებელია. და მაინც, ამ შემთხვევამ ორივე გაახარა.

ამის შემდეგ ზედამხედველი საკთან ხშირად ჩერდებოდა და ელაპარაკებოდა. ბარაბას ერთხელაც არ დალაპარაკებია. საკს

კვლავ და კვლავ თხოვდა, მიამბე შენს უფალზე, მის ცხოვრებასა და სასწაულებზე, ამ განსაკუთრებულ მოძღვრებაზე. „გიყვარდეთ ერთმანეთი“ რას ნიშნავსო. და აი, ერთხელაც ზედამხედველმა თქვა:

— კარგა ხანია, ვფიქრობ, სხვებთან ერთად ეს ღმერთიც ხომ არ ვაღიარო. მისიც ხომ არ ვინამო. მაგრამ როგორ ვირწმუნო? ამდენი უცნაური ამბავი როგორ დავიჯერო? ან კი მე, მონათა ზედამხედველი ჯვარცმულ მონას როგორ ვეთაყვანო?

— ერთარსება ღმერთი! და მონასავით გააკრეს ჯვარზე! შეუძლებელია! ერთარსება ღმერთია და ჯვარს აცვეს!

— ჰო, — უპასუხა სააკმა. — ასეა.

ზედამხედველმა უკიდურესი განცვიფრებით შეხედა და არაფერი უპასუხა. შემდეგ ჩვეულებისამებრ თავი გადააქნია და მაღაროში გაუჩინარდა.

ზედამხედველი მიდიოდა და იდუმალ ღმერთზე ფიქრობდა. რაც მეტს ფიქრობდა, ის უფრო და უფრო მიუწვდომელი ხდებოდა. იქნებ, მართლა ერთარსება ღმერთია? და მხოლოდ მის წინაშე, ერთადერთი მის წინაშე უნდა ილოცო. იქნებ მთელ სამყაროში მართლაც ერთადერთი, ძლიერი ღმერთი, ზეცისა და მიწის მეუფე არსებობს, რომელიც თავის კანონს ყველგან, აქაც კი, მიწისქვეშეთშიც ანესებს? კანონი კი ისეთი უცნაურია, ვერაფერს გაუგებ... „გიყვარდეთ ერთმანეთი“... „გიყვარდეთ ერთმანეთი...“ არა, ამის გაგება შეუძლებელია...

იგი ორ ლამპარს შორის ბნელში შეჩერდა, რათა კარგად დაფიქრებულიყო.

უცებ გონება გაუნათდა და მიხვდა, რაც უნდა გაეკეთებინა. მონა, რომელსაც ეს იდუმალი ღმერთი სწამს, აქედან უნდა დაიხსნას. ამ საბადოებს, სადაც ყველაფერი იღუპება, უნდა მოაშოროს და ზევით, მზის გულზე, სხვა სამუშაოზე გადაიყვანოს. ამ ღმერთისა და მით უმეტეს, მისი მოძღვრების მას არაფერი ესმის, მაგრამ მონას დაიხსნის. უფალმა თითქოს თავად უბრძანა ასე მოიქცეს.

როგორც კი ზემოთ მოუნია ამოსვლა, პირდაპირ საბადოების კუთვნილი მიწის დამმუშავებელი მონების ზედამხედველთან მივიდა. მას ცოცხალი, გლეხური სახე და დიდი, სველი ტუჩები ჰქონდა. ზედამხედველმა მოუსმინა თუ არა, მაშინვე აგრძნობინა, ეს აზრი არ მომწონს, მაღაროს მონა არ მჭირდებაო. ნამდვილად კი მონები

ძალიანაც ჭირდებოდა. განსაკუთრებით მაშინ, ხვნის დრო იყო და ხარები არ ყოფნიდა. მაგრამ არა, ქვევიდან არავის ამოყვანა არ სურდა. ისინი არაფრად ვარგოდნენ, ვერაფერს გამორჩებოდი. მათ არც სხვა მონები სცნობდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ აქ, მინაზე? და მაინც, ბოლოს და ბოლოს, უფროსს დაუთმო — საოცარი კია, მას ხომ ყოველთვის თავისი გაჰქონდა — და უფროსიც მაღაროში დაბრუნდა.

მეორე დღეს სააკს მის ღმერთზე უფრო მეტ ხანს ესაუბრა, შემდეგ უამბო სააკისთვის როგორ გაისარჯა. მონას ისღა დარჩენოდა მაღაროს შესასვლელში დარაჯისათვის თავისი სახელი ეთქვა, ხუნდებს მაშინვე მოხსნიდნენ და მეორე მონას მოაშორებდნენ. შემდეგ ზევით აიყვანდნენ და ვისთანაც ამის შემდეგ უნდა ემუშავა, იმას ჩააბარებდნენ.

სააკი შესცქეროდა და ყურებს არ უჯერებდა. ნუთუ მართალია? ზედამხვედველმა დაუდასტურა, ჰო, მართალია, იქნებ, თავად შენმა უფალმა ბრძანა, რომ მისი ნება აღსრულებულიყოო.

სააკმა გულზე ხელები დაიკრიფა და დადუმდა. შემდეგ ჩაილაპარაკა, ამხანაგთან განშორება არ შემიძლია, რადგან ერთი ღმერთი გვყავს და ერთი რწმენა გვაქვსო.

ზედამხედველი ძალიან გაოცდა და ბარაბას შეხედა.

— ერთი რწმენა? ამასთან? კი მაგრამ, ეს ხომ მუხლებზე არასოდეს დგება და არ ლოცულობს?

— ჰო, — გაეპასუხა სააკი. — იქნებ, ასეცაა, მაგრამ უფალთან ეს უფრო ახლოსაა. იგი მის გვერდით, ჯვართან იდგა, როცა უფალი ენამებოდა და კვდებოდა. მის ირგვლივ შარავანდედიც შეამჩნია და ისიც იხილა თუ როგორ მოამტვრია ცეცხლოვანმა ანგელოზმა სამარის ლოდი, რათა უფალი მიცვალებულთა საუფლოდან დაეხსნა. სწორედ მან ამიხილა თვალი, უფლის ბრწყინვალებასაც მან მაზიარა.

ზედამხედველმა თავი გადაიქნია. ალმაცერად შეხედა ბარაბას. ლოყაზე ნაჭრილობევდამჩნეულ კაცს, რომელიც ადამიანს სახეში არასოდეს უყურებდა. აი, ახლაც შებრუნდა. ნუთუ ასეთი კაციც სააკის უფალს ეკუთვნის? არა, ბარაბა მას არ მოსწონდა.

ზედამხედველმა რაღაც ჩაიბუტბუტა და ბარაბას დიდხანს ალმაცერად უყურა. შემდეგ უხალისოდ დათანხმდა, დეე, ისე იყოს

როგორც გინდა, კარგი, ერთმანეთს ნუ დაშორდებითო, თავად კი მოსცილდა და თავისი მარტოობისაკენ გასწია.

დანიშნულ დროს, სააკი და ბარაბა შესასვლელის დარაჯთან მივიდნენ. მათ ხუნდები შემოხსნეს და მაღაროდან ზევით აიყვანეს. და როცა მინაზე აღმოჩნდნენ და იხილეს გაბრწყინებული მზე მთის თავზე, საიდანაც ლავანდისა და მურტის სურნელი იფრქვეოდა, როცა იხილეს გაზაფუხულის ხეობის სიმწვანე და შორეული ზღვა, სააკი მუხლებზე დაეცა და სიხარულით თავგზააბნეულმა შეჰყვირა:

— უკვე აქ არის! უკვე მოვიდა! შეხედე — აი, იგი, აი, მისი მეუფება!

დარაჯმა, მათ რომ მოჰყვებოდა, სააკს გაოცებით შეხედა. შემდეგ წამოსაყენებლად ფეხი ოდნავ წაჰკრა და უთხრა:

— ჰა, გასწი.

* * *

ბარაბა და სააკი გუთანში მშვენივრად შეებნენ. ადრე ხომ ერთი ჯაჭვით იყვნენ გადაბმულები და ორი ხარივით ერთმანეთს შეეთვისენ. ამ გაძვალტყავებულ, გასაცოდავებულ, ნახევრად თავგადაპარსულ მონებს, დანარჩენი მონები მასხრად იგდებდნენ, ზედ ეტყობოდათ საიდან მობრძანდნენ. მაგრამ ერთ-ერთმა მათგანმა მალე აღიდგინა ძალა, რადგან ბუნებით ჯანმრთელი იყო და ამის შემდეგ სამუშაოს არცთუ ისე ცუდად აუდიოდნენ. ზედამხედველი არ უჩიოდა. მიწისქვეშეთიდან ამოსულ მონებს მეტს რას გამორჩებოდა.

ორივე მადლიერების გრძნობით იყო განმსჭვალული. მართალია, მუშები პირუტყვივით დილიდან საღამომდე შრომობდნენ, მაგრამ წარსულთან შედარებით, დიდი შეღავათი ჰქონდათ. მხოლოდ დღის სინათლის დანახვა, სუფთა ჰაერის სუნთქვაც კი დიდი ბედნიერება იყო. და თუმცა მათი გაძვალტყავებული სხეულები მცხუნვარე მზისაგან ოფლში იწურებოდა, თუმცა კვლავ პირუტყვებად თვლიდნენ და ადრინდელზე უკეთესად არ ექცეოდნენ, მათ სიხარულს მაინც საზღვარი არ ჰქონდა. მათრახი ზუსტად ისე ზუზუნებდა, როგორც საბადოში, განსაკუთრებით სააკს ხვდებოდა, ის ხომ ბარაბაზე ბევ-

რად სუსტი იყო. და მაინც, ორივენი სიცოცხლეს დაუბრუნდნენ. სნორედ ისე ცხოვრობდნენ, როგორც ყველა ცოცხალი ქმნილება მიწის ზემოთ ცხოვრობს და არა მიწის ნიაღსა და მარადიულ წყვდიადში. დილა დგებოდა და ამით ხარობდნენ.

მაგრამ იმასაც ხვდებოდნენ, რომ უფლის მეუფების ჟამი ჯერ არ დამდგარიყო.

თანდათან მათ სხვა მონებიც მიეჩვივნენ და მხეცებად აღარ თვლიდნენ. ორივეს თმა წამოეზარდა, სხვა მონებს დაემსგავსნენ და ყურადღებას აღარ იქცევდნენ. საერთოდაც, მნიშვნელოვანი ის კი არ იყო, რომ ამ ორმა კაცმა ჯოჯოხეთი მოიარა, არამედ ის, რომ იქიდან თავის დაღწევა მოახერეს. ამან დანარჩენ მონებში თავიდანვე ცნობისმოყვარეობა და უნებლიე აღტაცებაც კი გამოინვია, თუმცა ამის აღიარება არავის სურდა. მაგრამ ამაოდ ცდილობდნენ გაეგოთ, ეს როგორ მოხდა. ისედაც ჩუმებს, მომხდარ სასწაულზე საუბარი საერთოდ არ სურდათ. ეს ორი, უცნაური კაცი ყველას გაურბოდა და ერთმანეთს არ შორდებოდა.

არადა, ახლა ეს აუცილებელი სულ არ იყო. საერთო ჯაჭვი აღარ აკავშირებდათ. ვისთანაც უნდოდათ, იმასთან შეეძლოთ დამეგობრება. არც ის იყო სავალდებულო, გვერდიგვერდ დაეძინათ ან ეჭამათ. ისინი კი ძველებურად ერთად ისე დადიოდნენ, თითქოს ხუნდები არც კი შემოეხსნათ.

მუშაობისას ძალაუნებურად ერთად იყვნენ შებმულნი, მაგრამ სამუშაოს დასრულების შემდეგ სხვა მონებში გარევა შეეძლოთ. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რა უცხოდ გრძნობდნენ თავს მათ შორის, იქნებ, არც ისე უცნაური აღმოჩნდეს ყველას ასე რომ ერიდებოდნენ... მიეჩვიენ ერთმანეთსაცა და იმ ჯაჭვსაც, რომელიც აღარ აკავშირებდათ. თუკი რომელიმეს ღამით გაეღვიძებოდა, სანამ გვერდით ჩაძინებულ ამხანაგს არ დაინახავდა, გული უსკდებოდა და შეამჩნევდა თუ არა, მაშინვე ჩანყნარდებოდა.

რას მოესწრო ბარაბა! ეს როგორ დაემართა! სრულიად გაუგებარია. მას ხომ ნაღდად არ სურდა ვინმეს მიჯაჭვოდა. არადა, მიაჯაჭვეს, თანაც არც ჰკითხეს ისე, რკინის ხუნდებით მიაბეს და თუმცა ხუნდები აღარ ეკეთა, მაინც ვერ იშორებდა. ეჯაჯგურებოდა, თავის დახსნას ცდილობდა.

სააკს კი თავის დახსნა არც უცდია. პირიქით, მას ტანჯავდა აზრი, რომ ძველებურად ახლობლები აღარ იყვნენ. რატომ? რა მოხდა?

მათ არასოდეს ულაპარაკიათ, თუ რა სასწაულით დაიხსნეს თავი საბადოდან, მიცვალებულთა ამ საუფლოდან. პირველ დღეებში ცოტა ისაუბრეს, შემდეგ შეწყვიტეს. მაშინ სააკი მაცხოვარმა, უფლის ძემ დაგვიხსნაო, ამბობდა. ჰო, ალბათ ასე იყო... ცხადია... თუმცა საერთოდ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სააკი მართლაც მაცხოვარმა იხსნა, ბარაბა კი სააკმა გადაარჩინა. განა ასე არ იყო? ასე არ გამოდიოდა?

ჰო, ჯობდა ამაზე არც ეფიქრა.

ბარაბა, ცხადია, გადარჩენისათვის სააკის მადლიერი იყო. მაგრამ უფლის მადლიერი თუ იყო? ალბათ იყო, მაგრამ დაბეჯითებით არაფრის თქმა არ შეიძლებოდა, ბარაბასას ვინ რას გაიგებს...

სააკი დარდობდა, სულ არ ვიცნობ, ასე კი შევეთვისეო. გული ტკიოდა, რომ ძველებურად ერთად ვეღარ ლოცულობდნენ, ისე როგორც იქ, საბადოში, მიცვალებულთა ამ საუფლოში. სააკს კი ლოცვა ძალიან უნდოდა! მაგრამ ბარაბს არ საყვედურობდა, უბრალოდ მას არაფერის გაგება არ შეეძლო.

ბარაბას ხასიათში საერთოდ ბევრი რამ იყო გაუგებარი. სამაგიეროდ, მაცხოვრის გარდაცვალება და მისი მკვდრეთით აღდგომა იხილა. უფლის ირგვლივ არაამქვეყნიური ნათელიც დაინახა, თუმცა ამის შესახებ მეტად აღარ უსაუბრიათ...

სააკი იტანჯებოდა, მაგრამ თავისი სატკივარი როდი აწამებდა. თოვლივით თეთრი თმის საფარველქვეშ, გამოფიტულ, გადატრუსულ სახეზე, ქურის ნაპერწკლების ნიშნები მოუჩანდა, გამხდარი სხეული ზედამხედველის მათრახის ზოლებით იყო აჭრელებული, მაგრამ სააკს თავისი სატკივარი როდი ტანჯავდა. პირიქით, აბედნიერებდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უფალმა დიდი სასწაული მოახდინა, იგი ამოიყვანა ზემოთ, მზის გულზე, მინდვრის შროშანებთან, რის შესახებაც თავად უფალი ოდესღაც ასე ლამაზად ყვებოდა.

მან ხომ სასწაული ბარაბასთვისაც მოახდინა, მაგრამ ბარაბა ახლადდანახულ სამყაროს შეშფოთებით უმზერდა და არავინ იცოდა რას ფიქრობდა.

პირველ ხანებში მიწის ზემოთ ასე ცხოვრობდნენ.

საგაზაფხულო ხვნა მოთავდა თუ არა, ისინი დააყენეს წყლის ბორბალთან, რომელსაც პაპანაქების დადგომისთანავე წყალი უნდა

ამოექაჩა, რათა ყველაფერი არ გადამხმარიყო. ეს სამუშაო მძიმე გახლდათ. შემდეგ მოსავალი აიღეს და ისინი გაგზავნეს წისქვილში, რომელიც რომის ნაცვლის სახლის შორიახლო, სხვა დანარჩენ ნაგებობებს შორის იდგა; ეს შენობები უდაბურ, უბადრუკ სოფელთან ერთად, ნავსაყუდელის გვერდით გადაჭიმულ პატარა ქალაქს ქმნიდა. ასე აღმოჩნდნენ ბარაბა და სააკი ზღვის სანაპიროზე.

ცალთვალა ჯუჯა სწორედ აქ, წისქვილში გაიცნეს.

იგი ჯმუხი, ტანდაბალი მონა იყო, გადაპარსული თავი, დანაოჭებული ჩანაცრისფერებული სახე და დახეთქილი ტუჩები ჰქონდა. ცალი თვალი თაღლითურად იმზირებოდა, მეორე ფქვილის მოპარვისათვის ამოთხარეს. ამ დანაშაულისთვისვე კისერზე დიდი ხის უღელი ედგა. მას ტომრების ფქვილით ავსება და ბეღელში ნაღება ევალებოდა. არც მის მარტივ საქმიანობაში და არც თაგვისფერ-ჩანაცრისფერებულ სახესა და ჯუჯა სხეულში ღირსშესანიშნავი არაფერი იყო. მიუხედავად ამისა, ყველაზე მეტად მას ამჩნევდნენ. არავინ კი იცის, რატომ. იქნებ იმიტომაც, მის დანახვაზე ყველას გული რომ ერეოდა და თავს უხერხულად გრძნობდა. ყველას ზუსტად შეეძლო ეთქვა, ჯუჯა გვერდით ედგა თუ არა, რადგან ზურგზე მუდამ მისი ერთადერთი თვალის მზერა ლურსმანივით ერჭობოდა. თუმცა მის გამოხედვას იშვიათად თუ ვინმე დაიჭერდა.

ორი ახალბედასთვის ცალთვალას, თითქოს არც დაუნახავსო, არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. ის დამცინავი ღიმილი. რითაც შეცქეროდა, როცა ისინი ყველაზე მძიმე დოლაბთან დააყენეს, არავის შეუნიშნავს. ან იქნებ, ვერავინ მიხვდა, რომ ნაცრისფერი, დახეთქილი ტუჩების გაპობა ღიმილს ნიშნავდა. წისქვილში ოთხი დოლაბი იყო, ყოველ მათგანთან თითო წყვილი მუშაობდა. ადამიანები ვირების საქმეს აკეთებდნენ, რადგან ვირები აკლდათ, ადამიანები კი საკმაოზე მეტი ჰყავდათ, თანაც მათი შენახვა უფრო იაფი ჯდებოდა. თუმცა სააკსა და ბარაბას, იმასთან შედარებით, რასაც ადრე აძლევდნენ, აქაური კვება თითქმის უხვად მიაჩნდათ. და საერთოდაც, აქ გაცილებით უკეთ ცხოვრობდნენ, თუმცა მძიმე სამუშაოს ასრულებდნენ. ჩასუქებული, დონდლო ზედამხედველი არც ისე ცუდად ექცეოდა, ძირითადად ნინ და უკან დარბოდა და მხარზე გადაკიდებულ მათრახს იშვიათად ხმარობდა. ეს მათრახი დროდადრო ხვდებოდა მხოლოდ იმ უსინათლო მოხუცს, რომელიც ფეხზე ძლივს იდგა.

წისქვილი შიგნით ფქვილისაგან მთლად გადათეთრებული იყო. დიდი ხნის მანძილზე ფქვილი იატაკში, კედლებში, ჭერს ქვემოთ გაჭიმულ ქსელში, ყველაფერში ჩაჯდა. თავად ჰაერიც გაჟღენთილი იყო ფქვილით და კიდევ გუგუნით, თუკი ოთხივე დოლაბი ტრიალებდა. ყველა შიშველი მუშაობდა. ცალთვალას კი თეძოებზე ჯვალო შემოეხვია და წისქვილში ვირთხასავით დაშლიგინებდა. კისერზე დადგმული ხის უღელი კი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს ვირთხა დაიჭირეს, მან კი როგორღაც თავის დახსნა მოახერხა. ამბობდნენ, როცა ბეღელში მარტო რჩება, ფქვილს ჭამსო. იმასაც ამბობდნენ, შიმშილის გამო კი არა, სიჯიუტის გამო ჭამს, რადგან თუკი მოიხელთეს მეორე თვალსაც ამოთხრიან და უსინათლო მოხუცივით სამუშაოდ დოლაბთან დააყენებენო. ეს სამუშაო მის ძალას აღემატება და უფრო საზარელია, ვიდრე ის მარადიული წყვდიადი, რომელიც ელოდება, თუკი ქურდობაზე ერთხელ კიდევ წაასწრესო. ოღონდ არავინ იცის, ეს მართალი იყო თუ არა...

არა, ეს ორი ახალბედა ცალთვალას განსაკუთრებით როდი აინტერესებდა. მხოლოდ ჩუმ-ჩუმად უთვალთვალებდა, ისევე, როგორც ყველას და ელოდებოდა, რა მოხდებაო. თუმცა მათ წინააღმდეგ განსაკუთრებით შემართული არ ყოფილა. ჯუჯას გაგონილი ჰქონდა, ეს ორი მიწისქვეშეთიდან ამოვიდაო, იქიდან ამოსული კი მას ჯერ არავინ ენახა. მაგრამ განსაკუთრებით შემართული არც მიწისქვეშეთელების წინააღმდეგ ყოფილა. განსაკუთრებით შემართული ის არავის წინააღმდეგ არ იყო.

ეს ორი კაცი მაღაროში მოხვდა — ესე იგი მძიმე დანაშაული ჩაიდინეს, თუმცა ერთ-ერთი მათგანი ბოროტმოქმედს სულაც არ ჰგავდა. სამაგიეროდ, მეორე სწორედაც რომ ჰგავდა და ეტყობა, ამას თვითონვე გრძნობდა კიდეც. ერთი გასაცოდავებული იყო, მეორე კი მთლად ბრიყვის შთაბეჭდილებას ტოვებდა. როგორ მოახერხეს მაღაროდან თავის დაღწევა? ამ ჯოჯოხეთიდან ამოსვლა? ვინ დაეხმარა? საკითხავი სწორედ ეს იყო.

მაგრამ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე იოლი გახლდათ. არაფერია, უნდა დალოდებოდა მხოლოდ და ყველაფერი გაირკვეოდა. განმარტება, ასეთი თუ ისეთი, ყოველთვის მოიძებნებოდა. ყველაფერი, ასე ვთქვათ, თავისთავად გაირკვეოდა. ცხადია, აქ მხოლოდ თვალის მიდევნება იყო საჭირო. ჯუჯას კი ასეთი თვალი ნამდვილად ჰქონდა.

სწორედ ამიტომაც შენიშნა, რომ ძროხისთვალებიანი, გაძვალტყავებული მაღალი მონა, საღამოობით, სიბნელეში, მუხლმორთხმული ლოცულობდა. ასე რატომ ლოცულობდა? რომელ ღმერთს ლოცულობდა? რომელი იყო ის ღმერთი, ასეთი ლოცვა რომ სჭირდებოდა?

ცალთვალა ჯუჯამ ბევრი ღმერთი იცოდა, თუმცა ლოცვა თავში აზრადაც არ მოსვლია. რომც მოსვლოდა, ცხადია, დანარჩენებივით კერპებს მიაკითხავდა და იმ ტაძარში ილოცებდა, სადაც კერპების ადგილი იყო. ამ ბრიყვს კი, მგონი, ჩემი ღმერთი სიბნელეში წინ მიდგასო, ეგონა, თანაც ღმერთს ცოცხალივით ელაპარაკებოდა და ვინ იცის, იქნებ, კიდეც ხედავდა. სასწაულია. ის კი სიბნელეში ჩურჩულებდა და ჩურჩულებდა, გულს ლოცვით იოხებდა, თუმცა დღესავით ნათელია, რომ არავითარი ღმერთი აქ არ იყო და ეს ყოველივე რაღაც უაზრო წარმოსახვის ნაყოფი გახლდათ.

რაც არ არსებობს, ის ხომ ადამიანს არც აინტერესებს. მიუხედავად ამისა, შენიშნა თუ არა სააკი ლოცულობსო, ჯუჯა მაშინვე მისი არაჩვეულებრივი ღმერთით დაინტერესდა. სააკმაც შეძლებისდაგვარად აუხსნა: უფალი ჩემი ყველგან, თვით სიბნელეშიც კი არისო, როცა გინდა, შეგიძლია მოიხმო და იგრძნობ, რომ მოვა, შენთან იქნება. ხანდახან იმასაც გრძნობ, რომ მკერდში ჩაგისახლდება, ეს კი ნეტარი გრძნობააო. ცალთვალამ უპასუხა, მართლა არაჩვეულებრივი ღმერთი გყოლიაო.

— ჭეშმარიტად, — დაუდასტურა სააკმა.

ცალთვალამ თითქოს აწონ-დაწონა ყველაფერი, რაც სააკმა უხილავ, მაგრამ, ალბათ, ძლიერ ღმერთზე უამბო, შემდეგ კი ჰკითხა, მაღაროდან მან ხომ არ დაგიხსნათო.

— ჰო, — თქვა სააკმა, — მან დაგვიხსნა.

შემდეგ დასძინა, ის ჩაგრულთა ღმერთია და ყველა მონას ხუნდებისგან გაათავისუფლებსო. სააკს თავისი რწმენის ქადაგება დაუოკებლად სურდა, აქ კი პირდაღებული უსმენდნენ.

— ჰოო? — თქვა ცალთვალამ.

სააკი უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ ამ მონას, ამ ყველასთვის უსარგებლო, თვალდათხრილ ჯუჯას სჭირდებოდა იმის მოსმენა, თუ როგორ გადაარჩენდნენ მასაც, სხვებსაც და ღვთის ნებითა და სურვილით სააკს იგი უნდა მოექცია. ს

ზერდა და მის საქციელს, ვგონებ, სულაც არ იწონებდა. ერთხელაც, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ისინი დოლაბზე მარტონი ჩამოსხდნენ. ააკმა ცალთვალას თავისი საიდუმლო გაუმხილა და საჭდეზე ამოტვიფრული წარწერაც აჩვენა. საერთოდ, ცალთვალამ თავად სთხოვა იდუმალი ღმერთის სახელი მითხარი, თუკი ცხადია, ამის თქმის უფლება გაქვსო. ააკმაც მისი სახელი წარმოთქვა, თანაც უფლის ძალისა და სიდიადის დასტურად, წმინდა სახელის საიდუმლო ნიშნებიც აჩვენა. ცალთვალამ წარწერა დიდი ინტერესით დაათვალიერა. შემდეგ ასევე ყურადღებით მოისმინა ააკის ნაამბობი ბერძენ მონაზე, რომელმაც ეს წარწერა ამოტვიფრა და ყოველი მონახაზის მნიშვნელობა იცოდა. წარმოგიდგენია, უფლის ყველა ნიშანი ესმოდა!

ააკმა წარწერას კიდევ ერთხელ დახედა, საჭდე გადააბრუნა, გულზე მიიკრა და ბედნიერებით გაცისკროვნებულმა, უფლის მონა ვარ, უფალს ვეკუთვნიო, განაცხადა.

— ჰოო, — თქვა ცალთვალამ.

შემდეგ მის მაღაროელ მეგობარზე ჩამოაგდო სიტყვა. მასაც თუ აქვს ასეთი წარწერაო, იკითხა.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ააკმა.

ცალთვალამ, მეც ასე ვფიქრობდიო, თავი დაუქნია. თუმცა სინამდვილეში გაუკვირდა, რომ ამ ორ კაცს ერთი ღმერთი ჰყავდა და ერთი რწმენა ჰქონდა. ის ნაჭრილობევიანი ბოროტმოქმედი ხომ არასოდეს ლოცულობდა. ისინი კვლავ და კვლავ ამ განსაცვიფრებელ ღმერთზე საუბრობდნენ და ააკი გრძნობდა ერთმანეთის რა კარგად ესმოდათ. კარგია, რომ ცალთვალას თავისი დიდი საიდუმლო გაუმხილა, ეტყობა, ეს თავად უფალმა ჩააგონა.

წისქვილში ყველა გაოგნდა, როცა ერთ მშვენიერ დილას ზედამხედველმა განაცხადა, დღეს დანიშნულ დროს, ააკსა და ბარაბას თავად პროკურატორი ელოდებაო. ასეთი რამ ჯერ არასოდეს მომხდარა, ყოველ შემთხვევაში, ზედამხედველს არ ახსოვდა და ისიც სხვებზე არანაკლდებ გაოცებული დარჩა, ვერაფერი გაეგო. ორ უბადრუკ მონას თავად რომის მმართველი რად იხმობდა! ზედამხედველს მათი გაცილება დაავალეს და მგონი, თავადაც დაფრთხა. ასე ახლოს ეს ზვიადი ბატონი მასაც არასოდეს ენახა. თუმცა ზედამხვედველი რა შუაშია, მას მონების დანიშნელების ადგილზე მიყვანა ევალება.

დანიშნულ დროს, ისინი გზას გაუდგნენ, მთელი წისქვილი კი მათ კვალს გასცქეროდა. თვით ვირთხისმაგვარი ჯუჯაც, რომელსაც დახეთქილი ტუჩებით გაღიმებაც არ შეეძლო, ერთადერთი თვალით, ასევე მათ კვალს გასცქეროდა.

სააკსა და ბარაბას უგამცილებლოდ ამ ვიწრო ქუჩებში, ცხადია, გზა აებნეოდათ. ისინი ხომ ქალაქს არ იცნობდნენ. ჰოდა, ახლა ზედამხედველს უკან მიჰყვებოდნენ და ერთმანეთთან ძველებურად ისე ახლოს იდგნენ, თითქოს კვლავ ერთი ჯაჭვით გადაბმულიყვნენ.

კედარის კარზე ფეხით მიბმულმა ახოვანმა მონამ, ისინი დიდ სახლში შეუშვა და იქვე, კარს მიღმა, გადახურულ კოლონადაში დარაჯს გადააბარა. დარაჯმაც თავის მხრივ, მზით გაჩახჩახებული ეზო გაიარა და ისინი შეიყვანა მომცრო დარბაზში, რომელსაც პატარა ეზოსაკენ გასასვლელიც ჰქონდა. აი, ამ დარბაზში ისინი მოულოდნელად რომაელის წინაშე აღმოჩნდნენ.

სამივე პირქვე დაემხო და თავები იატაკს ახალეს — ეს ზედამხედველმა ასწავლა, თუმცა სააკი და ბარაბა თვლიდნენ, რომ თავის ასე დამცირება იმის წინაშე, ვინც მხოლოდღა ადამიანი იყო, ნამდვილად არ ვარგოდა. და მაინც, წამოდგომა მხოლოდ ბრძანების გაგონების შემდეგ გაბედეს. დარბაზის მოშორებულ კუთხეში. სავარძელში გაშხლართულმა რომაელმა სამივენი ხელით მოიხმო. ისინიც გაუბედავათ მიუახლოვდნენ და თვალი შეავლეს. რომაელი ჩასკვნილი, სამოციოდე წლის კაცი იყო, სავსე, მაგრამ ძლიერი სახე, ფართო ყვრიმალი და აშკარად ბრძანებებს მიჩვეული პირი ჰქონდა. მახვილი და გამჭრიახი მზერა მტრულად არ იმზირებოდა. უცნაურია, მაგრამ ეს რომაელი სულაც არ გაფრთხობდა.

პროკურატორმა თავდაპირველად ზედამხედველს გამოკითხა ეს მონები როგორ იქცევიან, კმაყოფილი თუ ხარო. ზედამხედველს ენა დაება, კი, კმაყოფილი ვარო, წაილუღლუღა, და ყოველი შემთხვევისთვის, საერთოდ მონებს დიდად არ ვათამამებო, დაუმატა. გაუგებარია, დიდმა მბრძანებელმა ეს მგზნებარება დააფასა თუ არა, ზედამხედველის ჩასუქებული სახე მან მხოლოდ გაკვრით შეათვალიერა და ხელის მსუბუქი აქნევით, დაითხოვა. ზედამხედველს გამეორება არ დასჭირვებია, მაშინვე მოუსვა, თანაც სიხარულით თავგზააბნეულმა, სიჩქარეში თავის მბრძანებლებს ზურგიც კი შეაქცია.

რომაელი სააკსა და ბარაბას მიუახლოვდა და სადაურები ხართ, რა დანაშაულისთვის გაგასამართლეს, მაღაროდან როგორ ამოხვედით, ვინ დაგეხმარათო, გამოჰკითხა. თანაც ძალიან მეგობრულად ემასლაათებოდა. შემდეგ წამოდგა, დარბაზი გაიარა და საოცრად ახოვანი აღმოჩნდა. იგი სააკს მიუახლოვდა, მის საჭდეს ხელი მოჰკიდლა, დამღას დახედა და თუ იცი, საჭდეზე რა არის ამოტვიფრულიო, შეეკითხა, სააკმა, ეს რომის სახელმწიფო დამღაააო, უპასუხა.

პროკურატორმა თავი დაუქნია, ჰო, სნორია, ესე იგი, შენც სახელმწიფოს ეკუთვნიო, უთხრა. შემდეგ საჭდე გადაატრიალა და აშკარა ინტერესით, თუმცა გაუოცებლად, საჭდეს მეორე მხარეზე საიდუმლო ნიშნები დაათვალიერა.

— იესო ქრისტე... — წაიკითხა მან. სააკი და ბარაბა კი განცვიფრებულნი დარჩნენ, რომ პროკურატორმა საიდუმლო ნიშნები და უფლის წმინდა სახელი გაარჩია.

— ვინ არის? — იკითხა რომაელმა.

— ჩემი ღმერთია, — უპასუხა სააკმა და ხმა ოდნავ შეუთრთოლდა.

— ასე. მგონი მისი სახელი არ გამიგონია. მაგრამ უამრავი ღმერთი არსებობს. ყველას ხომ ვერ დაიმახსოვრებ. ეს რა, შენი მშობლიური მხარის ღმერთია?

— არა, — უპასუხა სააკმა. — ის ყველას ღმერთია.

— ყველას ღმერთი? ასეა საქმე? კარგი, კარგი. აი, მე, მის შესახებ არაფერი მსმენია. თავის სიდიადეს ეტყობა, მოხერხებულად მალავს!

— ჰო, — თქვა სააკმა.

— ყველას ღმერთიაო, ესე იგი პატარა ძალა არ უნდა ჰქონდეს. რით იკრებს ამ ძალებს?

— სიყვარულით.

— სიყვარულით?.. ჰმ, რატომაც არა, შეიძლება. კარგი, არ ჩაგერევი, როგორც გინდა, ისე ირწმუნე, ოღონდ მიპასუხე, მისი სახელი საჭდეზე რად გიწერია?

— იმიტომ, რომ მას ვეკუთვნი, — უპასუხა სააკმა და ხმა კვლავ ოდნავ აუთრთოლდა.

— ოჰო, მას ეკუთვნი? როგორ, განა დამღაზე რომაა აღნიშნული, იმ სახელმწიფოს არ ეკუთვნი? განა სახელმწიფო მონა არა ხარ?

ააკმა არაფერი უპასუხა. იდგა და იატაკს ჩასცქეროდა.

ბოლოს რომაელმა თქვა, სხვათა შორის, ძალიან უბოროტოდ თქვა:

— უნდა მიპასუხო. ხომ უნდა გავერკვეთ, გესმის თუ არა რას ამბობ. მაშ ეკუთვნი სახელმწიფოს თუ არა?

— ჩემს უფალს ვეკუთვნი, — უპასუხა ააკმა ისე, რომ თვალები არ აუწევია.

პროკურატორი იდგა და მას თვალს არ აცილებდა. შემდეგ ნიკაპში მოკიდა ხელი და გადატრუსულ სახეზე დააცქერდა. არაფერი კი უთქვამს და როცა დაინახა, რისი დანახვაც სურდა, ააკის ნიკაპს ხელი გაუშვა. შემდეგ ბარაბას მიუახლოვდა, ახლა მისი საჭდე გადააბრუნა და შეეკითხა:

— შენ? შენც ამ მოსიყვარულე ღმერთისა გწამს?

ბარაბამ არაფერი უპასუხა.

— აბა? გწამს თუ არა გწამს?

ბარაბამ თავი გაიქნია.

— არა? მაშ საჭდეზე მისი სახელი რად ამოგიტვიფრავთ?

ბარაბა ისევ გაჩუმდა.

— შენი ღმერთია თუ არა? ეს წარწერა ხომ ამას ნიშნავს?

— არა მყავს ღმერთი, — ბოლოს და ბოლოს ისე ჩუმად უპასუხა ბარაბამ, თითქოს არც უთქვამს, მაგრამ ეს პასუხი ააკმაც გაიგონა და რომაელმაც.

ამ წარმოუდგენელი სიტყვების შემდეგ, ააკის სასონარკვეთით, ტკივილითა და გაოგნებით აღსავსე მზერა ბარაბას ლახვარივით მოხვდა და გულ-ღვიძლი აუწვა, თუმცა თავად მაშინ ააკს არ უყურებდა.

რომაელი გაოცდა.

— არაფერი მესმის, — თქვა მან. — მაშ საჭდეზე „იესო ქრისტე" რად გიწერია?

— მინდა, რომ მწამდეს, — თავაუღებლად უპასუხა ბარაბამ. ნაჭრილობევი, უხეში, სასტიკი პირი, რომელსაც ძველი ძლიერების კვალი შერჩენოდა. ეს უმეტყველო სახე არაფერს ეუბნებოდა. ალბათ ამისთვისაც რომ მოეკიდა ნიკაპზე ხელი, მაინც არაფერს ეტყოდა. თუმცა აზრადაც არ მოუვიდოდა ამ მონისათვის აეწია ნიკაპი. რატომ? თვითონაც არ იცოდა.

პროკურატორი კვლავ ააკს მიუბრუნდა.

— ნეტავ თუ გესმის, ახლა რა მითხარი? შენ ხომ კეისარს აუჯანყდი? გესმის თუ არა, რომ კეისარიც ღმერთია, შენ კი მისი საკუთრება ხარ და კისერზეც მისი დამღა გკიდია? არადა, მიცხადებ, სხვა, იდუმალ ღმერთს ვეკუთვნიო, თანაც მისი სახელი საჭდეზეც ამოგიკვეთავს, რომ დაადასტურო კეისრის კი არა სხვისი საკუთრება ვარო. განა ასე არ არის?

— ჰო, — ნერვიულად უპასუხა სააკმა, მაგრამ ხმა აღარ უკანკალებდა.

— კიდევაც ადასტურებ?

— ჰო.

— თუ გესმის, ამისთვის რა გელოდება?

— ჰო, მესმის.

რომაელი გაჩუმდა. ამ მონათა ღმერთზე ფიქრობდა. სიმართლე თუ გნებავთ, მისი სახელი უკვე სმენოდა, ბოლო დროს ბევრს ყბედობდნენ ამ იერუსალიმელ უგნურზე, რომელიც მონის სამარცხვინო სიკვდილით მოკვდა. „...ხუნდებს დალეწავს...“ „...უფლის მონა ვარ და თავად დამიხსნის...“ ეს ყოველივე შეიძლება, არც ისე უწყინარი აღმოჩნდეს, თუკი დაფიქრდები... ისეთი სახეც, აი, იმას რომ აქვს, არც ერთ მონათმფლობელს არ მოეწონება...

— თუ შენს რწმენას უარყოფ, გადარჩები, — თქვა მან. — გასაგებია?

— არა, არ შემიძლია, — უპასუხა სააკმა.

— რატომ?

— ჩემი ღმერთის უარყოფა არ შემიძლია.

— უცნაური კაცი ხარ... იმედი მაქვს გესმის, რისი მოსჯაც მომინევს? ნუთუ მართლა ისეთი მამაცი ხარ, შენი რწმენისთვის სიკვდილი შეგიძლია?

— ამას მე ვერ გადავწყვეტ, — ჩუმად უპასუხა სააკმა.

— შენი პასუხი არცთუ ისე გაბედულად ჟღერს, ნუთუ სიცოცხლე არ გენანება?

— მენანება, — უპასუხა სააკმა.

— მაგრამ თუკი შენს ღმერთს არ უარყოფ, ვერაფერი გიშველის, სიცოცხლეს გამოემშვიდობები.

— ჩემს უფალთან განშორება არ შემიძლია.

პროკურატორმა მხრები აიჩეჩა.

— შენთვის ვერაფერს გავაკეთებ, — თქვა და მაგიდას მიუახლოვდა, სადაც მათი შემოყვანის დროს იჯდა. სპილოს ძვლის ჩაქუჩი მარმარილოზე დააკაკუნა. — შენი ღმერთივით შეშლილი ხარ, — დასძინა, თუმცა სააკისთვის აღარ მიუმართავს.

დარაჯის მოლოდინში პროკურატორი ბარაბას მიუახლოვდა, საჭდე გადააბრუნა, ხანჯალი ამოიღო და ალესილი მხრით იესო ქრისტეს სახელი გადახაზა.

— რახან მისი არა გწამს, ეს არც გჭირდება, — უთხრა.

სააკმა კი ამ დროს ისეთი მზერით შეხედა, რომ მზერა ბარაბას ცეცხლივით წაეკიდა და ამას ვერასდროს დაივიწყებდა.

შემდეგ სააკი წაიყვანეს, ბარაბა კი დარჩა.

პროკურატორმა გონიერი საქციელისათვის შეაქო, უთხრა, ჯილდოს იმსახურებ, წადი ათისთავთან და სხვა, უფრო მსუბუქ სამუშაოზე დაგაყენებენო.

ბარაბამ პროკურატორს ელვის უსწრაფესად შეხედა და რომაელმა ახლაღა შეამჩნია, რომ ამ სახეს ჰქონდა გამომეტყველება, ჰქონდა გამოხედვა და ეს გამოხედვა საშიში არ იყო. მასში სიძულვილი ჩაბუდებულიყო და ისე ცახცახებდა, როგორც ნვერი ისრისა, რომელიც მშვილდის ლარს არასოდეს მოსწყდება.

და ბარაბაც ბრძანების შესასრულებლად გაეშურა.

* * *

როცა სააკს ჯვარზე აკრავდნენ, ბარაბა ცოტა მოშორებით, ბუჩქებს ამოფარებული იდგა, რათა ჯვარცმულ მეგობარს მისთვის თვალი არ მოეკრა. მაგრამ სააკი წინასწარ ისე იყო ნაწამები, ბარაბას ალბათ მაინც ვერ შენიშნავდა. იგი მხოლოდ იმიტომ აწამეს, რომ ასე იყო მიღებული და გადაწყვიტეს განმგებელს ალბათ ბრძანების გაცემა დაავიწყდაო. არადა, პროკურატორს აზრადაც არ მოსვლია მისი წამება, თუმცა არც ის უთქვამს, ნუ აწამებთო. ჰოდა, ყოველი შემთხვევისათვის ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით გააკეთეს. რისთვის აკრავდნენ ჯვარზე ამ მონას, არავინ იცოდა და დიდად არავინ დაინტერესებულა. ისინი ჩვეულ სამუშაოს ასრულებდნენ.

სააკისათვის ნახევარი თავი კვლავ გადაეპარსათ, დარჩენილი თეთრი თმა კი სისხლით იყო მოთხვრილი. მას არაფრისმთქმელი

სახე ჰქონდა, მაგრამ ბარაბა სააკს კარგად იცნობდა და მიხვდა, რა აღებეჭდებოდა სახეზე ძალა რომ ჰქონოდა. ამ სახეს ბარაბა ალმოდებული თვალებით შესცქეროდა, თუკი საერთოდ შეიძლებოდა ბარაბას ალმოდებული თვალი ჰქონოდა. მაგრამ ახლა ალბათ შეიძლებოდა. გატანჯულ სხეულსაც თვალს ვერ აშორებდა, რომც მოენდომებინა, მაინც ვერ მოაშორებდა, ისე კი არც უნდოდა. ეს სხეული ისე გაძვალტყავებული და უძლური იყო, გაუგებარია ბოროტება აქ როგორ დაიბუდებდა. მისი მკერდი, რომელზედაც ყველა ნეკნს დაითვლიდი, სახელმწიფო ბეჭდით დაედაღათ, ნიშნად იმისა, რომ სახელმწიფო ღალატის გამო ისჯებოდა. საჭდე კი მოეხსნათ, რაც არ უნდა იყოს, ის მაინც ლითონისაა, თანაც ნამდვილად აღარ სჭირდებოდა.

იგი დასაჯეს ქალაქგარეთ, მომცრო გორაკის ფერდობზე სადაც მეჩხერი ბუჩქები ხარობდა. ბარაბა-შენდობილი სნორედ ერთი ასეთი ბუჩქის უკან იდგა. მისი და ჯვარზე გამკვრელების გარდა გორაკთან კაცი არ ჭაჭანებდა, სააკის სიკვდილი არავის აინტერესებდა. საერთოდ, აქ ბევრი ხალხი იკრიბებოდა ხოლმე, განსაკუთრებით თუ ვინმეს მძიმე დანაშაულის გამო სჯიდნენ, მაგრამ სააკს არავინ მოუკლავს, არავინ გაუძარცვავს და ვინ იყო და რა დააშავა, არავინ იცოდა.

ისევ გაზაფხული იდგა, სნორედ ისეთი გაზაფხული, როგორც მაშინ, ის და სააკი მიწისქვეშეთიდან რომ ამოვიდნენ, სააკი მუხლებზე დაეცა და „აქ არის, უკვე მოვიდაო“, დაიყვირა.

მდელოები ირგვლივ მწვანედ ხასხასებდა და ის გორაკიც კი სადაც სააკი ჯვარზე გააკრეს, ყვავილებს დაეფარა. მთებისა და ცოტა მოშორებით, ზღვის თავზე, მზე ანათებდა. შუადღის ხვატი იდგა და საკმარისი იყო უწმინდურ მთაზე ვინმეს გაევლო, რომ ბუზები ჯგროდ წამოიშლებოდნენ. სააკის სხეულსაც ბუზები შესეოდნენ, მას კი განძრევა და მათი მოგერიება არ შეეძლო. არა, ამ სიკვდილს ამაღლებულსა და განმანათლებელს სნორედ ვერ დაარქმევდი, და, მით უმეტეს, გაურკვეველი იყო, ბარაბა ასე რად შეძრა. მისი თვალები ყოველივეს გაფაციცებით ნთქავდა, რომ სამარადჟამოდ დაემახსოვრებინა. ოფლი სააკს შუბლიდან და ღრმად ჩაცვენილი იღლიებიდან მოჟონავდა, მკერდი, რომელზედაც რომის დამღა ამოეწვათ, აუდ-ჩაუდიოდა, მომაკვდავი მძიმედ კვნესოდა. ბუჩქს უკან მიმალულ ბარაბას ყველა ჩქამი ესმოდა. იგი თავადაც მძიმედ,

ნანყვეტ-ნანყვეტ სუნთქავდა და პირიც ჯვარზე გაკრული მეგობარივით გაეღო. მოსწყურდა კიდეც, სნორედ ისე, როგორც ახლა ალბათ ჯვარზე გაკრულ სააკს სწყუროდა. ჰო, გაუგებარია, მაგრამ ისინი ხომ ასე დიდხანს იყვნენ გადაჯაჭვულნი და ახლა ბარაბას მოეჩვენა, ყველაფერი უკუღმა დატრიალდა და ჯვარცმულს ისევ ჯაჭვით მიმაბესო.

სააკმა რაღაცის თქმა სცადა, ალბათ წყალი დამალევინეთო, ითხოვა, მაგრამ ვერავინ გაიგო. ბარაბამაც კი ვერაფერი გაიგონა, თუმცა დაძაბული უსმენდა. მართალია, ის მოშორებით იდგა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ფერდობი აერბინა, ჯვართან მისულიყო, მეგობარს გამოხმაურებოდა, რა გინდა, ხომ ვერაფრით დაგეხმარებიო, ეკითხა და ბუზებიც გაეყარა. მაგრამ ბარაბას ადგილიდან ფეხიც არ მოუცვლია. ბუჩქის უკან იდგა და ადგილიდან ფეხსაც არ იცვლიდა. მხოლოდ ალმოდებულ თვალებს სააკს არ აშორებდა და ჯვარცმულის ტანჯვის მაცქერალს, თავადაც პირი დაეღო.

ჯვარცმულს მალე დაეტყო, რომ ბევრი აღარ დარჩენოდა. იგი უფრო სუსტად სუნთქავდა, მკერდიც ძველებურად აღარ აუდ-ჩაუდიოდა და ბარაბას მისი სუნთქვა საერთოდ აღარ ესმოდა. შემ-დეგ ჩავარდნილი მკერდი თითქოს გაიყინა, ესე იგი სააკი მოკვდა. ყოველგვარი წყვდიადისა და სასნაულის გარეშე, შუადღის გულზე, ჩუმად და შეუმჩნევლად მოკვდა. იმათ კი, ვისაც ამისთვის უნდა ეთ-ვალთვალათ, ვერაფერი შენიშნეს, ინვნენ და კამათელს სწორედ ისე აგორებდნენ, როგორც მაშინ, დიდი ხნის, ძალიან დიდი ხნის წინათ. მაგრამ ამჯერად არც წამომხტარან და არც დაფეთებულან, არიქა, ჯვარცმული მოკვდაო. უბრალოდ, ვერაფერი შენიშნეს. მხოლოდ ბარაბამ შენიშნა და როგორც კი მიხვდა, სული შეუგუბდა, მუხლე-ბზე ისე დაეცა, თითქოს ლოცვას აპირებდა.

უცნაურია! როგორ გაიხარებდა სააკი ეს რომ დაენახა. მაგრამ სააკი უკვე მკვდარი იყო და ვეღარაფერს დაინახავდა.

ბარაბა მუხლებზე დაეცა, მაგრამ ლოცვა მაინც ვერ შესძლო. აბა ვისთვის უნდა აღევლინა ლოცვა. მხოლოდ ცოტა ხანს მუხლებზე იდგა, შემდეგ ჭაღარა-წვერიანი, ტანჯული სახე ხელებში ჩამალა და ეტყობა, ატირდა.

უცებ ერთ-ერთმა ჯარისკაცმა შენიშნა, ჯვარცმული მოკვდა და შეიგინა. ახლა მხოლოდ მისი ჩამოხსნაღა იყო საჭირო და შეიძლე-ბოდა გზას გასდგომოდი. მათაც ჩამოხსნეს და გზას გაუდგნენ.

ასე გააკრეს ჯვარზე სააკი. ბარაბა-შენდობილი კი იდგა და შესცქეროდა.

* * *

იმ დროისათვის, როცა თავისი თანამდებობა დატოვა და დარჩენილი ნლების გასატარებლად რომში დაბრუნდა. პროკურატორს კუნძულის ყველა გამგებელზე მეტი სიმდიდრე ჰქონდა. სამაგიეროდ, საბადოებიცა და მთელი პროვინციაც, მისი გამგებლობის ჟამს, ჯერ არნახულ შემოსავალს იძლეოდა. უთვალავი ზედამხედველი, თავისი მგზნებარებით, სიმკაცრითა და ალბათ სისასტიკითაც არანაკლებ უწყობდა ხელს პროკურატორს მოსახლეობისა და მონების მთელი ძალები გამოეყენებინა და ბუნებისაგანაც ყოველივე გამოეწურა. თავად პროკურატორი კი მკაცრი კაცი სულაც არ გახლდათ. სასტიკი ის კი არა, მისი გამგებლობა იყო და სისასტიკესაც მას მხოლოდ არცოდნის გამო სწამებდნენ. სწორედ ისინი სწამებდნენ, ვინც მას საერთოდ არ იცნობდა. ჭორები და ვარაუდები არ ილეოდა. მაღაროს ჯურღმულებსა და მზით გადახრუკულ ველებზე მომუშავე ათასობით დაბეჩავებული ადამიანი როცა გაიგებდა პროკურატორი გვტოვებსო, ღმერთს მადლობას სწირავდა და ახალი განმგებელი უკეთესი იქნებაო, ბრიყვულად იმედოვნებდა. პროკურატორი კი სასურველ კუნძულს სევდითა და სინანულით ტოვებდა. მან ხომ აქ თავის გემოზე იცხოვრა.

განსაკუთრებით თავისი საქმიანობის მიტოვება არ უნდოდა, რადგან ჯერ კიდევ ჯან-ღონით აღსავსე გახლდათ. მაგრამ ამასთანავე დახვეწილი პიროვნებაც იყო და სიამოვნებით ელოდა იმ სიტკბოებას, რომის ფუფუნება და ტოლ-სწორთა საზოგადოება რომ ჰპირდებოდა. დაჩრდილულ გემბანზე მოხერხებულ სავარძელში ჩაფლული პროკურატორი ლაღად ოცნებობდა.

მონები, რომლებსაც პირადი საჭიროებისათვის გამოიყენებდა და მათ შორის ბარაბაც, პროკურატორმა თან წაიყვანა. თუმცა ბარაბა ამ სიაში მხოლოდ რომაელის კეთილმოსურნეობის გამო მოხვდა. მისი ასაკის მონას რაღას გამორჩებოდი, მაგრამ პროკურატორმა დაიმახსოვრა ეს დამჯერე, მორჩილი მონა, ასე გონიერად რომ მისცა თავისი ღმერთის სახელის წაშლის უფლება და მისი წაყვანა

გადაწყვიტა. აბა ვინ იფიქრებდა, რომ ბარაბას ასეთი მზრუნველი და მადლიანი მფარველი გამოუჩნდებოდა.

ხომალდი ჩვეულებრივზე დიდხანს მიცურავდა, ზურგის ქარი დიდხანს არ უბერავდა, მაგრამ მრავალი კვირის მანძილზე ნიჩბების მოსმით ხელებდასისხლიანებულმა მონებმა, ბოლოს და ბოლოს ხომალდი ოსტიაში ჩაიყვანეს. მეორე დღეს პროკურატორი უკვე რომში იყო. მალე კი მისი ქონება და მონებიც ჩამოვიდნენ.

სასახლე, რომელიც მისი ბრძანებით იყიდეს, ქალაქის შუაგულში უმდიდრეს უბანში იდგა. ეს რამდენიმესართულიანი შენობა მრავალფეროვანი მარმარილოთი იყო მოპირკეთებული და არნახული ფუფუნებით მორთული. ბარაბა სხვა მონებთან ერთად სარდაფში ცხოვრობდა, მთელ სასახლეში მხოლოდ ამ სარდაფს ხედავდა, მაგრამ მაინც ესმოდა, რომ მისი პატრონის სახლში ქონება დუღდა და გადმოდუღდა. თუმცა ეს მისთვის სულ ერთი იყო. მძიმე სამუშაოს არ აკეთებინებდნენ, ნვრილმან დავალებებს ასრულებდა. ყოველ დილით კი ორ სხვა მონასთან ერთად თან ახლდა გაბღენძილ, გათავისუფლებულ მონას, სამზარეულოს ზედამხედველს, როცა ის სურსათის საყიდლად ბაზარში მიდიოდა. ასე რომ, ბარაბა რომს საკმაოდ ხშირად ათვალიერებდა.

მაგრამ, ვინ იცის, იქნებ, უფრო სწორი იყო გვეთქვა, რომი სულაც არ უნახავს-თქო. რომი ბარაბას მხოლოდ თვალწინ გაუელვებდა ხოლმე. ხალხით გაჭედილ ვიწრო ქუჩებსა და ახმაურებულ ბაზრის მოედანზე გზას მიიკვლევდა და ყველაფერს თითქოს შორიდან, ნისლის მიღმა ხედავდა. მსოფლიოს ძლიერი, ხმაურიანი დედაქალაქი თითქოს ნამდვილი არ იყო და ისიც, ფიქრებში ჩაფლული ისე დაეხეტებოდა, თითქოს იქ არც იმყოფებოდა. მრავალი ქვეყნის, სხვადასხვა ჯურის მამაკაცებსა და ქალებს მოეყარათ თავი და ბარაბას გარდა ყველას აოცებდა ადამიანებით დასახლებული ჭიანჭველების ეს ბუდე, მისი სიმდიდრე და ბრწყინვალება, ვეებერთელა შენობები და ყოველგვარ ღმერთთა უამრავი ტაძარი, სადაც მოოქროვილი ჯალამბრებით ცნობილი ბატონები მიჰყავდათ, რათა თავ-თავიანთი ღმერთებისათვის თაყვანი ეცათ იმ დროს, როცა უკვე Via Sacra-ს ვაჭართა მდიდარი სამეკიტნეოების მიერ შემოთავაზებული ცდუნებები ან საუცხოო აბანოების განცხრომა აღარ იზიდავდათ. ნებისმიერი სხვა კაცი თვალებს ააცეცებდა, რომ ეს ბრწყინვალების ხატი დაეჭირა, მაგრამ ბარაბას თვალები არაფერს იჭერდა,

შეიძლება იმიტომაც, რომ ძალიან ღრმად ჩამალულიყო და ყოველივეს, რასაც ხედავდა, როგორც უსარგებლოსა და უცხოს, ხატად არ აქცევდა. არა, ყველაფერი ეს ბარაბას არაფერში სჭირდებოდა. გინდაც სულ არ ყოფილიყო, მისთვის სულ ერთი იქნებოდა. თავად, ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა.

მაგრამ ეს ქვეყანა ბარაბასთვის მთლად სულ ერთი არ იყო, რამეთუ სძულდა იგი.

ქუჩაში ჩავლილ პროცესიებს: ქურუმებს, მორწმუნეებს, წმინდა სიმბოლოებს თითქოს მირაჟად აღიქვამდა. კაცს, ვისაც ღმერთი არ ჰყავდა, უკვირდა, რომ ეს პროცესიები დროდადრო გზაზე ხვდებოდა და მათთვის გზა უნდა დაეთმო. იგი კედელს აეკრობოდა ხოლმე და მათ კვალს ალმაცერად, უჩუმრად გასცქეროდა. ერთხელ გაჰყვა კიდეც და რომელიღაც უცნაურ ტაძართან მივიდა. ასეთი ტაძარი მას არასოდეს ენახა. შიგნით შევიდა და ჩვილბავშვიანი დედის ქანდაკების წინ სხვებივით დადგა. შემდეგ ეს ვინ არისო, იკითხა და მაშინვე უპასუხეს, ნეტარი იზიდაა, ხელში კი ჩვილი გორი უჭირავსო. თანაც უნდობლად შეხედეს, საიდან მოსულა — წმინდა დედის სახელი რომ არ იცისო. ტაძრის დარაჯმა კი მას სპილენძით შეჭედილ კარისკენ უბიძგა და იდუმალი ნიშნით მისი გაძევება ითხოვა, რათა თავისი თავიცა და ტაძარიც ბარაბასაგან დაეცვა. დარაჯი თითქოს მიხვდა, რომ იგი ზეცისა და დედამინის შემქმნელის სიძულვილით იყო ჩასახული და შობილი.

ბარაბას უპისქვეშა ნაჭრილობევი გაულურჯდა, ველურ, ჩამქრალ მზერაში გასაფრენად მომზადებული ისარივით აუცახცახდა სიძულვილი, იგი ქუჩებსა და შესახვევებში გარბოდა, „განვედ ჩვენგან, უწმინდურო!" გზა აებნა, დაეკარგა. ბოლოს და ბოლოს, სახლს მიაგნო. მაშინვე დასჯა მოუნდომეს და მხოლოდ იმიტომ არ დასაჯეს, რომ ყველამ იცოდა, პატრონი წყალობდა. თანაც ბარაბას დაბნეული განმარტება უცხო და უცნობ ქალაქში გზა დამებნაო, დამაჯერებლად ჟღერდა. ბარაბა მონათა სარდაფის შორეულ კუთხეში დაიმალა. სიბნელეში იწვა, მკერდი აუდ-ჩაუდიოდა და გადახაზული სახელი „იესო ქრისტე" ცეცხლივით წვავდა.

იმ ღამით ესიზმრა, რომ სხვა მონასთან იყო გადაჯაჭვული. მონა ინვა და ლოცულობდა, ბარაბა კი მას ვერ ხედავდა.

— ვისთვის ლოცულობ? — შეეკითხა ბარაბა. — რისთვის ლოცულობ?

— შენთვის ვლოცულობ, — სიბნელიდან უპასუხა მონამ და ბარაბას მისი ხმა ეცნაურა.

ჩუმად იწვა, რათა მისთვის ლოცვა არ შეეშალა და ბებერი თვალები ცრემლით ევსებოდა. გაიღვიძა თუ არა, იატაკზე ხელი მოაფათურა, ჯაჭვი მოიძია, ჯაჭვი კი არსად იყო, არც მონა ჩანდა. ბარაბა არავისთან, მთელ ქვეყანაზე არავისთან არ იყო გადაჯაჭვული.

ერთხელაც მარტო იჯდა და სასახლის თაღიანი სარდაფის კედელზე, მოფარებულ ადგილას მიჩხაპნილი თევზის ნიშანი დაინახა. ეს თევზი მოუქნელ ხელს მოეხაზა, მაგრამ რას გამოხატავდა ან მასში რა აზრი იფარებოდა, ეჭვს არ იწვევდა. ბარაბა იდგა და აქაურ მონებს შორის ქრისტიანი რომელიაო, ფიქრობდა. ამაზე შემდეგაც დიდხანს ფიქრობდა და ყველას ერთად, თანაც ყოველ მათგანს ცალ-ცალკე უთვალთვალებდა, გამოცანის ამოხსნას ცდილობდა. თუმცა არავინ გამოუკითხავს, არც გამოუკვლევია. ძნელი სულაც არ იქნებოდა, მაგრამ არავისთვის არაფერი უკითხავს.

სხვა მონებს ბარაბა საერთოდ არ ეკარებოდა, უფრო სწორად, მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში მიმართავდა. იგი ხმას არავის სცემდა, ამიტომ, არავის იცნობდა. არც მას იცნობდა ვინმე და არც არავის აინტერესებდა.

რომში უამრავი ქრისტიანი იყო, ბარაბამ ეს იცოდა. ისიც გაეგონა, რომ ქრისტიანების საძმო ქალაქის სხვადასხვა უბნებში, თავის სამლოცველოებში იკრიბებოდა. მაგრამ ბარაბა მათთან არ მიდიოდა. რამდენჯერმე კი დააპირა წასვლა, მაგრამ საბოლოოდ მაინც არ წავიდა. თავის საჭდეზე მათი ღმერთის სახელი ეწერა, მაგრამ სახელი გადახაზული ჰქონდა.

უკანასკნელ ხანს ქრისტიანები, ცხადია, იმალებოდნენ, სხვადასხვა უბნებში ჩუმად იკრიბებოდნენ, დევნის ეშინოდათ. ბარაბამ ეს ბაზარში გაიგონა. იქ ვიღაც კაცი იდგა და გაფშეკილი ხუთი თითით ქრისტიანებისაგან თავს ისე იცავდა, როგორც წმინდა დედის ტაძრის დარაჯმა ბარაბასგან დაიცვა თავი. ქრისტიანებზე ამბობდა, სახიფათო და საზიზღრები არიან, შეიძლება გაგთვალონ, რას არ ჩაიდენენო. მათი ღმერთი ხომ საზარელი ბოროტმოქმედია და რა ხანია ჯვარზე გააკრეს, ჯობია მათგან თავი შორს გეჭიროსო.

ერთ საღამოს, შემთხვევით, სარდაფის წყვდიადში, ბარაბამ ორი მონის ჩურჩული გაიგონა. ისინი მას ვერ ხედავდნენ და თავიც მარ-

ტო დაიგულეს. ვერც ბარაბა ხედავდა, მაგრამ ხმები ეცნაურა. ეს ორი მონა ამ სახლში სულ ახალი მოყვანილი იყო, ისინი სულ რამდენიმე კვირის წინ იყიდეს.

ორივე ჩუმად საუბრობდა საძმოს შეკრებაზე, ხვალ საღამოს, აპიის გზაზე, მარკუს ლუციუსის ბაღში რომ იყო დანიშნული. მაგრამ ბარაბა მალე მიხვდა, რომ შეკრება დანიშნული იყო არა ბაღში, არამედ ებრაელთა კატაკომბებში, რომელიც სწორედ იქ იწყებოდა...

უცნაური ადგილი აურჩევიათ... მიცვალებულთა შორის... რამ მოაფიქრათ...

მეორე საღამოს, სანამ ღამით სარდაფს ჩაკეტავდნენ, ბარაბამ გაძვრომა მოასწრო. თუმცა ამისთვის სიკვდილით დასჯა ელოდა.

როცა Via Appia-ზე გავიდა. უკვე ბინდი ეშვებოდა და ქუჩაშიც კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ბაღთან მისასვლელი გზა იმ მწყემსმა ასწავლა, რომელიც ცხვრის ფარას შინისაკენ მიერეკებოდა.

ბარაბა მინისქვეშეთში შევიდა და ვიწრო, დამრეც გზას ხელების ფათურით გაუყვა. დღის სინათლე ზევიდან ჯერ კიდევ აღწევდა და კარგად ჩანდა კუბოთა პირველი რიგი თანდათან ბინდში როგორ იძირებოდა. კაცი ხელებს ცივ, სველ კედლებზე აფათურებდა და წინ მიიწევდა. მონებმა თქვეს პირველ, დიდ გალერეაში შევიკრიბებითო, ჰოდა, ბარაბაც მიდიოდა და მიდიოდა.

აი, მგონი, ხმები გაისმა. კაცი ადგილზე გაიყინა, ყური მიუგდო — არა, არაფერი ისმოდა. ისევ დაიძრა. ფრთხილად მიაბიჯებდა. მიმავალს ხშირად საფეხურები ხვდებოდა, ხან ერთი, ხანაც რამდენიმე საფეხური, და ბარაბაც სულ უფრო და უფრო ქვევით ეშვებოდა.

გალერეა კი არა და არ ჩანდა. კუბოთა შორის მხოლოდ ვიწრო გასასვლელი მიემართებოდა. შემდეგ ეს გასავლელი ორად გაიყო ბარაბამაც, საით ნასულიყო, აღარ იცოდა. სრულიად დაბნეული, გაოგნებული შეჩერდა, მაგრამ ამ დროს, სადღაც შორს ნაპერწკალი აკიაფდა — ძალიან შორს აკიაფდა. რა თქმა უნდა, ცეცხლის ალია! ბარაბაც იქით გაქანდა. ეტყობა, იქ არიან!

მოულოდნელად ალი გაქრა. სულ მთლად გაქრა. იქნებ, შემთხვევით სხვა გასასვლელში შევიდა? უკან გამოქანდა, რათა ალი კვლავ დაენახა, მაგრამ ალი გაქრა, აღარსად ჩანდა.

ბარაბას ვერაფერი გაეგო. სად არიან? როგორ მოძებნოს? არადა, ნამდვილად აქ არიან.

თავად სადღა შემოეხეტა? თუმცა არა უშავს, მას ხომ კარგად ახსოვს რა გზით იარა, შესასვლელამდე მისვლა არ გაუჭირდება. და უკან დაბრუნება გადაწყვიტა.

მაგრამ, როგორც კი უკან გამობრუნდა, სწორედ იმ გზით, სადაც ყოველი ორმო დაამახსოვრდა, უცებ კვლავ ალი დაინახა მკაფიო, ძლიერი შუქი გვერდითა გასასვლელში გამოჩნდა — ალბათ ადრე ვერ შეამჩნია და ალიც ახლა სხვა მიმართულებით მიირნეოდა. ეს, ალბათ, იგივე შუქი იყო და ბარაბაც ახლა იქით გაქანდა. შუქი უფრო და უფრო აკაშკაშდა და... მოულოდნელად ისევ ჩაქრა. სულ გაქრა.

ბარაბამ თავზე ხელი იტაცა, თვალები მოიფშვნიტა. ეს რა შუქია? ან იყო კი საერთოდ შუქი? იქნებ, მოეჩვენა? იქნებ, მის თვალებს ისევ რაღაც დაემართა... როგორც ოდესღაც... დიდი ხნის წინათ... კაცი თვალებს იფშვნეტდა და აქეთ-იქით საცოდავად იხედებოდა...

შუქი არ იყო! არსად არ იყო! ირგვლივ მხოლოდ გაყინული წყვდიადი მეფობდა და ბარაბაც ამ წყვდიადში მარტო იდგა, მის მეტი აქ არავინ ჩანდა. არც ერთი სულიერი, არავინ, მხოლოდ მიცვალებულები მოჩანდნენ!

მიცვალებულები! ირგვლივ მხოლოდ მიცვალებულები იყვნენ! ირგვლივ, ყველგან, ყოველ მხარეს, ყველა გასასვლელში, საითაც არ უნდა გაგეხედა, მხოლოდ მიცვალებული მოჩანდნენ! საით წავიდეს? ბარაბას წარმოდგენა არ ჰქონდა, რა გზას უნდა დადგომოდა, რომ აქედან გასულიყო, თავი დაეხსნა, მიცვალებულთა საუფლოსთვის თავი დაეღწია.

მიცვალებულთა საუფლო!.. მიცვალებულთა საუფლოში ჩაეშვა! მიცვალებულთა საუფლოში ჩაიკეტა!

ბარაბას ელდა ეცა. გულისამრევი შიში იგრძნო. და უცებ წინ ალალბედზე გაქანდა. იგი გასავლელებში დაქროდა, სიბნელეში საფეხურებს აწყდებოდა, აქეთ-იქით ეხეთქებოდა, გასვლას, აქაურობისგან თავის დაღწევას ლამობდა. წინ და უკან შეშლილივით დარბოდა, იხრებოდა, ბორძიკობდა, აწყდებოდა კედლებს, სადაც მიცვალებულები იყვნენ შემარხულები და აქედან გაღწევის იმედი ეწურებოდა...

და აი, როგორც იქნა, იქიდან, ზემოდან, სხვა სამყაროდან მონაბერი თბილი სიო მიელამუნა... თითქმის გონდაკარგული ბარაბა ფერდობზე აბობღდა და ვენახში აღმოჩნდა. იქვე, მიწაზე გაწვა. ასე ინვა და ცარიელ, ჩამუქებულ ზეცას შესცქეროდა.

ბინდი უკვე ყველგან ჩამოწოლილიყო. დედამიწაზეც, ცაშიც, ყველგან წყვდიადი მეფობდა.

როცა შინ მიბრუნებული ბარაბას ღამეულ Via Appia-ს მიუყვებოდა, თავს ძალიან მარტოსულად გრძნობდა, იმიტომ კი არა, რომ გვერდით არავინ ედგა და ქუჩაშიც არავინ ხვდებოდა, არამედ იმიტომ, რომ ამ უკიდეგანო ღამეში, მთელი დედამიწა რომ მოეცვა, მარტოდმარტო მიაბიჯებდა და არც მიწაზე, არც ზეცაში, არც ცოცხალი და არც მკვდარი არავინ ეგულებოდა. ბარაბა ყოველთვის მარტოსული იყო, მაგრამ ამას მხოლოდ ახლალა მიხვდა. იგი ისე მიაბიჯებდა, თითქოს წყვდიადში იყო დამარხული, ბებერ, ეულ სახეს კი მამის დანით მიყენებული ნაჭრილობევი სერავდა. მოშვებულ, ბებერ მკერდზე, ჭაღარა ბალანში ჩამალულიყო მონის საჭდე, რომელზედაც უფლის გადახაზული სახელი ეწერა. ჰო, ის მარტოდმარტო იყო, არც მიწაზე, არც ზეცაში არავინ ჰყავდა.

ბარაბა თავის თავში, თავის მიცვალებულთა საუფლოში ჩაკეტილიყო. თავი როგორ დაეღწია იქიდან?

ერთადერთხელ გადააჯაჭვეს კაცს და ისიც რკინის ჯაჭვით. მხოლოდ რკინის ჯაჭვით გადააბეს, მეტი არაფრით, არასდროს...

ბარაბა მიდიოდა და ქვაფენილზე საკუთარი ნაბიჯების ხმა ესმოდა. ეს ხმა რომ არა, სრული სიჩუმე დაისადგურებდა, თითქოს მთელ ქვეყანაზე მის გარდა არავინ არსებობდა. ყოველი მხრიდან წყვდიადი შემოხვეოდა. შუქი არსად მოჩანდა. შუქის სულ მცირე ციალიც კი არსად მოჩანდა. ვარსკვლავებიც არ ჩანდა და გარემო მიტოვებულს, ცარიელს ჰგავდა.

ბარაბა მძიმედ სუნთქავდა, ჰაერიც სიცხიანივით გავარვარებული და ჩახუთული იყო. იქნებ თავად ბარაბას ჰქონდა სიცხე. იქნებ, ავად გახდა, იქნებ, იქ, ქვემოთ, სიკვდილი შემოეპარა? სიკვდილი! ის ხომ ყოველთვის თან სდევდა, მასში დაებუდებინა ყოველთვის, მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანას მოევლინა, თან სდევდა საკუთარი გონების ბნელ, თხუნელას დერეფანივით ვიწრო გასასვლელებში სწორედ ის ერეკებოდა, ელდით ავსებდა. თუმცა დაბერდა და სიცოცხლეც აღარ უნდოდა, მაინც ელდით ავსებდა... არადა, რა სიხარულით... ჰო, სიხარულით...

არა, არა, ოღონდ ნუ მოკვდება, ოღონდ ნუ მოკვდება!

ისინი კი მიცვალებულთა საუფლოში იკრიბებიან, ლოცულობენ, თავის ღმერთსაც და ერთმანეთსაც შეერწყმებიან. სიკვდილის არ ეშინიათ, სიკვდილი დაამარცხეს. საძმოს შეხვედრებზე, სიყვარულის საღამოებზე იკრიბებიან... „გიყვარდეთ ერთმანეთი..." „გიყვარდეთ ერთმანეთი...".

და აი, ბარაბა მათთან მივიდა, ისინი კი იქ არ დახვდნენ, არც ერთი არ დახვდა. კაცი კი წყვდიადში, თხუნელას დერეფანივით ვიწრო გასასვლელებში დაეხეტებოდა...

სად გადაიკარგნენ? სად გადაიკარგნენ ისინი ვითომ ერთმანეთი რომ უყვართ?

საით წავიდნენ, ირგვლივ ხომ ღამე, ჩახუთული ღამე ჩამოწვა? (აქ, ქალაქში ჩახუთული ჰაერი უფრო ახრჩობდა), ღამემ მხურვალე ღამემ მთელ დედამინას რიდე ჩამოაფარა და სასუნთქი ჰაერიც აღარ დატოვა. ბარაბას ღამე ახრჩობდა, სულს უხუთავდა.

კუთხეში შეუხვია და ტრუსის სუნი ეცა. შორიახლო მდგარი სახლის სარდაფიდან და პირველი სართულიდან ბოლი ამოდიოდა ზოგიერთი ფანჯრიდანაც ალი გამოიჭრა... ბარაბა იქით გაქანდა!

გაქანდა და ირგვლივ დაძრული ხალხის ხმაც გაიგონა:

— ხანძარია! ხანძარია!

გზაჯვარედინზე შენიშნა, რომ მეორე ქუჩაც იწვოდა, თანაც უფრო ძლიერად. ბარაბას აღარაფერი გაეგებოდა... და მოულოდნელად ვიღაცამ დაიყვირა:

— ქრისტიანები! ქრისტიანებმა გადაწვეს!

მაშინ ყოველი მხრიდან გაისმა:

— ქრისტიანებმა! ქრისტიანებმა!

თავდაპირველად ბარაბა ადგილზე გაიყინა, რას ამბობდნენ, ვერ გაიცნაურა, გონება ვერ მოიკრიბა. ქრისტიანები რა შუაშია?... და მოულოდნელად ყველაფერს მიხვდა.

ცხადია ქრისტიანების საქმეა! ქრისტიანებმა გადაწვეს რომი! მთელი ქვეყანა გადაწვეს!

ახლა გასაგებია კატაკომბებში რად არ დახვდნენ! ისინი აქ დარჩნენ, რათა ეს უგვანი რომი ცეცხლისათვის მიეცათ, რათა მთელი ეს უგვანი ქვეყანა ცეცხლისათვის მიეცათ! საათმა დაჰკრა! მათი მაცხოვარი დაბრუნდა!

ჯვარცმული მოვიდა, ის, გოლგოთელი დაბრუნდა, ხალხის გადასარჩენად, ამ ქვეყნის დასარბევად დაბრუნდა. განა ასე არ შეჰპირ-

და? განა არ დაიბარა ამ ქვეყანას ცეცხლს მივცემ, გავანადგურებო? მან ხომ პირობაც დასდო. და აი, როგორც იქნა, თავისი ძალა გამოაჩინა. მას უნდა დაეხმაროს ბარაბა! გოლგოთაზე დაღუპულ თავის ძმას, დაღუპული ბარაბა ახლა აღარ უღალატებს! ახლა აღარ მოატყუებს!

კაცმა უახლოეს ცეცხლმოკიდებულ სახლთან მიირბინა, დიდი ნაკვერჩხალი აიტაცა და მეზობელ სახლს ესროლა, ერთიმეორეს მიყოლებით ნაკვერცხლებს იტაცებდა და სახლებს და სარდაფებს ესროდა. არ გიღალატებ! არ გიღალატებ! ზუსტად ისროდა, არ აცილებდა! რა ცეცხლი ავარდა! ალი ერთი სახლიდან მეორეზე გადადიოდა, კედლებს ლოკავდა, ყველაფერი ცეცხლში გაეხვია! ბარაბა კი ისევ დარბოდა, უფრო დიდ ცეცხლს აჩაღებდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, იხრჩობოდა, უფლის გადახაზული სახელი კი გულთან ახლოს უცახცახებდა. არ გიღალატე! უფალო ჩემო, არ გიღალატე! როცა ნამდვილად დაგჭირდი, როცა ჟამმა, დიადმა ჟამმა დარეკა, როცა ყოველივეს დაღუპვის დრო დადგა! გაჩაღდა ცეცხლი, გაჩაღდა! ყველაფერი უშველებელი ცეცხლის ალის ზვირთად გადაიქცა და ქვეყანაც ცეცხლმა მოიცვა!

აი, ეს არის! შეხედე! აი, ეს არის მისი მეუფება!

* * *

ყველა ქრისტიანი, ვისაც ხანძრის გაჩენაში ბრალი ედებოდა, კაპიტოლიუმი მინისქვეშა ციხეში ჩაყარეს. მათ შორის ბარაბაც იყო. იგი ბოროტმოქმედების ადგილზე შეიპყრეს, დაჰკითხეს და აქ, მათთან მოიყვანეს... ახლა იგი ქრისტიანებთან ერთად იჯდა.

ციხე პირდაპირ კლდეში იყო გამოკვეთილი და კედლებიც ნესტიანი გახლდათ. ჩამოწოლილ ბინდში სახეები ბუნდოვნად მოჩანდა და ბარაბას ეს ახარებდა. იგი მოშორებით, დამპალ ჩალაზე იჯდა და ყველასთვის ზურგი შეექცია.

ქრისტიანები კი სულ ამ ხანძარზე და თავის ხვედრზე საუბრობდნენ. ცხადია, ხანძარი მხოლოდ საბაბი იყო მათ შესაპყრობად. მსაჯულმა თავადაც მშვენივრად იცოდა, რომ ქრისტიანებს არაფერი გადაუწვავთ. ისინი ხომ იქ არც ყოფილან, ხანძრის ადგილას არ ყოფილან, როგორც კი გაიგეს შეპყრობას გვიპირებენო, ვიღაცამ კატ-

აკომბებში ჩვენი შეხვედრის ადგილი გასცაო, სახლებიდან არც კი გამოსულან: ქრისტიანები უდანაშაულონი არიან. მაგრამ რას იზამ, თუკი ყველას სჭირდება, რომ დამნაშავენი სწორედ ისინი იყვნენ, თუკი ყველას უნდა დაიჯეროს, რომ მოსყიდული ბრბოს ყვირილი „ქრისტიანებმა გადანვესო", სრული სიმართლეა.

— ვინ მოისყიდა? — სიბნელიდან გაისმა ხმა, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

... განა მაცხოვრის მიმდევრებს ხანძრის გაჩენა და რომის გადაწვა შეეძლოთ? განა ამის დაჯერება შეიძლება? მაცხოვარი ხომ ადამიანთა სულებს ანადგურებს ცეცხლით და არა მათ ქალაქებს. იგი, უფალი ჩვენი და მიწისა და ზეცის მაცხოვარი, ბოროტმოქმედი არ არის.

და ტყვეებიც ერთხმად ალაპარაკდნენ მასზე, ვინც თავად სინათლე და სიყვარული იყო და მის მეუფებაზე, მისივე აღთქმით რომ ელოდნენ. შემდეგ ჰიმნების გალობა ნამოინყეს და ამ ჰიმნებში ისეთი ლამაზი, უცნაური სიტყვები იხმარეს, ბარაბას ადრე რომ არად გაეგონა. იგი თავჩაქინდრული იჯდა და მათ გალობას ისმენდა.

სწორედ ამ დროს გარედან ურდული გადასწიეს, კარის ანჯამებმა გაიჭრიალა და ზედამხედველი შემოვიდა. მან კარი ოდნავ შეღებული დატოვა, რათა მცირეოდენ შუქს შემოეღწია, სანამ პატიმრებს დაანაყრებდა. თავად, როგორც ჩანს, სულ ახლახან გამომძღარიყო და ლაზათიანადაც გადაეკრა, რადგან სახე წამოწითლებოდა და ყბედობის გუნებაზე მოსულიყო. ბინძურად იგინებოდა და მონებს სალაფავს ესროდა. თუმცა თავისი ლანძღვით ვინმეს შეურაცხყოფა არც უფიქრია, უბრალოდ ლაპარაკობდა იმ ენაზე, რომელზედაც ამ სამსახურში ჩამდგარი ხალხი ლაპარაკობს ხოლმე. ყველა დროის, ყველა ზედამხედველი ამ ენაზე ლაპარაკობდა. საერთოდ კი გულითადი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მან მოულოდნელად შენიშნა ბარაბა, რომელსაც ოდნავ შეღებული კარიდან შემოჭრილი სინათლის სხივი ეცემოდა და გულიანად გადაიხარხარა.

— ეს ბრიყვიც აქ არის! — დაიყვირა მან. — დარბოდა და რომს ცეცხლს უკიდებდა! ის ხომ სწორედ მაშინ დაიჭირეს, როცა ნაკვერცხლით ხელში საწვავის საწყობისკენ, კაიუს სერვიუს საწყობისკენ მიქროდა!

ბარაბას თვალები არ აუწევია. მისი გაყინული სახე არაფერს გამოხატავდა, მხოლოდ თვალის ქვეშ ნაჭრილობევი გაულურჯდა.

დანარჩენი ტყვეები მას განცვიფრებით ათვალიერებდნენ. ბარაბას აქ არავინ იცნობდა. მონებს ის ვიღაც უცნობი ბოროტმოქმედი ეგონათ. დაკითხვითაც კი ცალკე დაკითხეს.

— შეუძლებელია, — ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ ისინი.

— რა არის შეუძლებელი? — გაოცდა ზედამხედველი.

— თუკი ყოველივე, რაც გვიამბე, მართალია, შეუძლებელია ეს კაცი ქრისტიანი იყოს.

— რაო? შეუძლებელიაო? თვითონ რომ ასე თქვა? მაგის დამჭერებმა მიამბეს, თანაც დაკითხვაზეც ხომ აღირაა.

— არ ვიცნობთ. — შეცბუნებით ბუტბუტებდნენ ტყვეები — ჩვენიანი რომ იყოს, გვეცოდინებოდა. პირველად ვხედავთ.

— თავს ნუ იკატუნებთ! მოიცადეთ, ახლავე გასიამოვნებთ! — ზედამხვედელი ბარაბას მიუახლოვდა და კისერზე შებმული საჭდე გადმოუბრუნა. — აჰა, შეხედეთ! ეს რა, თქვენი ღმერთის სახელი არ არის? მე ამ ნაჯღაბნში ვერ ვერკვევი, მაგრამ ხომ ასეა? აბა თავად წაიკითხეთ!

ტყვეები ბარაბასა და ზედამხედველს შემოეხვიენ და საჭდეს მეორე მხარეზე ამოტვიფრულ წარწერას გაოგნებით დახედეს. უმეტესობას მისი წაკითხვა არ შეეძლო, მაგრამ ზოგიერთები შეშფოთებით აჩურჩულდნენ:

— იესო ქრისტე... იესო ქრისტე...

ზედამხვედველმა საჭდე გადააბრუნა და ტყვეებს გამარჯვებულის იერით გადახედა.

— ჰა, ახლა რაღას იტყვით? მაინც არ არის ქრისტიანი? თავად, თქვენ წარმოიდგინეთ, ქრისტიანი ვარო, მსაჯულს მოახსენა, თანაც დასძინა, კეისარს კი არა, აი, იმ ღმერთს ვეკუთვნიო, თქვენ რომ ლოცულობთ და კარგა ხნის წინ ჯვარზე ჩამოკიდეს. ჰოდა, ახლა ამასაც ჩამოკიდებენ, თუ გინდათ, ნიძლავს დაგიდებთ. სხვათა შორის, არც თქვენ აგცდებათ, თუმცა უფრო მოხერხებულები აღმოჩნდით, ოღონდ, ეგ არის, არ გაგიმართლათ რაღა, ერთი შტერი გამოგერიათ, ხელში თავად ჩაგვივარდა და ქრისტიანი ვარო, გამოგვიცხადა!

ზედამხედველმა ჩაიხითხითა, ტყვეების გაოგნებულ სახეებს თვალი მოავლო და კარი გაიკეტა.

ტყვეები კი კვლავ ბარაბას შემოეხვიენ და კითხვები დააყარეს.

ვინ არის? ნუთუ ქრისტიანია? რომელ საძმოს ეკუთვნის? ნუთუ ხანძარი მართლა გააჩინა?

ბარაბას კრინტიც არ დაუძრავს. სახე სულ ჩაუნაცრისფერდა, ბებერმა თვალებმა მზერა უფრო ღრმად ჩამალეს.

— ქრისტიანიაო! აბა, რას ამბობთ, განა ვერ დაინახეთ, რომ წარწერა გადახაზულია...

— გადახაზულია? უფლის სახელია გადახაზული?

— ჰო, თავადაც ხომ დაინახეთ!

აი, ერთი მონა საჭდეს მისწვდა და თუმცა შუქი სულ გაილია, კვლავ დაათვალიერა. ახლა ყველამ დაინახა, რომ ვიღაცის უდავოდ ძლიერ ხელს სახელი დანით მკვეთრად, უხეშად, ჯვარედინად გადაეხაზა.

— რად არის გადახაზული უფლის სახელი? — ეკითხებოდნენ ისინი. — რატომ? ეს რას ნიშნავს? რა, არ გესმის? ეს რას ნიშნავს?

მაგრამ ბარაბა კრინტსაც არ ძრავდა. იგი თავჩაქინდრული იჯდა ტყვეებს ხელს არ უშლიდა მისი საჭდე დაეთვალიერებინათ, მაგრამ ხმას არ იღებდა. ტყვეებს კი ეს კაცი უფრო და უფრო აოცებდა და ამძვინვარებდა. თავი ქრისტიანად მოაქვს, მაგრამ არ შეიძლება ქრისტიანი იყოს! სად გაგონილა! ბოლოს და ბოლოს, ვიღაცამ მოხუცს მიმართა. ეს მოხუცი მოშორებით, ჯურღმულის კედელთან იჯდა და აურზაურში მონანილეობას არ იღებდა, მაგრამ მიმართეს თუ არა, წამოდგა და ბარაბას მიუახლოვდა.

იგი ჩასკვნილი, თუმცა წელში ოდნავ მოხრილი, მაინც ჯერ კიდევ ახოვანი კაცი იყო. გრძელი, მაგრამ მკერდზე ჩამოფენილი ნვერივით შეთხელებული და გაჭაღარავებული თმა ჰქონდა. მთელი მისი იერი პატივისცემას ინვევდა. მოკრძალებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მისი ცისფერი, ნათელი თვალები, თითქმის ბავშვურად შეგცქეროდა, თუმცა მხცოვანების სიბრძნეც არ აკლდა.

თავდაპირველად მოხუცმა ბარაბას ბებერი, გამოფიტული სახე დიდხანს ათვალიერა. შემდეგ თავი ისე გაიქნია, თითქოს რაღაც გაახსენდა.

— ისე დიდი ხნის წინ მოხდა, — თავის მართლებით ჩაილაპარაკა და ტყვეების გვერდით თივაზე დაეშვა.

დანარჩენი მონები გაოცნდნენ. ნუთუ ღირსეული მამა ამ კაცს იცნობდა?

მოხუცი ამ კაცს აშკარად იცნობდა. როგორც კი ხმა ამოიღო, ეს მაშინვე ნათელი გახდა. შენი ცხოვრება როგორ წარიმართაო, შეეკითხა ბარაბას. ბარაბამაც თავისი ბედ-იღბლის ამბავი მოუთხრო. ცხადია, ყველაფერი არ უამბია, აბა, სად შეეძლო, მაგრამ ისე მოჰყვა, რომ მხცოვანმა ბევრი რამ გაიგო და ბევრსაც თავადვე მიხვდა. დროდადრო მოხუცი რაღაც ისეთს დასძენდა, რაც ბარაბას გამორჩა და ჩაფიქრებული ბარაბაც თავს დაუქნევდა. მათ გულითადად ისაუბრეს, თუმცა ბარაბას არ სჩვეოდა ვინმესთვის გულის გადახსნა და ახლა, ამ მოხუცსაც მხოლოდ ნაწილობრივ ენდობოდა მაინც, მის შეკითხვებზე ჩუმი, დაღლილი ხმით პასუხობდა. ხანდახან კი შეათვალიერებდა მის ბავშვურ, ბრძნულ თვალებს და დაღარულ პირისახეს, რომელიც წლებს ასევე არ დაენდო, მაგრამ ბარაბას სახისაგან მაინც განსხვავდებოდა. ამ პირისახეზე ღრმა ნაოჭები მოჩანდა, მაგრამ მაინც სხვანაირი, თითქოს სიმშვიდით განათებული იყო. მოხუცს თეთრი სახის კანი ჰქონდა, ლოყები ჩაცვივნოდა, იქნებ იმიტომაც, რომ კბილები თითქმის აღარ შერჩენოდა. საერთოდ კი, თითქმის არ გამოცვლილიყო. საუბრითაც ძველებურად საუბრობდა და კილოც ისეთივე უბრალო და უეშმაკო ჰქონდა.

ღირსეულმა მამამ თანდათან შეიტყო უფლის სახელი გადახაზული რად იყო და ბარაბამ რომის გადანვა რად სცადა. კაცს სურდა მათ დახმარებოდა. მაცხოვარს დახმარებოდა და ეს ქვეყანა ძირისძირობამდე გადაებუგა. ამის გაგონებაზე მოხუცმა მწარედ გადაიქნია თავი და ბარაბას, როგორ დაიჯერე, რომ ჩვენ ქრისტიანებმა რომი გადავწვითო, შეეკითხა, ეს ხომ თავად კეისარმა ბრძანა და შენც იმას დაეხმარეო, უთხრა.

— ამა ქვეყნის მბრძანებელს დაეხმარე, — უთხრა მან. — სწორედ იმას, ვინც საჭდეზე მეპატრონედ გიწერია და არა უფალს, ვისი სახელიც გადაგიხაზავს. თუმცა არ იცოდი, მაინც შენს კანონიერ მეპატრონეს ემსახურებოდი. ჩვენი ღმერთი კი სიყვარულია, — დაძინა ჩუმად, ბარაბას ჭაღარა, ბანჯგვლიან მკერდზე ჩამოკიდული საჭდე აიღო და თავისი უფლის გადახაზულ სახელს სიმწრით დახედა.

შემდეგ საჭდეს ხელი გაუშვა და მძიმედ ამოიოხრა, იგი მიხვდა, ბარაბას ხვედრი ასეთი იყო, ეს ტვირთი მას ბოლომდე უნდა ეზიდა და ვერაფერს, ვერაფერს შეცვლიდა. იმასაც მიხვდა, რომ ეს ბარაბამაც იცოდა. ყველაფერი მის გაუბედავ, ეულ თვალებში ამოიკითხა.

— ვინ არის? ვინ არის? — ერთმანეთს ასწრებდნენ ყვირილს, როცა მოხუცი ადგილიდან წამოდგა. მოხუცს კი პასუხის გაცემა არ სურდა, თავის არიდებას ცდილობდა, მაგრამ ტყვეებმა ისე შეუტიეს, იძულებული გახდა დაეთმო.

— ეს ბარაბაა, მაცხოვრის ნაცვლად რომ გაათავისუფლეს, — თქვა ბოლოს.

მონები უცხოს თავგზააბნეულები შესცქეროდნენ. ასე ძლიერ მათ ვერაფერი გააოცებდა და ააღელვებდა.

— ბარაბა, — ჩურჩულებდნენ ისინი. — ბარაბა-შენდობილი!

ეს გონებაში არ ეტეოდათ და მათი თვალები წყვდიადში ბრაზიანად ელავდნენ.

მაგრამ ისინი მოხუცმა დაანყნარა.

— უბედური კაცია, — თქვა მან. — რა უფლება გვაქვს განვსაჯოთ. თავად ხომ უამრავი ნაკი და ზადი გვაქვს და რა ჩვენი დამსახურებაა, თუ უფალი წყალობით გვექცევა. არ გვაქვს უფლება, კაცი იმისთვის განვსაჯოთ, რომ ღმერთი არა ჰყავს.

ტყვეები თავჩაქინდრულები იდგნენ და ამ სიტყვების, ამ საშინელი სიტყვების შემდეგ თითქოს ვეღარც ბედავდნენ ბარაბასთვის შეეხედათ. ჩუმად ჩამოშორდნენ და ძველ ადგილებზე ჩუმადვე დასხდნენ. მოხუციც, უხალისოდ და ოხვრით, მათ კვალს მიჰყვა.

და ბარაბა კვლავ მარტო დარჩა.

დანარჩენი დღეები ჯურღმულში ასე ყველასგან მოშორებით, განცალკევებით იჯდა, ესმოდა, როგორ უგალობდნენ ღმერთს მონები, როგორ ესაუბრებოდნენ ერთმანეთს სიკვდილსა და მარადიულ ცხოვრებაზე მათ რომ ელოდათ. განაჩენის გამოტანის შემდეგ კიდევ უფრო მეტს საუბრობდნენ, რადგან სწამდათ და არავითარი ეჭვი არ აწუხებდათ.

ბარაბა მათ საუბარს ღრმად ჩაფიქრებული ისმენდა. თავადაც ფიქრობდა იმაზე, რაც მოელოდა. იმ კაცსაც იხსენებდა, ზეთისხილის მთაზე პური და მარილი რომ გაუყო. ის კი კარგა ხანია ხელმეორედ მოკვდა და მისი მკვდარი თავისქალა მარადიულ წყვდიადში იკრიჭებოდა.

მარადიული ცხოვრება...

ნეტავ ბარაბას ცხოვრებას თუ ჰქონდა რაიმე აზრი? საეჭვოა, მაგრამ მან არაფერი იცოდა და არც თავად გადაუწყვეტია რამე.

მოშორებით თავისიანებს შორის ჭაღარაწვერიანი მოხუცი იჯდა. იგი ტყვეებს უსმენდა და თავისი განუმეორებელი, გალილეული კილოთი ესაუბრებოდა. ანდა უცებ გაჩუმდებოდა და თავის დიდ თავს ხელებზე ჩამოაყრდნობდა. იქნებ, მშობლიური გენესარეთის ნაპირები აგონდებოდა, სადაც სიკვდილის შემდეგ წოლა უნდოდა. მაგრამ ამას მისი ნება როდი წყვეტდა. გზაზე მაცხოვარი გადაეყარა, მან „გამომყევიო" უთხრა და კაცსაც სხვა გზა არ ჰქონდა. თავისი ბავშვური მზერით იგი წინ იყურებოდა, ბებერ, დაღარულ სახეზე კი დიადი სიმშვიდე ეფინა.

და აი, ისინი ჯვარზე გასაკრავად წაიყვანეს. მონები ჯაჭვებით წყვილწყვილად გადააბეს, მაგრამ ბარაბას მეწყვილე არ ეყო და ისიც კუდში მარტოდმარტო მიაბიჯებდა. უბრალოდ ასე გამოვიდა. შემდეგ კი ისე მოხდა, რომ ყველაზე მოშორებით მდგარ ჯვარზე გააკრეს.

ხალხმრავალმა ბრბომ მოიყარა თავი და სანამ ყველაფერი დასრულდებოდა დიდი დრო გავიდა. ამ ხნის მანძილზე ჯვარცმულები ერთმანეთს აიმედებდნენ და აწყნარებდნენ, ბარაბას კი არავინ ამშვიდებდა.

შებინდდა თუ არა, დიდხანს ფეხზე დგომით დაღლილი ბრბო დაიშალა. თანაც ამ დროისათვის უკვე ყველა მკვდარი იყო.

მხოლოდ ბარაბა იყო ცოცხალი. შემდეგ მანაც იგრძნო მოახლოვება სიკვდილისა, რომლისაც მუდამ ეშინოდა და წყვ[illegible]ოში ისე ჩაილაპარაკა, თითქოს სიკვდილს მიმართავდა:

— შენ გაბარებ ჩემს სულს.

თქვა და სულიც განუტევა.

სარჩევი

„მზე ყოველ ადამიანშია“ (ეთერ ბერიაშვილი) 3

ქორწილი 13

იუჰან-მაცხოვარი 30

მომთხოვნი სტუმარი 41

ბიჭუნების სამხედრო ლაშქრობა 48

ჯალათი 61

განთავისუფლებული ადამიანი 111

ბარაბა 135

საგამომცემლო ჯგუფი
ნელი ელიზბარაშვილი
ვლადიმერ პერანიძე
მართა ნიკლაური
ნინო ყულოშვილი
ალექსანდრე ჯიქურიძე

გარეკანის დიზაინი
ილია ხელაიასი

გამომცემლობა
ინტელექტი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ
25-05-22, 91-22-83, 8(99) 53-05-22, 8(99) 55-66-54
ფაქსი 91-22-83
inteleqti@caucasus.net